

ნ. იოსებაშვილი ზ. ბერიძე
ნ. მურაკაშვილი

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა
ეკონომიკაში, ბიზნესსა
და მენეჯმენტში

თბილისი - 2010

ნაშრომი ეძღვნება ჩვენი მასწავლებლის პროფესორ **შალერ ბენიას** ნათელ ხსოვნას.

ნაშრომში გაშუქებულია სტატისტიკის გამოყენების აქტუალური საკითხები. თეორიული მასალა განმტკიცებულია უახლესი სტატისტიკური ინფორმაციით, ამოხსნილია სანიმუშო მაგალითები და ამოცანები.

წიგნი რეკომენდირებულია სახელმძღვანელოდ აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: სრული პროფესორი ლ. ჩიბურდანიძე

რეცენზენტი: ასოც. პროფ. ლ. ნოზაძე

შესავალი

სტატისტიკური მეცნიერების თანამედროვე მეთოდები ფართოდ გამოიყენება ბიზნესის მართვის სფეროში. ამის გამო აუცილებელია სტატისტიკის ზოგადი თეორიის ათვისებასთან ერთად სტუდენტებმა შეისწავლონ კონკრეტული პრაქტიკული მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ხდება ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი.

სტატისტიკა კაცობრიობის არსებობის ასეულობით წლების მანძილზე ყოველთვის ითვლებოდა სახელმწიფო მმართველობის უცილობელ, ეფექტურ ინსტრუმენტად.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით კიდევ უფრო გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი თითოეული ოჯახის, ბიზნესმენის, მენეჯერის, მეცნიერის და მკვლევარის სტატისტიკური ინფორმაციის სხვა მომხმარებლების მიერ, სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებისას.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს შინაარსი და სტრუქტურა სრულად შეესაბამება სასწავლო დისციპლინის „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“- მოქმედ სილაბუსს.

სახელმძღვანელოს მომზადებისას გამოყენებული იქნა ბოლო წლებში გამოქვეყნებული სტატისტიკური ლიტერატურა და უახლესი სტატისტიკური მონაცემები.

იმედი გვაქვს სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის სტუდენტებს.

ავტორთა კოლექტივი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს სახელმძღვანელოს ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

თემა 1. მოსახლეობის სტატისტიკა

სოციალურ-დემოგრაფიული სტატისტიკა, როგორც სტატისტიკური მეცნიერების უძველესი დარგი, შეისწავლის მოსახლეობისა და მისი განვითარების კანონზომიერებებს საზოგადოების განვითარების კონკრეტულ პირობებში.

მოსახლეობა ადამიანთა ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ერთერთი აუცილებელი ელემენტია გეოგრაფიულ გარემოსა და მატერიალური დოვლათის წარმოებასთან ერთად. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაზე, სტრუქტურასა და დინამიკაზე, ჯანდაცვის მდგომარეობასა და განათლების დონეზე დიდადა დამოკიდებული საზოგადოებაში მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოების განვითარება. ამიტომ სტატისტიკა შეისწავლის მოსახლეობის რიცხოვნობას, შემადგენლობას (სტრუქტურას), აგრეთვე, დინამიკას დროსა და სივრცეში.

მოსახლეობის, როგორც რთული ერთობლიობის შესწავლა, შეუძლებელია მისი სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფების გარეშე. მოსახლეობის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლებიდან გამოყოფენ დემოგრაფიული პროცესებისა და სიტუაციების შეფასებისა (რომელის შექმნილია კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროსა და სივრცეში) და მათი მომავალში განვითარების (პროგნოზირებას) შემდეგ მახასიათებლებს.

დემოგრაფიული სიტუაციების მახასიათებლებია:

1. მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები.
2. მოსახლეობის შემადგენლობის (სტრუქტურის) მაჩვენებლები.
3. მოსახლეობის განახლებისა და მიგრაციის მაჩვენებლები.

ცალკეული კონკრეტული კვლევების პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა მაჩვენებლების მიღება და სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ, როდესაც მოსახლეობის სტატისტიკურ აღწერას აწარმოებენ, გამოყოფენ მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის შემდეგ ძირითად ამოცანებს:

1. მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით განლაგების განსაზღვრა.
2. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის (შემადგენლობის) სხვადასხვა ნიშნებით შესწავლა:

- ა) დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა),
 - ბ) ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური ენა),
 - გ) განათლების პროფესიული საქმიანობისა და სხვა.
3. მოსახლეობის მიგრაციის შესწავლას.
 4. მოსახლეობის სოციალური მახასიათებლების განსაზღვრას.

ამრიგად, მოსახლეობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების ძირითადი მიზანია ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროში ფორმირებული დემოგრაფიული სიტუაციის, მისი განვითარების შესწავლა.

რა საჭიროა სოციალურ-დემოგრაფიული გარემოს შესწავლა ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის განვითარებისათვის? ეკონომიკა, ბიზნესი და მენეჯმენტი მხოლოდ ხალხის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვისაა საჭირო. ამიტომ მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის, დინამიკის, ამ საფუძველზე მოთხოვნა-მიწოდების განვითარების, აგრეთვე, ცხოვრების დონის, შემოსავლების, დანახარჯების, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის და ქვეყანაში იურიდიულ-ეკონომიკური სამართლიანობის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და ბიზნესმენური, აგრეთვე, მენეჯმენტური გადაწყვეტილების მიღება.

ამის გარდა, სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, ბიზნეს გარემოს ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. აქ განიხილება ბიზნესის განვითარების გარემოს განმსაზღვრელი ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, აქედან გამომდინარე ბიზნესისათვის საჭირო შრომითი რესურსები, ცხოვრების დონე და სამუშაო ძალის ღირებულება, სოციალური ინფრასტრუქტურა (განათლება, ჯანდაცვა, საკანონმდებლო ბაზა და სამართლიანობის სტატისტიკის ინდიკატორები) და სხვ.

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლა მისი რიცხოვნობის შესწავლით იწყება. მოსახლეობის რიცხოვნობის ინფორმაციული წყაროებია, პირველ რიგში, საყოველთაო აღწერები და შემდგომ, აღწერათაშორის პერიოდებში, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის აღრიცხვის მაჩვენებლები. მოსახლეობა ხასიათდება ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა მუდმივი, სახეზე მყოფი, დროებით მცხოვრები და დროებით წასული მოსახლეობა. მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება ის პირნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო სახეზე მყოფთ - ვინც

აღწერის კრიტიკულ მომენტში იმყოფებიან (მიუხედავად იმისა, ისინი ცხოვრობენ მუდმივად თუ არა, მოცემულ დასახლებულ პუნქტში). დროებით მაცხოვრებლებს მიეკუთვნება სახეზე მყოფი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც დროებით ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ მუდმივი საცხოვრებელი გააჩნიათ სხვა ტერიტორიაზე. მაშასადამე, მუდმივ საცხოვრებელზე ისინი ჩაითვლებიან დროებით წასულ მოსახლეობად. თუ სახეზე მყოფთ დაკუმატებთ დროებით წასულ და გამოვაკლებთ დროებით მაცხოვრებლებს, მივიღებთ მუდმივ მოსახლეობას. მოსახლეობის რიცხოვნობის საფუძველზე სტატისტიკა ანგარიშობს მოსახლეობის საშუალოწლიურ სიდიდეს, აგრეთვე, სტრუქტურას და დინამიკას.

თუ გვაქვს მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს, მაშინ საშუალოწლიური სიდიდე შეიძლება მარტივად დავადგინოთ მათი ჯამის ორზე გაყოფით.

მაგალითი. მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობამ საქართველოში 2007 წლის დასაწყისში შეადგინა 4394,7 ათასი, ხოლო წლის ბოლოს 4371,3 ათასი კაცი. მაშასადამე საშუალოწლიური რიცხოვნობა შეადგენს:

$$\bar{y} = \frac{4394,7 + 4371,3}{2} = 4383 \text{ ათასი კაცს}$$

ძალიან ხშირად მოცემულია მოსახლეობის რიცხოვნობა რამდენიმე წლის პირველი იანვრისთვის. ამ შემთხვევაში მოსახლეობის

საშუალოწლიური რიცხოვნობა \bar{y} დადგინდება საშუალო ქრონოლოგიურის გამოყენებით:

$$\bar{y} = \frac{1}{n-1} (y_1 + y_2 + y_3 + \dots + y_n)$$

სადაც \bar{y} - არის საშუალოწლიური რიცხოვნობა;

$y_1, y_2, y_3, \dots, y_n$ - მოსახლეობის რიცხოვნობა თითოეული წლის პირველი იანვრისათვის;

n - წელთა რაოდენობა.

მაგალითი. საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობამ 1 იანვრისათვის ათას კაცებში შეადგინა შესაბამისად 2003-2008 წლებში:

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
მოსახლეობის რიცხვი (ათასი კაცი)	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7	4382,1

ამ მონაცემებით 2003-2008 წლებში საქართველოში მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა შეადგენდა:

$$\bar{y} = \frac{0,5 \cdot 4342,6 + 4315,2 + 4321,5 + 4401,3 + 4394,7 + 0,5 \cdot 4382,1}{5} =$$

4359,01 ათასი კაცს

მოსახლეობის რიცხოვნობის სტრუქტურა, ანუ შემადგენლობა შეისწავლება სხვადასხვა ნიშნით. მათ შორის მნიშვნელოვანია ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური ენა), დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა), სოციალური (კლასობრივი შემადგენლობა), ეკონომიკური და პროფესიული. სტრუქტურული შემადგენლობა გამოისახება ჩვენთვის საინტერესო ნიშნის მქონე (სქესი, ასაკი და ა.შ.) მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის საერთო რიცხვთან.

მაგალითი. განსაკუთრებით საინტერესოა ბავშვების და მოხუცების ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში.

	2003	2004	2005	2006	2007	2008
0 დან 15 წლამდე მოსახლეობა (ათასი კაცი)	957,3	926,5	905,7	889,4	855,2	824,8
65 წლის ზევით მოსახლეობა (ათასი კაცი)	711,2	706,4	703,4	716,0	722,0	724,9
სულ მოსახლეობა (ათასი კაცი)	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7	4382,1
15 წლამდე ასაკი მოსახლ. ხვედრითი წილი %	22.0	21.5	21.0	20.2	19.5	18.8
65 წლის ზევით მოსახლ. ხვედრითი წილი %	16.4	16.4	16.3	16.3	16.4	16.5

15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი (სტრუქტურა) პროცენტობით შეადგენს:

$$2003 \text{ წელს } \frac{957.3}{4342.6} \times 100 = 22.0\%$$

$$2008 \text{ წელს } \frac{824.8}{4382.1} \times 100 = 18.8\%$$

65 წლის ზევით მოსახლეობის ხვედრითი წილი (სტრუქტურა) პროცენტობით შეადგენს:

$$2003 \text{ წელს } \frac{711.2}{4342.6} \times 100 = 16.4\%$$

$$2008 \text{ წელს } \frac{724.9}{4382.1} \times 100 = 16.5\%$$

საინტერესოა აგრეთვე მოსახლეობის სტრუქტურა დასაქმებულ ადამიანებზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით ანუ ე.წ. დამოკიდებულების კოეფიციენტი.

2003-2008 წლების მონაცემების მიხედვით საქართველოში დამოკიდებულების კოეფიციენტი იქნება:

	2003	2004	2005	2006	2007	2008
0 და 15 წლამდე და 65 წლის ზევით (ათასი კაცი)	1668,5	1632,9	1609,1	1605,4	1577,2	1549,7
15-64 წლამდე შრომისუნარიანთა რიცხვი (ათასი კაცი)	2674,1	2682,3	2712,4	2795,9	2817,5	2832,4
დამოკიდებულების კოეფიციენტი	0.62	0.61	0.59	0.57	0.56	0.55

მთელი მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში დამოკიდებულების კოეფიციენტი კლებულობს, ასევეა საქართველოშიც. დამოკიდებულების მაღალი კოეფიციენტი ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ნაკლებ პოტენციალს, განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულების კოეფიციენტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

მოსახლეობის დინამიკას ქრონოლოგიური თარიღების (თვეები, კვარტლები, წლები და ა.შ.) მიხედვით სტატისტიკა სწავლობს დინამიკის შეფარდებითი სიდიდეების გამოყენებით. იმავე ჩვენს მიერ ზემოთ მოცემული ციფრებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის კოეფიციენტმა 2003-2008 წლებში შეადგინა:

$$K = \frac{4382,1}{4342,6} \times 100 = 100,91$$

რაც ნიშნავს, რომ საქართველოში ამ წლებში მოსახლეობის რაოდენობამ მოიმატა თითქმის 1 %-ით.

სტატისტიკა შეისწავლის, აგრეთვე, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებს.

მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობას განეკუთვნება შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინება, განქორწინება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილებანი.

ბუნებრივი მოძრაობისაგან განსხვავდება მიგრაცია. მიგრაცია ეწოდება მოსახლეობის გადაადგილებას ერთი ტერიტორიული ადგილიდან მეორეზე ხანგრძლივი ან ხანმოკლე პერიოდით, რომელსაც თან ახლავს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. სხვაგვარად მიგრაციას მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობას უწოდებენ. ზოგჯერ საქმე გვაქვს ე.წ. ქანქარისებურ მიგრაციასთან, რომლის ქვეშ იგულისხმება ადამიანების სისტემატური წასვლა და უკან დაბრუნება სამუშაოდ ან სასწავლებლად.

მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესია, რომლის ციფრობრივი დახასიათებით სტატისტიკა იძლევა შრომითი რესურსების რაოდენობის, ურბანიზაციის (სოფლიდან ქალაქისაკენ მოსახლეობის მოძრაობა) და სხვა საკითხების შესწავლის საშუალებას ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობას ახასიათებს შობადობის, სიკვდილიანობის, ბუნებრივი მატების, ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები. აბსოლუტური მაჩვენებლებია წლის მანძილზე დაბადებულთა, გარდაცვალებულთა და ბუნებრივი მატების (მათ შორის სხვაობა) რიცხვი, ხოლო თუ ამ აბსოლუტურ სიდიდეებს ავიღებთ შეფარდებით მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით (პრომილებში ‰), მივიღებთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტებს. ეს კოეფიციენტები იძლევა ანალიზისა და სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონების ურთიერთშედარების საშუალებას.

თუ წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვს აღვნიშნავთ N -ით, გარდაცვალებულთა რიცხვს M - ით, ბუნებრივი მატების აბსოლუტური მნიშვნელობას Δ -თი, ხოლო მოსახლეობის საშუალოწლიური

რიცხვობას \bar{S} -ით, მაშინ შობადობის კოეფიციენტი ($K_{\text{შ}}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\text{შ}} = \frac{N}{\bar{S}} 1000$$

მოკვდაობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{გ}} = \frac{M}{\bar{S}} 1000$$

ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი:

$$K_{\Delta} = \frac{N - M}{\bar{S}} 1000 = \frac{\Delta}{\bar{S}} 1000$$

ბუნებრივი მოძრაობის მოტანილი შეფარდებითი მაჩვენებლები აგებულია მოსახლეობის საერთო საშუალოწლიური რიცხვობის მიმართ. ამიტომ მათ სხვაგვარად უწოდებენ საერთო კოეფიციენტებს. ცხადია, ისინი განსხვავდება ცალკეული ასაკობრივი, სოციალური, სქესობრივი და სხვა ჯგუფების მიხედვით. თუ მსგავს გაანგარიშებებს ვაწარმოებთ მოსახლეობის ასეთი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით, მივიღებთ ე.წ. ბუნებრივი მოძრაობის სპეციალურ კოეფიციენტებს. მაგალითად, შობადობის საერთო კოეფიციენტთან ერთად მეტად საინტერესოა ქალთა ნაყოფიერების ანუ შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, რომელსაც ანგარიშობენ წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 (ფერტილური) ასაკის ქალთა საშუალოწლიურ რიცხვთან და 1000-ზე გადამრავლებით. გამოყოფენ, აგრეთვე, ბავშვთა სიკვდილიანობის სპეციალურ კოეფიციენტს, რომელიც სიკვდილიანობის საერთო კოეფიციენტისაგან განსხვავებით გაიანგარიშება მოცემულ წელს 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვის შეფარდებით არა ბავშვთა საშუალო-წლიურ, არამედ დაბადებულთა რიცხვთან და 1000-ზე გადამრავლებით. მაგრამ 1 წლამდე გარდაცვლილებიდან ნაწილი ეკუთვნის მიმდინარე, ნაწილი - გასულ წელს დაბადებულებს. ხშირად დაბადებულებიდან 2 ნაწილს მიაკუთვნებენ მოცემულ წელს დაბადებულებს, მაშინ ბავშვთა სიკვდილიანობის სპეციალური კოეფიციენტი მიიღებს ასეთ სახეს:

$$K_M = \frac{m_1}{\frac{2}{3}N_1 + \frac{1}{3}N_0} \cdot 1000$$

სადაც:

K_M - ბავშვთა სიკვდილიანობის სპეციალური კოეფიციენტი,

m_1 - 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი,

N_1 - მოცემულ წელს დაბადებულთა რიცხვი,

N_0 - გასულ წელს დაბადებულთა რიცხვი.

ზშირად ანგარიშობენ, აგრეთვე, „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტს დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვლილთა რიცხვთან, რომელიც გამოისახება პროცენტებში.

აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით ხასიათდება, აგრეთვე, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა რიცხვი. აბსოლუტური მაჩვენებელია დაქორწინებულთა და განქორწინებულთა რიცხვი წლის მანძილზე. თუ მათ ცალ-ცალკე გავყოფთ მოსახლეობის საშუალო რიცხვზე და გავამრავლებთ 1000-ზე, მივიღებთ დაქორწინების ან განქორწინების საერთო კოეფიციენტს. მაგრამ ასეთი შეფარდებითი მაჩვენებლების ნაკლი ისაა, რომ არ ითვალისწინებს ასაკობრივ და სქესობრივ განსხვავებას. ამიტომ ანგარიშობენ სპეციალურ კოეფიციენტებს ცალ-ცალკე ვაჟებისა და ქალების, აგრეთვე, ფერტილური ასაკისათვის.

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, აგრეთვე, ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც მიუთითებს ოჯახის სიმტკიცეზე და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მოვლენის სათანადო ანალიზისათვის.

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები
(კოეფიციენტები)

	2003	2004	2005	2006	2007
შობადობა (ათას კაცზე)	10,7	11,5	10,7	10,9	11,2
გარდაცვალება (ათას კაცზე)	10,6	11,3	9,9	9,6	9,4
1 წლამდე გარდაცვალება (ათას ცოცხლად დაბადებულზე)	24,8	23,8	19,7	15,8	13,3
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	0,0	0,2	0,8	1,3	1,8
მკვდრადშობადობა (ათას დაბადებულზე)	17,3	17,2	15,6	14,7	12,7
ქორწინება (ათას კაცზე)	2,9	3,4	4,1	5,0	5,7
განქორწინება (ათას კაცზე)	0,4	0,4	0,4	0,5	0,5

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა ბოლო წლებში საქართველოში შეიმჩნევა ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესება.

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასთან ერთად სტატისტიკა შეისწავლის, აგრეთვე, მიგრაციას, ანუ მოსახლეობის მექანიკურ გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან (რეგიონიდან) მეორე ქვეყანაში (რეგიონში). ერთმანეთისაგან ანსხვავებენ შიგა (ერთი ქვეყნის ან რეგიონის ფარგლებში) და გარე (ერთი ქვეყნიდან ან რეგიონიდან მეორეში) მიგრაციას. მოსახლეობის მოძრაობა შეიძლება იყოს ორი მიმართულების: ქვეყანაში ან რეგიონში ჩამოსვლა (იმიგრაცია) და

ქვეყნიდან ან რეგიონიდან წასვლა (ემიგრაცია). მათ შორის სხვაობა წარმოადგენს მიგრაციის საღლოს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ბეჰანიკურ მატებას ან კლებას მოცემულ რეგიონში.

წელი	გარე მიგრაციული საღლო (ათასი კაცი)
1991-1998	-790.2
1999	-36.1
2000	-35.2
2001	-32.6
2002	-27.8
2003	-27.5
2004	5.5
2005	76.3
2006	-12.1
2007	-20.7
2008	-10.2
2009	34.2

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოში მოსახლეობის გარე მიგრაციის საღლო ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც უთუოდ მეტყველებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

მიგრაციის მაჩვენებლები არის აბსოლუტური (ჩამოსულთა და წასულთა რიცხვი) და შეფარდებითი. ეს უკანასკნელი გაიანგარიშება აბსოლუტური მაზასიათებლების შეფარდებით მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა საშუალო წლიურ რიცხვთან და 1000-ზე გადამრავლებით. თითოეული მათგანი შეიძლება გავიანგარიშოთ მიგრაციის მიზეზების (ახალი მშენებლობისათვის მუშახელის ორგანიზებული შეგროვება, ახალგაზრდობის სასწავლებლად წასვლა და სხვ.), სქესის, ასაკის, ეროვნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხვონობის გაანგარიშების მეთოდები

მოსახლეობის ზემოთმოტანილი სტატისტიკური მაჩვენებლები აზსიათებს მიმდინარე და წასულ პერიოდში მოსახლეობის მოძრაობის სურათს. ამასთან ერთად ბიზნისის, მენეჯმენტის და მთელი ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის პერსპექტიული რიცხვონობის გაანგარიშებას. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხვონობის დასადგენად გვაქვს ექსტრაპოლაციისა და ასაკგადანაცვლების მეთოდები. ექსტრაპოლაცია გულისხმობს წარსულ პერიოდში მოსახლეობის რიცხვონობის ცვალებადობის ტენდენციების გავრცელებას მომავალზე. აქ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდისა და მატების ტემპები და სხვ.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხვონობა საშუალოწლიური აბსოლუტური მატების გამოყენებით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ფორმულით:

$$S_t = S_0 + t\bar{\Delta}$$

ზოლო საშუალოწლიური ზრდის ტემპის გამოყენებით:

$$S_t = S_0 \bar{K}$$

სადაც,

S_t - მოსახლეობის პერსპექტიული რიცხვონობა;

S_0 - საწყისი რიცხვონობა პერსპექტიული პერიოდის დასაწყისისათვის;

$\bar{\Delta}$ - მოსახლეობის საშუალოწლიური აბსოლუტური მატება წარსულ პერიოდში;

\bar{K} - საშუალოწლიური ზრდის ტემპი;

t - პერსპექტიული პერიოდის ზანგრძლივობა წლებში.

ასაკგადანაცვლების მეთოდი გულისხმობს თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტების საფუძველზე მომდგენო ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხვის დადგენას.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას სტატისტიკის წინაშე დგას ოთხი ძირითადი ამოცანა: 1) ცხოვრების დონის არსებული სურათის დახასიათება; 2) ცხოვრების დონის სტრუქტურა (ადამიანთა ცალკეული კატეგორიების, სოციალური ჯგუფების, რეგიონების, აგრეთვე, ქალაქის, სოფლის და სხვა ნიშნების მიხედვით); 3) მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკა ქრონოლოგიური თარიღების (თვე, კვარტალი, წელი) მიხედვით; 4) ცხოვრების დონეზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს "მოსახლეობის ცხოვრების დონის" ერთმნიშვნელოვანი განმარტება, ამასთან დაკავშირებით სადისკუსიოა საკითხი, თუ რომელი მაჩვენებლების გამოყენებაა მიზანშეწონილი მოსახლეობის ცხოვრების დონის ადეკვატური სტატისტიკური ასახვისათვის. ანალიზის საწარმოებლად გაიანგარიშება მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც შემდეგ ძირითად ბლოკებშია დაჯგუფებული:

- მოსახლეობს შემოსავლების მაჩვენებლები;
- მოსახლეობის გასავლების, მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლები;
- დანაზოგები;
- დაგროვილი ქონების მაჩვენებლები და მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის, სიღარიბის დონისა და საზღვრების მაჩვენებლები;
- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის შემაჯამებელი მაჩვენებლები.

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად ზემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი მახასიათებლების (შემოსავალი, მოხმარება) გამოყენება ვერ უზრუნველყოფს შესწავლილი მოვლენების შესახებ სრულ წარმოდგენას. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს დისკუსიები ერთიანი შემაჯამებელი მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, რომელთა შექმნას მრავალი მეცნიერი სკეპტიციზმით უყურებს. ბუნებრივია, ეს არ არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც

უზრუნველყოფდა მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლების ფორმირებასა და პრაქტიკაში დამკვიდრებას.

რამდენიმე წლის წინათ, გაეროს განვითარების პროგრამაში (1995წ.) მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი აგრეგატული მაჩვენებლის გაანგარიშების ნიმუშის სახით შემოთავაზებულ იქნა ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი (აპგი), რომელიც შეადგენს კრებსით ინდექსს და მოიცავს 3 ძირითად მაჩვენებელს, რომლებიც ასახავენ ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ასპექტებს:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი;
- 2) განათლებულობის მიღწეული დონის მაჩვენებელი;
- 3) ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) რეალური მოცულობის (დოლარებში, მყიდველუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე) მაჩვენებელი.

ქვემოთ განვიხილავთ ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსის (აპგი) შემადგენელი თითოეული მაჩვენებლის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_i = \frac{X_i - X_{i\text{მინ.}}}{X_{i\text{მაქს.}} - X_{i\text{მინ.}}}$$

სადაც $X_i - i$ არის მაჩვენებლის ფაქტობრივი მნიშვნელობა.

$X_{i\text{მინ}}$ და $X_{i\text{მაქს.}}$ - შესაბამისად i - მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები.

კერძოდ:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის ინდექსის გამოსაანგარიშებლად, სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალურ მაჩვენებლად აიღება 25 წელი, ხოლო მაქსიმალურ მაჩვენებლად - 85 წელი. მაშინ "სიცოცხლის" ინდექსს შემდეგი ფორმულის გამოყენებით გამოიანგარიშებენ:

$$I_1 = \frac{X_1 - 25}{85 - 25}$$

2. განათლებულობის მიღწეული დონის ინდექსი განისაზღვრება როგორც ორი სუბ-ინდექსის შეწონილი საშუალო არითმეტიკული: 1)

სრულსაკოვან მოსახლეობაში განათლებულობის ინდექსი $(i_{21}) \frac{2}{3}$ წილით და 2) მოსწავლეთა ერთობლივი წილის (დაწყებით, საშუალო,

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში) ინდექსი $(i_{22}) \frac{1}{3}$ წილით, კერძოდ,

$$I_2 = i_{21} \frac{2}{3} + i_{22} \frac{1}{3}.$$

”ცოდნის” ინდექსის გამოსანგარიშებლად სრულსაკოვან მოსახლეობაში (15 წლისა და მეტი) $X_{\text{მინ.}}$ მნიშვნელობად აიღება ”0”, $X_{\text{მაქს.}} = 100\%$.

მოსწავლეთა ერთობლივი წილის ინდექსი გამოიანგარიშება 24 წელზე ნაკლები პირებისათვის, ხოლო წილის საზღვრითი მნიშვნელობა აიღება როგორც ”ცოდნის” ინდექსის გამოანგარიშებისას (ე.ი. 0 და 100%).

3. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რეალური მოცულობა გაიანგარიშება დოლარებში მყიდველობითი უნარიანობის პროტესტის გათვალისწინებით (მუპ), რომლის კორექტირებაც ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ფაქტობრივი შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე მეტია ვიდრე საწყისი მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიოში აღიარებულია როგორც საშუალო სულადობრივი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი დღეისათვის შეადგენს 5448

დოლარს, (ე.ი. $X_3 = 5448$ დოლარი არის მყიდველობითუნარიანობის პარიდეტის საფუძველზე გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რეალური მოცულობა. თუ მოცემულ ქვეყანაში ფაქტობრივი შემოსავალი (X_3') მეტია მის საწყის დონეზე (X_3), ე.ი თუ $X_3 > X_3'$ მაშინ გადაამეტების დისკონტირებას აწარმოებენ შესაბამისი ფორმულების

გამოყენებით. თუ $X_3 \leq X_3'$, მაშინ რეალური მშპ-ს მოცულობის ინდექსის გაანგარიშებისას აიღება ამ მაჩვენებელთა ფაქტობრივი მნიშვნელობა. მშპ-ს რეალური მოცულობის მინიმალურ მაჩვენებლად ერთ სულ მოსახლეზე აიღება 100 დოლარის მყიდველობითუნარიანი პარიდეტი (მუპ), ხოლო მაქსიმალური დისკონტირებული მნიშვნელობა აიღება 5448 დოლარის მყიდველობითუნარიანი პარიდეტი.

მაშასადამე, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის რეალური მოცულობის ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლით, კერძოდ:

როცა $X_3 \leq 5448$ დოლარზე, მაშინ

$$I_3 = \frac{X_3 - 100}{5448 - 100}$$

ბ) როცა $X_3 > 5448$ დოლარზე, მაშინ

$$I_3 = \frac{X_3' - 100}{5448 - 100}$$

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი (აპვი) შეადგენს

$$I_{\text{ად.პ.ან.}} = \frac{I_1 + I_2 + I_3}{3}.$$

ადამიანის პოტენციური განვითარების მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია მუდმივ სრულყოფას განიცდის. მასში ჯერ კიდევ ბევრი სადისკუსიო საკითხია. სხვადასხვა ქვეყნებში ეს საკითხები სხვადასხვანაირად წყდება, ასე მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემა 13 განყოფილებას მოიცავს. ესენია: გარემომცველი სფერო, დემოგრაფიული სიტუაცია, დასაქმება, შრომის პირობები, თვით ცხოვრების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული პროდუქტი და სხვა), სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება, საბინაო

პირობები, კულტურა, დასვენება და გართობა, სატრანსპორტო უზრუნველყოფა, ეროვნული თავდაცვა, მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვა.

ამჟამად ყველა ქვეყნისათვის რეკომენდებულია გამოსაყენებლად გაეროს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მოიცავს: 1. მოსახლეობის დემოგრაფიულ მახასიათებელს (შობადობა, სიკვდილიანობა და სხვა); 2. სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს; 3. სასურსათო საქონლის მოხმარებას; 4. საბინაო პირობებს; 5. განათლებასა და კულტურას; 6. შრომის პირობებსა და დასაქმებას; 7. მოსახლეობის შემოსავლებსა და დანახარჯებს; 8. საცხოვრებლის ღირებულებას და სამომხმარებლო ფასებს; 9. სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას; 10. დასვენების ორგანიზაციას; 11. სოციალურ უზრუნველყოფას; 12. ადამიანის თავისუფლებას.

გაეროს მიერ კვე გამოყოფილია საინფორმაციო ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც უშუალოდ ცხოვრების დონეს არ ახასიათებენ, მაგრამ გამოიყენება ამ უკანასკნელთა გასაანგარიშებლად. მათ განეკუთვნება: ეროვნული შემოსავალი, მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, სოციალური მომსახურების რაოდენობა და სახეები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, კავშირგაბმულობის საშუალებები, ბეჭდვითი სიტყვა და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ ზოგადი და კერძო ინდიკატორები. ზოგადს შეიძლება მივაკუთვნოთ: 1. მთლიანი შიდა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე; 2. ცხოვრების ღირებულების ინდექსი; 3. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი; 4. მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსი; ეს მაჩვენებლები მთლენი ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით ზოგადად ახასიათებენ მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ხოლო კერძო მაჩვენებლები (საშუალო ხელფასი, საშუალო შემოსავლები, საშუალო დანახარჯები, კვების პროდუქტების მოხმარება, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, იურიდიული სამართლიანობის) ცალკეული ინდიკატორების მიხედვით ახასიათებენ ცხოვრების დონის ამა თუ იმ მხარეს. მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც საბაზრო ფასებში გამოსახული ქვეყნის მოცემულ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებაა შუალედური მოხმარების გარეშე ანუ დამატებულ

ღირებულებათა ჯამი მოსახლეობის ერთ სულზე ზოგადად კარგად ახასიათებს ცხოვრების დონეს. ასეთნაირად შეიძლება, აგრეთვე ცხოვრების დონე, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით დავახასიათოდ მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე.

ცხოვრების ღირებულების ინდექსი შედარებით ძველი მაჩვენებელია და მას ამჟამად ზომავენ სამომხმარებლო ფასების ჰარმონიული ინდექსით:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

სადაც q_1 - სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობაა საანგარიშო პერიოდში;

P_1 - სამომხმარებლო საქონლის ან მომსახურების ერთეულის საბაზრო ფასი ან ტარიფი საანგარიშო პერიოდში;

i - ცალკეული სახის სამომხმარებლო საქონლის ფასის ან მომსახურების ტარიფის ინდივიდუალური ინდექსია.

სამომხმარებლო საქონელში გაერთიანებულია ორი ჯგუფის საქონელი: სასურსათო და არასასურსათო. პირველ ჯგუფში შედის პური და პურის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, თევზი, კარტოფილი, ხოლი, ბოსტნეული და სხვა, ხოლო მეორე ჯგუფში - ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი, მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯი და სხვა.

მომსახურებაში შეიტანება სატრანსპორტო, საბინაო-კომუნალური, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, განათლების და სხვა უამრავი სახის მომსახურებანი.

მაგალითი. დავეშვათ მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში, ქალაქში და სხვა ტერიტორიულ ერთეულში საანგარიშო პერიოდში გაყიდული

საქონლის და მომსახურების საერთო ღირებულებამ $\sum q_1 p_1$ შეადგინა

406 ათასი ლარი. მათ შორისაა სასურსათო საქონელბრუნვის მოცულობა - 200,0 ათასი, არასასურსათო - 180,0 ათასი, ხოლო მომსახურების ღირებულება - 26,0 ათასი ლარი. სასურსათო საქონელზე სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 5%-ით, არასასურსათოზე - 20%-ით, ხოლო მომსახურების ტარიფები არ შეცვლილა. როგორ შეიცვალა ცხოვრების ღირებულების ინდექსი?

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1} = \frac{(200.0) + (180.0) + (26.0)}{\left(200.0 \times \frac{1}{1.05}\right) + \left(180.0 \times \frac{1}{1.20}\right) + \left(26.0 \times \frac{1}{1.0}\right)} =$$

1.105

მასადაამე, საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 1,105, რაც მიანიშნებს ცხოვრების ღირებულების 10,5%-ით გაძვირებაზე.

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი სამომხმარებლო ფასების ინდექსის შებრუნებული სიდიდეა და ასე გამოისახება:

$$I = \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_1 p_1}$$

ჩვენს შემთხვევაში მოტანილ მაგალითში :

$$I = \frac{1}{1.105} = 0.904$$

რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას ფულის იმავე რაოდენობით საანგარიშო პერიოდში შეუძლია მხოლოდ 9,6%-ით ნაკლები რაოდენობის

საქონელი და მომსახურება შეიძინოს. ესეც ცხოვრების საერთო დონის დაქვეითებაზე მიანიშნებს.

შემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გარდა, გაეროს ექსპერტ-სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონისა და სხვა მიზნებისათვის, გვთავაზობენ ინტეგრალურ, სინთეზურ მაჩვენებლებად გამოვიყენოთ ეროვნული შემოსავალი, 50 წლის შემთხვევაში გარდაცვლილთა წილი გარდაცვლილთა საერთო რიცხოვნობაში და შინამეურნეობებში სურსათზე დანახარჯების ხვედრითი წილი.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში ძალიან ხშირად იყენებენ ე.წ. „დაძაბულობის“ ინდიკატორს, რომელსაც სამი ძირითადი მაჩვენებლით ანგარიშობენ. ესენია: სამომხმარებლო საქონლითა და მომსახურებით აღამიანთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, დანაშაულობათა დონე, სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საკითხებით უკმაყოფილო აღამიანთა წილი. ამ მაჩვენებელთა (კოეფიციენტების სახით) მარტივი საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით ადგენენ „დაძაბულობის ინდიკატორის“ კოეფიციენტებს. თუ ეს კოეფიციენტი 0,4-0,8 ფარგლებშია, ექსპერტების აზრით არსებობს სოციალური დაძაბულობა, 0,9-დან 1,4-მდე, ლოკალური კონფლიქტებია, 1,4-დან 2-მდე - რეგიონში სოციალური აფეთქება, თუ 2-ზე მეტია, მაშინ ეს მეტყველებს მასობრივ სოციალურ აფეთქებაზე.

მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები

ცხოვრების დონის ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია შემოსავლები, მათი სტრუქტურა და დინამიკა.

მოსახლეობის შემოსავლები არის ის მაქსიმალური თანხები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე და იმავე დროს პერიოდის ბოლოსათვის შენარჩუნებულ იქნას პერიოდის დასაწყისში არსებული რაოდენობის კაპიტალი.

ამჟამად, სტატისტიკა აღრიცხავს და ანალიზებს შემდეგი სახის შემოსავლებს: დაქირავებული შრომიდან (ხელფასი, პრემია, ერთჯერადი დანმარებანი და სხვ.), თვით დასაქმებიდან (მოგება და სხვ.), სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან (საკუთარ მამულში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან), ქონებიდან (ქონების გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან, წილიდან, დივიდენდები აქციებიდან, პროცენტი ობლიგაციებიდან, ქირა საკუთრების გაქირავებიდან და სხვა).

უცხოეთიდან მიღებული გზავნილებანი (ფულადი და არაფულადი), ქონების გაყიდვიდან (ბინის, აგარაკის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მანქანების, მიწის, პირუტყვის და სხვათა გაყიდვიდან), ახლობლებისაგან მიღებული ფული, პენსიები, სტიპენდიები, დახმარებანი, ფულის სესხება ან დანაზოგების გამოყენება, არაფულადი შემოსავლები (საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული, ჰუმანიტარული დახმარების ან ახლობლებისაგან მიღებული პროდუქტების ღირებულება).

ცხოვრების დონეზე კარგად მეტყველებს საშუალო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე (გაიანგარიშება მთლიანი შემოსავლების შეფარდებით მოსახლეობის რიცხოვნობაზე), მისი სტრუქტურა (გაიანგარიშება შემოსავლების თითოეული სახელობის მოცულობა შეფარდებით საშუალო სულადობრივ მაჩვენებელზე და 100-ზე გადამრავლებით, და დინამიკა (გაიანგარიშება დინამიკის შეფარდებითი სიდიდეების გამოყენებით).

შინამეურნეობის საშუალოთვიური სულადობრივი შემოსავლები (ლარი) საქართველოში

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით ლარი

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები დაქირავებული შრომიდან	130,5	152,1	171,9	190,2	224,4	257,1	297,6	378,4
თვითდასაქმებიდან	52,7	57,5	60,4	67,4	87,5	107,2	132,9	166,1
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	24,3	28,9	32,2	36,6	39,5	40,7	42,5	52,8
ქონებიდან(გაქირავებიდან პროცენტი ანაბრიდან)	21,4	28,9	30,8	34,3	32,1	32,2	27,2	30,4
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	1,6	1,0	1,6	2,3	3,3	1,4	3,9	3,4
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	12,3	12,2	8,3	15,6	25,6	32,5	41,3	63,0
ახლობლებისაგან მიღებული ფული	8,5	10,8	18,5	12,5	13,8	14,8	17,3	19,3
არაფულადი შემოსავლები	9,6	12,8	20,1	21,6	22,7	28,2	32,7	43,4
შემოსავლები, სულ	92,8	92,4	88,0	87,5	79,1	81,7	74,1	86,7
სხვა ფულადი სახსრები	223,3	244,4	259,9	277,7	303,5	338,7	371,8	465,1
ქონების გაყიდვა	18,6	44,4	41,7	42,7	43,2	46,7	50,4	72,2
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	7,0	8,8	8,3	9,3	5,3	6,9	5,8	10,4
ფულადი სახსრები, სულ	11,5	35,6	33,4	33,4	37,9	39,8	44,7	61,8
ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ	149,0	196,5	213,6	232,9	267,6	303,7	348,1	450,6
ფულადი შემოსავლების ხვედრ.წილი %	241,8	288,8	301,6	320,4	346,7	385,4	422,2	537,4
არაფულადი შემოსავლ. ხვედრ.წილი %	58.43	62.2	66.2	68.5	73.9	75.9	80.06	81.35
არაფულადი შემოსავლ. ხვედრ.წილი %	41.57	37.8	33.8	31.5	26.1	24.1	19.94	18.65

ამ მაჩვენებლების შედარება საარსებო მინიმუმთან გვაძლევს წარმოდგენას ცხოვრების დონეზე. თუ ამ აბსოლუტური მაჩვენებლებით გავიანგარიშებთ სტრუქტურას, მივიღებთ, რომ ფულად შემოსავლებს საერთო შემოსავლებში ეჭირა 2001 წელს 58.43%, ხოლო 2009 წელს 81.35 % ამავე წესით დადგინდება არაფულადი შემოსავლების ხვედრითი წილი. მივიღებთ შესაბამისად 41,57% 2001 წ. 18,65% - 2009 წ. ამ საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ იზრდება ფულადი შემოსავლების ხვედრითი წილი და მცირდება არაფულადი შემოსავლების ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობის საშუალოსულადობრივ თვიურ შემოსავლებში, რაც საქართველოში საბაზრო მოვლენების განვითარებით აიხსნება. დინამიკის შეფარდებითი სიდიდის გამოყენებით 2001-2009 წლებში შემოსავლები საქართველოს შინამეურნეობებში გაიზარდა $465.1/223.3=2.08$ -ჯერ ანუ 208 %-ით. ეს კი მეტყველებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. შემოსავლებთან ერთად ცხოვრების დონეს ახასიათებს, აგრეთვე, მოსახლეობის დანახარჯები, მათი სტრუქტურა და დინამიკა. მოსახლეობის ხარჯებში თანამედროვე პერიოდში აღირიცხება, როგორც ფულადი (სურსათის, სასმელის, თამბაქოს ნაწარმის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საოჯახო მომსახურების, ჯანდაცვის, სათბობისა და ელექტროენერჯის, ტრანსპორტის, განათლების, კულტურისა და დასვენების, ტრანსფერტის, დანახოვის, სასოფლო-სამეურნეო ქონების შეძენის), ისე არაფულადი (ნატურით მომსახურების) ხარჯები.

ხარჯების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, მისი სტრუქტურა და დინამიკა მეტყველებს ცხოვრების დონეზე.

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით ლარი

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	201,8	216,7	219,8	245,7	265,4	289,6	322,6	386,2
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	106,7	113,0	116,8	131,6	133,9	146,6	155,7	177,5
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	12,2	12,4	13,3	14,5	14,9	15,1	15,3	17,7
საოჯახო მოხმარების საქონელზე	25,6	7,6	7,6	9,1	9,7	10,3	12,3	13,8
ჯანმრთელობის დაცვაზე	11,5	15,7	13,8	15,3	19,5	23,4	27,6	38,2
სათბობსა და ელექტროენერჯიაზე	17,1	20,0	20,0	21,8	26,1	29,9	36,3	46,6
ტრანსპორტზე	12,4	25,7	22,2	23,5	27,0	26,8	30,0	39,5
განათლება, კულტურასა და დასვენებაზე	7,3	13,3	6,2	6,6	7,9	9,4	12,8	13,5
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	9,2	9,1	19,9	23,1	26,5	28,1	32,6	39,3
არაფულადი ხარჯები	92,8	92,4	88,0	87,5	79,1	81,6	74,1	86,6
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	294,6	309,1	307,8	333,2	344,6	371,2	396,8	472,8
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	27,2	50,1	49,7	45,9	38,0	42,1	46,6	62,9
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	5,8	7,1	6,6	6,5	7,3	6,8	8,5	9,3
ტრანსფერტებზე	0,7	5,7	9,1	9,4	9,4	10,3	12,4	12,6
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	20,6	23,2	26,1	22,7	13,7	19,1	21,3	31,5
ქონების შეძენაზე	0,0	14,2	7,9	7,4	7,6	6,0	4,4	9,5
ფულადი ხარჯები, სულ	228,9	266,8	269,4	291,6	303,4	331,7	369,2	449,0
ხარჯები, სულ	321,7	359,1	357,5	379,1	382,6	413,4	443,4	535,7

საქართველოს შინამეურნეობებში ერთ შინამეურნეობაზე თვიური დანახარჯები 2001-2008 წლებში გაიზარდა მთლიანად 294.6 ლარიდან 472.8 ლარამდე ანუ 1,605-ჯერ (60.5%-ით).

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები ახასიათებენ ცხოვრების დონეს საერთოდ ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში. მაგრამ ისინი წარმოდგენას ვერ გვიქმნიან ცალკეული ფენების ცხოვრების დონეთა შორის განსხვავებებზე. ამიტომ სტატისტიკა სწავლობს შემოსავლებისა და დანახარჯების დიფერენციაციის ანუ ცხოვრების დონეების (მდიდრების, საშუალო მაცხოვრებლების, ღარიბებისა და ლატაკების) მიხედვით ამ ინდიკატორების განსხვავებულობის პროცესს.

განსხვავება ეკონომიკურად მეტად და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის კონტრასტული რჩება, აგრეთვე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც. ამჟამად, მდიდართა 20%-ის შემოსავლების მოცულობა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 20%-ის შემოსავლებს აჭარბებს თურქეთში 16-ჯერ, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და პორტუგალიაში - 8-9-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ფინეთსა და დანიაში - საშუალოდ 7-ჯერ, ბელგიაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში - საშუალოდ 5-ჯერ და უფრო მეტად.

საქართველოში მდიდრების ბოლო დეცილური ჯგუფის შემოსავლები და დანახარჯები დაახლოებით 40-ჯერ აჭარბებს ღარიბების პირველი დეცილური ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით საქართველოში მოსახლეობის მდიდართა ეკონომიკური მდგომარეობა შეუდარებლად განსხვავებულია ღარიბთა მდგომარეობისაგან.

მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების დიფერენციაციის გასაზომად მსოფლიო სტატისტიკურ მეცნიერებაში მრავალი ინდიკატორია შემუშავებული. აქედან ყველაზე გავრცელებულია კონცენტრაციის კორალო ჯინის კოეფიციენტი. ის გაიანგარიშება ფორმულით:

$$K = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$$

სადაც: P_i იმ მოსახლეობის ხვედრითი წილია (ნაზარდი კოეფიციენტების სახით), რომლებსაც გააჩნიათ მოცემული i -ური ჯგუფის არაუმეტეს მაქსიმალური მნიშვნელობის ტოლი შემოსავალი;

q_i -ური ჯგუფის შემოსავლების ხვედრითი წილია მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში (ნაზარდი კოეფიციენტების სახით).

მაგალითი (ციფრები პირობითია).

საშუალოთვიური შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	მოსახლეობის რიცხვი მლნ. კაცი	ხვედრითი წილი %
300 -მდე	1.9	42.22
300-350	1.4	31.11
350-400	0.9	20.00
400-ზე	0,3	6.67
სულ	4.5	100,0

შევადგინოთ საანგარიშო ცხრილი.

მოსახლეობის შემოსავლებისა და რიცხოვნობის ხვედრითი წილების ნაზარდი ჯამები

საშუალო-თვიური შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	მოსახლეობის რიცხოვნობა კაცი	მოსახლეობის მთლიანი შემოსავლები ჯგუფების და საერთო რიცხოვნობის მიხედვით ლარი	მოსახლ. რიცხოვნობის ხვედრითი წილი	შემოსავლების ხვედრითი წილი	ხვედრითი წილების ნაზარდი ჯამი	
					მოსახლ. რიცხვის მიხედვით	შემოსავლების მიხედვით
275.0	1.9	522.5	0.42	0.36	0.42	0.36
325.0	1.4	455.0	0.31	0.32	0.73	0.68
375.0	0.9	337.5	0.20	0.23	0.93	0.91
425.0	0.3	127.5	0.07	0.09	1.0	1.0
სულ	4.5	1442.5	1.0	1.0	-	-

მაშასადამე $p_1 = 0.42$ $p_2 = 0.73$ $p_3 = 0.93$
 $p_4 = 1.0$

$q_1 = 0.36$ $q_2 = 0.68$ $q_3 = 0.91$ $q_4 = 1.0$

ჩავსვათ ზემოთ მოტანილ ფორმულაში მიღებული სიდიდეები. კვეთება

$$K = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i = [(0.42 \times 0.68) + (0.73 \times 0.91) + (0.93 \times 1.0)] - [(0.73 \times 0.36) + (0.93 \times 0.68) + (1.0 \times 0.91)] = 0.075$$

ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელი) გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების საზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას კი – ერთის.

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების (და აგრეთვე მთლიანი ხარჯების) მიხედვით

იზრდება 2005 წ.-0,44 2006 წ.-0,45 2007 წ.-0,46 და 2008 წ.-0,48 რაც ცხადია ცხოვრების უთანაბრობაზე მეტყველებს.

ცხოვრების დონის მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სიღარიბის ინდიკატორები. მათგან აღსანიშნავია სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე.

სიღარიბის მაჩვენებელთა გარკვევამდე, საჭიროა ვიცოდეთ ცნება სასურსათო მინიმუმი (კალათა), სამომხმარებლო მინიმუმი (კალათა) და საცხოვრებელი მინიმუმი ანუ საარსებო მინიმუმი, მედიალური და მოდალური მოხმარება. ამ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ-სტატისტიკურ ლიტერატურაში სიღარიბის ცნების მრავალნაირი განმარტება განიხილება. აქედან ყველაზე გავრცელებულია განმარტება, რომელიც სიღარიბის ქვეშ არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ ფაქტორებსაც გულისხმობს.

ამ საფუძველზე განმარტება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: სიღარიბე არის შემოსავლების (ფულადი და არაფულადი) უკმარისობა ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი არსებობა-განვითარებისათვის საჭირო მინიმალურად აუცილებელ მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურების მოხმარებისათვის.

ამ განმარტებიდანაც ჩანს, რომ სიღარიბე შეფარდებითი კატეგორიაა და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში 4 დოლარზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია. საქართველოში კი ამჟამად ასეთი შემოსავალი დღიად აჭარბებს საარსებო მინიმუმს და სათანადო პიროვნებაც საშუალო მაცხოვრებლად ითვლება.

სასურსათო მინიმუმი (კალათა) ეწოდება კვების პროდუქტების იმ ნაკრებს, რაც ფიზიოლოგიური ნორმების, მათი კალორიულობისა და საბაზრო ფასების მიხედვით, მინიმალურად მაინც საჭიროა ადამიანის ფიზიკური არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. კვების პროდუქტებზე ანუ სურსათზე (პური და პურის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, შაქარი, ხილი და ბაღჩეული) მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებს განსაზღვრავს სამედიცინო სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტები მოცემულ ქვეყანაში ადამიანთა ასაკობრივი, სქესობრივი, ცხოვრების ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, კულტურისა და სხვათა გათვალისწინებით. სასურსათო მინიმუმის (კალათას) მიმატებული არასასურსათო საქონლის მოხმარება და გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს სამომხმარებლო კალათას (მინიმუმს), ხოლო ამას დამატებული სხვადასხვა გადასახადები და შესატანები, მივიღებთ საცხოვრებელ ანუ საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმს ხშირად სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარსაც უწოდებენ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების საფუძველზე, პირველ რიგში, ანგარიშობს სასურსათო მინიმუმს, ხოლო დანარჩენს საარსებო მინიმუმს (არასასურსათო საქონლის, აგრეთვე, მომსახურების, გადასახადების და სხვათა მოცულობას) ადგენს იმ თანაფარდობიდან გამომდინარე, რომელიც უკვე პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია მოცემულ პერიოდში. მაგალითად, დღეს საქართველოში სურსათისა და სხვა სამომხმარებლო ღირებულებათა შორის თანაფარდობა საქართველოში შეადგენს 0,4 : 0,6-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ შინამეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევებით მოსახლეობის მთლიანი დანახარჯების 40% სურსათზე მოდის. მაგალითი: თუ სასურსათო კალათის ღირებულებამ შეადგინა თვეში 100 ლარი, მაშინ დანარჩენი ღირებულების მოცულობა საარსებო მინიმუმამდე, გაიანგარიშება მარტივი პროპორციით:

$$0,4 - 100 \text{ ლარი}$$

$$0,6 - X \text{ ლარი}$$

$$X = \frac{100 \times 0,6}{0,4} = 150 \text{ ლარს}$$

აქედან ცხადია, რომ საარსებო მინიმუმი შეადგენს $100+150=250$ ლარს.

ასეთნაირად, პირველ რიგში, ანგარიშობენ შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმს, ხოლო დანარჩენი კატეგორიისათვის გამოიყენება შრომისუნარიანი მამაკაცის მიმართ დადგენილი ნორმატივები კოეფიციენტების მიხედვით. მაგალითად, ქალებისათვის

ეს კოეფიციენტი 0,84. ამის მსგავსად გვაქვს ბავშვებისათვის, მოზუტებისათვის და ა.შ. ამ ინდიკატორების საფუძველზე ღებინდება, აგრეთვე, სხვადასხვა სულადობის ოჯახების საარსებო მინიმუმები.

ამის გარდა სიღარიბის გასაზომად გამოიყენებენ, აგრეთვე, მედიანურ და მოდალურ მოხმარებასაც, რომლებსაც სიღარიბის შეფარდებით ზღვარს უწოდებენ.

მედიანური მოხმარება მოხმარების სიდიდეა, რომლის ზემოთ მოხმარება გააჩნია მოსახლეობის 50%-ს, ხოლო ქვევით, აგრეთვე, 50%-ს.

მოდალური - ყველაზე გავრცელებული მოხმარებაა მოცემული ქვეყნის მოსახლეობაში.

სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლებია: სიღარიბის ღონე, სიღრმე და სიმწვავე.

სიღარიბის ღონე ეწოდება ღარიბი მოსახლეობის ზვედრითი წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. ეს შეიძლება გავიანგარიშოთ ფორმულით:

$$K = \frac{q}{n}$$

K - სიღარიბის ღონე ანუ ღარიბთა ზვედრითი წილია მთელს მოსახლეობაში;

q - ღარიბების რიცხოვნობა;

n - მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა;

ამასთან ღარიბად ითვლება მოსახლეობის ის კატეგორია, რომელსაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს.

სიღარიბის ღონე ზოგადად ახასიათებს მოცემულ ქვეყანაში ღარიბთა ზვედრით წილს. მაგრამ ღარიბების მთელი კონტიგენტიდან ყველა ერთნაირი ცხოვრების ღონის არაა. ზოგიერთი მათგანი ახლოსაა თავისი შემოსავლებით სიღარიბის ზღვართან. ისინი შესაძლებელია სულ მოკლე ხანში გადასცილდეს მას და საშუალო მაცხოვრებელთა ზონაში გადავიდნენ. ამიტომ სტატისტიკა

ანგარიშობს, აგრეთვე, სიღარიბის სიღრმეს. ეს მაჩვენებელი ახასიათებს სიღარიბის ზღვრიდან (საარსებო მინიმუმიდან) შემოსავლების მიხედვით ღარიბების დაშორების საშუალო მანძილს და გაიანგარიშება ფორმულით:

$$P_1 = \frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{nz}$$

სადაც

P_1 - სიღარიბის სიღრმე;

Z - საარსებო მინიმუმი მოცემულ პერიოდში;

y_i - ღარიბი მოსახლეობის i -იური წევრის მოხმარების (ან შემოსავლის სიდიდე);

n - მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში.

ფორმულის მრიცხველი ასახავს ღარიბების მოხმარების საერთო მოცულობას, რაც მათ საარსებო მინიმუმამდე ანუ სიღარიბის ზღვრამდე მისაღწევად სჭირდებათ, ხოლო მნიშვნელი - მთელი მოსახლეობის საარსებო მინიმუმის ღონის საერთო მოხმარებაა.

ეს მაჩვენებელიც არაა სრულყოფილი ინდიკატორი, იმდენად, რამდენადაც გამოკვლევის მიღმა რჩება თვით ღარიბთა შორის ცხოვრების ღონის განსხვავებული სურათი. ამსიტომ სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში შემოდებულია მესამე მაჩვენებელი -

სიღარიბის სიმწვავე P_2 ის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$P_2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^q \left(\frac{z - y_i}{z} \right)^2$$

სიღარიბის უფრო ღრმა ანალიზისათვის ამ მაჩვენებლებს ანგარიშობენ არა მარტო საარსებო მინიმუმის ანუ სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის მიმართ, არამედ მედიანური მოხმარების (შეფარდებითი ზღვრის) 60 და 40 პროცენტის მიმართ. ეს უკანასკნელნი გვიჩვენებს ღარიბთა ქვედა ფენების (ლატაკების) ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც სოციალური პოლიტიკის გატარების საფუძველია.

სიღარიბის სტატისტიკის მაჩვენებლები საქართველოში

სიღარიბის მაჩვენებლები %				
	2005	2006	2007	2008
სიღარიბის ღონე				
მედიანური მოხმარების 40 %-ის მიმართ	24.1	23.3	21.3	22.1
მედიანური მოხმარების 60 %-ის მიმართ	10.1	9.4	9.2	9.5
სიღარიბის სიღრმე				
მედიანური მოხმარების 40 %-ის მიმართ	7.6	7.2	6.9	7.0
მედიანური მოხმარების 60 %-ის მიმართ	3.1	2.8	2.7	2.7
სიღარიბის სიმწვავე				
მედიანური მოხმარების 40 %-ის მიმართ	3.6	3.3	3.2	3.2
მედიანური მოხმარების 60 %-ის მიმართ	1.5	1.3	1.3	1.2

საქართველოში 2005-2008 წლებში, როგორც, სიღარიბის საერთო ღონე ასევე სიღარიბის სიღრმე და სიღარიბის სიმწვავე

მედიანური მოხმარება 40%-ის და 60%-ის მიმართ შესამჩნევად კლებულობს. რაც ნიშნავს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ჯანდაცვის (სამედიცინო) სტატისტიკა

ცხოვრების დონისა და სიღარიბის პორტრეტის მაჩვენებელია, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში. ზოგჯერ სამედიცინო სტატისტიკას სანიტარულ სტატისტიკასაც უწოდებენ. სტატისტიკის ეს დარგი სამედიცინო მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს შეისწავლის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მის ამოცანებში შედის მოსახლეობის დაავადებათა, სიკვდილიანობის, ინვალიდობის, ადამიანის ფიზიკური განვითარების, ჯანდაცვის დაწესებულებებისა და სამედიცინო კადრების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და მათზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური შესწავლა. ამისთვის სტატისტიკა იყენებს მის ხელთ არსებულ მოსახლეობის ჯანმრთელობის, ჯანდაცვის, კლინიკური სტატისტიკის, გარემო სამყაროს მდგომარეობისა და სხვა მაჩვენებლებს.

მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობას ახასიათებს როგორც დემოგრაფიული (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოკვდაობის საერთო და სპეციალური კოეფიციენტები და სხვ.), ისე საკუთრივ ავადობის მაჩვენებლები. ამჟამად სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში შეადგენს მამაკაცებისათვის 69, ხოლო ქალებისათვის 75 წელს, რაც გარკვეულწილად ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეტყველებს. სამედიცინო სტატისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1 წლამდე ბავშვებისა და 1-14 წლებში მოზარდთა სიკვდილიანობის შესაწავლის (სიკვდილიანობის ანუ მოკვდაობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდები უკვე ცნობილია წინა მასალიდან). სამედიცინო სტატისტიკა მოკვდაობის საერთოდ და კერძო მაჩვენებლებს განიხილავს სიკვდილიანობის მიზეზებთან (სისხლის მიმოქცევის სისტემის, სასუნთქი გზების, საჭმლის

მოძნელებელი ორგანოების დაავადებები, აგრეთვე, უბედური შემთხვევები და მოწამლევა, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები და სხვა) მჭიდროდ ურთიერთკავშირში. განიხილება თითოეული დაავადების მიხედვით გარდაცვლილთა რიცხვი, მათი დინამიკა წლების მიხედვით და სტრუქტურა ცალკეული მიზეზების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით 1 წლამდე ბავშვთა ასაკის კონტიგენტში ჩაითვლება ყველა ბავშვი (მიუხედავად წონისა, სიგრძისა და დედის ფეხმძიმობის ხანგრძლივობისა), რომელმაც დედის ორგანიზმიდან სრული მოცილების შემდეგ გამოავლინა სიცოცხლისუნარიანობის თვისებები (არა მარტო სუნთქვა, არამედ სიცოცხლის ყოველგვარი სხვა ნიშნები: გულისცემა, პულსაცია და სხვა). ბავშვთა ასაკში სივდილიანობის მიზეზებში სტატისტიკა სხვა საერთო ფაქტორებთან ერთად გამოყოფს, აგრეთვე, ანომალიურად დაბადებულებს და განიხილავს მათ როგორც საერთო რიცხოვნობის, აგრეთვე, სტრუქტურისა და დინამიკის მიხედვით.

სამედიცინო სტატისტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი უბანია ჯანდაცვის, სამედიცინო მომსახურების, საწარმოო ტრავმატიზმისა და კლინიკური პროცესების რაოდენობრივი შესწავლა. ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებას ახასიათებს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები და დანახარჯები, სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა და სამედიცინო დაწესებულებების გამოყენების მაჩვენებლები. მაჩვენებელთა პირველ ჯგუფში შედის ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა, მათი შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან და მოსახლეობის რიცხოვნობასთან, სამედიცინო პერსონალის ხელფასი, დანახარჯები სამედიცინო აპარატურის შეძენა-ექსპლუატაციაზე და ა.შ. მაჩვენებელთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება სტაციონალური (საავადმყოფოების, საწოლთა რაოდენობის, ექიმთა რაოდენობის) დაწესებულებებით, აგრეთვე, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური (დაწესებულებების საერთო რაოდენობა, მათი შეფარდება მოსახლეობის რიცხოვნობასთან, ამ დაწესებულებებში ექიმთა რაოდენობა, მათ მიერ ავადმყოფების მიღება და ა.შ.) მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხარისხი. მაჩვენებელთა მესამე

ჯგუფს ახასიათებს ჯანდაცვის დაწესებულებებში ავადმყოფთა მოვლა და მკურნალობა (ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა საშუალოწლიური რიცხოვნობა, სტაციონარში ავადმყოფის ყოფნის ხანგრძლივობა, პოლიკლინიკური მკურნალობისათვის ავადმყოფთა საშუალოწლიური რიცხვი და სხვა). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია:

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში

	2003	2004	2005	2006	2007	2008
ექიმების რიცხოვნობა (ათასი კაცი)	21.0	21.4	20.3	20.6	20.0	20.3
მოსახლეობის 1000 კაცზე	48.4	49.6	46.6	46.7	45.5	46.3
საავადმყოფოთა რიცხვი	248	246	242	244	245	244
საავადმყოფოში საწოლების რიცხვი (ათასი)	18.2	17.8	17.1	16.5	14.6	14.1
ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობა (დღე)	9.2	8.6	7.7	7.4	7.3	6.8
პოლიკლინიკების რიცხვი	1100	1113	1123	1124	1140	1090
პოლიკლინიკებში ერთ ცვლაში ავადმყოფთა მიღების რიცხვი (ათასი)	94.4	94.3	92.1	88.0	84.8	87.4

სამედიცინო სტატისტიკა სწავლობს, აგრეთვე, წარმოებაში პროფესიონალურ დაავადებათა რაოდენობას მიზეზების მიხედვით, წარმოებაში უბედურ შემთხვევებს მომუშავეთა 1000 სულზე გაანგარიშებით და ა.შ. ამასთან სტატისტიკა დაავადებათა მიზეზების კვლევისას ანალიზებს არა მარტო წარმოების კულტურას და მავნე პირობებს, არამედ ავადმყოფთა ქცევის წესებს და მათ მიერ თამბაქოს,

ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შემთხვევებს. მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, აგრეთვე, კლინიკური სტატისტიკის წინაშე, რომელიც კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე მიზნად ისახავს დაადგინოს მკურნალობის ჩატარებული ცდები რამდენად საკმარისია მიღებული შედეგების მიხედვით კანონზომიერებათა დასადგენად და შესაბამისი მეთოდის გასაერთოებლად.

მორალური სტატისტიკა

ცხოვრების დონეზე მეტყველებს, აგრეთვე, მორალური სტატისტიკის მაჩვენებლებიც. იგი შეისწავლის როგორ სასამართლო (დანაშაულებანი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონდარღვევები და სხვ.), ისე სამართალგარეშე, მორალური მოვლენების (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია და სხვ.) რაოდენობრიობას თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მორალური სტატისტიკის ამოცანებია შეისწავლოს ყველა სამართლებრივი, აგრეთვე, არასამართლებრივი-მორალური მოვლენებისა და პროცესების საერთო რაოდენობა, მათი სტრუქტურა დანაშაულობათა ან ადამიანთა სოციალური ჯგუფების მიხედვით, დინამიკა და განვითარების კანონზომიერებანი, აგრეთვე, მორალური მოვლენების სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირი.

მორალური სტატისტიკის ამოცანებში შედის განიხილოს მორალური მოვლენების არა მარტო ნეგატიური (დანაშაულობანი, კანონდარღვევანი და ა.შ.), არამედ პოზიტიური (შრომის, ოჯახურ-საყოფაცხოვრებო, სამშობლოს დაცვის, სპონსორული დახმარებისა და სხვა სფეროებში) გავლენის სტატისტიკური მაჩვენებლები.

მორალური სტატისტიკის ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით ფართოდ გამოიყენება აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები, საშუალო სიდიდეები, შერჩევითი დაკვირვება, ვარიაციის მაჩვენებლები, დინამიკის მწკრივები, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდები და სხვა. აუცილებელია, მაგალითად, ისეთი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულობანი, როგორცაა მკვლელობა,

გაუპატიურება, ყაჩაღობა, ქურდობა, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვა განვიხილოთ არა მარტო საერთო რაოდენობის, არამედ შეფარდებით მოსახლეობის 10000 სულზე, დინამიკაში ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით, მათ გამომწვევ მიზეზებთან (შურისძიება, სიძულვილი, ანერვიულება, ხულიგნობა, წაკამათება, ჩხუბი და სხვ.) მჭიდრო კავშირში. ეს მაჩვენებლები საშუალებას იძლევა ამ დანაშაულთა მიხედვით ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა რეგიონი, ქვეყანა, წლები და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად კრიმინოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების მიმართულებით.

რეგისტრირებული დანაშაულები საქართველოში

	2003	2004	2005	2006	2007	2008
სულ რეგისტრირებული დანაშაული	17397	24856	43266	62283	54746	44644
მათ შორის:						
მძიმე დანაშაული	10326	17833	24320	29249	13158	13028
განზრახ მკვლელობა	499	538	697	640	741	653
ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება	253	371	368	271	157	200
გაუპატიურება	52	62	141	167	156	100
ძარცვა	556	1316	2087	2751	1615	1167
ყაჩაღობა	1013	1733	1925	2160	1208	1008
ქურდობა	5593	10634	16256	27657	18586	14814
ნარკოტიკების შენახვა გასაღება	1945	1941	2074	3542	8493	8699
ავტოავარიები, რომლებმაც გამოიწვია დაზარალებულთა სიკვდილი	308	385	445	499	511	551
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული	617	557	755	997	674	759

ასეთივე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ პოზიტიური მორალური მოვლენები და პროცესები. მაგალითად, სპონსორობა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად უნდა განვიხილოთ როგორც საერთო რაოდენობის, ისე ცალკეულის მოცულობის, აგრეთვე, შეფარდებით ღონორი ორგანიზაციებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხოვნობის მიმართ (10000 სულზე გადაანგარიშებით) და ა.შ.

ამასთან მორალური სტატისტიკა გაიანგარიშებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კრებსით მაჩვენებლებს. მაგალითად, თუ სამართლებრივი სტატისტიკა თითოეული სისხლის ან სამოქალაქო სამართლის დანაშაულს იხილავს ინდივიდუალურად მისი გახსნადობის პროცენტის, საერთო რაოდენობის, მოსახლეობის რიცხოვნობის ან კიდევ ცალკეული ასაკობრივი (მცირეწლოვანებში, მოზარდებში და ა.შ.), სქესობრივი (მამაკაცები, ქალები) და სხვა ჯგუფების 100000 სულზე, მაშინ საქმე გვაქვს ინდივიდუალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებთან. მაგრამ თუ გავიანგარიშებთ ამა თუ იმ სახის მაჩვენებელს (გახსნადობის პროცენტი, მცირეწლოვანთა ასაკში ან მოზრდილებში, ქალებში ან მამაკაცებში) ყველა დანაშაულის მიხედვით, გვექნება კრებსითი მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს როგორია რეგიონში, ქალაქში ან მხარეებში მდგომარეობის საერთო სურათი.

დანაშაულთა გახსნის პროცენტი (გახსნილ დანაშაულთა რაოდენობა შეფარდებული რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვზე და გამრავლებული 100-ზე) ან კიდევ დამნაშავეობის კოეფიციენტი ცალკეულ დანაშაულთა მიხედვით არის ინდივიდუალური, ხოლო ყველა დანაშაულის მიხედვით - კრებსითი სტატისტიკური მაჩვენებლები. ამასთან კრებსით მაჩვენებელს ანგარიშობენ საშუალო შეწონილი არითმეტიკულის გამოყენებით, სადაც წონებად გამოყენებულია რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი. ქვეყანაში და ცალკეულ რეგიონებში დამნაშავეობის დასახასიათებლად სასამართლო სტატისტიკა იყენებს კრიმინოგენურობის კოეფიციენტს, რასაც ანგარიშობენ გამოვლენილ დამნაშავეთა რიცხვის შეფარდებით 14-დან 60 წლამდე (ქალებისათვის) და 65 წლამდე (მამაკაცებისათვის) მოსახლეობის რიცხოვნობასთან და 100000-ზე გამამრავლებით. თუ,

მაგალითად ის შეადგენს 500-ს, ნიშნავს იმას, რომ ყოველი 100000 კაციდან მოცემულ ტერიტორიაზე 500 დამნაშავეა. მაშასადამე, ამ მაჩვენებლის გადიდება მიანიშნებს კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებაზე და პირიქით.

განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სტატისტიკა

მოსახლეობის ცხოვრების დონე აისახება, აგრეთვე, განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სისტემაში. განათლება თავისთავად საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო სისტემას მოიცავს. მათ შორისაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებები (ბაგა, ბალი, ბაგა-ბალი და სხვ.), რომელთა ძირითადი მოვალეობებია აღზარდოს და მოამზადოს 3-6(7) წლების ბავშვები სკოლისა და ცხოვრებისათვის, ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებები (დაწყებითი სკოლები, საშუალო სკოლები, ლიცეუმები, გიმნაზიები, სკოლა-ინტერნეტები და სხვ.), საშუალო და უმაღლესი პროფესიონალური განათლების სასწავლო დაწესებულებები. საშუალო სპეციალური პროფესიონალური განათლების სისტემა მოიცავს სხვადასხვა სახის სასწავლებლებს, ტექნიკუმებს, კოლეჯებს. უმაღლესი სასწავლებლები სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს ამზადებენ. აქედან გამომდინარე განათლების სტატისტიკის მაჩვენებელთა პირველი ჯგუფი ახასიათებს განათლების სისტემის დაწესებულებათა რაოდენობას, სტრუქტურას და დინამიკას წლების მიხედვით, აგრეთვე, მათ რაოდენობას 10000 მაცხოვრებელზე გაანგარიშებით, რაც განათლების შექმნილ პირობებზე მეტყველებს მოცემულ ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში.

განათლების სისტემის სტატისტიკურ მაჩვენებელთა მეორე ჯგუფი ახასიათებს მოსწავლე ახალგაზრდობის კონტიგენტის საერთო რაოდენობას, მათ სტრუქტურას განათლების სახეების მიხედვით და დინამიკას.

განათლების სტატისტიკის კრებისითი მაჩვენებლებია ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობა მოსახლეობის 10,0 ათას მაცხოვრებელზე, მათი სტრუქტურა და დინამიკა.

მოვიტანოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საქართველოში სტუდენტთა რიცხვის შესახებ დარგების მიხედვით

	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა და რეზიდენტურა	უმაღლესი პროფესიული
სულ სტუდენტი:	74900	9664	9073
მათ შორის:			
პედაგოგიური	2407	361	57
ჰუმანიტარული და ხელოვნება	17618	1865	781
ბიზნესი და სამართალმცოდნეობა	30820	5002	1137
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	6488	845	673
საინჟინრო	6672	1233	1702
სოფლის მეურნეობა	3754	130	141
სამედიცინო	7141	228	4582

კულტურისა და ხელოვნების სტატისტიკა სწავლობს ხელოვნებისა და კულტურის (მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, კლუბების, დაწესებულებების) რაოდენობას, შემადგენლობას, დინამიკას და სხვა მაჩვენებლებს.

თემა 2. შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის სტატისტიკა

შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის სტატისტიკა ეკონომიკური სტატისტიკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც შეისწავლის შრომითი რესურსების რიცხოვნობისა და შემადგენლობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შრომისანაზღაურების დონისა და დინამიკის, მომუშავეთა შრომის პირობების საკითხებს. პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების სფეროში მუდმივად ფუნქციონირებს სამი ძირითადი ელემენტი: შრომა, ძირითადი კაპიტალი, ანუ შრომის იარაღები და საბრუნავი კაპიტალი (შრომის საგნები). აქედან მთავარია შრომა და მასთან დაკავშირებული შრომის ბაზარი. ამ სფეროებში მოიზიდება მუშახელის ძირითადი ნაწილი და აქ შემუშავდება პერსონალის მართვის ეკონომიკური ბიზნესმენური და მენეჯმენტური პოლიტიკა შრომითი რესურსების მაღალეფექტიანი გამოყენების მიმართულებით. შრომის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შრომის ბაზარში განიხილება აქტიური მოსახლეობა, დასაქმება და უმუშევრობა, მოსახლეობის კლასიფიკაცია სტატუსის მიხედვით, სამუშაო ძალის მოძრაობა, შრომის ნაყოფიერება, სამუშაო ძალის ღირებულება, შრომითი კონფლიქტები.

ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომითი რესურსების, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულების, აგრეთვე უმუშევრობის სიტუაციური მოვლენები და პროცესები ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში.

შრომითი რესურსები მჭიდროდაა დაკავშირებული შრომისუნარიან მოსახლეობასთან. **შრომისუნარიანი მოსახლეობა** შრომისუნარიანი ასაკის, ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანთა ერთობლიობაა. შრომისუნარიანი ასაკი წესდება შრომის კანონმდებლობით. საერთაშორისო სტატისტიკაში შრომისუნარიანი ასაკად ითვლება 15-დან 65 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობა.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა იყოფა ორ ნაწილად:

შრომისუნარიანი და არაშრომისუნარიანი (ფიზიკურად არაჯანმრთელი ადამიანები, ინვალიდები და სხვ.) მოსახლეობა. სწორედ შრომისუნარიანი მოსახლეობა წარმოადგენს შრომითი

რესურსების ძირითად წყაროს, მაგრამ გარკვეული ნაწილი (წარმოებისაგან მოწყვეტით მოსწავლე ახალგაზრდობა, დიასახლისები, ჩვილბავშვიანი დედები, საშინაო მეურნეობაში დასაქმებულნი და სხვ.) არ მონაწილეობს წარმოებაში. ამიტომ შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. დასაქმებული მოსახლეობა, რომელიც მოიცავს მეურნეობაში მომუშავე შრომისუნარიან, აგრეთვე, საპენსიო ასაკის მქონე ადამიანთა ერთობლიობას, I და II ჯგუფის ინვალიდებს და გამონაკლისის სახით არასრულწლოვანებს, რომელთათვისაც დაწესებულია არაუმეტეს 4 საათიანი სამუშაო დღე.

როგორც ჩანს, შრომითი რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა დამოკიდებულია არა მარტო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაზე, არამედ მის ასაკობრივ, სქესობრივ და სხვა სტრუქტურაზე. ასეთი ნიშნების მიხედვით სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს შრომითი რესურსების შემადგენლობა და მოძრაობა, გამოყენების ეფექტურობა, პერსპექტიული რიცხოვნობა, განლაგება ქვეყნის ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისა და რეგიონების მიხედვით და ა.შ.

შრომითი რესურსების რიცხოვნობა და შემადგენლობა ხასიათდება როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი და საშუალო სიდიდეებით.

აბსოლუტური მაჩვენებლებია: შრომითი რესურსების რიცხოვნობა მიმდინარე და პერსპექტიული პერიოდისათვის (ყოველი წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის), აბსოლუტური მატება, გამოყენებული შრომითი რესურსები, მიგრაციის სალდო.

შრომითი რესურსების გაანგარიშების ამოსავალი ბაზა შრომისუნარიანი მოსახლეობაა, რისთვისაც საჭიროა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხოვნობას გამოვაკლოთ იმავე ასაკის მქონე არაშრომისუნარიანი პირების (I და II ჯგუფის ინვალიდები, შეღავათიანი საპენსიო ასაკის მქონენი) რიცხვი.

შრომითი რესურსების აბსოლუტური მატება მიიღება სხვაობით პერიოდის (ჩველუბერივად აიღებენ წელს) ბოლოსა და პერიოდის დასაწყისის აბსოლუტურ მონაცემთა შორის. ეს სხვაობა გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ასევე მექანიკური მოძრაობით. ბუნებრივ მოძრაობას თავისთავად განსაზღვრავს ბუნებრივი მატება და

კლება. ბუნებრივი მატებაა შრომითი რესურსების შევსება მოზარდი თაობის გადასვლით შრომისუნარიან ასაკში, ხოლო კლება განპირობებულია შრომის უნარიანი ასაკიდან გამოსვლით, დაინვალიდებით, საშეღავათო პენსიაზე გადასვლითა და სიკვდილიანობით.

მექანიკურ მატებასა და კლებას განსაზღვრავს შესაბამისად შრომისუნარიანი მოსახლეობის იმიგრაცია (ჩამოსვლა) და ემიგრაცია (წასვლა).

გამოუყენებელი შრომითი რესურსების რიცხოვნობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა შრომისუნარიანი მოსახლეობის (პოტენციალური შრომითი რესურსების) და დასაქმებულთა რიცხოვნობას შორის. იგი შესწავლილ უნდა იქნეს მიზეზებისა და ფაქტორების მიხედვით, რაც სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

მიგრაციის საღლო, ანუ სხვაობა ჩამოსულთა და წასულთა შორის, ტერიტორიული ერთეულებისა და რეგიონების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომითი რესურსების მოძრაობის დასახასიათებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება შრომისუნარიანი ასაკობრივი ჯგუფების (მაგალითად 16-25, 25-50, 50-59) მიხედვით. შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია 25-50 წლის შრომისუნარიანი მოსახლეობა, რადგან იგი ითვლება კვალიფიციურად პირველ ჯგუფთან და მეტი ენერჯის მქონედ მესამე ჯგუფთან შედარებით.

მიმდინარე პერიოდისათვის, ამ აბსოლუტური მაჩვენებლების დადგენა წარმოებს მოსახლეობის აღწერის, მიმდინარე სტატისტიკის (მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის) მასალების გამოყენებით. შედარებით რთულია შრომითი რესურსების დადგენა პერსპექტიული პერიოდისათვის. მას მიახლოებით ანგარიშობენ (მთელი ქვეყნის მასშტაბით მიგრაციის საღლოს გაუთვალისწინებლად) შემდეგი ფორმულით:

$$N_t = N_0 (1 + K_{\text{ბუნებრ}})^t d_{\text{შრ.ასაკ}} \cdot K_{\text{შრ.შრ.ასაკ}}$$

სადაც N_t - მოსახლეობის რიცხოვნობა პერსპექტიული პერიოდის ბოლოსათვის;

N_0 - მოსახლეობის რიცხოვნობა ამოსავალი წლის დასაწყისისათვის;

$K_{\text{ბუნებრ}}$ - მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი;

t - პერსპექტიული პერიოდის წელთა რაოდენობა;

$d_{\text{შრ.ასაკ}}$ - შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში;

$K_{\text{შრ.შრ.ასაკ}}$ - შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში.

შრომითი რესურსების რიცხოვნობის საშუალო მაჩვენებლებიდან ძირითადია შრომითი რესურსების საშუალოწლიური რიცხოვნობა. იგი გაიანგარიშება მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობის გაანგარიშების მსგავსად და გამოიყენება შრომითი რესურსების ზრდისა და მატების ტემპების დასადგენად.

შრომითი რესურსების კვლავწარმოების დასახასიათებლად გამოიყენება სპეციალური შეფარდებითი მაჩვენებლები. მათ განეკუთვნება:

ა) შრომითი რესურსების ბუნებრივი მატების კოეფიციენტი

$N_{\text{ბუნ.მატ.}}$ რომელიც იანგარიშება წლის განმავლობაში შრომითი რესურსების აბსოლუტური მატების $\Delta_{\text{აბ.მატ.}}$ შეფარდებითი შრომითი რესურსების საშუალოწლიურ რიცხვთან $\bar{T}_{\text{შრ.}}$ გამოსახულს პრომილებში:

$$K_{\text{ბუნ.მატ.}} = \frac{\Delta_{\text{აბ.მატ.}}}{\bar{T}_{\text{შრ.}}} \times 1000$$

თავისთავად ბუნებრივი მატება მიიღება შრომითი რესურსების ბუნებრივი შევსებისა და ბუნებრივი კლების სხვაობით. აქაც მოსახლეობის შობადობისა და სიკვდილიანობის, კოეფიციენტების მსგავსად შეიძლება დადგინდეს შრომითი რესურსების ბუნებრივი შევსებისა და ბუნებრივი კლების კოეფიციენტები პრომილებში.

ბ) შრომითი რესურსების მექანიკური მოძრაობის კოეფიციენტები (მექანიკური შევსების კლებისა და მატების კოეფიციენტები). ეს მაჩვენებლები მარჯვენა მხარეს ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიული ერთეულებისათვის დგინდება, ვინაიდან აქ ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას.

გ) შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან რიცხვთან;

დ) შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხვთან.

ე) მოსახლეობის დასაქმებულობის კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება დადგინდეს ეკონომიკაში დასაქმებულთა შეფარდებით მოსახლეობის მთლიან რიცხვთან გამოსახულ პრომილებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზარზე განისაზღვროს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვთან.

ეკონომიკურად აქტიურია 15 და მეტი წლის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია ეკონომიკური საქმიანობით ან უმუშევარია.

სტატისტიკა ანგარიშობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრით წილს მთელს მოსახლეობაში ამა თუ იმ კონკრეტული მომენტისათვის.

დასაქმებული ეწოდება 15 და მეტი ხნის მოსახლეობას, რომელიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით. ამასთან პიროვნება მიეკუთვნება დასაქმებულს თუ საანგარიშო პერიოდში ის ერთი საათით მაინც იყო დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით.

სტატისტიკა ანგარიშობს დასაქმებულთა ხვედრით წილს 15 და მეტი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხვთან მიმართ (ზოგიერთ ქვეყანაში ძალიან მაღალია არაშრომისუნარიანი ასაკში დასაქმებულთა რიცხვთან). ამიტომ დასაქმებულთა ხვედრით წილს ანგარიშობენ, აგრეთვე 10 და მეტი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხვთან მიმართაც). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უმუშევრობა

მკაცრი კრიტერიუმებით განისაზღვრება 15 და მეტი წლის ასაკის მქონე იმ მოსახლეობის რაოდენობით, რომლებიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მზად არის დაიწყოს მუშაობა და ეძებს სამუშაოს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით - განსხვავებით მკაცრი კრიტერიუმისაგან, არ ეძებს სამუშაოს, რადგან ხელი აქვს ჩაქნეული და იმედი არა აქვს სამუშაოს შოვნისა.

სტატისტიკა უმუშევრობის დონეს (როგორც შერბილებული ისე მკაცრი კრიტერიუმით) სწავლობს შესაბამისი კატეგორიის უმუშევართა რიცხვთან შეფარდებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვთან.

ბიზნესს გარემოს მიზიდველობას დიდად განსაზღვრავს სამუშაო ძალის რიცხვთან, შემადგენლობა, მოძრაობისა და გამოყენების სიტუაცია ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში.

ფართო გაგებით სამუშაო ძალა ადამიანის შრომის უნარია, ხოლო ვიწრო გაგებით - შრომითი რესურსების ნაწილია, რაც დასაქმებულია წარმოებაში. მაგრამ შრომითი რესურსების დასაქმებული ნაწილი, სამუშაო ძალა არ ნიშნავს ამ უკანასკნელის სრულყოფილად ეფექტურად გამოყენებას. ამიტომ სამუშაო ძალის გამოყენების ეფექტურობის დასახასიათებლად სტატისტიკურ პრაქტიკაში შემოღებულია სამუშაო დრო. სამუშაო დროის რაოდენობა წარმოადგენს პოტენციალური შრომითი რესურსებისა და სამუშაო ძალის გამოყენების მნიშვნელოვან მაჩვენებელს. სამუშაო ძალა პირველ ყოვლისა დასაქმებულობის სტატუსის მიხედვით შეისწავლება. ამისათვის იყენებს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის (დასაქმებულები და უმუშევრები) საერთაშორისო კლასიფიკაციას.

გამოიყოფა ორი მსხვილი საკლასიფიკაციო ჯგუფი: დაქირავებულები და თვითდასაქმებულები. დაქირავებულები მუშაობენ ის კატეგორია, რომლებთანაც კაპიტალისა და სხვა აქტივების მფლობელებს განსაზღვრული სამუშაოს შესრულების მიხედვით სათანადო ანაზღაურებაზე გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. თვითდასაქმებულებია პირები (სამუშაოს მიმცემი, ინდივიდუალურად მომუშავენი, კოლექტიური საწარმოების წევრები,

არაანაზღაურებად სამუშაოებზე მომუშავე შინამეურნეობის მუშაკები), რომლებიც იღებენ სამმართველო გადაწყვეტილებებს ან ამ ფუნქციებს ანდობენ (დელეგირება) სხვა პიროვნებებს. დაქირავებულნი თავისთავად დაიყოფა სამოქალაქო და სამხედრო სამუშაო ძალად (ამ უკანასკნელში არ აღირიცხება მილიციის, საშინაო ჯარებისა და იუსტიციის სამხედრო ნაწილები), აგრეთვე, მუდმივ, დროებით, სეზონურ მუშაკებად.

თვითდასაქმებულები, როგორც ზემოთაა ნაჩვენები, სხვადასხვა კატეგორიისაა. მათ შორის:

1. სამუშაოს მიმცემნი ის მუშაკანია, რომლებიც მუდმივად მუშაობენ საკუთარ საწარმოში და იყენებენ დაქირავებულ შრომას;

2. ინდივიდუალურად მომუშავენი (ერთი ოჯახის ან შინამეურნეობის წევრები), გარკვეული შემოსავლის მიღების მიზნით მუშაობენ მუდმივად თავიანთ საწარმოში და, როგორც წესი, არ იყენებენ დაქირავებულ შრომას (ცხადია, საჭიროებისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ დაქირავებული შრომა სეზონურ ან შემთხვევით სამუშაოებზე);

3. კოლექტიური საწარმოს წევრები (დაქირავებული მუშაკების გარდა) ის პირნია, რომლებიც როგორც კოლექტიური საწარმოს მეწილეები, მუშაობენ მოცემულ კოლექტიურ საწარმოში;

4. არაანაზღაურებად სამუშაოზე მომუშავენი, რომლებიც შრომას ეწევიან ნათესავების ოჯახურ მეურნეობებში.

ამის მსგავსად ხდება, აგრეთვე, უმუშევრების სტატუსის განსაზღვრა წინა პერიოდში უკანასკნელი დასაქმების ხასიათის მიხედვით.

ამის გარდა 1988 წლიდან არსებობს, აგრეთვე, ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (დსსკ-88), რომელიც გამოყოფს მომუშავეთა 10 საკლასიფიკაციო ჯგუფს. ეს კატეგორიებია:

1. მართვის ორგანოების ხელმძღვანელები;

2. უმაღლესი დონის კვალიფიკაციის სპეციალისტები;

3. საშუალო დონის კვალიფიკაციის სპეციალისტები;

4. მოსამსახურეები (აღრიცხვისა და მომსახურების, ინფორმაციის მომწოდებლები, გამფორმებლები და სხვ.);

5. მომსახურების სფეროს (ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური და სხვ.) მუშაკნი;

6. სოფლის მეურნეობის, ხეტვის და სამონადირო მეურნეობის კვალიფიციური მუშაკნი;

7. სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სამხატვრო, გეოლოგიური და წიაღისეული საწარმოების კვალიფიციური მუშაკნი;

8. ოპერატორები, მემანქანეები და სხვ.;

9. კვალიფიციური მუშები;

10. სამხედრო ძალები.

ესაა დასაქმებულთა დარგობრივი კლასიფიკაცია. ამასთან ერთად საწარმოებისა და ორგანიზაციების დონეზე გამოიყოფა ხელმძღვანელების (მართვის თანამდებობის პირნი), სპეციალისტების (საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი სამუშაოების), მომსახურეების (დოკუმენტების გამფორმებლების, ინფორმაციის მოძიებლების, აღრიცხვა-კონტროლის და სხვ.) და მუშების (უშუალოდ საწარმოო, სატრანსპორტო, ტექნოლოგიური ოპერატორების შემსრულებელნი და სხვ.) კატეგორიები.

სტატისტიკა შეისწავლის, აგრეთვე, სამუშაო ძალის მოძრაობას, შემადგენლობას სქესის, ასაკის, პროფესიების, განათლებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

სამუშაო ძალის მოძრაობასა და გამოყენებას ახასიათებს სიობრივი, საშუალო სიობრივი, სამუშაოზე გამოცხადებულთა, ფაქტობრივად მომუშავეთა რიცხვი, ცვლადობის, ცვლის რეჟიმის გამოყენების, სამუშაო ძალის ბრუნვის ინტენსივობის კოეფიციენტები.

სიობრივ რიცხვში შეიტანება სამუშაოზე ერთ დღეზე მეტი ხნით მიღებული ყველა (მუდმივი, სეზონური და დროებითი) მომუშავე. ამრიგად, ამ სიაში მოხვდება როგორც სამუშაოზე გამოცხადებულნი, ასევე სხვადასხვა მიზეზით (მივლინება, ავადმყოფობა) სამუშაოზე არაგამოცხადებულები, სხვა საწარმოდან მივლინებულნი და ა.შ.

სიობრივი რიცხვი განისაზღვრება დროის ამა თუ იმ მომენტისათვის, მაგალითად 1 იანვრისათვის. რაოდენობრივად იგი დადგინდება შემდგენიარად: წინა დღის სიობრივ რიცხვში მყოფთ,

მიმატებული მოცემულ დღეს სიობრივ რიცხვში ჩართული და გამოკლებული სიობრივი რიცხვიდან ამოღებული.

საშუალო სიობრივი რიცხვი განისაზღვრება საანგარიშო თვის ყველა კალენდარული დღის სიობრივი ჯამის (გამოსასვლელ და უქმე დღეებში სიობრივ რიცხვად ჩაითვლება წინა საშუალო დღის სიობრივი რიცხვი) გაყოფით თვის კალენდარულ დღეთა რიცხვზე (28, 29, 30 ან 31). ასეთი მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როცა საწარმო ახალია და არ უმუშავნია სრულ თვეს.

მაგრამ ასეთი წესით გაანგარიშებული საშუალოსიობრივი რიცხვი არ გამოგვადგება საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებისათვის, ვინაიდან მასში მოხვდა ის პირებიც, რომლებიც ხელფასს არ ღებულობენ მოცემულ საწარმოში (დამატებით შვებულებაში მყოფი დედები, სტუდენტები, რომლებიც იმყოფებიან საწარმოო პრაქტიკაზე და სხვ.), ამიტომ ასეთი კატეგორიის მუშაკები უნდა გამოითიშონ სიობრივი რიცხვიდან და შემდეგ იმავე წესით დავადგინოთ საშუალოსიობრივი რიცხვი.

თვეების მიხედვით საშუალოსიობრივი რიცხვის საფუძველზე (მარტივი საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით) განისაზღვრება კვარტალის ან წლის საშუალოსიობრივი რიცხვი.

საშუალო ძალის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ცვლადობის კოეფიციენტი. იგი გაიანგარიშება სამივე ცვლაში ნამუშევარი (თუ მუშაობის რეჟიმი სამცვლიანია) კაცვლების რიცხვის გაყოფით უმაღლეს ცვლაში გამომუშავებული კაცვლების რიცხვზე (როგორც წესი უმაღლესია პირველი ცვლა, რომელშიც ყველაზე მეტი მუშა გამოდის საშუალოზე). თუ ცვლადობის კოეფიციენტს შეუფარდებთ ცვლის რეჟიმით დაწესებული ცვლების რაოდენობას, მივიღებთ ცვლის რეჟიმის გამოყენების კოეფიციენტს.

საშუალო ძალის ბრუნვის ინტენსივობას განსაზღვრავს საშუალო ძალის ბრუნვა მიღებისა და დათხოვნის მიხედვით, დენადობის კოეფიციენტი, კადრების მუდმივობისა და ცვალებადობის კოეფიციენტები. თუ საშუალოზე მიღებულთა და საშუალოდან დათხოვნილთა რიცხვს ცალ-ცალკე შეუფარდებთ მოცემულ პერიოდში საშუალოსიობრივ რიცხვს, მივიღებთ საშუალო ძალის

ბრუნვის კოეფიციენტებს შესაბამისად მიღებისა და დათხოვნის მიხედვით. საშუალოდან წასულთა ერთი ნაწილი (სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სასწავლებელში წასვლა და ა.შ.) განსაზღვრავს აუცილებელ ბრუნვას, ხოლო მეორე (საკუთარი ნებასურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევით, კვალიფიკაციისადმი შეუფერებლობით და სხვ.) - ზედმეტ ბრუნვას ანუ დენადობას. თუ ზედმეტი ბრუნვის რიცხვს შეუფარდებთ საშუალოსიობრივ რიცხვს, მივიღებთ დენადობის კოეფიციენტს. მისი გადიდება მეტყველებს კადრებიან არასაკმაო მუშაობაზე და იწვევს მრავალ ურაცოფით მოვლენას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კადრების მუდმივობისა და ცვალებადობის მაჩვენებლების გაანგარიშებას ბიზნესში. საშუალო ძალის ერთი ნაწილი მუდმივად მუშაობს მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. თუ მათ რიცხვს გავყოფთ საშუალო სიობრივ რიცხვზე, მივიღებთ მუდმივობის კოეფიციენტს. საშუალო ძალის მეორე ნაწილი ცვალებადია. თუ მიღების რაოდენობას გამოვაკლებთ წასულთა რაოდენობას და გავყოფთ საშუალოსიობრივ რიცხვზე, მივიღებთ კადრების ცვალებადობის კოეფიციენტს. ამ კოეფიციენტის გადიდება დადებითად მოქმედებს საწარმოს მუშაობაზე, ვინაიდან საწარმოს რეკონსტრუქცია-გაფართობა მოითხოვს ახალი საშუალო ძალის მიღების აუცილებლობას და სათანადოდ აისახება პროდუქციის გამოშვების გადიდებაში.

კადრების მოძრაობას თვის, კვარტლისა და წლის განმავლობაში ასახავს საშუალო ძალის ბალანსები. ბალანსი მოიცავს საშუალო ძალის რაოდენობას პერიოდის დასაწყისში, მის მატებასა და კლებას პერიოდის განმავლობაში და რაოდენობას პერიოდის ბოლოს. ამასთან, მატება და კლება უნდა გაიშიფროს წყაროებისა და მიზეზების მიხედვით. მატების წყაროებია: ორგანიზებული შვედრეობა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან მიღებულნი, სხვა საწარმოდან გადმოყვანილი და ა.შ. კლებას განსაზღვრავს გათავისუფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლა და სხვ.

ბალანსის თითოეულ მუხლში შეიძლება გამოიყოს სქესი, ასაკი, კვალიფიკაცია, სტაჟი, განათლება და სხვა ნიშნები.

სოფლის მეურნეობაში საშუალო ძალის ბალანსები მოიცავს მოზარდებს 12-11 წლამდე, საპენსიო ასაკის მქონე და სხვა პირებს, რომლებიც მუშაობან აგროფირმებში. ამიტომ ამ ბალანსებში საშუალო ძალის რაოდენობა არა მარტო ფიზიკურ ერთეულებში გამოისახება, არამედ პირობით სრულ შრომის უნარიანთა რაოდენობაშიც.

საშუალო ძალის სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

კადრების მომზადება საწარმოებში წარმოებს, როგორც ინდივიდუალური ისე ბრიგადული ფორმით, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებში და ა.შ. სტატისტიკამ უნდა დაადგინოს მომზადებული კადრების რიცხვი პროფესიების მომზადების წყაროების, კვალიფიკაციისა და სხვა ნიშნების მიხედვით. საწარმოებში მუშათა კვალიფიკაციის დონეზე მსჯელობენ საშუალო თანრიგის მიხედვით. მას ანგარიშობენ საშუალო შეწონილი არითმეტიკული გამოყენებით, სადაც ვარიანტების მნიშვნელობაა თანრიგები, ხოლო წონები - თითოეული თანრიგის მუშათა რაოდენობა. საშუალო თანრიგის ამაღლება ნიშნავს კვალიფიკაციის დონის ამაღლებას ბიზნესში, რაც განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საშუალო ძალის გამოყენებას ახასიათებს საშუალო დროის, აგრეთვე, შრომის პირობებისა და მათი დაცვის სტატისტიკა. არსებობს კალენდარული, სატაბელო, მაქსიმალურად შესაძლებელი, გამოცხადებული და ფაქტიურად ნამუშევარი დროის ფონდები.

საშუალო დროის ბალანსს ბიზნესში აქვს შემდეგი ტოლობის ფორმა:

ა) მუშაობის ფაქტობრივი დროის ფონდს + მთლიანი მოცდენები = გამოცხადებული მუშაობის დროის ფონდს;

ბ) გამოცხადებული მუშაობის დროის ფონდს + არაგამოცხადებანი = მაქსიმალურად შესაძლებელი მუშაობის დროის ფონდს;

გ) გამოცხადებული მუშაობის დროის ფონდს + მორიგი შევებულებანი = სატაბელო დროის ფონდს;

დ) სატაბელო დროის ფონდს + გამოსასვლელი და უქმე დღეები = კალენდარული დროის ფონდს.

საშუალო დროის ბალანსები მოიცავს, როგორც სასარგებლო მუშაობას, ასევე დანაკარგებს. ეს მაჩვენებლები უნდა შეუდარდეს გეგმურს და მივიღებთ საშუალო დროის გამოყენების მაჩვენებლებს. ამისათვის ხშირად ანგარიშობენ ერთი მუშის ან მუშაკის მიერ გამომუშავებული დღეების რაოდენობას მოცემულ პერიოდში. მაგალითად, თუ წელიწადში მთლიანად გამომუშავებულია 22000 კაცდღე და საშუალოსიბრძნე რიცხვმა შეადგინა 1000 კაცი, მაშინ ერთ კაცზე მოდის 220 დღე. თუ გეგმური მაჩვენებელი შეადგენდა 260 დღეს, მაშინ საშუალო დროის გამოყენება უდრის:

$$\frac{220}{260} \times 100 = 84.6\%$$

ანალიზისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბიზნესში საშუალო დღის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი, რომელსაც ანგარიშობენ მოცემულ პერიოდში გამომუშავებული კაცსათების შეფარდებით ერთი მუშის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი დღეების რიცხვზე. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ორი წესით. თუ მხედველობაში მივიღეთ, როგორც განაკვეთური, ისე ზეგანაკვეთური საათების რაოდენობას, მაშინ გაანგარიშებული მაჩვენებელი წარმოადგენს საშუალო დღის სრულ ხანგრძლივობას, ხოლო თუ გამოვთვლით საზეგანაკვეთო საათებს, მაშინ განაკვეთური საშუალო დღის ხანგრძლივობას. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა შევედაროთ შესაბამის გეგმურ ხანგრძლივობას და მივიღებთ საშუალო დღის გამოყენების კოეფიციენტს, რომლის გადიდება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საშუალო ძალის სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ბიზნესში შრომის პირობებისა და დაცვის სტატისტიკური მახასიათებლები. ის მოიცავს შრომის მექანიზაციისა და მუშების სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლით, პროფილაქტიკური მიზნებისათვის საწარმოების ხარჯზე მუშების კვების პროდუქტებით (რძე, ქონი და სხვ.) მომარაგებას, ტრავმატიზმის, დაავადებათა გავრცელების შესაბამის მაჩვენებლებს. მაგალითად, ტრავმატიზმის შესწავლის მიზნით სტატისტიკა ადგენს სიკვდილიანობის, დროებით შრომის უნარის დაკარგვის, მუდმივად დაინვალიდების და სხვათა

შემთხვევებს 1000 კაცზე პროცენტობით მომუშავეთა საშუალოსობრივი რიცხვის მიმართ და ა.შ.

დაავადებათა შესწავლა მიზეზების მიხედვით მიუთითებს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დონეზე ბიზნესში, რაც შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ბიზნესში სამუშაო ძალის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერება. ის კონკრეტული შრომის შედეგიანობაა, რომლის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო მშენებლობისა და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის გადასაჭრელად. მისი გადიდება გულისხმობს მუშის (მუშაკის) მიერ გამოიმუშავებული პროდუქციის ერთეულზე დახარჯული დროის შემცირებას.

სტატისტიკა სწავლობს ბიზნესში შრომის ნაყოფიერების დონეს, დინამიკას, მასზედ მოქმედ ფაქტორებს რაოდენობრივი თვალსაზრისით და სხვა საკითხებს.

შრომის ნაყოფიერების დონე გაიზომება დროის ერთეულში გამოშვებული პროდუქციის მოცულობით ან პირიქით, გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე დახარჯული დროის რაოდენობით. თუ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას აღვნიშნავთ q -ით, დახარჯული დროის რაოდენობას T -ით, შრომის ნაყოფიერების დონე

$$\bar{\omega} = \frac{q}{T}$$

$\bar{\omega}$ გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$t = \frac{T}{q}$$

სადაც q პროდუქციის ერთეულის შრომატევადობაა.

ერთიმეორისაგან ასხვავებენ საათობრივ, დღიურ, თვიურ, კვარტალურ და წლიურ შრომის ნაყოფიერებას.

საათობრივი შრომის ნაყოფიერება გაიანგარიშება მოცემულ პერიოდში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შეფარდებით ამავე პერიოდში ძირითადი და დამხმარე მუშების მიერ დახარჯული კაცსაათების რაოდენობასთან. ეს მაჩვენებელი არ მოიცავს გაცდენებს,

მოცდენებს და დროის სხვა დანაკარგებს. ამიტომ ის შრომის ნაყოფიერების ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია.

დღიური შრომის ნაყოფიერება გაიზომება გამოშვებული პროდუქციის შეფარდებით მუშების მიერ გამოიმუშავებული კაცოდლების რაოდენობასთან. ამ მაჩვენებლებზე უკვე გავლენას ახდენს შიგაგვლის მოცდენები.

თვიურ შრომის ნაყოფიერებას ანგარიშობენ თვეში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გაყოფით მუშების (მიიღება ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება) ან მუშაკთა (მიიღება ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერება) საშუალოსობრივ რიცხვზე. ეს მაჩვენებელი უკვე დამოკიდებულია თვის განმავლობაში სამუშაო დროის გამოყენებაზე. გაანგარიშების მსგავსი მეთოდი გამოიყენება საშუალოკვარტალური და საშუალოწლიური შრომის ნაყოფიერების გასაანგარიშებლად.

შრომის ნაყოფიერების დინამიკა იზომება ნატურალური, შრომითი და ღირებულებითი ინდექსებით.

ნატურალური ინდექსი გამოიყენება ბიზნესში ერთსახელიანი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში. იგი არის ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის.

სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა გაარკვიოს ცალკეული ფაქტორის (ამ შემთხვევაში თითოეული ფირმის შრომისნაყოფიერებისა და ხვედრითი წილის ანუ სტრუქტურული ცვალებადობის) გავლენა საერთო მაჩვენებლის ცვლილებაზე.

სწორედ ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება სტატისტიკაში ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსები.

შრომისნაყოფიერების გაანგარიშების ზოგადი პრინციპი ერთნაირია მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ გამოშვებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოს გაზომვის სპეციფიკა განაპირობებს შრომისნაყოფიერების დონისა და დინამიკის დადგენის თავისებურებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და ვაჭრობაში.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს წარმოებული ან რეალიზებული საბაზრო პროდუქციის ღირებულების მიხედვით.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გაანგარიშების სპეციფიკა ისაა, რომ აქ ცოცხალი შრომა იხარჯება არა უბრალოდ მზა პროდუქციის შექმნაზე, როგორც მრეწველობასა და მშენებლობაში, არამედ მიწის, მრავალწლიანი ნარგავებისა და პირუტყვის მოვლაზე. ამიტომ აქ ჯერ იანგარიშება შრომის ნაყოფიერების არასრული მაჩვენებლები - ცოცხალი შრომის დანახარჯები ერთი ჰა ნათეს ფართობზე ან ერთ სულ პირუტყვზე T და შემდეგ სრული მაჩვენებლები (1 ჰა ნათესი ფართობიდან ან 1 სული პირუტყვიდან მიღებული პროდუქციის მოცულობაზე q გაყოფით):

$$t = \frac{T}{q}$$

სადაც t პროდუქციის ერთეულის შრომატევადობაა.

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების დინამიკა სოფლის მეურნეობაში გაიანგარიშება საბაზისო პერიოდის შრომატევადობის

$$\frac{T_0}{q_0} \text{ შეფარდებით საანგარიშო პერიოდის შრომატევადობაზე } \frac{T_1}{q_1}$$

$$j = \frac{T_0}{q_0} : \frac{T_1}{q_1} = \frac{T_0}{T_1} \cdot \frac{q_1}{q_0}$$

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ინდექსი სოფლის

$$\frac{T_0}{T_1}$$

მეურნეობაში გაიზომება შრომატევადობისა T_1 და მოსავლიანობის ან

პროდუქტიულობის $\frac{q_1}{q_0}$ ინდექსების ნამრავლით.

მშენებლობაში გამოშვებული პროდუქცია და შრომის ნაყოფიერებაც იზომება შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

ტრანსპორტში შრომის ნაყოფიერების გასაზომად გადაზიდული ტვირთი (ტონა-კილომეტრები) და გადაყვანილი მგზავრები (მგზავრ-კილომეტრები) გადაიყვანება ერთ პირობით - ნატურალურ ერთეულში. გადაყვანისათვის პრაქტიკაში მიღებულია, რომ 1 ტ/კმ ტოლია ერთი მგზავრ-კილომეტრისა. განსხვავებულია მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტზე, სადაც 1 ტ/კმ-ის თვითღირებულება ეტოლება 11,12 მგზავრ/კილომეტრს. ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობის მოცულობა, გადაყვანილი პირობით ნატურალური ზომის ერთეულში გაიყოფა მუშაკთა საშუალო რიცხვზე და მიიღება შრომის ნაყოფიერების დონე. ამ დონით ზდება, აგრეთვე, მისი დინამიკის გაზომვაც.

ვაჭრობაში შესრულებული სამუშაოს მოცულობა გამოისახება საქონელბრუნვით (რეალიზაცია, შესყიდვა ან მიწოდება) ნატურალურ ან ღირებულებით ზომის ერთეულებში. ამ მაჩვენებლით გაიზომება შრომის ნაყოფიერების დონე და დინამიკა წლების მიხედვით.

სამუშაო ძალაზე დანახარჯებისა და შრომითი კონფლიქტების სტატისტიკა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესმენებს და მენეჯერებს აინტერესებთ არა მარტო ხელფასის, არამედ სამუშაო ძალის დაქირავებაზე მთლიანი დანახარჯების მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა. შრომის სტატისტიკოსების მე-11 საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციაში ჩაწერილია: „სამუშაო ძალაზე დანახარჯები არის სამუშაო ძალის დაქირავებასა და შენახვაზე გაწეული ხარჯები, კერძოდ:

1. პირდაპირი ხელფასი
2. გამოუმუშავებული დროის ანაზღაურება (შვებულება, სადღესასწაულო დასვენების დღეები)
3. პრემიები და ფულადი ჯილდოები
4. კვება, საწვავის ხარჯი და სხვა ნატურალური დანახარჯები
5. ბინის დანახარჯები
6. დანახარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე
7. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სწავლის ხარჯები
8. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხარჯები
9. და სხვა.
10. გადასახადები, როგორც შრომის ღირებულება.

ამიტომ სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს ზემოთ ჩამოთვლილი დანახარჯების მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა, რაც ბიზნესმენებს, ეკონომისტებს, მენეჯერებს მისცემს სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების საშუალებას ადამიანთა რესურსების მართვის საქმეში.

შრომის ანაზღაურება ფირმებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებები წარმოებს ორი ფორმით: დროითი და სანარდო.

სანარდო ფორმის დროს ანაზღაურების სიდიდეს განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა და ხარისხი. მისი სისტემებია: პირდაპირი სანარდო, სანარდო-პრემიული, სანარდო-პროგრესული, აკორდულ-პრემიული. პირდაპირი სანარდოს პირობებში

ანაზღაურების სიდიდე გამოშვებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულისათვის არ იცვლება. სანარდო-პრემიულის დროს ამასთან ერთად მიღწეული ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის გაიცემა პრემიაც. სანარდო-პროგრესულის შემთხვევაში წინასწარ დადგენილი გამოუმუშავების ნორმის გადაჭარბებით შესრულების თითოეული პროცენტისათვის შეფასება ანუ ანაზღაურება პროდუქციის, ან შესრულებული სამუშაოს ერთეულისათვის პროგრესულად დიდდება. აკორდულის დროს შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურება გაიცემა წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ხოლო აკორდულ-პრემიულის დროს, გარდა ამისა ემატება პრემიებიც ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

სანარდო ანაზღაურება 2 სახისაა: ინდივიდუალური და კოლექტიური ანუ ბრიგადული. ინდივიდუალურის დროს თითოეული მუშაკის ანაზღაურება დამოკიდებულია პირადად მისი შრომის შედეგებზე, ხოლო ბრიგადულის პირობებში - ბრიგადის, კოლექტივის შრომის საერთო შედეგებზე. ეს უკანასკნელი მისი ეფექტურობის გამო უფრო მეტ გავრცელებას პოულობს თანამედროვე პირობებში.

დროითი ფორმა გულისხმობს ანაზღაურების გაცემას გამოუმუშავებული დროისა და კვალიფიკაციის მიხედვით. მას ორი სისტემა გააჩნია: მარტივი დროითი და დროითი პრემიული. მარტივი დროითი ხელფასის პირობებში ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება სატარიფო განაკვეთითა (ამა თუ იმ კვალიფიკაციის მუშის ერთი საათის ანაზღაურება) და ნამუშევარი დროის ნამრავლით, ხოლო დროითი პრემიულის შემთხვევაში მასთან ერთად გაიცემა პრემიებიც რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

ფირმებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში აღირიცხება ხელფასის საათობრივი, დღიური და თვიური ფონდები.

საათობრივ ფონდში შედის ანაზღაურება სატარიფო განაკვეთების მიხედვით, პრემიები, ანაზღაურება ძირითადი შეფასებების მიხედვით, დანამატები მონარდუ მუშებისათვის პროგრესული შეფასებებით, დანამატები ღამის საათებში მუშაობისათვის, დანამატები ბრიგადირობისათვის და სხვა.

საათობრივი ფონდი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს თვიურად, კვარტალურად და წლიურად.

დღიურ ფონდში შეიტანება საათობრივი ფონდი და აგრეთვე, ჩვილბავშვიანი დედების ანაზღაურება დამატებითი შვებულებისათვის, ცვლისშიგა მოცდენებისათვის მუშისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვ.

თვიური ფონდი მოიცავს დღიურ ფონდს და აგრეთვე, ანაზღაურებას კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებულთათვის, მორიგი დამატებითი შვებულებისათვის, წარმოებისგან მოწყვეტით მოსწავლე ახალგაზრდებისათვის, უფასო კომუნალური მომსახურების ღირებულებას და სხვას.

ხელფასის ანალიზი წარმოებს აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით.

აბსოლუტური გადახრა (გადახარჯვა ან ეკონომია) გამოვლინდება ფაქტობრივად დარიცხული ხელფასის ღონის შედარებით აბსოლუტურ ფონდთან. მაგრამ ეს მაჩვენებელი არ იძლევა ხელფასის ფონდის ხარჯვის სწორ სურათს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელფასის აბსოლუტური ფონდი მოცემულია პროლექციის 100-ით შესრულების პირობებისათვის. მაგრამ ფაქტობრივად დარიცხული ხელფასი შეესაბამება საწარმოო დავალებათა შესრულების ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, პროლექციის გადაჭარბებით გეგმის შესრულების 1%-ზე არ იხარჯება ხელფასის 1%, ვინაიდან ყველა კატეგორიის მუშაკთაგან მხოლოდ ერთი ნაწილის (სანარდო ანაზღაურებაზე მყოფი მუშაკის ან სხვ. კატეგორიის) ხელფასი დიდდება პროლექციის გამოშვების პირდაპირპროპორციულად. ეს გარემოებანი გათვალისწინებულ უნდა იქნას ბიზნესში ხელფასის ანალიზის დროს.

შრომის ანაზღაურების სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის საშუალო ანაზღაურება.

შრომის საშუალო ანაზღაურების გასაანგარიშებლად საჭიროა გავითვალისწინოთ, როგორც ხელფასი, ასევე სხვა სახის გაცემულობანი. წლიურად მათი ჯამის შეფარდება მუშაკთა საშუალოწლიურ რიცხვთან მოგვცემს საშუალოწლიურ ანაზღაურებას. ერთიმეორისაგან ანსხვავებენ საშუალო საათობრივ, საშუალოდღიურ

და საშუალოთვიურ ხელფასს. პირველი გაანგარიშება ხელფასის საათობრივი ფონდის შეფარდებით ნამუშევარი კაცსათების რიცხვთან, მეორე - ხელფასის დღიური ფონდით შეფარდებით ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობასთან, ხოლო მესამე - ხელფასის თვიური ფონდის გაყოფით მუშაკთა საშუალოსაათობრივ რიცხვზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება გაიზომოს საშუალო ხელფასის დინამიკაც.

შრომისა და ანაზღაურების პირობების გაუარესება ბიზნესში ძალიან ხშირად იწვევს შრომით კონფლიქტებს დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის. ამიტომ სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს, აგრეთვე, შრომითი კონფლიქტების რაოდენობა, სტრუქტურა და დინამიკა. ამ შესწავლაში უნდა გაითვალისწინოს 1993 წლის შრომის სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული ნორმები.

სტატისტიკოსები შეისწავლიან ბიზნესში კონფლიქტების (წარმოების შეჩერებითა და შეჩერების გარეშე), გაფიცვლების, ლოკაუტების (რამდენიმე სამუშაო ადგილის სრული ან ნაწილობრივი დახურვა) საერთო რაოდენობას მიზეზების (ხელფასის, პრემიის შემცირება, თავისდროზე გაუცემლობა, შრომის პირობების შეცვლა სხვა მუშებისადმი მხარდაჭერა და ა.შ.) მიხედვით, წარმოების დანაკარგებს, კონფლიქტში მონაწილეთა ხვედრით წილს და სხვა მაჩვენებლებს, რაც ბიზნესმენებისა და მენეჯერებისათვის აუცილებელი ინფორმაციაა ბიზნესის მართვის საქმეში.

სტატისტიკაში განასხვავებენ შრომითი კონფლიქტების შემდეგ სახეობებს:

1. სამუშაოების შეწყვეტის გარეშე შრომითი კონფლიქტები. ასეთ შემთხვევაში საკონფლიქტო მხარეების მიერ წამოყენებული მოთხოვნების გადაწყვეტას მოლაპარაკებით ახორციელებენ ან წარმართავენ ისეთ საქმიანობას არასამუშაო დროის მონაკვეთში, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფლიქტის მოგვარებას.

2. სამუშაოების შეწყვეტით შრომითი კონფლიქტები, რომელთა ორ სახეობას გამოყოფენ: გაფიცვები და ლოკაუტები.

გაფიცვები არის მშრომელთა ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მიერ სამუშაოების დროებითი შეწყვეტა თავის მოთხოვნების შეთავაზების

მიზნით, ან წინ აღუდგებიან, გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე ან მხარი დაუჭირონ დანარჩენი მშრომელების მოთხოვნებსა და უკმაყოფილებას.

ლოკალური მოიცავს წარმოების გაჩერებას და ხელფასების გაცემის შეწყვეტას, რათა პროფესიული კავშირი იძულებული გახდეს დათანხმდეს დამქირავებლის (ადმინისტრაციის) მიერ შეთავაზებულ პირობებს.

სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყოფენ კონფლიქტების ორ ფგუფს:

კონფლიქტების პირველ ფგუფს მიაკუთვნებენ კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიშვნენ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისათვის, მეწარმეების წარმომადგენლებსა და მშრომელთა პროფესიულ ორგანიზაციებს შორის წარმართული მოლაპარაკების პროცესში, შემდეგი საკითხების განხილვისას:

- დასაქმებულობა (საკადრო პოლიტიკა, პერსონალის გადაადგილება, საწარმოს დახურვა, პერსონალის კვალიფიკაცია),

- ხელფასები, პრემიები და შრომის ანაზღაურების დანარჩენი საკითხები,

- შრომის პირობები (სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის ორგანიზაცია და შრომის უსაფრთხოება),

- პროფესიული კავშირების საქმიანობა.

- მშრომელთა სხვა ჯგუფებისადმი მხარდაჭერა სამუშაოს მომცემთათვის მოთხოვნების წაყენების გარეშე,

- მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისადმი პროტესტის გამოხატვა ან პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება,

- დანარჩენი მიზეზები, რომლებმაც მოლაპარაკებანი ჩიხში მოამწყვდიეს და სხვა.

მეორე ფგუფის კონფლიქტები წარმოშობილია არა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისას, არამედ შრომის ანაზღაურების პირობებით (შრომის ანაზღაურების ვადების დარღვევა, ხელფასის გადიდება, ინფლაციები).

შრომითი კონფლიქტების შესახებ ინფორმაციებს აგროვებენ ყოველთვიურად. მათი დეტალური ანალიზის საწარმოებლად მონაცემების დაჯგუფებას აწარმოებენ შემდეგი მიმართულებებით: შრომით კონფლიქტებში მონაწილეთა ჯგუფების რიცხოვნობის

დადგენა, კონფლიქტების რაოდენობის გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფლიქტებში, სამუშაო დროის დანაკარგების რაოდენობა, ერთი გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ. ეს მაჩვენებლები მუშავდება ცალკეული დარგების, რეგიონებისა და ქვეყნის მასშტაბით.

შრომითი კონფლიქტების საერთაშორისო შედარებისათვის რეკომენდებულია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

1. ყოველ 1000 მუშაკზე კონფლიქტების შედეგად სამუშაო დროის დანაკარგები:

კონფლიქტების შედეგად დაკარგული სამუშაო დრო
მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა 1000;

2. მშრომელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი ყოველ 1000 მშრომელზე:

მშრომელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი
მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა 1000.

როგორც ანალიზი უჩვენებს, ჩვენს ქვეყანაში გაფიცვებს და სხვა სახის სამუშაოს შეწყვეტის პროცესებს არა აქვთ მასშტაბური ხასიათი, ეს იმ აზრს ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით მუშაობს არასრული დასაქმების რეჟიმში, მიუხედავად ამისა, მშრომელთა მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის მიზეზად რჩება შრომის ანაზღაურების გადახდის ვადების უხეში დარღვევები, ფასების ზრდის პირობებში შემოსავლების ინდექსების გამოუყენებლობა, ხელფასების დაბალი დონე და ა.შ.

თემა 3. საბანკო და სადაზღვევო სტატისტიკა

ეკონომიკური თეორიის განმარტებით კრედიტი (ლათ. *Credirum* სესხი, ვალი) დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად.

განასხვავებენ მოკლევადიან (ერთ წლამდე), საშუალოვადიან (ერთი წლიდან სამ წლამდე) და გრძელვადიან (სამ წელზე მეტი ხანგრძლივობით) კრედიტებს. საკრედიტო ურთიერთობებს ბანკები (ძირითადად კომერციული) აწარმოებენ კრედიტორებთან. ამიტომ სტატისტიკა საბანკო-საკრედიტო საქმიანობას სწავლობს ქვეყანაში ან რეგიონში ბანკების საჭიროების, თვით ბანკების ფუნქციონირების და ბანკების საკრედიტო მაჩვენებლების მიხედვით.

ბანკების საჭიროების სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე გაიანგარიშება მოცემულ ქვეყანაში ბიზნესის და მეწარმეების განვითარების მიხედვით ორგანიზაციებისა და მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკადის საერთო მოცულობა. ამ მაჩვენებლისა და ერთი ბანკის მომსახურების მოცულობის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ბანკების საჭირო რაოდენობა მოცემულ პერიოდში. აქ გაიანგარიშება, აგრეთვე, ბანკებისა და მათი ფილიალების საერთო ქსელის სიდიდე, მათი რაოდენობა 100,0 ათას მაცხოვრებელზე და შეფარდება ბანკების სიჭარბე ან ნაკლებობა მოცემულ რეგიონში. სხვადასხვა სტატისტიკურ მაჩვენებელთა საფუძველზე ანგარიშობენ საბანკო საქმიანობის პირობების შეფარდებითი მიმზიდველობის ინდექსს შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$I = \sqrt[5]{I_1 \times I_2 \times I_3 \times \frac{1}{I_4} \times I_5}$$

სადაც I - საბანკო საქმიანობის პირობების შედარებითი მიმზიდველობის ინდექსია;

I_1 - საფინანსო ნაკადების მოცულობის ინდექსია მოცემულ ქვეყანაში ან რეგიონში;

I_2 - საფინანსო ნაკადების კონცენტრაციის ინდექსია;

I_3 - ბანკების ან ფილიალების რაოდენობის ინდექსია;

I_4 - არასაფინანსო ოპერაციების ხვედრითი წილის ინდექსი;

I_5 - რეალური აქტივების დინამიკის ინდექსი.

ფორმულაში მოტანილი პირველი ინდექსი გვიჩვენებს საბანკო საქმიანობისათვის საჭირო ფულადი რესურსების დინამიკას (თუ იზრდება ინდექსი, მიმზიდველობა მატულობს ან პირიქით). საფინანსო ნაკადების კონცენტრაცია ანუ მოცულობა ერთ მოქმედ ბანკზე ან ფილიალზე ბანკთაშორისი კონკურენციის მაჩვენებელია იმდენად, რამდენადაც დაბალი კონცენტრაციის შემთხვევაში ბანკთაშორისი კონკურენცია მაღალია, ხოლო მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში საბანკო საქმიანობისადმი მიმზიდველობის ხარისხი დაბალია და კონკურენცია ცლებულობს.

მესამე ინდექსი გვიჩვენებს ბანკების რაოდენობის ზრდის ან კლების ტენდენციას (ზრდის შემთხვევაში - მიმზიდველობა იზრდება, ხოლო კლების შემთხვევაში - მცირდება).

მეოთხე ინდექსი არასაფინანსო ოპერაციების ანუ სხვა სახის ბიზნესით (სამრეწველო, სამშენებლო და ა.შ.) ბანკის დაკავებულობა ამცირებს ბანკების ზრდისადმი ინტერესს ანუ მიმზიდველობას. ბოლოს რეალური აქტივების ზრდა აღიღებს საბანკო ბიზნესისადმი მიმზიდველობის ხარისხს.

აქვე საჭიროა განვმარტოთ რა არის რეალური აქტივები. საბანკო აქტივებისა და პასივების აბსოლუტური ანუ ნორმალური მოცულობა ვერ დაახასიათებს სრულყოფილად ბანკების გახსნისადმი მიმზიდველობის ხარისხს. ამიტომ სტატისტიკაში გამოიყენება რეალური აქტივები. ზემოთ მოტანილი მიზიდულობის ინდექსის საფუძველზე ბიზნესმენებსა და მოქალაქეებს შეუძლიათ აირჩიონ ესა თუ ის ბანკი რეგიონში და მასთან აწარმოონ ურთიერთობანი.

საკრედიტო თანხების გამოყენების მაჩვენებლად სტატისტიკაში ცნობილია სამი ძირითადი ინდიკატორი:

კრედიტის ბრუნვის რიცხვი (K), კრედიტის ბრუნვალობა დღეებში (t), პროდუქციის გამოშვების მოცულობა საკრედიტო რესურსების ერთ ლარზე. ბრუნვათა რიცხვი (K) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{Q}{S}$$

სადაც, K - ბრუნვათა რიცხვია მოცემულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი);

Q - კრედიტის ბრუნვა გაცემის ან დაფარვის მიხედვით;

S - კრედიტის საშუალო ნაშთები.

კრედიტის საშუალო ნაშთი თვეში განისაზღვრება თვის დასაწყისსა და თვის ბოლოს საკრედიტო დავალიანებათა ჯამის ორზე შეფარდებით, საშუალოკვარტალური ნაშთი სამი თვის საშუალოს, ხოლო საშუალოწლიური - ოთხი კვარტლის საშუალოს მიხედვით. თუ გვაქვს მოცემული რამდენიმე თვის დასაწყისისათვის საკრედიტო დავალიანებათა ნაშთები, მაშინ საშუალოთვიური ნაშთი გაიანგარიშება საშუალო ქრონოლოგიურის დახმარებით.

კრედიტის დღეებში ბრუნვალობის გასაანგარიშებლად საჭიროა მოცემული პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვის (T) შეფარდება ბრუნვალობის კოეფიციენტთან:

$$t = \frac{T}{K}$$

სადაც, T - კალენდარული დღეების რიცხვია მოცემულ პერიოდში. გაცემული კრედიტის ერთ ლარზე დამატებით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა გაიანგარიშება გამოშვებული პროდუქციის (გაცემული კრედიტის გამოყენების ხარჯზე) შეფარდებით გაცემული კრედიტის მოცულობასთან. თუ იზრდება ამ მაჩვენებლისა და აგრეთვე, ბრუნვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობა

და მცირდება ბრუნვალობა დღეებში, უმჯობესდება კრედიტის გამოყენების ეფექტიანობა.

მაგალითი. კომერციული ბანკის საკრედიტო დავალიანებამ 2009 წლის პირველი იანვრისათვის შეადგინა 9.2 მლნ ლარი, ხოლო წლის ბოლოს ანუ 2010 წლის დასაწყისში 12,8 ლარი. კრედიტის ბრუნვამ დაბრუნებადობის მიხედვით შეადგინა 40,0 მლნ ლარი.

ამოხსნა
საშუალოწლიური საკრედიტო ნაშთები შეადგენს:
$$\bar{S} = \frac{9.2 + 12.8}{2} = 11 \text{ მლნ ლარს.}$$

ბრუნვალობის კოეფიციენტი: $K = \frac{Q}{S} = \frac{40.0}{11} = 3.64$

ბრუნვალობა დღეებში: $t = \frac{T}{K} = \frac{360}{3.64} = 99$ დღე

თანამედროვე საბანკო სისტემაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციას და მიზნობრივ გამოყენებას. ამის გარდა ბანკები აწარმოებენ, აგრეთვე, საკრედიტო ოპერაციებს, მოსახლეობიდან საბინაო ქირის, საყოფაცხოვრებო და კავშირაბმულობის მომსახურების გადახდისა და სხვა ოპერაციებს, რაც აფართოებს მათი მოქმედების სფეროს და პასუხისმგებლობას თავისუფალი ფულადი თანხების ეფექტურად გამოყენების საქმეში.

მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრები, რაც ბანკებში შეიტანება ანაბრების სახით, შეიძლება იყოს მოკითხვამდე, ვადიანი და მომგებიანი, ხოლო გაცემული კრედიტი შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი.

სტატისტიკა ცალკეული რეგიონების მიხედვით ბანკების საერთო ქსელითა და მათი რაოდენობით მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის 1000 სულზე, ახასიათებს მაცხოვრებელთა უზრუნველყოფის ხარისხს საშემნახველო საქმის ორგანიზაციით, ხოლო შეანაბრება საერთო რიცხვით, მათი სტრუქტურით ქალაქისა

და სოფლის მცხოვრებთან, აგრეთვე, სოციალური ნიშნებით, ახასიათებს ანაბრების განაწილებას და ა.შ.

თვით ანაბრებს სტატისტიკა სწავლობს მათი საშუალო სიდიდით ერთ მეანაბრეზე (ნაშთების ჯამი გაყოფილი მეანაბრეთა რიცხვზე) ანაბრების საშუალო სიდიდით ერთ მცხდოვრებზე, წლების მიხედვით ანაბრების აბსოლუტურ მატებას, ზრდისა და მატების ტემპებსა და სხვა.

საანაბრო ოპერაციებს სტატისტიკა ახასიათებს შენატანების (მოკითხვამდე, ვადიანი, მომგებიანი) საერთო ბრუნვის, ანაბრების რაოდენობის, ანაბრების ნაშთების, დინამიკის, მოგებათა რაოდენობის, მათი ღირებულების, შენახვის საშუალო ვადის, ბრუნვათა რიცხვის, ანაბრების მოზიდვისა და ჩაწოლის კოეფიციენტებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ამ მაჩვენებელთა სტატისტიკურ გაანგარიშებებში მნიშვნელოვანია ანაბრების საშუალო ნაშთის გაანგარიშება. სტატისტიკა მას ანგარიშობს საშუალო ქრონოლოგიურის

$$\bar{S} = \frac{0.5S_1 + S_2 + S_3 + \dots + 0.5S_n}{n-1}$$

დახმარებით.

სადაც $S_1, S_2, S_3, \dots, S_n$ - ქრონოლოგიური პერიოდების დასაწყისში ანაბრების ნაშთებია, ხოლო n ქრონოლოგიური პერიოდების რიცხვი.

თუ შენატანები წლის მანძილზე ძალიან მკვეთრად იცვლება, მაშინ უმჯობესია გამოვიყენოთ საშუალო შეწონილი არითმეტიკულის

$$\bar{S} = \frac{\sum Sf}{\sum f}$$

ფორმულა:

სადაც S - ლარების რაოდენობა, რომლებიც ინახებოდა ამა თუ იმ პერიოდით;

f - შენახვის პერიოდის დღეების რიცხვი.

თუ ამ ფორმულას შევებრუნებთ, მივიღებთ შენახვის საშუალო ვადას.

წლის მანძილზე საშემნახველო ბანკში საბრუნავი უწყისით ცნობილია ანაბრების უკან დაბრუნების თანხა ($\sum S$). თუ ამ თანხას

შეუფარდებთ ანაბრების საშუალო ნაშთს (\bar{S}), მივიღებთ ბრუნვადობის კოეფიციენტს.

თუ წლის მანძილზე კალენდარული დღეების რაოდენობას შეუფარდებთ ბრუნვადობის კოეფიციენტს, მივიღებთ ბრუნვადობის დღეებში.

პერიოდის განმავლობაში ანაბრების შემოსვლასა და გასვლას შორის სხვაობა ანაბრების მოზიდვის აბსოლუტური მაჩვენებელია. მითი შეფარდებით პერიოდის დასაწყისში ანაბრების ნაშთთან მიღება ანაბრების მოზიდვის კოეფიციენტი, ხოლო პერიოდის განმავლობაში ანაბრების შემოსავლობათა ჯამთან - ანაბრების ჩაწოლის ხარისხი. ანაბრების ჩაწოლის კოეფიციენტისა და შენახვის ვადის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის დანაზოგების სტაბილურობაზე, რაც ცხოვრების დონის ერთერთი სტატისტიკური მაჩვენებელია.

ბიზნესისა და მენეჯმენტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არადეტერმინირებულ, შემთხვევით, სტოქასტურ მოვლენებსა და პროცესებს. ამათგან გარკვეული ნაწილი (სტიქიური უბედურებანი, ავადმყოფობანი, ავარიები, ტრავმატიზმი, უბედური შემთხვევები, სიკვდილიანობა, მოუსავლიანობა გვალვების გამო და სხვა) ზოგჯერ მასობრივ ხასიათს ღებულობს.

ამიტომ ქვეყანაში არსებობს სადაზღვევო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული პირების სოციალური დაცვისა და ქონების ანაზღაურების საფინანსო უზრუნველყოფას. სტატისტიკა, როგორც მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრიობის შემსწავლელი მეცნიერება, ფართოდ გამოიყენება ამ ტიპის საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლის საქმეშიაც.

დაზღვევის სისტემა შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივი და კერძო. ორივე მათგანი შეიძლება მოიცავდეს სოციალურ, პირად და ქონებრივ დაზღვევას.

საზოგადოებაში ყველაზე ადრე წარმოიშვა ქონებრივი დაზღვევა, რაც თავიდანვე დაკავშირებული იყო ავარიებთან, სტიქიურ უბედურებასთან და ქურდობასთან. სტატისტიკა შეისწავლის ამ

მოვლენების რაოდენობრიობას როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლებით. აბსოლუტური ან მოცულობითი მაჩვენებლებია: საერთო სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო მინდორი, სადაზღვევო ობიექტების რიცხვი, დაზარალებული ობიექტების რიცხვი, სადაზღვევო შემთხვევათა რაოდენობა და სხვა. საერთო სადაზღვევო თანხა განისაზღვრება ავარიების, სტიქიური უბედურებისა და ქურდობის ალბათობის მიხედვით. ვინაიდან ურთიერთდამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია, ამიტომ მათი ალბათობის ჯამი უდრის ცალკეული შემთხვევითი სიდიდის ალბათობათა ჯამს;

სოფლის მეურნეობაში ქონებრივი დაზღვევა ხშირად ვრცელდება მოუსავლიანობის შემთხვევებზე (სეტყვა, გვალვა, სტიქიური უბედურება და სხვა). თუ მაგალითად, დაზღვევა 50%-იანია, მაშინ სახელმწიფო აანაზღაურებს საშუალო საჰქტარო და ფაქტურ მოსავლიანობათა შორის სხვაობის ნახევარს და ა.შ.

ყველაზე გავრცელებული და დიდმასშტაბიანია სოციალური დაზღვევა. სახელმწიფო ინსტიტუციონალური ერთეულების მიზნობრივი სოციალური ანარიცხების ხარჯზე ქმნის ბიუჯეტს, რომელსაც შემდეგ იყენებს მოქალაქეთა დაზღვევისათვის ავადმყოფობის, ტრავმატიზმის, საპენსიო, მშობიარობის, ჩვილი ბავშვების და სხვათა უზრუნველსაყოფად. სტატისტიკა შეისწავლის არაშრომისუნარიანთა საერთო რიცხოვნობას, მათ სტრუქტურას, სქესის, ასაკის, სოციალური და სხვა ნიშნების მიხედვით, დაავადებათა საერთო რიცხოვნობას, დედების და ჩვილი ბავშვების საერთო რიცხოვნობას, რომელსაც გაეწევა უფასო სამედიცინო მომსახურება, დახმარებანი ფეხმძიმობისა და მშობიარობის დროს, შვებულების ანაზღაურება, შეისწავლის პენსიონერთა საერთო რიცხოვნობას და მათ სტრუქტურას მოხუცებულობის, ავადმყოფობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ინვალიდობის და სხვა ნიშნების მიხედვით. აქვე გამოიყოფა ინვალიდები 100%-იანი (I ჯგუფი). 50%-იანი (II ჯგუფი) და 25%-იანი (III ჯგუფი) შრომის უნარიანობის დაკარგვით.

სტატისტიკა ანგარიშობს აგრეთვე, სოციალური დაზღვევის შეფარდებით მაჩვენებლებს. აქედან მნიშვნელოვანია დაავადებათა და

ტრავმატიზმის შემთხვევათა კოეფიციენტი (ამ მიზეზებით გამოწვეულ არაშრომისუნარიანთა რიცხვი 10000 მომუშავეზე), დაავადების სირთულის კოეფიციენტი (ერთი დაავადების საშუალო ხანგრძლივობა), დაავადების და ტრავმატიზმის საშიშროების კოეფიციენტი (დაავადებით ან ტრავმატიზმით დაკარგულ დღეთა რაოდენობა 10000 მომუშავეზე) და ა.შ.

დაზღვევის ერთერთი სახეობაა აგრეთვე, პირადი დაზღვევა. პირადი დაზღვევის სახეობაა უბედური შემთხვევებისა სიცოცხლის დაზღვევა. უბედური შემთხვევები (სიკვდილი ან შრომისუნარიანობის დაკარგვა) საკვებით ალბათურ ხასიათს ატარებს და დაზღვევის გადახდა წარმოებს მაშინ, თუ შემთხვევები მოხდა აფეთქებით, ტრანსპორტში იარაღის გამოყენებით, სიღამწვრის, დახრჩობის, ცხოველის თავდასხმისა და სხვა შემთხვევებით. უბედური შემთხვევების დაზღვევა უმთავრესად ერთი წლის ვადით ხდება.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედებდა 14 სადაზღვევო კომპანია. მზღვეველების მიერ მოწოდებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოზიდული პრემიის მიხედვით, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ჯამურ სადაზღვევო პრემიას წარმოადგენს, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაცია 83.6 პროცენტით ხუთ სადაზღვევო კომპანიაზე მოდის.

2009 წლის განმავლობაში გაფორმდა 1,832,453 სადაზღვევო პოლისი. მოქმედი პოლისებიდან 116,568 შეადგენდა ფიზიკურ პირებზე გაცემულ პოლისებს, 2009 წლის განმავლობაში დაზღვეული სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 29,936 შეადგენს, ხოლო საჰაერო და მცურავი სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, შესაბამისად 43-ის და 17-ის ტოლია.

სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით 2009 წლის განმავლობაში მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ 372.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მზღვეველების მიერ საკუთარი რისკების გადანაწილების მიზნით გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისმა გადაზღვევის პრემიამ 48.6 მლნ ლარი შეადგინა. მოზიდული ჯამური პრემია 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 34 პროცენტით, ხოლო 2007 წლის მაჩვენებელს 213 პროცენტით აღემატება. როგორც

მონაცემებიდან ჩანს, 2009 წელს მოზიდული პრემიების ზრდის ტენდენცია შემცირებულია 2008 წელთან შედარებით, რადგან 2008 წლის მოზიდული პრემია 135 პროცენტით აღემატებოდა 2007 წლის მონაცემს. აღნიშნული მაღალი ზრდის ტემპი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამ, რომელსაც სადაზღვევო ბაზარზე საკმაოდ დიდი წილი უჭირავს. 2009 წელს წინა წელთან შედარებით ზოგიერთ სახეობაში შეინიშნებოდა მოზიდული პრემიის შემცირებაც (სიცოცხლის დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა), თუმცა საერთო ჯამში, ბაზრის მოცულობა 1/3-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ზრდა დიდწილად განაპირობა

სამედიცინო დაზღვევის სახეობაში (54 პროცენტი) მოზიდული პრემიის ზრდამ, რადგან ეს სახეობა ძირითად ნაწილს წარმოადგენს ჯამურ მონაცემებში და მისი ცვლილება მნიშვნელოვნად აისახება საერთო მონაცემებზე.

მოზიდული ჯამური პრემიის მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ქონების (8.2 პროცენტი), სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა (7.6 პროცენტი) და ვალდებულებათა შესრულების (5.4 პროცენტი) დაზღვევა. დაზღვევის სხვა სახეობები მეტნაკლებად თანაბარი თანაფარდობით მონაწილეობენ მოზიდულ პრემიაში. აქვე უნდა გამოვყოთ დაზღვევის 2 სახეობა, სადაც საქმიანობა საერთოდ არ განხორციელებულა, ეს სახეობებია: სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა და იურიდიული ხარჯების დაზღვევა. 2009 წლის სადაზღვევო შემოსავლის 77.9 პროცენტს სამედიცინო დაზღვევა შეადგენს, ხოლო 8.1 პროცენტით მეორე ადგილზე სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა მოდის. ასევე დაზღვევის სხვა სახეობებიდან სადაზღვევო შემოსავალში შედარებით მაღალი წილით შეიძლება გამოვყოთ ქონების (3.7 პროცენტი) და ვალდებულებათა შესრულების (3.2 პროცენტი) დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიების 2009 წლის სადაზღვევო ზარალის ოდენობა 173.1 მლნ ლარს შეადგენს. აქედან 155.1 მლნ ლარი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის. სხვა სახეობებთან შედარებით სადაზღვევო

ზარალებში 6.5 პროცენტით მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევას, ასევე შეიძლება გამოვყოთ ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა 1.5 პროცენტით.

ფულის ღირებულების ზრდა პროცენტის დარიცხვისას.

ინვესტირებული ან ნასესხები ფული წარმოადგენს ანაბრის ან ვალის ძირითად თანხას და მას უწოდებენ პრინსიპალს.

ინვესტირებული ფული სარგებლის სახით გამოიმუშავებს პროცენტს, ანუ მას ერიცხება პროცენტი, რომელსაც ინვესტორი იღებს და პირიქით, ნასესხებ ფულზე მსესხებელი იხდის პროცენტს.

მარტივი პროცენტის შემთხვევაში, წლის განმავლობაში პროცენტის სახით დარიცხული თანხა არ ემატება ძირითად კაპიტალს (პრინსიპალს.) მაგ: 100 ლ.-ზე გადასახდელი (ან მისაღები) 15%-იანი მარტივი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში დარიცხული თანხები პირველ, მეორე და მესამე წელს შესაბამისად იქნება 15 ლ., 30 ლ, და 45 ლ.

მარტივი პროცენტის შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$I = \frac{PRT}{100} \quad \text{ან} \quad P = \frac{100I}{RT} \quad \text{ან} \quad T = \frac{100I}{PR}$$

სადაც:

P = პრინსიპალი (ძირითადი თანხა)

R = წლიური საპროცენტო განაკვეთი %

T = დრო (წლების რაოდენობა)

I = პროცენტის სახით დაგროვილი თანხა

მაგალითი:

პიროვნება ყოველი წლის პირველ იანვარს აწარმოებს 160ლ.-ის ინვესტიციას, ხოლო 31 დეკემბერს ინვესტირებულ თანხას წლიური 12%-იან განაკვეთით ერიცხება სარგებელი, რომელიც გროვდება ცალკე ანგარიშზე. მას, თავის მხრივ, არ ერიცხება არანაირი პროცენტი. გამოთვალეთ მთლიანი თანხა, რომელიც ინვესტორს უნდა დაუბრუნდეს 31 დეკემბერს მეხუთე 160 ლ.-ის შეტანის შემდეგ.

წელი(1 იანვარი)	ინვესტირება (ლ.)	პროცენტი (31 დეკემბერი)
1.	160	$\frac{12}{100} \times 160 = 19.20$ ლარი
2.	160+160=320	$\frac{12}{100} \times 320 = 38.40$ ლარი
3.	160+320=480	$\frac{12}{100} \times 480 = 57.60$ ლარი
4.	160+480=640	$\frac{12}{100} \times 640 = 76.80$ ლარი
5.	160+640=800	$\frac{12}{100} \times 800 = 96.00$ ლარი

სულ მთლიანი თანხა მეხუთე წლის 31 დეკემბრისათვის = (800+288) ლ. (პრინსიპალი და მარტივი პროცენტი ჯამში) = 1088 ლარს

რთული პროცენტის შემთხვევაში, ყოველწლიურად დარიცხული პროცენტი ემატება ძირითად თანხას და მომდევნო წელს პროცენტის დარიცხვა წარმოებს ჯამურ თანხაზე.

მაგალითად, 1,000ლ-ზე დარიცხული 10%-იანი წლიური, რთული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში ოთხი წლის განმავლობაში დაგროვილი თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:

წელი	პრინსიპალი(ლ)	პროცენტი(ლ)	მთლიანი თანხა(ლ)
1.	1000	$\frac{10}{100} \times 1000 = 100$	1000+100=1100

2.	1100	$\frac{10}{100} \times 1100 = 110$	1100+110=1210
3.	1210	$\frac{10}{100} \times 1210 = 121$	1210+121=1331
4.	1331	$\frac{10}{100} \times 1331 = 133.1$	1331+133.1=1464.1

ამოცანის ამოხსნის ალტერნატიული ჩანაწერი იქნება:

წელი	პრინსიპალი(ლ)	მთლიანი თანხა(ლ)
1.	1000	$1000(1+0.1)=1100$
2.	$1000(1+0.1)$	$1000(1+0.1)(1+0.1)=1000(1+0.1)^2=1210$
3.	$1000(1+0.1)^2$	$1000(1+0.1)^2(1+0.1)=1000(1+0.1)^3=1331$
4.	$1000(1+0.1)^3$	$1000(1+0.1)^3(1+0.1)=1000(1+0.1)^4=1464.1$

ამრიგად, რთული პროცენტის შემთხვევაში, მთლიანი (A) თანხა n-ური წლის ბოლოსათვის გამოისახება ფორმულით:

$$A = P(1 + r)^n$$

სადაც $100r =$ პროცენტის (%) სახით წარმოდგენილ წლიურ საპროცენტო განაკვეთის (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ფორმულაში პროცენტი წარმოდგენილია ათწილადის სახით. მაგალითად, 12%-ს ფორმულაში ჩავწერთ, როგორც 0,12).

რთული პროცენტები, ძირითადად, გხვდება შემნახველ ანაბრებზე.

მომავალი ღირებულება გვიჩვენებს მოცემული მომენტისათვის ინვესტირებული თანხის ღირებულებას მომავალში.

მაგალითი

ა) გამოთვალეთ 10 წლის განმავლობაში პროცენტის სახით დაგროვილი თანხა, თუ წლიური რთული საპროცენტო განაკვეთი = 4%-ს, ძირითადი თანხა = 624ლ.

ბ) განსაზღვრეთ ის თანხა, რომლის ინვესტირება საჭიროა დღეს 5%-იანი წლიური, რთული საპროცენტო განაკვეთით იმისათვის, რომ 10 წლის მერე მივიღოთ 10,000ლ.

ამოხსნა

ა) გამოვიყენოთ $A = P(1 + r)^n$ ფორმულა, სადაც: $P=624$ ლ, $r=0.04$ და $n=10$

$$\text{მაშინ: } A=624(1+0.04)^{10}=624(1.04)^{10}=923/67$$

ამრიგად, დაგროვილი რთული პროცენტი = $(923.67-624)$ ლ = 299.67ლ.

ბ) $A = P(1 + r)^n$ ფორმულაში შევიტანოთ $A=10000$ ლ, $r=0.05$ და $n=10$

გვექნება:

$$10000=P(1+0.05)^{10} \quad P = \frac{10000}{(1.05)^{10}} \quad P=6139.13\text{ლ.}$$

ამრიგად, 6,139.13 არის ინვესტირებისთვის საჭირო თანხა.

ანუიტეტი – არის ყოველწლიურად ერთი და იმავე თანხების რეგულარულად მიღება (გადახდა). ანუიტეტი ფულადი ნაკადია. ანუიტეტის მომავალი ღირებულება (ანუ გადახდისას დაგროვილი მთლიანი თანხა) შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$\text{მომავალი ღირებულება } n\text{-ური წლისათვის} = \frac{P(1+r)^n - 1}{r}$$

ანუიტეტის ამოცანა შეგვიძლია ამოვხსნათ ფორმულის გამოყენების გარეშეც ანუიტეტის ცხრილების საშუალებით. ცხრილებში მოცემულია კოეფიციენტები ანუიტეტის საპროცენტო განაკვეთისა და გადახდის პერიოდების მიხედვით.

მაგალითი

მოცემულია ხუთწლიანი ანუიტეტი ყოველწლიურად 100ლ-ის გადახდით. ანუიტეტის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს. რა იქნება ამ ანუიტეტის საბოლოო ანუ მომავალი ღირებულება? (ამ ანუიტეტის კოეფიციენტი ცხრილიდან = 6.1051).

ანუიტეტის მომავალი ღირებულება ფორმულის საშუალებით შემდეგნაირად გამოითვლება: $FV(\text{მომავალი ღირებულება})$ მე-5 წელს = $100\text{ლ} \times 6.1051 = 610.51\text{ლ}$

მოყვანილ მაგალითებში პროცენტების დარიცხვა სიმარტივისათვის ხდებოდა წელიწადში ერთხელ. მაგრამ, შესაძლებელია, პროცენტის დარიცხვა ხდებოდეს ყოველკვარტალურად, ყოველთვიურად და ყოველდღიურადაც კი. ამ შემთხვევებშიც იგივე ფორმულა გამოიყენება, მხოლოდ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ წლიური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური ინსტიტუტები, ძირითადად, იყენებენ ორ საპროცენტო განაკვეთს: პირველია – **ნომინალური განაკვეთი**, ხოლო მეორე – წლიური (მოქმედი) საპროცენტო განაკვეთი და აღინიშნება (**APR**) სიმბოლოთი.

მაგალითი

საკრედიტო ბარათებით ოპერაციების წარმოებისათვის კომპანია ყოველთვიურად იღებს საკომისიოს 3.5%-ის ოდენობით. დაუშვათ, რომ კლიენტმა საკრედიტო ბარათით შეიძინა 100ლ-ის ღირებულების საქონელი და მთელი წლის განმავლობაში არ გადაიხდა საკომისიო. გამოთვალეთ კლიენტის დავალიანება წლის ბოლოსათვის და წლიური საპროცენტო განაკვეთი (**APR**).

ამოხსნა

12 თვის ბოლოსათვის დავალიანების თანხა იქნება:

$$a = P \left(1 + \frac{r}{100} \right)^n$$

სადაც:

P =საწყისი თანხა

r =საპროცენტო განაკვეთია

n =დროის პერიოლია

a =დაგროვილი თანხა პერიოდის ბოლოსათვის

$$\text{ამრიგად, } 100 \times \left(1 + \frac{3.5}{100}\right)^{12} = 151.11$$

APR, შესაბამისად, გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$100 \times \left(1 + \frac{r}{100}\right) = 151.11$$

აქედან:

$$100 \left(\frac{r}{100}\right) = 51.11 \quad r = 51.11\% \quad \text{APR} = 51.11\%$$

არსებობს ფორმულები მარტივი და რთული პროცენტების გამოსათვლელად.

ფულადი ნაკადების დისკონტირებისას მხედველობაში მიიღება მათი დროითი ღირებულება. დისკონტირების პროცესში მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულება დაიყვანება ახლანდელ ღირებულებაზე, რაც თავისთავად ნიშნავს შემდეგს: რა ღირს დღეს ის თანხა, რომელსაც მივიღებთ მომავალში.

ორი საინვესტიციო პროექტის შედარების უმარტივეს მეთოდს წარმოადგენს მათი ფულადი ნაკადების შედარება. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელსაც გააჩნია უფრო დიდი სუფთა ფულადი ნაკადი (ყველა ამონაგებისა და ხარჯის გათვალისწინებით). თუმცა, ეს მარტივი მეთოდი არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

ცხადია, ინვესტირებული თანხის მიღება უმჯობესია მოხდეს დროში ადრე, ხოლო ნასესხები თანხის დაბრუნება — დროში გვიან. დრო განსაზღვრავს ფულის დროით ღირებულებას.

მარტივად რომ ვთქვათ, ვისურვებდით მიგველო 100ლ ახლა ვიდრე ერთი წლის განმავლობაში. ამის ასახსნელად შეიძლება რამდენიმე მიზეზი არსებობდეს:

თანხების გადავადების, თავისთავად, ახლავს რისკი შესაძლოა ფონდმა, სადაც ინვესტირება განხორციელდა, ვერ აანაზღაუროს თანხები ერთი წლის განმავლობაში.

100ლ-ის ტოლია თანხის მიღებით დღეს, შანსიგაქვს მივიღოთ ამ თანხაზე სარგებელი პროცენტის სახით. მაგალითისათვის, უსაფრთხოა საბანკო დეპოზიტზე თანხის განთავსების შემდეგ, ერთი წლის ვადაში, პროცენტის სახით მივიღებთ 10ლ. ხოლო თუ ჩვენ ერთი წლის შემდეგ მივიღებდით 100ლ, ჩვენს დაკარგავდით პროცენტებს, რომლებიც შეგვეძლო მიგველო საბანკო დეპოზიტიდან.

ინფლაცია ამცირებს 100ლ-ის ღირებულებას. სხვა სიტყვებით რომ 100ლ-ით დღეს შევისყიდოთ უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე იმავე თანხით ერთი წლის შემდეგ.

განსხვავებულ სიტუაციებში ფულს გააჩნია განსხვავებული დროითი ღირებულება. მაგალითად: ის, ვისთვისაც ფულის დროით ღირებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, არ დათანხმდება 100ლ-ის მიღების გადავადებას, თუ სარგებელი მისგან არ ექნება მაღალი, დაუშვათ 50ლ ერთი წლის განმავლობაში. სხვისთვის, ვისთვისაც ფულის დროით ღირებულებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, შესაძლებელია მისაღები იყოს წლის განმავლობაში მხოლოდ 1ლ-იანი სარგებლის მიღებაც კი. ამ მეორისთვის ფულის დროითი ღირებულება დაბალია. პირველისთვის დღევანდელი 100ლ-ის ღირებულება ტოლია 150ლ-ის ერთი წლის შემდეგ, ხოლო მეორისათვის 101ლ-ის. თუმცა ორივე შემთხვევაში 150ლ-ის და 101ლ-ის მიმდინარე ღირებულება ერთი და იგივეა და ტოლია 100ლ.

ფულის დროითი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

დისკონტირების მეთოდი, რომელიც ფუნდამენტალურია ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დათვლისას, წარმოადგენს რთული პროცენტის გამოთვლის პირუკუ მეთოდს.

მაგალითი

კლიენტმა ბანკში შეიტანა ანაბარი 2,000ლ-ის ოდენობით, 5%-იანი წლიური რთული საპროცენტო სარგებლის განაკვეთის სარგებლის ქვეშ.

მოვეთხოვებათ, გამოთვალოთ:

- ა) თანხა, რომელიც დაგროვილი იქნება კლიენტის ანგარიშზე ერთი წლის შემდეგ

ორი წლის შემდეგ
სამი წლია შემდეგ

ბ) თანხა, რომელიც საჭიროა დეპოზიტზე შესატანად, რომ მივიღოთ 2,500ლ

ერთი წლის შემდეგ
ორი წლის შემდეგ
სამი წლია შემდეგ

ამოხსნა

ა) **დაგროვილი თანხა**

ცხადია, მომავალში მისაღები თანხები შეიძლება დავადგინოთ არითმეტიკული გამოთვლების საშუალებით, მაგრამ უფრო მოსახერხებელია ფორმულის გამოყენება:

$$\text{საბოლოოდ დაგროვილი თანხა } S = P(1 + r)^n$$

სადაც,

P = პრინსიპალი

r = წლიური საპროცენტო განაკვეთი (წარმოდგენილი ათწილადის სახით)

n = წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც დეპონირებულია პრინსიპალი

$$1\text{-ლი წლის შემდეგ } S = 2,000\text{ლ} \times (1.05) = 2,100\text{ლ}$$

$$\text{მე-2 წლის შემდეგ } S = 2,000\text{ლ} \times 1.05 \times 1.05 = 2,000\text{ლ} \times 1.05^2 = 2,205\text{ლ}$$

$$\text{მე-3 წლის შემდეგ } S = 2,000\text{ლ} \times 1.05^3 = 2,315.25\text{ლ}$$

ბ) **მიმდინარე ღირებულება**

ამ შემთხვევაში საბოლოო თანხა, S ცნობილია და უნდა ვიპოვოთ პრინსიპალი P. კვლავ ვიყენებთ ფორმულას, საიდანაც გვაქვს:

$$P = \frac{S}{(1 + r)^n}$$

1-ლი წლის შემდეგ რომ მივიღოთ 2,500ლ, დღეს უნდა მოხდეს შემდეგი თანხის ინვესტირება:

$$P \times 1.05 = 2,500\text{ლ} \quad P = 2,500 \times \frac{1}{1.05} = 2,380.95\text{ლ}$$

2,381ლ-ის ინვესტირება წლიური 5%-ის შემთხვევაში მოგვცემს 119.05ლ, რაც ჯამში უდრის 2,500ლ)

მე-2 წლის შემდეგ რომ მივიღოთ 2,500ლ დღეს უნდა მოხდეს შემდეგი თანხის ინვესტირება:

$$P \times 1.05^2 = 2,500\text{ლ} \quad P = 2,500 \times \frac{1}{1.05^2} = 2,267.57\text{ლ}$$

(შემოწმება ადვილია, რადგან 2,267.57 ორი წლის შემდეგ პროცენტების დარიცხვის შედეგად გაიზრდება 2,500ლ-მდე)

მე-3 წლის შემდეგ 2,500ლ-ის მისაღებად დღეს გვჭირდება:

$$P = 2,500 \times \frac{1}{1.05^3} = 2,159.59$$

ზემოთ მოყვანილი მაგალითის ბ) პუნქტში გამოთვალეთ მომავალი თანხების მიმდინარე ღირებულებები. ახლა უკვე შეგვიზლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: 5%-იანი ინვესტირებისას, 1 წლის შემდეგ მიღებული თანხა-2,500ლ ეკვივალენტურია დღევანდელი 2,380.95ლ-ისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები სიდიდით განსხვავდება ერთმანეთისაგან. 2,380.95 ლ-ს ეწოდება 2,500ლ-ის მიმდინარე ღირებულება ერთი წლის ვადითა და 5%-იანი განაკვეთით.

ფულადი ნაკადების შემცველი პროექტის შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს გასული და შემოსული ფულადი ნაკადების (რომელთაც მომავალში ექნება ადგილი) **მიმდინარე ღირებულებები**.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული დისკონტირების ანალიზით განისაზღვრება, რამდენად შესაძლებელია პროექტებში თანხების ინვესტირება ან სესხად აღება, პროცენტების მიღება ან გადახდა, ამავე დროს ფულის დროითი ღირებულებაც.

თუ გასულ ფულად ნაკადებს ავიღებთ უარყოფითი ნიშნით, ხოლო შემოსულ ნაკადებს დადებითი ნიშნით, მაშინ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) იქნება ფულის ყველა ნაკადის დისკონტირებულ ღირებულებათა ჯამი.

r წლიური საპროცენტო განაკვეთის (დისკონტირების განაკვეთი) პირობებში, n რაოდენობის წლის შერმდეგ მისაღები S თანხის მიმდინარე ღირებულება PV გამოითვლება ფორმულით:

$$PV = S \times \frac{1}{(1+r)^n}$$

იპოვეთ ქვემოთ მოყვანილი თანხების მიმდინარე ღირებულებები:

ა) 1,000ლ-ის, რომელსაც მივიღებთ 1 წლის შემდეგ დისკონტირების 10%-იანი განაკვეთისას.

ბ) 4,000ლ-ის, რომელსაც მივიღებთ 2 წლის შემდეგ დისკონტირების 5%-იანი განაკვეთისას.

გ) 10,000ლ-ის, რომელსაც მივიღებთ 5 წლის შემდეგ დისკონტირების 8%-იანი განაკვეთისას.

მიმდინარე ღირებულების მოძებნა რთული პროცენტის გამოთვლის შებრუნებული პროცესია.

$$a) \quad PV = 1000 \frac{1}{1.10} = 909.09$$

(დღევანდელი 909.09ლ ტოლფასია ერთი წლის შემდეგ მისაღები 1,000ლ-ის. ხოლო წლის განმავლობაში პროცენტის სახით დარიცხული თანხა ტოლია 90.91ლ)

ბ) $PV = 4000 \frac{1}{1.05^2} = 3628.12$ (შეამოწმეთ თავად, რომ 3,628.12ლ რთული, 5% დარიცხვით ორი წლის შემდეგ მოგვცემს 4,000ლ-ს)

$$c) \quad PV = 10000 \frac{1}{1.08^5} = 6806$$

საინვესტიციო პროექტების შეფასებისათვის საჭირო გაანგარიშების გასამარტივებლად შექმნილია მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტების (დისკონტირების კოეფიციენტები) ცხრილები. სადაც კოეფიციენტები მითითებულია პროექტის ვადისა და საპროცენტო განაკვეთების მიხედვით,

ხოლო თავად კოეფიციენტები წარმოადგენენ ფულის ერთეულის დისკონტირებულ ღირებულებებს, შესაბამისი პროცენტითა და ვადით. მაგალითად: ცხრილში 10% წლიური დისკონტირების განაკვეთის და 2 წლის შესაბამისი კოეფიციენტი ტოლია 0.826-ის. ეს ნიშნავს, რომ ორი წლის შემდეგ 10 %-იანი დისკონტის განაკვეთისას მისაღები 1ლ-ის მიმდინარე ღირებულება ტოლია 0.826ლ-ის. მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტების ცხრილები მსგავსია ანუიტეტის კოეფიციენტების ცხრილებისა.

მაგალითი

განიხილება დანადგარის შესყიდვის საკითხი იმავდროულად საკითხი 1.5 მლნ ლ-ის გადახდის პირობით. მოსალოდნელი შემოსავალი იქნება: 0.9 მლნ ლ პირველი წლის ბოლოს, 0.6 მლნ ლ მეორე წლის ბოლოს და 0.5 მლნ ლ მესამე წლის ბოლოს. გამოიყენეთ დისკონტირების კოეფიციენტების ცხრილები და გამოთვალეთ ამ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

ამოხსნა

$$NPV(000ლ) = -1,500 + [900 \times 0.909] + [600 \times 0.826] + [500 \times 0.751] = 189$$

როგორც უკვე აღნიშნეთ, ანუიტეტი- არის ყოველწლიურად ერთიდაიგივე თანხების რეგულარული გადახდა.

მაგალითი

დისკონტირების 10%-იანი განაკვეთისას სამი წლის განმავლობაში წარმოებს 500ლ-ის ტოლი თანხების გადახდა ყოველწლიურად. იპოვეთ მოცემული ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება.

მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულება PV შეგვიძლია დავთვალოთ როგორც 500ლ-ის დისკონტირებულ ღირებულებათა ჯამი სამი სხვადასხვა პერიოდის მიხედვით:

$$PV = PV = \left[500 \times \frac{1}{(1.10)} \right] + \left[500 \times \frac{1}{(1.10)^2} \right] + \left[500 \times \frac{1}{(1.10)^3} \right]$$

$$= 455 + 413 + 376 = 1244$$

შეგნიშნოთ, რომ დისკონტირებისას მიმდინარე მომენტი შეესაბამება დროის ნულს პერიოდს. მაშინ, დროის პირველი პერიოდი შეესაბამება მიმდინარე მომენტიდან ათვლილ პირველი წლის ბოლოს და ასე შემდეგ.

ვთქვათ ერთი და იგივე ფულადი ნაკადისათვის წმინდა მიმდინარე ღირებულება დისკონტის 12%-იანი განაკვეთისათვის არის უარყოფითი – 97ლ, ხოლო 8%-იანი განაკვეთისას, დადებითი+108ლ. ამ ფაქტის ახსნა მდგომარეობს შემდეგში:

სესხი 12%-ით რომ ყოფილიყო აღებული, საპროგნოზო ვარაუდი იქნება, რომ ინვესტორი დაკარგავს დაახლოებით 97ლ-ს.

სესხი 8%-ით რომ ყოფილიყო აღებული, საპროგნოზოდ ივარაუდება, რომ ინვესტორი გამოიმუშავებს დამატებით დაახლოებით 108ლ-ს.

ამრიგად, პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების დადებითი მნიშვნელობა მიუთითებს პროექტის მოგებიანობაზე.

ზოგჯერ საჭიროა ისეთი ანუიტეტის მიმდინარე ღირებულების გამოთვლა, რომელიც დროში უსასრულოდ დიდხანს გრძელდება, ანუ თანხების გადახდა წარმოებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. ასეთ ანუიტეტს ეწოდება **უსასრულო ანუიტეტი**. მიმდინარე ღირებულება n -ური რაოდენობა წლების განმავლობაში გადახდილი A ანუიტეტისა r დისკონტირების განაკვეთისას მოიცემა შემდეგი ფორმულით:

$$\text{მიმდინარე ღირებულება} = A \times \frac{1}{r} \left(1 - \frac{1}{(1+r)^n} \right)$$

რა მოხდება, თუ ამ ფორმულაში n გახდება უსასრულოდ დიდი? როცა n მიისწრაფვის უსასრულობისკენ, მაშინ $(1+r)^n$ -ის მნიშვნელობაც

მიისწრაფვის უსასრულობისაკენ და მაშინ $\frac{1}{(1+r)^n}$ წილადი მიისწრაფვის

ნულისკენ. აქედან გამომდინარე, დისკონტირების კოეფიციენტი მიისწრაფვის $\frac{1}{r}$ სკენ.

უწყვეტი A ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება r დისკონტირების განაკვეთისას, გამოისახება ფორმულით: $PV = \frac{A}{R}$.

მაგალითი

5,000ლ-ის მიმდინარე ღირებულება, რომელიც ყოველწლიურად

მიიღება დისკონტირების 8%-იანი განაკვეთით, უდრის: $\frac{5000}{0.08} = 62500$

თემა 4. მონეტარული და ფისკალურ-საგადასახადო სტატისტიკა

ფული და ფულადი მიმოქცევა

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ფულადი ნაკადები ფულის რაოდენობა აქტიურ როლს თამაშობენ და ითვლებიან მთელი ეკონომიკური პროცესების მთავარ რეგულატორად.

საქართველოს რეალობაში ისტორიულად ჩამოყალიბდა და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცდა ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით ეწოდა ფულადი სისტემა, ხოლო აღნიშნული სისტემის შემადგენელი ელემენტებია: ფულადი ერთეული, ფულის ემისიის სესხები და თანმიმდევრობა. ჩვენი ქვეყნის მთავრობა ყველანაირად უწყობს ხელს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის რეგულირებას, აყალიბებს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ორ ასპექტში.

ფართო გაგებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუნქციაში შედის: ფულადი რეფორმის გატარება, ნაღდი ფულის ემისია, მთავრობის მიერ სხვადასხვა ობლიგაციების გამოშვება, ხოლო ვიწრო გაგებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოიცავს ფულის მიმოქცევაზე მხოლოდ ირიბი ზედამხედველობის ნორმებს. ფულადი რეფორმა ტარდება ფულადი მიმოქცევის მოსაწესრიგებლად და იგი ითვალისწინებს ფულადი სისტემის სრულ ან ნაწილობრივ გარდაქმნას.

ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ფულისა და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკას, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხდება ფულადი

მიმოქცევის სფეროში მიმდინარე მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი მხარის შეფასება.

ჩვენი ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის ობიექტად ითვლება ფულადი სისტემის ობიექტები: ოფიციალური ფულადი ერთეული, ფულის ემისიის სახეები და თანმიმდევრობა, ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმები და რეგულირების მეთოდები.

ფულისა და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის მიზანია ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგულირებელი ორგანოების უზრუნველყოფა შესაბამისი უტყუარი ინფორმაციით, ფულადი სისტემის მდგომარეობის შესახებ.

ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

ფულადი მასის ზომების, სტრუქტურის და დინამიკის გამოთვლა, და მისი განაწილება რეგიონებში და მოსახლეობის ჯგუფებში;

ნაღდი და უნაღდო ემისიის პარამეტრების განსაზღვრა;

ნაღდი ფულის კუბიურების განსაზღვრა;

იმ რაოდენობრივი პარამეტრების გამოვლინება, რომლებიც ასახავენ ფულის მიმოქცევის გავლენას ეკონომიკაზე და ინფლაციის დონეზე.

ფულისა და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის მაჩვენებლები შეადგენენ სამ ურთიერთდაკავშირებულ ბლოკს:

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ბლოკს, რომელიც განსაზღვრავს ფულისა და ფულადი მიმოქცევის კავშირს ეკონომიკის რეალურ სექტორთან.

ფულის სახეების ბლოკი;

ფულის მასის მაჩვენებლების ბლოკი ანუ ფულადი აგრეგატების ბლოკი.

ამ ბლოკებიდან თითოეული შეიცავს მაჩვენებელთა გარკვეულ ნაკრებს.

მაკროეკონომიკური ბლოკი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს :

ფულის ნომინალური მასა;

ფულის ბრუნვა;

ფულის მიმოქცევის სიჩქარე;

ფულის რეალური მასა;

ნომინალური და რეალური ფულადი მასების ინდექსი;

ფულის ბრუნვის სიჩქარის ინდექსი;

ეკონომიკის მონეტარიზაციის დონე;

ფულის მსყიდველობითი უნარი;

ფულის სახეების ბლოკი კი მოიცავს:

ნაღდი ფული მიმოქცევაში;

ნაღდი ფული არა საბანკო სისტემაში;

ნაღდი ფული საბანკო სალაროებში;

უნაღდო ფულის მასა;

ფულადი მულტიპლიკატორი;

ფულადი ბაზა;

ფასიანი ქაღალდები ფულად მიმოქცევაში;

მსოფლიო ფული;

ფულადი მასის მაჩვენებლების ბლოკი ახასიათებს ფულის მასის გამოთვლის სხვადასხვა ტიპის მიდგომას და შეიცავს:

ფულადი აგრეგატების ტრადიციულ სისტემას:

ფულადი აგრეგატი M_0

ფულადი აგრეგატი M_1

ფულადი აგრეგატი M_2

ფულადი აგრეგატი – ეს არის ისეთი ლიკვიდური ფინანსური აქტივების მოცულობის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ფულის ნაცვლად. მაჩვენებლების ნაციონალური სისტემა შეიცავს შემდეგი სახის ფულის აგრეგატებს:

ფულის აგრეგატი M_0 – შეიცავს აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს, ნაღდი ფულს მიმოქცევაში.

ფულადი აგრეგატი M_1 (სახსრები რომლებიც არსებობს დაწესებულებების და ორგანიზაციების ანგარიშებზე) + (სახელმწიფო დაზღვევის სახსრები) + (მოსახლეობის დეპოზიტები შემნახველ

ბანკებში მოთხოვნამდე) + (მოსახლეობის და საწარმოების დეპოზიტები კომერციულ ბანკებში)

ფულადი აგრეგატი M_2 მოსახლეობის ვადიანი

დეპოზიტები შემნახველ ბანკებში. აღნიშნული აგრეგატი M_2 არის ძირითადი მაჩვენებელი სტატისტიკაში.

ფულადი აგრეგატი $M_3 = M_2 +$ (დეპოზიტური სერთიფიკატები) + (სახელმწიფო ობლიგაციები).

M_3 აგრეგატს ხშირად უწოდებენ “ერთობლივ ფულად მასას.” ნუ ფართო ფული.

ამასთანავე სსფ-ის მეთოდოლოგიის თანახმად ფულადი მასის დასახასიათებლად მიღებულია შემდეგი აგრეგატები:

აგრეგატი “ფული” – მოიცავს ბანკების და მოთხოვნამდე ანაბრების გარეთ არსებულ ფულს. ე.ი. იგი წარმოადგენს ფაქტიურად ქვეყნის განკარგულებაში არსებულ მთელ ფულად სახსრებს და იგი M_1 -ის ანალოგიურია.

აგრეგატი “კვაზი ფული” – წარმოადგენს ფულადი სისტემის ლიკვიდურ დეპოზიტებს და მოიცავს ვადიან და შემნახველ დეპოზიტებს, ასევე დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში.

აგრეგატი “ფართე ფული” – ეს არის “ფული” და “კვაზი ფული” აგრეგატების ჯამი.

აგრეგატების ასეთი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს და გაანალიზდეს ეკონომიკაში ფულის წყაროების მიწოდების სტრუქტურა და დინამიკა.

საქართველოში ეროვნული ბანკის მონაცემებით აგრეგატების მიხედვით (მილიონ ლარებში) ფულის მასის დინამიკა 2004-2008 წლებში შემდეგ სურათს იძლევა:

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ფართო ფული M_3	1521.6	1924.9	2689.9	4027.5	4305.1	4656.8
ფულის მასა M_2	847.2	1071.0	1392.8	2149.3	1862.5	2139.5
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული M_0	616.0	736.3	827.4	1152.1	1082.6	1186.8
სადეპოზიტი ვალდებულებები (ეროვნულ ვალუტაში)	231.2	334.8	565.5	997.2	779.9	1035.8
სადეპოზიტი ვალდებულებები (უცხოურ ვალუტაში)	674.4	853.9	1297.0	1878.2	2442.6	2517.3
M_0 -ის წილი M_2 -ში %	79.8	75.8	66.7	61.0	69.3	57.5
M_2 -ის წილი M_3 -ში %	55.7	55.6	51.8	53.4	43.3	45.9
ლარი მიმოქცევაში	676.2	811.4	929.5	1310.5	1290.7	1457.9

ცხრილიდან ჩანს, რომ ძალიან სწრაფი ტემპებით გაიზარდა ფულის მასა საქართველოში 2004-2009 წლებში, გაიზარდა სადეპოზიტო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში, ხოლო შედარებით ნაკლები ტემპებით გაიზარდა სადეპოზიტო ვალდებულებანი უცხოურ ვალუტაში. შემცირდა ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის წილი ფულის მასაში, რაც მიუთითებს საქართველოსი საბანკო სისტემის განვითარებაზე.

ფულის ძირითადი მასა ქვეყანაში მიმოქცევა საბანკო სისტემის მეშვეობით. ამიტომ სახელმწიფო საბანკო კრედიტის სტატისტიკურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საბანკო პოლიტიკის შემუშავების საქმეში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკრედიტო ოპერაციებს ბანკების ორსაფეხურიანი სისტემა

ანხორციელებს. ამ სისტემის პირველ საფეხურზე დგას ქვეყნის მთავარი, ეროვნული ბანკი, ხოლო მეორეზე - კომერციული ბანკები.

ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკის სტატისტიკა

სახელმწიფო ბანკი ქვეყანაში ატარებს ეკონომიკის რეგულირების ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ამისათვის აწესებს კომერციული ბანკებისათვის მოზიდული თანხების სავალდებულო რეზერვების ნორმებს, მათ მიერ გაცემული კრედიტებისათვის და ფასიანი ქაღალდების შექმნისათვის საჭირო და სავალდებულო ნორმატივებს. სახელმწიფო ბანკი გასცემს, აგრეთვე, კრედიტებს საერთოდ და კომერციული ბანკების რეფინანსირებისათვის.

სახელმწიფო საბანკო პოლიტიკის მეშვეობით ანხორციელებს, აგრეთვე, ქვეყანაში საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირებას და ამით ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის კურსის განმტკიცებას.

სახელმწიფო, საფინანსო ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთი შემადგენელი ნაწილია, აგრეთვე, ფისკალური ეკონომიკური, ანუ საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკა, რასაც ის ანხორციელებს ფისკალური სტატისტიკის მეშვეობით.

ფისკალური სტატისტიკა შეისწავლის საბიუჯეტო შემოსავლებისა და დანახარჯების (მათ შორის სავადასახადო შემოსავლების) დონეს ანუ მოცულობას, სტრუქტურას, დინამიკას და მათზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზს.

სიტყვა ბიუჯეტი ინგლისური წარმოშობისაა (უღვეტ) და ნიშნავს ჩანთას. ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის ინგლისში ლორდთა პალატის წინაშე მოხსენებით გამომსვლელ ხაზინის კანცლერს წინ ფულით სავსე ტომარა ედო, რომელსაც ტრიბუნის ნაცვლად დასაყრდნობლად იყენებდა. ასე წარმოთქვამდა კანცლერი სიტყვას ქვეყნის ფინანსების წყაროებისა და ხარჯების შესახებ, რომელსაც „ბიუჯეტს“ უწოდებენ. ამის შემდეგ დღემდე ბიუჯეტი ყველა ქვეყნის ფულადი რესურსების წარმოქმნისა და განაწილების გეგმის სახითაა ცნობილი და ცენტრალურ ადგილს იჭერს ფისკალური პოლიტიკის შემუშავების საქმეში.

არსებობს ბიუჯეტის სხვადასხვა სახეები. მათ შორისაა ნაერთი (კონსლიდირებული) ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები. ნაერთი ბიუჯეტი მოიცავს სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს. თავის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს ცენტრალურ ბიუჯეტსა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტებს. ეკონომიკური თეორიის მიხედვით ბიუჯეტის შემსავლების ხუთი წყაროა დასახელებული: გადასახადი შემოსავალზე, გადასახადი მოხმარებაზე, გადასახადი საკუთრებაზე, არასავადასახადო შემოსავლები და სხვა გადასახადები.

ამის გარდა შემოსავლები მოიცავს, აგრეთვე, ოფიციალურ ტრანსპერტებსაც, რომლებიც არის არაანაზღაურებადი, არადაბრუნებადი, არააუცილებელი შემოსავლები.

მათ გააჩნიათ ნებაყოფობითი ხასიათი ჩუქების, რეპარაციების (გამარჯვებული ქვეყნის მიერ ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება დამარცხებული ქვეყნისათვის), სუბვენციების (ცენტრალური ორგანოების მიერ მიზნობრივი დაფინანსებისათვის ქვემდგომი ორგანოებისათვის თანხების გამოყოფა) და სხვათა სახით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემდგენიარი კლასიფიკაცია:

I. საერთაშორისო შემოსავლები და მიღებული ოფიციალური ტრანსპერტები (II + VII);

II. საერთაშორისო შემოსავლები (III + V);

III. მიმდინარე შემოსავლები (IV + V);

IV. სავადასახადო შემოსავლები (მათ შორის: საშემოსავლო, მოგების, კაპიტალის საბაზრო ღირებულების გადიების, სოციალური ანარიცხების, ხელფლასის ფონდისა და სამუშაო ძალის, საკუთრების, საქონლისა და მომსახურების, სავარეო ვაჭრობისა და სავარეო ოპერაციების და სხვა გადასახადები);

V. არასავადასახადო შემოსავლები;

VI. შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან;

VII. მიღებული ოფიციალური ტრანსპერტები.

არსებობს, აგრეთვე, საბიუჯეტო ხარჯების საერთაშორისო კლასიფიკაციები. მათ შორის ძირითადი ფუნქციონალური

(სახელმწიფოს შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით) საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაციაა, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა:

1. საერთო ხასიათის სახელმწიფო მომსახურების ხარჯები;
 2. თავდაცვის ხარჯები;
 3. სახელმწიფო წესრიგისა და უსაფრთხოების ხარჯები;
 4. განათლების ხარჯები;
 5. ჯანდაცვის ხარჯები;
 6. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები;
 7. საბინაო-კომუნალური ხარჯები;
 8. დასვენების ორგანიზაციის, კულტურისა და რელიგიის ხარჯები;
 9. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხარჯები;
 10. სოფლისა და ხე-ტყის მეურნეობის, თევზჭერისა და სამონადირეო ხარჯები;
 11. სამთომოპოვებელი მრეწველობისა და სასარგებლო წიაღისეულის (სათბობის გამოკლებით), გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის ხარჯები;
 12. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხარჯები;
 13. სხვა სახის მომსახურების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის საქმიანობასთან;
 14. ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ძირითად ჯგუფებს.
- ბიუჯეტის შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის სხვაობა გვაძლევს დეფიციტს (ხარჯები ჭარბობს შემოსავლებს) ან პროფიციტს (ხარჯები ნაკლებია შემოსავლებზე). საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულია დეფიციტის შესავსებად საშინაო (თანხები მიღებული სახელმწიფოს სხვა სექტორიდან) და საგარეო (თანხები მიღებული უცხოეთიდან) დაფინანსება.
- საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების მიხედვითა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. შემოსავლებშია საგადასახადო (საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების, აქციზის, საბაჟო და სხვა გადასახადები), სახელმწიფო ფონდების (დასაქმების, სოცურუნველყოფის, საგზაო და სხვა სახელმწიფო

ფონდები) შემოსავალი, არასაგადასახადო შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან და სხვ.) და გრანტები.

2001-2007 წლებში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით შემოსავლები შემდეგ სურათს იძლევა:

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (მლნ ლარი)

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
შემოსავლები და გრანტები	739.7	817.4	933.1	1773.7	2607.8	3773.2	5158.6
შემოსავლები სულ:	691.6	794.8	884.6	1649.0	2503.3	3579.2	4935.1
მათ შორის:							
საგადასახადო შემოსავლები	630.5	722.6	806.6	1322.1	1836.0	2633.1	3732.6
არასაგადასახადო	61.1	72.1	78.1	259.9	280.4	482.5	753.4
უცხოური გრანტები	48.1	22.6	48.4	124.7	104.5	194.0	223.5

ცხრილში მოცემული აბსოლუტური სიდიდეები თავისთავად ვერ ახასიათებენ რაიმე კანონზომიერებას.

ამიტომ საჭიროა სტრუქტურის, დინამიკის და სხვა სახის შეფარდებითი სიდიდეების გაანგარიშება. 2001 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლებს ეჭირა

$$\frac{630.5}{739.7} \times 100 = 85.2\%$$

არასაგადასახადო შემოსავლებს

$$\frac{61.1}{739.7} \times 100 = 8.3\%$$

ხოლო გრანტებს

$$\frac{48.1}{739.7} \times 100 = 6.5\%$$

2007 წელს ეს მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 72.4 %-ს, 14.6 %-ს, 4.3 %-ს, როგორც ჩანს, შემცირდა საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი და გაიზარდა არასაგადასახადო შემოსავლებით ხვედრითი წილი. ეს ნიშნავს ქონების პრივატიზაციის ტემპების დაჩქარებას საქართველოში.

შემოსავლების დინამიკა 2001-2007 გვიჩვენებს, რომ მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები ვარდების რეკლუციის შემდგომ პერიოდში, რაც გადასახადების ამოღების ადმინისტრირების გაძლიერებასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებაზე მიანიშნებს.

სახელმწიფოს ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ძირითადი ინსტრუმენტი საგადასახადო სისტემაა. ეკონომიკური თეორიის განმარტებით გადასახადი სავალდებულო მოსაკრებია, რომელსაც მთლიანი ეროვნული პროდუქციის განაწილებისა და გადანაწილების გზით ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები უხდიან სახელმწიფოს, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით. იურიდიული და ფიზიკური პირებია საწარმოები, ფირმები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან ამა თუ იმ სახის საქმიანობას. არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომლებიც ამოიღება ცენტრალური საგადასახადო ორგანოების მიერ და ავსებს ფედერალური (ცენტრალური) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. ასეთია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, სოციალური გადასახადი.

ადგილობრივია გადასახადი, რომელიც ამოიღება ადგილობრივი ორგანოების მიერ და ავსებს ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. ასეთია ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

ეკონომიკური თეორია გადასახადების კლასიფიკაციას აწარმოებს სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის გამოიყოფა: პირადპირი,

რომლითაც უშუალოდ პირდაპირ იბეგრება გადამხდელის შემოსავალი და ქონება (საშემოსავლო გადასახადი, მიწის გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ეკოლოგიური გადასახადი და სხვ.) არაპირდაპირი, რომელიც წესდება საქონლის ფასზე, აგრეთვე მომსახურების ტარიფზე წანამატის სახით და რომლის უშუალო გადამხდელია მომხმარებელი. მაგრამ ვინაიდან ის ფასში შედის, ბიუჯეტში გადაიხდება გამყიდველის მიერ (დამატებული ღირებულების გადასახადი, სააქციზო გადასახადი, საბაჟო გადასახადი, საქმიანობის მონოპოლიურ სახეებზე გადასახადი და სხვ.).

გამოყენების ნიშნით გადასახადები ორი სახისაა: საერთო (თავს იყრის ერთიან სახელმწიფო ხაზინაში და გამოიყენება საერთო მიზნების დასაფინანსებლად) და სპეციალური (სოციალური დაზღვევის თანხა, საგზაო ფონდი, და სხვ.), რომლის თანხები მიზნობრივია და გამოიყენება მხოლოდ სპეციალური დანიშნულებით.

საგადასახადო განაკვეთების მიხედვით შეიძლება გვექონდეს ფიქსირებული (დაბეგვრის ერთეულზე დაწესებული მყარი, ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთი, რომელიც არ იცვლება დაბეგვრის ობიექტის ცვალებადობასთან დაკავშირებით), პროგრესული (პროგრესულად იზრდება საგადასახადო განაკვეთები) და რეგრესიული (დაბეგვრის ობიექტის გადიდებასთან ერთად კი არ ღიღდება, არამედ მცირდება საგადასახადო განაკვეთები) გადასახადები.

საგადასახადო სტატისტიკის ამოცანებია გადასახადების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის, გადასახადებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და პროგნოზირება.

საგადასახადო სტატისტიკის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია გადასახადების ამოსავალი ხაზის შესწავლა, რასაც საფინანსო-საგადასახადო მეცნიერება იძლევა. ასეთია გადასახადის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტი და საგადასახადო განაკვეთები. მართლაც შეუძლებელია საგადასახადო სტატისტიკამ შეისწავლოს გადასახადების მოცულობა, სტრუქტურა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით და მათ შორის გადამხდელების მიხედვითაც, ან კიდევ გადასახადების დინამიკა, ზემოთაღნიშნული პარამეტრების ცოდნის გარეშე.

როგორც საქართველოს საგადასახადო მოქმედი კოდექსითა და ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

მოქმედი საგადასახადო კოდექსით განმარტებულია, რომ „რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში, რომელიც მთავრდება საგადასახადო წელს, ან იგი საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფება უცხოეთში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში“. ამავე საგადასახადო კოდექსით განმარტებულია, რომ საქართველოში ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა. ფიზიკურ პირს არ მიეკუთვნება დიპლომატიური სტატუსის მქონენი და მათი ოჯახის წევრები, უცხო ქვეყნის სახელმწიფოში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები (საქართველოს მოქალაქეების გარდა), საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ერთი სახელმწიფოდან მეორეში გამგზავლი პირი. არარეზიდენტი არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი.

საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტად, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მიჩნეულია შემოსავალი, რომელიც მიიღება ერთობლივ (მთლიან) შემოსავლებსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის სხვაობით.

მთლიანი შემოსავლები რეზიდენტი სათვის მოიცავს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებულ შემოსავლებს, ხოლო არარეზიდენტი სათვის საქართველოს წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს. მათ მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, მათ შორის ხელფასი, პრემია, სამეწარმეო საქმიანობით საქონლის რეალიზაციიდან ან მომსახურების, სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციის, აგრეთვე არასამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები (დივიდენდები, პროცენტებით მიღებული შემოსავლები, ქონების იჯარით გაცემის, ვალების ჩამოწერით და სხვა შემოსავლები

ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმის ჯამის, წინათ დაბეგრილი დივიდენდებისა და პროცენტების შემოსავლის გამოკლებით).

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 25%.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფალია უცხოეთის დიპლომატის ან საკონსულოს თანამშრომლის დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული შემოსავალი, გრანტი, სახელმწიფო პენსია, მემკვიდრეობამდე მიღებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, ალიმენტი და სხვ.

მოგების გადასახადის გადამხდელებია საქართველოსა და უცხოური საწარმოები. დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება გადამხდელის მთლიან შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის სხვაობით (გარდა აქტივების ღირებულებისა, რომელშიაც შეიტანება ძირითადი საშუალებების შეძენის, დამონტაჟებისა და სხვა კაპიტალური ხარჯები, აგრეთვე გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან: ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, მათ შორის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, გართობაზე გაწეული ხარჯები ფინანსთა სამინისტროს ნორმის ზევით და ა.შ.). აქ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილი არ გამოიქვითება მთლიანი შემოსავლიდან ამორტიზაციის სახით. პირიქით, ამორტიზაციის ღირებულება მთლიანი ღირებულებიდან გამოიქვითება ნორმატიული პროცენტების სახით. ამასთან ამორტიზაცია არ დაერიცხება არამორტიზირებად საშუალებებს, როგორცაა მიწა, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.

საწარმოს მოგების საგადასახადო განაკვეთი მოქმედი კოდექსით შეადგენს 15%-ს

დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის „საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილი, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი.

დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოში 1992 წლიდან დაინერგა (1958 წელს პირველად ფრანგებმა შემოიღეს და შემდეგ სწრაფად გავრცელდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში).

ეკონომიკური სტატისტიკის განმარტებით დამატებული ღირებულება არის „წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებასა და წარმოების პროცესში მილიანად მოხმარებული საქონლისა და მომსახურების (შუალედური მოხმარება) ღირებულებათა შორის სხვაობა.

ამასთან წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებაში შეიტანება:

ა) ყველა სახის საქონელი მათი გამოყენების მიუხედავად, მათ შორის სხვა მომხმარებლებისადმი მიწოდებული, ასევე თვით მწარმოებლის მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარების, აგრეთვე დაგროვებისა და მატერიალური საშუალებების მარაგთა შევსებისათვის განკუთვნილი;

ბ) სხვა ინსტიტუციონალური ერთეულებისათვის, კერძოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და კომერციული ორგანიზაციებისათვის გაწეული არასაბაზრო მომსახურება;

გ) შინამოსამსახურეთა მიერ ანაზღაურებადი მომსახურება (ოჯახის წევრების მიერ ურთიერთარაანაზღაურებადი) მომსახურება, როგორცაა სარეცხის რეცხვა, კერძების მომზადება და სხვ. არ შეიტანება პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულებაში.

ეკონომიკური სტატისტიკა მიუთითებს აგრეთვე, შევიდეს წარმოების მოცულობაში ჩრდილოვანი ეკონომიკის (არაკანონიერი), აგრეთვე, კანონიერი, მაგრამ გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით მალული ეკონომიკის (მალული წარმოება) მიერ წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ღირებულებაც.

შუალედური მოხმარება, რომელიც გამოიყენება დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად, არის საქონლისა და საბაზრო მომსახურების ღირებულება (ძირითადი ფონდების გამოკლებით), რომელიც მოცემულ პერიოდში გამოყენებულ იქნა სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. ის მოიცავს:

ა) შრომის საგნებს (ნედლეულსა და ძირითად მასალებს), ელექტროენერგიას, სათბობს, თესლს, საკვებს, საკუთარი წარმოებისა

და ნაყიდ ნახევარფაბრიკატებს, მედიკამენტებს, კვების პროდუქტებს, სპეცტანსაცმელს, საკანცელარიო საგნებს და ა.შ.

ბ) სხვა საწარმოებისა და პირების მიერ შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების ანაზღაურება (ტრანსპორტით მომსახურება, რემონტი, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ცენტრების მომსახურება, კომუნალური მომსახურება, კონსულტაციების, იურისტების, ბანკების, რეკლამისა და სხვათა მომსახურება და ა.შ.);

გ) სამივლინებო თანხების ანაზღაურება.

აქედან ცხადია, რომ დამატებული ღირებულების გადამხდელებად ითვლება ყველა პიროვნება, ვინც ეწევა რაიმე სახის საქმიანობას, რომელსაც მოაქვს შესაბამისი ღირებულება, ხოლო დაბეგვრის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ არა „დასაბეგრი თპერაცია და დასაბეგრი იმპორტი“, როგორც ეს საქართველოს საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული, არამედ დამატებული ღირებულება და იმპორტი, რომელიც წარმოიშობა შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობით.

დამატებული ღირებულების საგადასახადო განაკვეთები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მისი განაკვეთები მეტწილ ქვეყნებში მერყეობს 20-30%-ის ფარგლებში. იგი შეადგენს, მაგალითად, აშშ-ებში 11%-ს, ინგლისში 15%-ს, გფრ-ში დაახლოებით 6%-ს, შვედეთში 7%-ს, საფრანგეთში 8%-ს, საქართველოში თავიდან 28%-ს შეადგენდა, შემდეგში 14%-მდე დავიდა, ამჟამად 18%-ია.

აქციზი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი წესდება ისეთი მასობრივი მოხმარებისა და განუსაზღვრელი რაოდენობით რეალიზებად პროდუქტებზე, როგორცაა, შაქარი, ჩაი, მარილი, ბენზინი, ასანთი, თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები. აქციზით სახელმწიფო ანხორციელებს ოპტიმალურ-ფისკალურ პოლიტიკას, ზოგჯერ ზღუდავს ზოგიერთი საქონლის მოხმარებას და ხელს უწყობს ანტიმონოპოლური კანონის ქმედითუნარიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში აქციზზე მოდის საგადასახადო შემოსავლების 20-25%.

საქართველოში აქციზური გადასახადი არც თუ დიდი ხნის წინათაა შემოდებული, თუმცა მისი მოქმედების არეალი თანდათანობით ფართოვდა.

აქციზის გადამხდელებია აქციზური საქონლის მწარმოებლები ან იმპორტიორები საქართველოში. აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის მიწოდება საქართველოში არ საწყობიდან გატანა (მათ შორის დამკვეთის ნედლეულით დამზადებული) ან იმპორტი უცხოეთიდან.

აქციზის საგადასახადო განაკვეთები წესდება როგორც ინდივიდუალური წესით, მტკიცე ოდენობით საქონლის ერთეულზე, ისე უნივერსალური ანუ პროცენტობით საქონლის ღირებულებისადმი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით, მაგალითად, მსუბუქი ავტომობილებისადმი დაწესებულია 15%-იანი აქციზი, ხოლო ყურძნის 1 ლიტრა ღვინოზე ფიქსირებული 50 თეთრი ერთ ლიტრზე და ა.შ.

საბაჟო გადასახადის გადამხდელებია იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს. მისი საგადასახადო ბაზაა ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, ხოლო განაკვეთი 12%.

სოციალური გადასახადი, განკუთვნილია სოციალური უზრუნველყოფისათვის, რომელსაც გადასახადის გადამხდლები იხდიან შრომის ანაზღაურებისა და მასთან გათანაბრებულ თანხებზე.

ასეთი სახის გადასახადის გადამხდელია დამქირავებელი მეწარმე, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შრომას უნაზღაურებენ დაქირავებულებს და თვით დაქირავებული პირები, დასაბეგრავე ობიექტია მეწარმესა და რაიმე საქონლის მქონე შემოსავალი და დაქირავებულების ხელფასი.

უკანასკნელ პერიოდამდე მისი განაკვეთი იყო 20%. ამჟამად ეს გადასახადი გაუქმებულია და დაწესებულია ერთიანი 25%-იანი საშემოსავლო გადასახადი.

ქონების გადასახადი ორი სახისაა: ფიზიკური პირების ქონების გადასახადი და საწარმოთა ქონების გადასახადი. ფიზიკური პირების გადასახადის გადამხდელებია ქონების გადასახადით დასაბეგრავე ობიექტების მესაკუთრე ფიზიკური პირები, დაბეგვრის ობიექტი საქართველოს ურბანულ ტერიტორიაზე არსებული, ხოლო არაურბანულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ისეთი უძრავი ქონება (მიწის გარდა), როგორცაა

შენობა-ნაგებობანი ან მათი ნაწილები, ხოლო საგადასახადო განაკვეთია მათი საბუღალტრო ღირებულების 0,1 პროცენტი.

საწარმოთა ქონების გადასახადის გადამხდელებია საწარმოები (მათ შორის სამამულო და უცხოური, აგრეთვე, მათი დამოუკიდებელ ანგარიშზე მყოფი და ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშის მქონე ფილიალები და ორგანიზაციები, რომელთა ქონების ნაწილი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის). საწარმოთა ქონების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობა, დაუმთავრებელი დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები. დასაბეგრავე ღირებულება გაიანგარიშება ჩამოთვლილი აქტივების ნარჩენი საშუალოწლიური ღირებულების 1 პროცენტის განაკვეთით.

სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან პირები, რომლებიც ეწევიან საწარმოო საქმიანობას ლატარიებით, კაზინოებით, აზარტული და სხვა სათამაშო მიზნებით. დაბეგვრის ობიექტია ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, თამაშებისათვის გამოყენებული მაგიდები, სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორები, ბინგოს სალაროები და სხვ.

საგადასახადო განაკვეთებია ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20%-ისა, კაზინოს, სამორინეს თითოეული მაგიდიდან თვეში 5000-დან 10000 ლარამდე, ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებზე თვეში 300-დან 600 ლარამდე და ა.შ. ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია ორმაგდება ტოტალიზატორის, კაზინოების და ბინგოს გადასახადი.

საგადასახადო პოლიტიკის გატარებისათვის საჭიროა გვექონდეს შემოსავლების ინდიკატორების სტატისტიკური სურათი, რაც იძლევა ამ მოვლენებისა და პროცესების დროში განვითარების კანონზომიერებებს.

თემა 5. ფასებისა და ინფლაციის სტატისტიკა

ფასი არის საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულება. გეგმური ეკონომიკის პირობებში ფასი წარმოადგენდა პროდუქციისა და მომსახურების ღირებულების ფულად საზომ ინდიკატორს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მას განსაზღვრავს არა პროდუქციისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები და აქედან გამომდინარე ღირებულება, არამედ ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდება. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: ფასი არის ყიდვა-გაყიდვის პროცესში საქონლის (პროდუქციის) ან მომსახურების ერთეულისათვის, მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, გადასახდელი თანხა. ფასები თავად მოქმედებს მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებაზე, გამოიყენება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის, ეროვნული სისდიდრის და სხვა) გასაანგარიშებლად, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის, ცხოვრების დონის დასადგენად და სხვა მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად. ბიზნესში, მენეჯმენტში, მარკეტინგში და სხვა სფეროებში ის ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის მძლავრი ინსტრუმენტია.

ყველა ამ სფეროში ფასები ასრულებს სააღრიცხვო (პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის, მოგებისა და რენტაბელობის დადგენა და სხვ.), მასტიმულირებელ (მაღალი ფასის პროდუქციისა და მომსახურების მეტი რაოდენობის წარმოება, ნედლეულის, სათბობის, მასალების, ელექტროენერჯის და სხვა დანახარჯების ეკონომია და ა.შ.) და განმანაწილებელ (მის შემადგენლობაში არა მარტო დანახარჯების, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების და სხვათა გათვალისწინება) ფუნქციებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები არის სხვადასხვა სახის. ამათგან ქვეყანაში დომინირებს საბაზრო ფასები. საბაზრო ფასები არის თავისუფალი ფასები, რომლებიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების, აგრეთვე, მყიდველისა და გამყიდველის ინტერესების გათვალისწინებით. იგი მოიცავს, აგრეთვე, დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადებს.

საბაზრო ფასები ქვეყანაში ყალიბდება მოქმედი ფასების ბაზარზე. მათ შორისაა გამყიდველის, მყიდველისა და ძირითადი საცალო ფასები, მომსახურების ფასები და ტარიფები.

გამყიდველის ფასი ეწოდება იმ ფასს, რომლითაც გამყიდველი ყიდის საქონელს და მომსახურებას. გამყიდველის ფასის ერთერთი ნაირსახეობაა მწარმოებლისა და ძირითადი ფასები. მწარმოებლის ფასია ის ფასი, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი პროდუქციის ან მომსახურების ერთი ერთეულის გაყიდვით. ის მოიცავს თვითღირებულებას ანუ წარმოებისა და მომსახურების დანახარჯებს (ნედლეული და ძირითადი მასალები, სათბობი და ელექტროენერჯია, ნახევარფაბრიკატები, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია, ხელფასი, სოცდაზღვევის ანარიცხები სოცდაზღვევაზე და სხვ.), გადასახადებს (აქციზის, დამატებული ღირებულების და იმპორტზე გადასახადების გარდა) პროდუქტებზე და იმპორტზე სუბსიდიების გამოკლებით.

ძირითადი ფასი არის მწარმოებლის მიერ პროდუქციისა და მომსახურების ერთეულზე მიღებული ფასი, პროდუქტებზე ყველა სახის გადასახადის გამოკლებით და სუბსიდიების ჩათვლით (გარდა იმპორტზე სუბსიდიისა).

აქედან ცხადია, რომ მწარმოებლის ფასსა და ძირითად ფასს შორის ასეთი დამოკიდებულება არის:

მწარმოებლის ფასი - მწარმოებლის ფასში ჩართული პროდუქტებზე გადასახადები + პროდუქტებზე სუბსიდიები = ძირითად ფასს.

მყიდველის ფასი საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ფასია, რომელიც მოიცავს მწარმოებლის ფასს, აგრეთვე, სატრანსპორტო-სავაჭრო დათბობას და წმინდა გადასახადებს (მწარმოებლის ფასში გათვალისწინებული გადასახადების გარეშე).

საბითუმო ფასი ეწოდება იმ ფასს, რომლითაც სამომხმარებლო საქონელი ბითუმად გადაეცემა მსხვილი პარტიებით მწარმოებლიდან სავაჭრო ქსელს ან ტექნიკური დანიშნულების ნაწარმი - უშუალო მომხმარებელს.

როგორც წესი, საბითუმო ფასში შეაქვთ წარმოების დანახარჯები და მოგება. მასში არ შეიტანება აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადი.

საცალო ფასები ეწოდება იმ ფასებს, რომლითაც საქონელი და მომსახურება უშუალოდ მიეყიდება მოსახლეობას. მასში შეიტანება საბითუმო ფასი, სავაჭრო დათბობა (მიმოქცევის ხარჯები და მოგება), აგრეთვე, დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი.

მომსახურების ფასები და ტარიფები გამოიყენება მომსახურების (სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური, სანიტარული და სხვ.) სფეროებში.

საბაზრო, თავისუფალი ფასების გარდა ზოგიერთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში მოქმედებს, აგრეთვე, სახელმწიფო ფასები, რომლებიც წესდება იმ დარგების პროდუქტებზე, რომლებსაც მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავთ ბაზარზე (ელექტროენერჯია, აირი და სხვ.) სახელმწიფო ფასი შეიძლება იყოს ზღვრული (მაგალითად, სააფთიაქო მედიკამენტებზე) ფასი, რომლის ზევით არ შეიძლება დაწესდეს ფასი, ფიქსირებული (სახელმწიფოს მიერ მკაცრად განსაზღვრული ფასი მოსახლეობისათვის) და რეგულირებადი (რომელიც შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიცვალოს ცალკეული რეგიონებისა და პერიოდების მიხედვით).

ფასების სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასებზე დაკვირვება.

ფასების კლასიფიკაცია

ფასების სტრუქტურის ანალიზი

ფასებია ვარიაციის ანალიზი

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ფასების მოქმედების გაზომვის მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება და გაანგარიშება

ინფლაციის დონის განსაზღვრის მეთოდების შემუშავება და მისი გავლენის შესწავლა ეკონომიკის განვითარებაზე.

ფასების სტატისტიკის წინაშე დასმული ამოცანების რეალიზება ხორციელდება შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

ფასების დონის მაჩვენებლები

ფასების სტრუქტურის მაჩვენებლები

ფასების ვარიაციის მაჩვენებლები

ფასების ელასტიურობის მაჩვენებლები

ფასების დინამიკის მაჩვენებლები

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) ასახავს ფასების საშუალო ცვლილებას საქონლისა და მომსახურების ფიქსირებულ კალათაზე, რომელსაც მოხმარებისათვის შეიძენს ქალაქის მოსახლეობა. საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებიც გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად, გროვდება საქართველოს ზუთი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში – მაღაზიებში, ბაზრებში, ბენზინგასამართ სადგურებში, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა ობიექტებში. სამომხმარებლო კალათაში შემავალი 282 დასახელების საქონლისა და მომსახურების შეწონვის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია შინამეურნეობათა გამოკვლევის საფუძველზე სფი-ის გაანგარიშების ბაზაა 2006 წლის დეკემბერი.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ითვლება მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლად, რომელიც ახასიათებს ინფლაციის დონეს და გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილების დონესთან დაკავშირებული პროცესების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიანგარიშება ლასპერის ინდექსით:

$$I = \frac{\sum P_1 Q_0}{\sum P_0 Q_0}$$

სადაც: P_1 - კონკრეტული საქონლის (მომსახურების) ფასია (ტარიფია) საანგარიშო პერიოდში.

P_0 - კონკრეტული საქონლის (მომსახურების) ფასია (ტარიფია) საბაზისო პერიოდში პერიოდში.

q_0 - კონკრეტული საქონლის (მომსახურების) ფიზიკური მოცულობა საბაზისო პერიოდში.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან გაიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta I_t = \frac{I_t - I_{t-1}}{I_{t-1}} \times 100$$

სადაც: ΔI_t არის სფი-ის პროცენტული ცვლილება წინა თვესთან, I_t - საანგარიშო თვის სფი, I_{t-1} - წინა თვის სფი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2002-2008 წლებში ასე გამოიყურება.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	105.6	104.8	105.7	108.2	109.2	109.2	110.0
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	105.4	107.0	107.5	106.2	108.8	111.0	105.5
საშუალო წლიური 1995 წლის საშუალო წლიურთან	211.9	222.0	234.6	253.9	277.2	302.8	333.1

როგორც ცხრილიდან ჩანს სამომხმარებლო ფასების ინდექსი ყოველ წელს წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ იზრდება, ხოლო 1995 წელთან შედარებით ძალზედ დიდია ზრდა.

შემოღების პერიოდს ემთხვევა თვით ინფლაციის“ ცნება წარმოშობილია inflatio ინფლაცია“ ხმარებაში შემოვიდა ჩრდილოეთ ამერიკაში

X

ეკონომიკური სისტემის მომლით აღსანიშნავია რომ ინფლაციის“

XX

ინფლაციას იწვევს ფულის მიმოქცევის არხების ჭარბი, ზედმეტი ფულის მასით ავსება შესაბამისი სასაქონლო უზრუნველყოფის ანუ სასაქონლო მასის ადექვატური ზრდის გარეშე. შედეგად იზრდება ფასები როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო დანიშნულების საქონელზე, ძვირდება მოსახლეობის საარსებო საშუალებები, ბიზნესსა და მენეჯმენტში პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულება, ეცემა მოგება. მთავრობა რიგ შემთხვევებში, იძულებულია გაატაროს დეზინფლაციური ღონისძიებანი მიმოქცევიდან ფულის მასის ამოღების პოლიტიკა გადასახადების გაზრდის, შრომის ანაზღაურების შემცირების, საკრედიტო რესტრიქციის ანუ საკრედიტო თანხების შემცირების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის, აგრეთვე, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსების შემცირებისა და სხვა ღონისძიებების გატარების გზით.

ინფლაციური მოვლენები მრავალი, სხვადასხვა ნიშნით შეიძლება დავაჯგუფოთ ანუ მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია. ამ ნიშნებიდან ყველაზე მთავარია ინფლაციის სისწრაფე. ამ ნიშნით ინფლაცია შეიძლება იყოს „მცოცავი“ (მჟღავნდება ფასების თანდათანობით ზრდაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე), „ჭენებადი“ (მჟღავნდება ფასების ნახტომისებურ ზრდაში) და ჰიპერინფლაცია (ბერძნული ჰნპერ - ზევით) (მჟღავნდება ფასების ძალზე მაღალი ზრდის ტემპებში). მიღებულია, რომ თვეში 50%-მდე ფასების ზრდა ჭენებადია, ხოლო 50%-ზე ზევით ჰიპერინფლაციაა. ამის გარდა ინფლაცია შეიძლება იყოს ღია (რომელიც კარგად ჩანს სამომხმარებლო საქონელსა და საწარმოო რესურსებზე ფასების ზრდით) და დახურული (რაც გამოწვეულია სასაქონლო დეფიციტით და ჩანს არაპირდაპირ, წარმოების დანახარჯების გაღიდებითა და მოგების თანდათანობითი შემცირებით ბიზნესში).

ინფლაციის სიდიდეს (დონეს) სტატისტიკაში ზომავენ პროცენტულად საანგარიშო და საბაზისო პერიოდების სამომხმარებლო ფასების ინდექსების საფუძველზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_{\text{ინფლ}} = \frac{I_{P_1} - I_{P_0}}{I_{P_0}} \cdot 100$$

სადაც $I_{\text{ინფლ}}$ - ინფლაციის დონე პროცენტულად;

I_{P_1} - საანგარიშო პერიოდის ფასების ინდექსი;

I_{P_0} - საბაზისო პერიოდის ფასების ინდექსი.

მოცემული ფორმალა ასედაც შეიძლება ჩაიწეროს:

$$I_{\text{ინფლ.}} = \left(\frac{I_{p_1}}{I_{p_0}} - 1 \right) \cdot 100$$

მაგალითი. როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა საქართველოში 2007 წელს

შეადგინა: $I_{p_0} = 9.2$, ხოლო 2008 წელს $I_{p_1} = 10.0$
ცხადია ამ პერიოდში ინფლაციის დონე შეადგენს:

$$I_{\text{ინფლ.}} = \frac{I_{p_1} - I_{p_0}}{I_{p_0}} \cdot 100 = \frac{10.0 - 9.2}{9.2} \cdot 100 = 8.7\%$$

ე.ი. საქართველოში ინფლაციის პროცენტი 2007-2008 წლებში შეადგენდა: 8.7 %

ცხადია, ინფლაციის ეს მაჩვენებლები ასახულია შესაბამისი წლების მიხედვით გაანგარიშებული ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინდიკატორის სიდიდეებში, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. 2003 წ., მაგალითად, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ მიმდინარე ფასებში (ნომინალური სიდიდე) შეადგინა 8564 მლნ ლარი, ხოლო 2007 და 2008 წლებში, შესაბამისად 16994 მლნ და 19070 მლნ ლარი. მაშასადამე 2008 წელს საქართველოში ნომინალური მთლიანი პროდუქტი გაიზარდა 2007 წლის მიმართ 1,12-ჯერ ანუ 12%-ით, ხოლო 2003 წლის მიმართ 2,23-ჯერ, ანუ 123%-ით. მაგრამ ეს მაჩვენებლები არაა რეალური, ვინაიდან მათი ნაწილი გადიდებულია არა რეალურად ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების, არამედ ინფლაციის ხარჯზე. როგორ გამოვითქვით ინფლაციის გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და დაავადგინოთ მათი დინამიკის რეალური სურათი?

ამისათვის მსოფლიო სტატისტიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. დეფლიტირების მეთოდი. დეფლიტირება ეწოდება ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ინფლაციის გავლენის გამოთიშვის პროცესს, რომლის განხორციელების მიზნებისათვის გამოიყენება დეფლატორები.

დეფლატორი (ლათ. დეფლუცტო) ეწოდება კოეფიციენტს, რომელიც გამოიყენება ფულად გამოსახულებაში გაანგარიშებული ეკონომიკური მაჩვენებლების გადასაანგარიშებლად, წინა პერიოდის დონესთან მათი საერთო მნიშვნელამდე დაყვანის მიზნით. რიცხობრივად იგი უდრის ფასების ზრდის ინდექსს. მსოფლიო სტატისტიკურ თეორიას და პრაქტიკაში დეფლიტირების პროცესის საში ძირითადი მეთოდია გამოყენებული.

ერთმაგი დეფლიტირების, ორმაგი დეფლიტირებისა და ეკონომიკური მაჩვენებლის ფიზიკური მოცულობის დინამიკის დეფლიტირების მეთოდი.

ერთმაგი დეფლიტირების პროცესში დეფლატორებად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ან მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსი (მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსია ამ მაჩვენებლის საანგარიშო პერიოდის ანუ მიმდინარე ფასებით გამოსახული სიდიდისა და იმავე მაჩვენებლის საბაზისო პერიოდის ფასებში გამოსახული სიდიდეების განაყოფი). სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ღირებულების ინდექს-დეფლატორისაგან განსხვავებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექს-დეფლატორი ასახავს, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის და წმინდა გადასახადების ნომინალური მასის ცვალებადობას, რაც გამოწვეულია ფასების ცვალებადობით.

ინდექს-დეფლატორი მთელს მსოფლიოში იანგარიშება პააშეს ფასების ინდექსით:

$$I_{\text{დეფლ.}} = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_1}$$

სადაც, წილადის მრიცხველი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა საანგარიშო პერიოდის ფასებით, ხოლო მნიშვნელი იგივე მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა საბაზისო პერიოდის ფასებით.

ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლის (ამ შემთხვევაში მიმდინარე ფასებით გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლირება) წარმოებს მიმდინარე პერიოდში ამავე მიმდინარე პერიოდის ფასებით გამოსახული ნომინალური სიდიდის ინდექს-დეფლატორზე გაყოფით

$$\sum q_1 P_0 = \frac{\sum q_1 P_1}{I_{\text{დეფლ.}}}$$

მაგალითი. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2003 წელს შეადგინა 8564 მლნ ლარი, ხოლო 2008 წელს 19070 მლნ ლარი. ზრდამ 222.7%, ანუ მოიმატა 122.7%-ით. ამ წლებში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 1,05-ჯერ, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ინდექს-დეფლატორად. მაშასადამე 2008 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი 2003 წლის ფასებში შეადგენს:

$$\sum q_1 P_0 = \frac{\sum q_1 P_1}{I_{\text{დეფლ.}}} = \frac{19070}{1.05} = 18161.9 \quad \text{მლნ. ლარს}$$

მაშასადამე, ამ წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობა გაიზარდა 2,12-ჯერ.

ორმაგი დეფლატირების მეთოდი გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის საწარმოო მეთოდით გაანგარიშების კვალობაზე თვით წარმოების ღონეზე ეკონომიკის დარგების მიხედვით. დარგების

მიხედვით წარმოებს როგორც პროდუქციისა და მომსახურების მთლიანი გამოშვების, ასევე შუალავამოშვებისათვის დეფლატორად გამოიყენება მთლიანი გამოშვების ფასების პაშეს ინდექსი, ხოლო შუალედური მოხმარებისათვის - მოხმარებული ნედლეულის, მასალების, სათბობის, ნახევარფაბრიკატებისა და სხვათა ფასების დეფლატორი).

მაშასადამე, პირველ ეტაპზე ეკონომიკის ცალკეული დარგების მიხედვით გაიანგარიშება გამოშვება შესადარის ფასებში (მიმდინარე ფასებში მთლიანი გამოშვების ფასების ინდექსზე ანუ დეფლატორზე გაყოფით), მეორე ეტაპზე - შუალედური მოხმარება შესადარის ფასებში (შუალედური მოხმარება მიმდინარე ფასებში გაყოფილი შუალედური მოხმარების ელემენტების ფასების დეფლატორზე ანუ ინდექსზე), ხოლო მესამე ეტაპზე - მათი სხვაობით (გადაფასებულ მთლიან გამოშვებას გამოკლებული გადაფასებული შუალედური მოხმარება) მიიღება დამატებული ღირებულება საბაზრო პერიოდის ფასებით. დარგების მიხედვით გაანგარიშებულ დამატებულ ღირებულებათა ჯამი გვაძლევს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურ ღირებულებას.

დეფლატირების მესამე მეთოდი გულისხმობს საბაზისო პერიოდის დამატებული ღირებულების

$$\sum q_0 P_0$$

ექსტრაპოლაციას პროდუქციისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოყენებით.

ეს ასე შეიძლება ჩაიწეროს:

$$\sum q_1 P_0 = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0} \times \sum q_0 P_0$$

სადაც,

$$\sum q_1 P_0$$

პროდუქციის დამატებული ღირებულებაა შესადარის ფასებში;

$$\frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0}$$

პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსია;

$$\sum q_0 P_0$$

საბაზისო პერიოდის დამატებული ღირებულებაა.

ინფლაციური მოვლენები და პროცესები ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინერციის კანონების ძალით დიდხანს ინარჩუნებენ განვითარების ჩამოყალიბებულ ტენდენციებს. ამას კარგად ითვალისწინებენ ბიზნესმენები და აწარმოებენ ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერჯის, ნახევარფაბრიკატების ან მთლიან მზა პროდუქციის წინასწარ შესყიდვას, რითაც ფასთასხვაობით ღებულობენ მოგებას. ასეთ მოგებას დასავლეთის ეკონომისტები ჰოლდინგურ მოგებას უწოდებენ. ასეთი საქმიანობა დაკავებული არა მარტო ცალკეული ბიზნესმენები, არამედ სპეციალური მსხვილი ჰოლდინგური კომპანიებიც და კორპორაციებიც. ეს კომპანიები, უმეტეს შემთხვევებში, არ ფლობენ რაიმე სახის თავიანთ საწარმოო პოტენციალს და ჰოლდინგური ოპერაციებით მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ ცალკეული ფირმების აქციათა საკონტროლო პაკეტში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ინფლაციის მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა:

წლიური ინფლაცია		
	წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან), %	საშუალო წლიური ინფლაცია (12 თვის საშუალო), %
იანვარი-96	42,9	127,6
იანვარი-97	11,8	36,3
იანვარი-98	6,7	6,7
იანვარი-99	13,2	4,1
იანვარი-00	8,5	18,6
იანვარი-01	4,9	3,8
იანვარი-02	4,7	4,7
იანვარი-03	5,5	5,6
იანვარი-04	5,2	4,8
იანვარი-05	9,3	6,1
იანვარი-06	5,2	7,9
იანვარი-07	10,4	9,6
იანვარი-08	10,7	9,3
იანვარი-09	4,4	9,4
იანვარი-10	2,7	1,6
თებერვალი-10	5,6	1,9
მარტი-10	5,8	2,2
აპრილი-10	5,6	2,6
მაისი-10	4,0	2,7
ივნისი-10	3,7	2,8

თემა 6. საფონდო ბირჟების და ფასიანი ქაღალდების სტატისტიკა

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე, ისეთი მსხვილი ფინანსური ცენტრების ბირჟებზე, როგორცაა ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი, ტოკიო, ციურიხი. შეგახსენებთ, რომ გარდა საფონდო (სავალუტო) ბირჟებისა (Stock Exchanges) არსებობს ასევე სასაქონლო ბირჟები (Commodity Exchanges), სადაც მიმდინარეობს ვაჭრობა გარკვეული საქონლითა და პროდუქტებით (ფერადი ლითონებით, ბამბით, შაქრით და ა.შ.).

ბირჟები ვითარდებიან რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში. პირველი მათგანი

ჩამოყალიბდა ანტვერპენში 1531 წელს, შემდეგ ლონდონში 1561 წელს, ნიუიორკში უოლ ტრიტზე 1792 წელს. ბირჟა უოლ სტრიტზე ნიუ-იორკში წარმოადგენს კერძო საზოგადოებას, რომელიც ერთიანებს დაახლოებით 1500 წევრს. ამ ბირჟის რომელიმე წევრის სიკვდილის შემთხვევაში, მს ადგილს ყიდიან აუქციონზე მასზე, ვინც მეტს გადაიხდის. დასავლეთის ყველა ქვეყანაში ბირჟებს აკონტროლებს სპეციალური სახელმწიფო ორგანო, აგალითად, აშშ-ში — საფონდო ბირჟების საქმეებისა და ფასიანი ქაღალდების კომისია. ლესდღობით მსოფლიოს უდიდესი ბირჟა ტოკიოშია. მასში ხდება 1520 საწარმოს ქციის კოტირება.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა წარმოებს ე.წ. საბირჟო დროს, მაგალითად, ნიუიორკის ბირჟაზე: 8—12-მდე და 13.30—16 საათამდე.

მყიდველისა და გამყიდველის სახით ბირჟაზე შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ ბროკერი (მაკლერი) (Broker), რომელიც ასრულებს თავისი კლიენტების შეკვეთებს და ამისათვის ლეზულობს ბრუნვიდან გარკვეულ პროცენტს.

არსებობს ე.წ. საბროკერო ფირმები ან სამაკლერო კანტორები. ამერიკული ფირმებიდან მსხვილესია — „მერილ ლინჩი“, რომლის ქონებაც შეფასებულია 55 მილიარდ დოლარად. მასში დასაქმებულია

44 ათასი ადამიანი, რომლებიც მუდმივად ემსახურებიან 5 მილიონ კლიენტს.

ბაზარზე არსებული ფასების მოძრაობის ტენდენციების მიხედვით განასხვავებენ

ხარების ან დათვების ბაზარს.

ხარების ბაზარს (Bull Market) ადგილი აქვს, როდესაც ფასები იზრდება აქციების აქტიური შესყიდვის შედეგად.

დათვების ბაზრის (Bear Market) დროს, აქციების ფასები იკლებს ამ აქციებზე დაბალი მოთხოვნის არსებობის გამო, რაც ნიშნავს, რომ შეთავაზებული აქციები არ გაიყიდება ფასის დაკლების გარეშე.

როდესაც ვსაუბრობთ ბირჟებზე, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე, უნდა ვიცოდეთ რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.

საფონდო ბირჟა — ორგანიზაცია, რომლის წევრებსაც აქვთ უფლება იყიდონ და გაყიდონ ფასიანი ქაღალდები სხვა პირებისათვის.

სასაქონლო ბირჟა — სპეციალიზირებულია ოპერაციებზე, რომელიც დაკავშირებულია ძვირფას ლითონებთან, სათბობთან, უცხოურ ვალუტასთან და

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან (მარცვლეული, საქონელი,

შაქარი)

მარჟა — (მარჟით ვაჭრობა) ეს არის აქციების ყიდვა ფულით, რომლის ნაწილიც

სესხის სახით აღებულია ბროკერთან.

მარჟის განაკვეთი წინასწარ არის განსაზღვრული (მაგალითად, აშშ-ში ის განისაზღვრება ფედერალური სარეზერვო სისტემით). ფული, რომელიც

ბროკერთან იყო აღებული სესხის სახით, უკან უნდა დაუბრუნდეს

მას პროცენტებით. მარჟით ნაყიდი აქციები ბროკერთან ინახება გარანტის სახით.

აქციის დანაწევრება — როდესაც აქციონერებს ერთი აქციის მაგივრად აძლევენ 2 და მეტ აქციებს. მაგალითად, თუ I-ის აქცია ღირდა 150 დოლარი, ხოლო

ფირმამ მოახდინა აქციის დანაწევრება 5—1-თან მიმართებაში, მაშინ I-ის ერთი აქციის მფლობელი ავტომატურად გახდება 5 აქციის მფლობელი. მაგრამ ერთი აქციის ღირებულება იქნება არა 150 დოლარი, არამედ 30 დოლარი. უმთავრესად ეს კეთდება იმის გამო, რომ ინვესტორებს გაუადვილდეთ მთლიანი ლოტის (100 აქციის) შექმნა.

ლოტი — რომელიმე კომპანიის 100 აქცია.

ჯერადი ლოტი — აქციათა პარტია, რომელიც არის 100-ის ჯერადი.

დივერსიფიკაცია — ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც კაპიტალის ჩადება ხდება სხვადასხვა ფასეულობებში (ჩვენს შემთხვევაში, ფასიან ქაღალდებში),

რათა შევამციროთ ინვესტიციის რისკი. მაგალითად, ინვესტორმა შეიძლება ჩადოს თავისი კაპიტალის 30% სწრაფად ზრდად აქციებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი რისკი. კიდევ 30% კონსერვატორულ სახელმწიფო ობლიგაციებში. 15% — შემოსავლიან აქციებში, ხოლო დანარჩენი თანხა განათავსოს ბანკში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის და შემდგომში უფრო კარგი (პერსპექტიული) ფულის განთავსების (ინვესტიციის)

მოლოდინით. იმის გამო, რომ კაპიტალის გადანაწილება ხდება სხვადასხვა სექტორებში, მისი მთლიანად დაკარგვის ალბათობა დაყვანილია მინიმუმამდე. ინვესტიციური სტრატეგიის ეს ტიპი, როგორც წესი, იწოდება ინვესტიციური სტრატეგიის პორტფელად.

ჰედჯირება — ინვესტიცია, რომელიც იცავს ინვესტორს დანაკარგებისაგან სხვა

ინვესტიციაზე. ჰედჯირება არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რათა შეამცირონ თავიანთი რისკები მწარმოებლებმა, გადამამუშავებლებმა

და გამყიდველებმა, რადგან სუფთა სახით ჰედჯირება ნიშნავს საქონლისა და პროდუქციის ყიდვას და გაყიდვას ფიუჩერულ ბაზარზე — მიმდინარე სიტუაციიდან და სამომავლო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აქციების კოტირების (კურსის) ინდექსი (**Quotation Index**) — ეს არის ბირჟებზე უმნიშვნელოვანესი კურსის მაჩვენებელი. ის, როგორც წესი, აერთიანებს უმსხვილესი საწარმოების აქციების

კურსს. აქციების კოტირების ინდექსი წარმოადგენს ბირჟაზე კლიმატის თავისებურ ინდიკატორს.

საბირჟო ინდექსები წარმოადგენენ საფონდო ვაჭრობისა და ცალკეულ დარგებში მდგომარეობის სტატისტიკური განზოგადების, კვლევისა და პროგნოზირებისათვის საკვანძო მაჩვენებელს. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს აქციის კურსის ცვლილების უბრალო საშუალო არითმეტიკულს, ზოგი კი წარმოადგენს ინდექსს ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, ანუ საშუალო შეწონილ სიდიდეს. ბევრი ინდექსი გამოდის, როგორც საფონდო ვაჭრობის დამოუკიდებელი ობიექტი: ამ ინდექსების მიხედვით ფორმდება ფიუჩერულული

კონტრაქტები, გამოიწერება ოფციონები და ოფციონები ფიუჩერულ კონტრაქტებზე. დოუ-ჯონსის ინდექსი შექმნეს 1884 წელს ჩარლზ დოუმ (**Charles Dow**) და ედუარდ ჯონსმა (**Eduard Jones**) (აქედან შემოკლებულია დოუ-ჯონსი). თავდაპირველად მათ აიღეს იმდროინდელი 11 მთავარი კორპორაციის აქციების ღირებულება. მათ შეკრიბეს ამ აქციათა ფასი და გაყვეს 11-ზე. ინდექსი მოდერნიზებული იქნა 1928 წელს. იგი განისაზღვრება დღის განმავლობაში ყოველ საათში. არსებობს დოუ-ჯონსის ოთხი ინდექსი:

1. დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი (**DJIA**) — არის 30 მსხვილი სამრეწველო კორპორაციის აქციების კურსის ცვლილების საშუალო მაჩვენებელი (მათ შორის ორი კომპანია — „**ameriken eqspres**“ და „**ameriken telefon end telegraf**“ არ შეიძლება ჩაითვალოს სამრეწველოდ, მაგრამ ისინი შედიან ამ ინდექსში).

დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი წარმოადგენს საფონდო ბაზრების ყველა მაჩვენებელთა შორის ყველაზე ძველსა და ყველაზე მეტად გავრცელებულს. მისი შემადგენლობა არ არის უცვლელი, მისი კომპონენტები შეიძლება შეიცვალოს აშშ-ს ეკონომიკისა და ბაზარზე მსხვილი სამრეწველო კორპორაციის მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, თუმცა თანამედროვე პირობებში ასეთი შემთხვევები იშვიათია.

McDonald's Corporation არის პირველი საცალო ვაჭრობის ფირმა, რომელიც ვაჭრობს კვების პროდუქტებით და მოხვდა დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსში

იმ 30 კომპანიის აქციათა ჩამონათვალი, რომელიც ჩართულია დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსში

Alcoa, Exxon-Mobil, McDonald's, American Express, General Electric, Merck, AT&T Corp, General Motors, Microsoft, Boeing, Hewlett-Packard, MN Mining Manufacturing (3M), Caterpillar, Home Depot, Morgan JP, Citigroup, Honeywell, Philip Morris, Coca Cola, IBM, Procter & Gamble, Disney, Intel, SBC Communications, DuPont, International Paper, United Technologies, Eastman Kodak, Johnson & Johnson, Walmart.

2. დოუ-ჯონსის სატრანსპორტო ინდექსი (DJTA)

არის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს 20 სატრანსპორტო კორპორაციის (ავიაკომპანიის, სარკინიგზო კორპორაციისა და საავტომობილო გზების კომპანიის) აქციების ფასების მოძრაობას.

3. დოუ-ჯონსის კომუნალური ინდექსი (DJUA) — საშუალო მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გაზისა და ელექტრომომარაგებელი 15 კომპანიის აქციების კურსის ცვლილებებს.

4. დოუ-ჯონსის კრებითი ინდექსი (The Dow Jones Composite) (ცნობილია აგრეთვე დასახელებით ინდექს-65) — მაჩვენებელი, რომელიც დგება სამრეწველო, სატრანსპორტო და კომუნალური ინდექსების ბაზაზე.

დოუ-ჯონსის ინდექსის გარდა აშშ-ში გავრცელებულია ისეთი ინდექსები, როგორცაა: ინდექსი „**sTendard end fuarz-500**“ (წარმოადგენს 500 კორპორაციის აქციების საბაზრო ღირებულების საშუალო შეწონილს. მასში შედის 400 სამრეწველო კორპორაცია, 20 სატრანსპორტო, 40 საფინანსო და 40 კომუნალური კომპანია), ინდექსი „**sTendard end fuarz-100**“, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ინდექსი, ამერიკის საფონდო ბირჟის ძირითადი საბაზრო ინდექსი (წარმოადგენს 20 წამყვანი სამრეწველო კორპორაციის აქციების ფასის

ცვლილების საშუალო მაჩვენებელს), ამერიკის საფონდო ბირჟის საბაზრო ღირებულების ინდექსი (წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება მასში კომპონენტების სახით ჩართული

კორპორაციების მიერ გამოშვებული ყველა აქციის საბაზრო ღირებულების მიხედვით. პირველად იგი გამოქვეყნებული იყო 1973 წელს და 1983 წლის ივლისამდე აერთიანებდა

100 პუნქტს. 1993 წლის ივლისში მოხდა მისი კოტირება. იგი მოიცავს კომპონენტების სახით 800 გამოშვების აქციებს). როდესაც ვსაუბრობთ ფასიან ქაღალდებსა და საფონდო ბირჟებზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ **NASDAQ**-ი.

აშშ-ის საფონდო ბირჟების შესახებ 1934 წელს მიღებულ კანონში 1938 წელს შეტანილი იქნა საყოველთაოდ ცნობილი ე.წ. მელონის შესწორებები, რომლის შესაბამისად, დაარსდა ფასიანი ქაღალდების დილერთა ნაციონალური ასოციაცია (**NASD**)

NASD-ს ზედამხედველობს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია. იგი არის უზარმაზარი თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, რომლის წევრებს აქტიურად წარმოადგენენ აშშ-ს ყველა ის ბროკერ-დილერები, რომლებიც დაკავებულნი არიან ფასიანი ქაღალდების ბიზნესით.

NASDAQ-ის აქციების ბაზარი არის ყველაზე უფრო მოწინავე ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც იმართება და რეგულირდება **NASD**-ის მიერ. იგი წარმოადგენს უზარმაზარ ელექტრონულ, დემონსტრირებულ (ეკრანულ) აქციების ბაზარს. იყენებს რა მოწინავე კომპიუტერულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, სადაც ჩართულნი არიან მონაწილეები, **NASDAQ**-ი აძლევს უფლებას მონაწილე ფირმებს საკუთარი და ინვესტორების ხარჯზე რეალურ დროში შეასრულონ გარიგებები. **NASDAQ**-ი ტრადიციული ბირჟებისაგან გამოირჩევა ბაზრის შემქმნელების (**Market Makers**) მრავალფეროვნებით, რომლებიც ღია კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ინვესტორების დავალებების შესრულებაზე. დაარსდა რა 1970 წელს, დღესდღეობით **NASDAQ**-ზე ხდება ამერიკის ბაზარზე აქციებით შესრულებული გარიგებების ნახევარზე მეტი და იგი წარმოადგენს მსოფლიოში მეორე ბაზარს ვაჭრობის მოცულობით.

NASDAQ-ში უფრო მეტი ადგილობრივი და საზღვარგარეთული კომპანიაა ლისტინგში შეტანილი, ვიდრე აშშ-ის ყველა სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ერთად აღებული. ყოველწლიურად **NASDAQ**-ზე აქციების წლიური ბრუნვა მიახლოებით შეადგენს 100- 102

მილიარდ ცალს, რაც თანხობრივად უდრის 2,4-2,5 ტრილიონ დოლარს. აქციების საშუალო დღიური ბრუნვა შეადგენს 400-402 მილიონ ცალს, ხოლო თანხობრივად — 9,4-9,6 მილიარდ დოლარს. **NASDAQ**-ის ლისტინგში ჩართულია მიახლოებით 5200 კომპანიის აქციები და რეგისტრირებულია მიახლოებით 520 ბაზრის შემქმნელი. სხვა ქვეყნების ინდექსებიდან აღსანიშნავია ინგლისში:

„**FT-30**“ — უძველესი ინდექსია ინგლისში (1935 წ.);

„**FT-100**“ — ყველაზე პოპულარული ინდექსი ინგლისში, იანგარიშება 100 კომპანიის აქციის კურსიდან;

„**FT-250**“ — გამოითვლება საშუალო სიდიდის კომპანიების აქციების კურსიდან, ეს ის შემდეგი 250 კომპანიაა, „**FT-100**“-ში შემავალ კომპანიებს რომ მოსდევს.

„**FT-350**“ — აერთიანებს ინდექსს „**FT-100**“ და „**FT-250**“.

საერთო ინდექსი **FT** დიდ ბრიტანეთში ყველაზე უფრო მომცველი ინდექსია, იანგარიშება 750 კომპანიის აქციათა კურსის მიხედვით დღეში ერთხელ.

იაპონიის ძირითადი ინდექსებია:

ნიკეი (**Nikkei**) 1950 წლიდან იანგარიშება ტოკიოს ბირჟის ერთი სექციის 225 აქციის ბაზაზე დოუ-ჯონსის ინდექსის მსგავსად.

კლასიკური ინდექსი **TOPIX** 1968 წლიდან იანგარიშება ტოკიოს ბირჟის ერთი სექციის ყველა აქციიდან.

გერმანიაში ძირითადი საფონდო ინდექსია **DAX** — იანგარიშება 30 აქციის ბაზაზე. იანგარიშება აგრეთვე კომპოზიტიური ინდექსი **CDAX** — 320 აქციის ბაზაზე. საფრანგეთში ძირითადი საფონდო ინდექსი **CAC-40** და გენერალური ინდექსი **CACGeneral**, იგივე **SBF 250**.

CAC-40 იანგარიშება საფრანგეთის ბირჟების საზოგადოების მიერ 40 უმსხვილესი კომპანიის აქციების ბაზაზე.

1993 წლიდან „უოლ სტრიტ ჯორნელ“ აქვეყნებს „დოუ-ჯონსის“ მსოფლიო ინდექსს, (**Dow Jones World Stock Index**), რომელიც ითვლება 13 ქვეყნის 2200 კომპანიის აქციებით.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ჩანასახობრივ სტადიაშია. „საქართველოს საფონდო ბირჟა“ არის სააქციო საზოგადოება და მოქმედებს „შეწარმეთა

შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. მისი სრული სახელწოდებაა: ქართულად — სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“; ინგლისურად — **GSE**.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა (ფინანსური კრიზისი, აგვისტოს მოვლენები) მკვეთრად შეამცირა აქტივობა საფონდო ბაზარზე და შეაფერხა მიმდინარე განვითარების პროცესები. მიუხედავად სირთულეებისა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო საანგარიშო პერიოდში განაგრძობდა აქტიურ თანამშრომლობას ბაზრის მონაწილეებთან და ატარებდა ღონისძიებებს ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის.

ბირჟის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ბირჟის საქმიანობის საგანია:

- ა) ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება;
- ბ) ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესების და პროცედურების შესაბამისად;
- გ) საბირჟო ვაჭრობების შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
- დ) კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა. ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათას) ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 3 000 000 (სამ მილიონ) ცალ აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 (ერთ მეასედ) ლარს.

GSX ინდექსი (შემდგომში - „ინდექსი“) წარმოადგენს ბირჟის სავაჭრო სისტემის ოფიციალურ ინდიკატორს და მისი გაანგარიშება და გამოქვეყნება ხდება ქვემოთ მოყვანილი წესების მიხედვით. ინდექსის პორტფელი, ან ინდექსის ბაზა წარმოადგენს ფასიანი

ქალაქების ნუსხას, რომლის საფუძველზეც დგება ინდექსი. ინდექსის ბაზაში, ძირითადად, შედის სავაჭრო სისტემის ლისტიგში არსებული ფასიანი ქალაქები.

„საქართველოს საფონდო ბირჟის“ GSX საფონდო ინდექსის ბაზა

№	კოდი	დასახელება
1	BANK	სს „ლიბერთი ბანკი“
2	GEB	სს „საქართველოს ბანკი“
3	UTC	სს „გაერთიანებული ტელეკომი“
4	NRGY	სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“
5	GTC	სს „ლიბერთი კონსუმერი“
6	WINE	სს „თელიანი ველი“
7	TSIF	სს „თბილისის სასკოლო ინვესტიციების ფაბრიკა“
8	AEST	სს „თელასი“
9	ENIS	სს „სარაჯიშვილი“
10	UGB	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

საქართველოს ფასიანი ქალაქების ბაზარი 2009 წლისთვის წარმოდგენილი იყო ბაზრის შემდეგი ლიცენზირებული მონაწილეების სახით: 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქალაქების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია და 8 რეგისტრატორი.

საქართველოს საფონდო ბირჟის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2009 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს საფონდო ბირჟის სისტემაში დაშვებული იყო 146 ემიტენტის ფასიანი ქალაქი. მოცემული პერიოდისთვის ფასიანი ქალაქების გარიგებათა საერთო მოცულობამ შეადგინა: 98.9 მლნ ლარის ღირებულების 3 მლრდ ცალი ფასიანი ქალაქი. აქედან ბირჟის სავაჭრო სესიაზე დადებულ გარიგებათა მოცულობაა 12.7 მლნ ერთეული, ღირებულებით – 3.1 მლნ ლარი, ხოლო ბირჟის გარეთ დადებულ გარიგებათა მოცულობა – 3 მლრდ ერთეული, ღირებულებით – 95.8

მლნ ლარი. დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო მოცულობაში რეგისტრატორების მიერ ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა მოცულობას 98.3 პროცენტი, ხოლო ღირებულებას 94.1 პროცენტი უჭირავს (მოცულობით 2,9 მლრდ ცალი, ღირებულებით – 90.1 მლნ ლარი). საბროკერო კომპანიების მიერ ბირჟაზე დადებულ და დაფიქსირებულ გარიგებათა რაოდენობამ შეადგინა 3,186, ფასიანი ქალაქების მოცულობამ – 126.1 მლნ ერთეული, ხოლო ღირებულებამ – 17.6 მლნ ლარი.

ფასიანი ქალაქი ეწოდება ფულად ან სასაქონლო დოკუმენტს, რომელიც მფლობელს განსაზღვრული ქონების ან ფულადი შემოსავლის მიღების უფლებას აძლევს.

მისი სახეებია:

ობლიგაცია (ობლიგატიო) ნიშნავს ვალდებულებას და ერთერთი გავრცელებული ფასიანი ქალაქია. ობლიგაციის მფლობელმა შეიტანა ფულადი სახსრები მოცემული ფასიანი ქალაქის შესაძენად და ობლიგაციის გამომშვები (ანუ ემიტენტი), როგორც ემისიონერი, ვალდებულია წარმოდგენისთანავე გაანაღდოს ის ნომინალური ღირებულების მიხედვით, რასაც დაფარვას უწოდებენ.

აქცია (აქციონ) - ფასიანი ქალაქია, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მიერ წილის შეტანას აქციონერული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. აქციონერს უფლება აქვს მიიღოს აქციონერული საზოგადოებიდან წილი დივიდენდის სახით ან კიდევ გაყიდოს საფონდო ბირჟაზე შესაბამისი სააქციო კურსის მიხედვით.

თამასუქი (წეცქსელ გაცვლა) გრძელვადიანი ფასიანი ქალაქია, რომელიც შედგენილია წერილობითი ფორმით. თამასუქი, ამ ფასიანი ქალაქის მფლობელს აძლევს კანონით აღიარებულ უფლებას, მიიღოს ფულადი ვალი გასაზღვრული პირობებით დაფიქსირებული ვადის განმავლობაში.

დეპოზიტური სერტიფიკატი (დეპოზიტი წარმოშობილია ლათინური სიტყვა დეპოსიტუმ-ისაგან, რაც ნიშნავს შესანახად დატოვებულს, მაგალითად, ფულადი ანაბრები ბანკში - საბანკო დეპოზიტები, ხოლო სიტყვა სერტიფიკატი ლათინური სიტყვა ცერტიფიკო-ისაგანაა წარმოშობილი და ნიშნავს „ვამოწმებ“) ფასიანი

ქალაქი, რომელიც ადასტურებს სერთიფიკატის მფლობელის მიერ ფულადი სახსრების ბანკში ჩადებას.

ჩეკი დადგენილი ფორმის ფულადი ფასიანი ქალაქია. ის უპირო განკარგულებაა იმის თაობაზე, რომ ჩეკის მფლობელზე (პიროვნებაზე, რომელზედაც გაიცა ჩეკი) შესაბამისმა საკრედიტო დაწესებულებამ უნდა გასცეს შესაბამისი თანხა. „ბანკში ეს თანხა ჩამოიწერება ჩეკის გამცემის საჩეკო ანგარიშებიდან და გადაიგზავნება ან უშუალოდ გაიცემა ბანკის მიერ ჩეკის მფლობელზე. ასეთი საჩეკო ოპერაცია წინასწარაა გათვალისწინებული საჩეკო ხელშეკრულებაში ბანკსა და ჩეკის გამცემს შორის“.

სტატისტიკა საფონდო ბირჟასა და ფასიან ქალაქებს შეისწავლის როგორც მოცულობითი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით. თითოეული მათგანი განიხილება ფასიანი ქალაქების პირველადი და მეორადი ბაზრების მიხედვით.

პირველად ბაზარზე ხდება ფასიანი ქალაქების ემისია (გამოშვება) და მათი განთავსება საფონდო ბირჟაზე, ხოლო მეორად ბაზარზე - გარიგებანი და გაყიდვები.

ორთავე ბაზარზე მოქმედებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ბიზნესი და მენეჯმენტი. სახელმწიფო უშვებს, მაგალითად, სახელმწიფო მოკლევადიან ობლიგაციებს და ფედერალური სესხების ობლიგაციებს. ფასიანი ქალაქები შეუძლია გამოუშვას, აგრეთვე, ადგილობრივი, მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებმაც.

პირველადი ბაზრის მოცულობითი სტატისტიკური მაჩვენებლებია: ფასიანი ქალაქების გამოშვების (ემისიის) მოცულობა, ბაზარზე განთავსების მოცულობა, გაყიდვიდან ამონაგების მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტში (თუ ეს ეხება სახელმწიფოსა და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებულ ფასიან ქალაქებს) თანხების მოზიდვის მოცულობა.

ემისიის ანუ გამოშვების მოცულობა განისაზღვრება გამოშვებული ფასიანი ქალაქების გადამრავლებით ნომინალურ ანუ საბაზრო ღირებულებაზე.

ფასიანი ქალაქების ბაზარზე განთავსების საერთო მოცულობა განისაზღვრება აუქციონებზე ინვესტორების რაოდენობის გადამრავლებით ნომინალურ ფასზე.

ფასიანი ქალაქების გაყიდვებისაგან მიღებული ამონაგები განისაზღვრება გაყიდული ფასიანი ქალაქების რაოდენობის მათ ფაქტიურ ფასებზე გადამრავლებით.

ბიუჯეტში გაყიდვებისაგან მოზიდული თანხები განისაზღვრება მთლიანი სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქების გაყიდვის ღირებულებასა და დაფარვის თანხების შორის სხვაობით.

სტატისტიკა შეისწავლის, აგრეთვე, თვით საფონდო ბირჟის მუშაობის საფინანსო-ეკონომიკურ როგორც მოცულობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საფონდო ბირჟის, როგორც ორგანიზებული ერთეულის საერთო ხასიათის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები ისეთივეა, როგორცაა ჩვეულებრივი როგორც საფინანსო ისე არასაფინანსო სექტორის მაჩვენებელთა სისტემა (გამოშვებული პროდუქციის ან მომსახურების საერთო მოცულობა, მომუშავეთა რიცხოვნობა, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, მოგება-ზარალი, რენტაბელობა და სხვ.). საფონდო ბირჟის სპეციფიკური ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლებია:

ბირჟის ტევალობა, ლიკვიდურობა, კონცენტრაცია, „შეფასებალობა“, სტრუქტურა, შემოსავლიანობა და სხვ.

ბირჟის ტევალობა ანუ ბაზრის მოცულობა არის ლისტინგ გავლილი ემიტენტებისა (აქციების, ობლიგაციების და სხვ.) და კაპიტალიზაციის (ბაზრის მასშტაბის - აქციების ღირებულების) საერთო მოცულობა. ამ მაჩვენებლით შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის საფონდო ბირჟები. მსოფლიოში გამოირჩევა ყველაზე დიდი ტევალობის 10 საფონდო ბირჟა.

მათ შორისაა:

ნიუ-იორკის (აშშ) (10,0 ტრილიონ დოლარზე მეტი მოცულობის)

ნასდაკის (აშშ) (5,0 ტრილიონზე მეტი ტევალობის)

ტოკიო (იაპონია) (2,4 ტრილიონზე მეტი ტევალობის)

ლონდონის (ინგლისი) (2,3 ტრილიონზე მეტი ტევალობის)

გერმანიის (1,0 ტრილიონზე მეტი)

პარიზის (საფრ.) (991,0 მლრდ დოლარზე მეტი)

შვეიცარიის (689,0 მლრდ დოლარზე მეტი)

ამსტერდამის (603,0 მლრდ დოლარზე მეტი)

იტალია (569 მლრდ დოლარზე მეტი)

ტორონტო (543,0 მლრდ დოლარზე მეტი)

ბირჟის ლიკვიდურობა ნიშნავს ბირჟის მთლიანი საბრუნავი კაპიტალის გადაქცევის სისწრაფეს ფულად კაპიტალში, ანუ ვაჭრობის სისწრაფეს. მისი პირდაპირი მაჩვენებლებია ბრუნვადობის კოეფიციენტი K და ბრუნვადობის დღეები t

$$K = \frac{Q}{S}$$

სადაც, Q - ბირჟაზე გარიგებათა მთლიანი ღირებულება საბაზრო ფასებში;

S - ბირჟაზე საბრუნავი კაპიტალის (ფასიანი ქაღალდების) საშუალო ნაშთი მოცემულ პერიოდში:

$$t = \frac{T}{K}$$

სადაც, T - კალენდარული დღეების რიცხვია მოცემულ პერიოდში.

საფონდო ბირჟის კონცენტრაციის მაჩვენებელია ბირჟის კაპიტალის ხვედრითი წილი საერთო საბირჟო კაპიტალის მოცულობაში ქვეყანაში და მსოფლიოში. მაგალითად, ზემოთმოტანილი 10 მსხვილი საფონდო ბირჟიდან ნიუ-იორკის ბირჟას უჭირავს 24,0%-ზე მეტი, ნასდაკის ბირჟას 22,0%-ზე მეტი და ა.შ.

საფონდო ბირჟის „შეფასებადობას“ ანგარიშობენ აქციის საბაზრო ფასის შეფარდებით მოგებასთან და მსჯელობენ აქციის კურსის ცვალებადობაზე მოგებასთან მიმართებაში.

საფონდო ბირჟის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, აგრეთვე, სტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მიხედვით. აქ ჩვენთვის ცნობილი სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეების გამოყენებით გაიანგარიშება ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი და ამ საფუძველზე ბირჟის

ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსები. სტრუქტურული ცვალებადობანი გავლენას ახდენს ბირჟის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობაზე (მაღალი მოგების ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილის გადიდება საერთო გარიგებათა მოცულობაში აღიძვებს ბირჟის შემოსავლიანობასა და მოგებას, ან კიდევ პირიქით).

საფონდო ბირჟის საერთო შემოსავლები შემოსავლის სამი სხვაობით განისაზღვრება:

1. შემოსავლები საფონდო ბირჟის საერთო მომსახურებიდან (ფასიანი მომსახურების გავრცელება, საკლირინგო და სადეპოზიტო მომსახურება, საწევრო შენატანები და სხვ.);

2. ტრეიდიგის გადასახადები. ტრეიდერი (ინგ. ტრადე-ვაჭრობა) პიროვნებაა, რომელიც მონაწილეობს საბროკერო და სადილერო ვაჭრობაში ბირჟაზე. ტრეიდიგის გადასახადებში შედის საბირჟო მოსაკრებლები საბირჟო გარიგებათა მიხედვით, საარენდო ტერმინალებით მომსახურება და სხვ.

3. ლისტიგზე გადასახადები. ლისტიგი (ინგლ. ლისტ-სია) ნიშნავს კომპანიის აქციების სიაში შეტანას. აქციების სიაში შეიტანება ის აქციები, რომელთა კოტირება წარმოებს მოცემულ ბირჟაზე. კოტირება ფასების დადგენას გულისხმობს ფასიანი ქაღალდებზე, ვალუტასა და სხვა საქონელზე ბირჟაზე მოქმედი საკანონმდებლო წესებისა და ნორმების მიხედვით. სრული კოტირება გულისხმობს ფასების დადგენას, რომელსაც სთავაზობენ ბირჟის გამყიდველები და მყიდველები.

უკანასკნელი პერიოდის მონაცემებით საშუალოდ მსოფლიოს საფონდო ბირჟებზე სწრაფად იზრდება ტრეიდიგიდან შემოსავლების ხვედრითი წილი (31,2%-დან 42,7%-მდე) და მცირდება ლისტიგისა და საერთო მომსახურებიდან საფონდო ბირჟების შემოსავლების ხვედრითი წილი.

ბიზნესმენები, ინვესტორები და მენეჯერები საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარკვეული ქცევის წესებსა და სტრუქტურას ემორჩილებიან. პირველ ყოვლისა, გაითვალისწინება ბანკების დეპოზიტებზე საბანკო პროცენტი, რომელსაც ისინი

მიიღებენ თავისუფალი ფულადი თანხების ბანკებში განთავსებისას. ცხადია, ფასიანი ქაღალდის ყიდვისას ბიზნესმენმა, ინვესტორმა და მენეჯერმა უნდა მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი, ვიდრე ამ თანხის ბანკებში დეპოზიტებზე განთავსების პირობებში მიიღებენ. ამიტომ სტატისტიკაში დადგენილია მეთოდოლოგია, რომლითაც გაიანგარიშება ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლის სიდიდე. მაგალითად, ობლიგაციისაგან მოსალოდნელი შემოსავლები ორი ნაწილისაგან შედგება: ობლიგაციის არსებობის მთლიანი პერიოდის მანძილზე პროცენტული შემოსავლები და სესხის (ანუ ობლიგაციის ნომინალის განაღდების თანხა). ამა თუ იმ პერიოდში ობლიგაციის ღირებულებას განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$P = \sum_{t=1}^n \frac{Q}{(1+E)^t} + \frac{Q_1}{(1+E)^N}$$

სადაც t , t - იური საკუპონე პროცენტული გადახდის ნომერია; (კუპონი ფასიანი ქაღალდის ნაწილია მოსახვევი ტალონის სახით, რომელიც სათანადო დროს მოეხვევა ფასიან ქაღალდს და ბანკს გადაეცემა გასანაღდებლად)

n - საკუპონე გადახდების რაოდენობა;

E - მიმდინარე საგანაკვეთო კურსია, რომელსაც უწოდებენ, აგრეთვე, განთავსების განაკვეთს და ჩვეულებრივად რეფინანსირების (ახალი ფასიანი ქაღალდების გამოცემის) განაკვეთის ტოლია;

Q_1 - ობლიგაციის ნომინალური ღირებულება;

N - ობლიგაციის დაფარვამდე დარჩენილი წლები;

Q - საკუპონე შემოსავალი ანუ პროცენტული გადასახდლები;

($Q = Q_1 \times K$, სადაც K - საკუპონე განაკვეთია).

ობლიგაციის გამოშვების მომენტში საკუპონე და მიმდინარე საგანაკვეთო კურსები ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან როგორც ფორმულიდან ჩანს:

ა) თუ $K < E$ მაშინ ობლიგაციის

ფასი ნომინალურ ღირებულებაზე დაბალია და ამბობენ, რომ ობლიგაცია იყიდება დისკონტით;

ბ) თუ პირიქითაა, $K > E$ მაშინ ობლიგაციის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ნომინალური ღირებულება და ამბობენ, რომ ობლიგაცია იყიდება პრემიით. აქედან ეკონომიკური დასკვნა:

თუ რეფინანსირების განაკვეთი (E) მცირდება, ობლიგაციიდან მიღებული შემოსავლები დიდდება და აჭარბებს იმ თანხებს, რომლებიც შეიძლებოდა ბიზნესმენებს მიეღოთ ამ თანხების ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებით, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ ობლიგაციების შეძენას.

ანალოგიური გაანგარიშებანი შეიძლება ვაწარმოოთ აქციის ფასის განსაზღვრისათვის. საბოლოოდ მივიღებთ, რომ აქციის ფასი პირდაპირპროპორციულია დივიდენდისა და უკუპროპორციულია აქციის შემოსავლიანობის პროცენტისა ანუ იგივე რეფინანსირების კოეფიციენტისა (E), რაც ჩვენ გამოვიყენეთ ობლიგაციის ღირებულების განსაზღვრისათვის.

სავალუტო გაცვლითი კურსი ეწოდება ერთი ქვეყნის ვალუტის ფასს, რაც გამოსახულია სხვა ქვეყნის ვალუტით ანუ ფულადი ერთეულებით.

ასე ხდება, მაგალითად, უცხოური ინვესტიციების დაბანდებისას სხვა ქვეყანაში, საერთაშორისო კრედიტების მიღებისას, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებისას ტურისტული და სამივლინებო მოგზაურობისას და სხვ.

სავალუტო ბაზარი ეწოდება სავალუტო ბირჟაზე ან ბირჟის გარეთ ბანკთაშორის და სავალუტო ჯიხურების მეშვეობით ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობებს. ვალუტა, რომელიც გამოდის და მიმოიქცევა ბაზარზე, შეიძლება იყოს კონვენტირებადი ან არაკონვენტირებადი. რთული კონვენტირებადი ეწოდება ვალუტას, რომლის მიხედვით საბაზრო გარიგებებს არავითარი წინააღმდეგობა არ გააჩნია, ხოლო არაკონვენტირებადი ვალუტის მიმართ თითქმის ყველა ოპერაციაზე დაწესებული გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები. არსებობს, აგრეთვე, ნაწილობრივ კონვენტირებადი

ვალუტა, რომლის მიხედვით მხოლოდ ზოგიერთ ოპერაციაზეა დაწესებული გარკვეული შეზღუდვები.

მსოფლიოში არსებობს როგორც რეგიონალური (ევროპაში - ლონდონის, ციურიხის, ფრანკფურტის, აზიაში - ტოკიოს, ჰინკონგის, სინგაპურის, ამერიკაში - ნიუიორკის, ლოსანჯელესის, ჩიკაგოს) ისე ეროვნული სავალუტო ბაზრები. რეგიონალურ ბაზრებზე წარმოებს მსოფლიოს ძირითადი სავალუტო ერთეულების კოტირება, ხოლო ეროვნულ ბაზრებზე როგორც თავისუფალი კონვერტირებადი მსოფლიო ვალუტის ისე ეროვნული ვალუტების ოპერაციები.

სავალუტო კოტირება ეწოდება ვალუტის კურსის დადგენას სავალუტო ბაზრებზე (სიტყვა კოტირება წარმოშობილია ფრანგული სიტყვა კოტერ-ისაგან), რასაც აწარმოებენ შესაბამისი კოტირების კომისიები და აქვეყნებენ ბიულეტენებში. სავალუტო კურსი სავალუტო ბაზარზე ყალიბდა მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით. ამას ეწოდება თავისუფლად მცოცავი სავალუტო კურსი. ხშირ შემთხვევაში ასეთი სტიქიური პროცესის მოსაწესრიგებლად ეროვნული ბანკის მეშვეობით თვით მთავრობა ახდენს ინტერვენციას ბაზარზე, რის შედეგადაც ყალიბდება შედარებით გაწონასწორებული, გამოთანაბრებული სავალუტო კურსები. სწორედ ასეთი კურსების ფორმირების პროცედურაა სავალუტო კოტირება.

სავალუტო კურსი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: პირდაპირი, შებრუნებული, კროს-კურსი, ფორვარდული, ფიუჩერული, მყიდველის, გამყიდველის, გაცვლითი და სხვ.

პირდაპირი კურსი ეწოდება მოცემული ქვეყნის სავალუტო ერთეულზე სხვა ქვეყნის სავალუტო ერთეულების რაოდენობრიობას, ხოლო არაპირდაპირი, შებრუნებული, კი პირიქით, სხვა ქვეყნის სავალუტო ერთეულის გამოსახვაა ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის რაოდენობით.

მაგალითად, 2010 წლის პირველი ივლისისთვის 1 ლარზე მოდიოდა 0,537 აშშ დოლარი (პირდაპირი კურსი), ხოლო 1 დოლარზე - 1,863 ლარი (შებრუნებული კურსი).

კროს - კურსი ორ სავალუტო ერთეულთა შორის ურთიერთშეფარდებაა, რაც განსაზღვრულია მათი მესამე სავალუტო ერთეულთან შეფარდებით. მაგალითად, 2010 წლის 1 ივლისისთვის:

1 აშშ დოლარი = 1,863 ლარს,

1 აშშ დოლარი = 28.936 რუსულ მანეთს,

$$1 \text{ რუსული მანეთი} = \frac{28.936}{1.863} = 15.532 \text{ ლარს.}$$

ფორვარდული კურსი ეწოდება არასაბირჟო გარიგებიდან, სასწრაფოდ ორი სამუშაო დღის განმავლობაში ანგარიშსწორებას.

გამყიდველის კურსი არის ის კურსი, რომლითაც ბანკი ჰყიდის ვალუტას, ხოლო მყიდველის კურსი - რომლითაც ბანკი ყიდულობს ვალუტას.

საერთაშორისო სახელმწიფოებრივ და ბიზნესმენურ საქმიანობაში ერთობ მნიშვნელოვანია ვალუტის გაცვლითი კურსი. გაცვლითი კურსი არის ორი სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის ის რაოდენობა, რომლითაც შეიძლება იყილო საქონლისა და მომსახურების ერთნაირი მოცულობა.

მაგალითი. 1 კგ. ძროხის ხორცი = 9,5 ლარს,

1 კგ. ძროხის ხორცი = 90 მანეთს.

$$\text{აქედან ცხადია, რომ 1 მანეთი} = \frac{9.5}{90} = 0.1055 \text{ ლარს.}$$

მაშასადამე, თუ ჩვეულებრივი კურსის მიხედვით 1 მანეთი 0,0519 ლარს შეადგენს, ზემოთმოტანილი მაგალითის მიხედვით ძროხის ხორცის გაცვლითი კურსის 1 მანეთი = 0,1055 ლარს. სხვაგვარად ამას უწოდებენ ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტს.

საერთაშორისო პრაქტიკაში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტს ანგარიშობენ არა მხოლოდ ერთი სახის საქონლის, არამედ საქონელთა ჯგუფებისა და მთელი სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის ინდექსი ასეთი სახისაა:

$$I_{\text{მსყუნარპარიტ.}} = \frac{\sum q_s p_s}{\sum q_s p_b}$$

სადაც, q_s - არის „ა“ ქვეყნის საქონლის ჯგუფის ან მთელი სასაქონლო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა;

p_s და p_g - შესაბამისად „ა“ და „ბ“ ქვეყნების ფასები მოცემულ პერიოდში. ეს სხვა არაფერია თუ არა სამომხმარებლო ფასების ტერიტორიული ინდექსი.

ასე ანგარიშობენ, მაგალითად, კვების პროდუქტების მოხმარებას ფიზიოლოგიურ ნორმების მიხედვით ჯერ „ა“ ქვეყნის ფასებით, შემდეგ „ბ“ ქვეყნის ფასებით და შეფარდება გვაძლევს მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის ინდექსს კვების პროდუქტების მიხედვით.

მაგალითად, საქართველოში 2004 წლამდე მოქმედებდა კვების პროდუქტებზე შემდეგი ოდენობის მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები (საშუალოწლიური მოხმარება კგ-ობით ერთ სულზე).

პური და პურპროდუქტები	115
კარტოფილი	53
ბოსტნეული და ბალჩეული	107
ხილი, კენკრა, ყურძენი	90
შაქარი	40
ხორცი და ხორცის პროდუქტები	78
რძე და რძის პროდუქტები	405
კვერცი (ცალობით)	210

ასეთ ნორმატივებს ამრავლებენ შესყიდვის ანუ საბაზრო ფასებზე, გამოსახულს ჯერ ეროვნული ვალუტით, შემდეგ კი იმ ქვეყნის ვალუტით, რომლის მიმართ უნდათ დაადგინონ მოცემული ქვეყნის ვალუტის პარიტეტული კურსი და ჯამში ღებულობენ მოცემული სახის კვების პროდუქტების მიხედვით სასურსათო კალათის ღირებულებას. ვთქვათ, საქართველოსა და აშშ ქვეყნების მიხედვით დავუშვათ, რომ ქართულ ვალუტაში (ლარობით) ასეთი სახის კვების პროდუქტებზე სასურსათო კალათის ღირებულებამ შეადგინა 700 ლარი, ხოლო აშშ დოლარობით - 400 დოლარი.

მაშასადამე $\frac{700}{400} = 1.75$ ლარი ერთი დოლარის მიმართ. ეს იმას

ნიშნავს, აშშ დოლარი პარიტეტულია 1,75 ლარისა, ხოლო 1 ლარი $\frac{400}{700} = 0.571$ დოლარისა.

ასეთი გაცვლითი კურსით იწარმოებს სავალუტო კავშირურთიერთობანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის.

არსებობს გაცვლითი კურსის სხვადასხვა სახეობანი. მათ შორისაა ნომინალური სავალუტო გაცვლითი კურსი, რეალური სავალუტო გაცვლითი კურსი, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

ნომინალური სავალუტო გაცვლითი კურსი არაა დამოკიდებული ინფლაციურ პროცესებზე, ხოლო დანარჩენი - ასახავს ინფლაციური პროცესების ზემოქმედებას სავალუტო გაცვლით კურსზე. ნომინალურ გაცვლით კურსს სხვაგვარად შეიძლება ვუწოდოთ ფაქტიური გაცვლითი კურსი.

ოფიციალური ყოველდღიური გაცვლითი კურსები ვალუტების მიხედვით – წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ წინა დღეს დადგენილ კურსებს, რომლებიც მოქმედებაშია მოცემული თარიღისათვის.

რეალური გაცვლითი კურსები (RExR) გაანგარიშებულია შესაბამისი ნომინალური გაცვლითი კურსების ინდექსების (In) შებრუნებული სიდიდის გამრავლებით საქართველოსა და შესაბამისი პარტნიორი j ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსების (CPIgeo და CPIj) შეფარდებაზე:

$$RExR = \frac{1}{In} * \frac{CPIgeo}{CPIj}$$

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი – ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ინდექსის ცვლილებას საქართველოსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, სამომხმარებლო ფასების ინდექსებს შორის თანაფარდობის ცვლილების გათვალისწინებით. იგი გაიანგარიშება როგორც საქართველოსა და მის 12 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, იტალია, ნიდერლანდები, რუსეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, შვეიცარია) რეალური გაცვლითი კურსების შეწონილი საშუალო გეომეტრიული:

$$REER = \prod_{i=1}^{12} \left[\frac{P}{P_i} * \left(\frac{1}{e_i} \right) \right]^{w_i},$$

სადაც e_i არის ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი i პარტნიორი ქვეყნის ვალუტის მიმართ, w_i - i ქვეყნის წონა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, P და P_i - სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში და i პარტნიორ ქვეყანაში.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსის ზრდა ნიშნავს ეროვნული ვალუტის რეალურ გამყარებას და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, ხოლო შემცირება – პირიქით.

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი – წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ (აზერბაიჯანი, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, იტალია, ნიდერლანდები, რუსეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, შვეიცარია) ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების შეწონილ საშუალო გეომეტრიულს:

$$NEER = \prod_{i=1}^{12} \left[\frac{1}{e_i} \right]^{w_i},$$

სადაც e_i არის ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი i პარტნიორი ქვეყნის ვალუტის მიმართ, w_i - i ქვეყნის წონა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში. ნომინალური ეფექტური

მაგალითი. საქართველოში ლარის ნომინალურმა კურსმა 2010 წლის იანვარში შეადგინა 1,8125, ანუ 1 აშშ დოლარი უდრიდა 1,8125 ლარს. 2010 წლის ივნისის ბოლოს შეადგინა 1,7430.

$$\text{ზრდის ტემპი: } In = \frac{1.7430}{1.8125} = 0.9617$$

ანუ დაიკლო $(1-0,9617) \times 100 = 3.83$ პროცენტული პუნქტით.

მაგალითი. საქართველოში ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსმა 2010 წლის ივნისის ბოლოს შეადგინა 142,1. სამომხმარებლო ფასების ინდექსებმა საქართველოში 220,3%, ამერიკის შეერთებულ შტატებში 142,2%.

$$RExR = \frac{1}{In} * \frac{CPI_{geo}}{CPI_j} = \frac{1}{142.1} * \frac{220.3}{142.2} = 0.0109023$$

ანუ 109.02 %

ეს მაჩვენებელი იანვრის თვესთან შედარებით გაიზარდა 9.02%-ით.

მაშასადამე, თუ საქართველოში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ შემცირდა 3.83%-ით, რეალური, პირიქით - გაიზარდა 9.02%. ეს გამოიწვია იმან, რომ ინფლაციის ტემპები უფრო მაღალი იყო საქართველოში, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თემა 7. მეწარმეობის სტატისტიკა

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ სამეწარმეო საქმიანობას განსაზღვრავს როგორც მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს).

საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. პრაქტიკაში, სუბიექტთა უმრავლესობა დაკავებულია შერეული ხასიათის საქმიანობით (ერთდროულად ახორციელებს ერთზე მეტ საქმიანობის სახეს). შესაბამისად განასხვავებენ: **ძირითადი საქმიანობა** წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც გამოირჩევა კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში უდიდესი წილით.

ამგვარად, არ არის აუცილებელი ძირითადი საქმიანობის წილად მოდიოდეს ეკონომიკური სუბიექტის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 50 პროცენტი ან მეტი. **დამხმარე საქმიანობა** წარმოადგენს საქმიანობის სახეებს, რომლებიც ქმნიან პარობებს სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობების (ძირითადი და არაძირითადი) განსახორციელებლად (საბუღალტრო აღრიცხვა, ტრანსპორტირება, შენახვა, ყიდვები, რეკლამა, რემონტი და ტექნიკური ეკონომიკური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში „ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ (სეკ 001-2004), რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპულ კლასიფიკატორს NACE (Nomenclature des Activités de Communaute Européenne) [დამტკიცებულია 2004 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით].

საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შემდეგ ტიპებს:

- ინდივიდუალური საწარმო (ფიზიკური პირი);
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- კომანდიტური საზოგადოება;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- სააქციო საზოგადოება;
- კოპერატივი.

ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები: უშუალოდ, პირდაპირ მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ამასთან, ერთი ან რამდენიმე პარტნიორის (კომანდიტები) პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით, ხოლო სხვა პარტნიორების (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები) პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის. კომპლემენტარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის

პასუხისმგებლობა - საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 15000 ლარს.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომლის მიზანია წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად:

მსხვილი, საშუალო და მცირე. მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის - 20 დასაქმებულსა და 0.5 მილიონ ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის - 100 დასაქმებულსა და 1.5 მილიონ ლარს;
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მილიონ ლარს. საწარმოთა ზემოთ აღნიშნული გრადაცია მოქმედებს 2002 წლიდან.

იურიდიულ პირ საწარმოს მიეკუთვნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით.

ბრუნვა არის საანგარიში პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელი, რომელიც შეესაბამება მოცემული

ერთეულის მიერ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვის მოცულობას. ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (გარდა დღგ-ისა და ბრუნვასთან პირდაპირ კავშირში მყოფი სხვა გადასახადებისა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწვევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების

გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება ძირითადი კაპიტალის გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები წარმოებაზე, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო ორგანოებიდან.

პროდუქციის გამოშვება განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

გამოშვებული პროდუქცია განისაზღვრება შემდეგნაირად:

ბრუნვა

- + კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება
- + უსასყიდლოდ გაცემული საკუთარი წარმოების მზა პროდუქცია
- + შრომის ანაზღაურება, რომელიც გაიცა დასაქმებულ პერსონალზე ნატურალური სახით
- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები
- +/- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება (+ ზრდა, - კლება)
- +/- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება (+ ზრდა, - კლება)
- +/- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება (+ ზრდა, - კლება)
- = გამოშვებული პროდუქცია

კაპიტალიზებული პროდუქცია (საკუთარი სარგებლობისათვის წარმოებული პროდუქცია) გულისხმობს იმ საქონლის ღირებულებას, რომელიც წარმოებულია საკუთარი ძალებით და რჩება მწარმოებლებს საკუთარი საბოლოო მოხმარებისა თუ ინვესტირებისათვის.

უკანასკნელში მოიაზრება როგორც ძირითადი მატერიალური, ისე არამატერიალური აქტივების (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და ა.შ.) წარმოებას. საკუთარი სარგებლობისათვის შექმნილი პროდუქცია ის პროდუქციაა, რომელიც არ იყიდება და მისი ღირებულება შეფასდება ძირითადი ფასების მიხედვით, რომელიც არსებობს მსგავს პროდუქციაზე. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეფასება მოხდება წარმოების ხარჯების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზებული საქონელი შეიძლება ჩართული იქნეს ინვესტიციებშიც.

დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში ეყრდნობა გამოშვებულ პროდუქციას, რომელსაც ემატება სუბსიდიები პროდუქტებზე, აკლდება საქონლისა და მომსახურების ყიდვები (გარდა უცვლელად გადაყიდვისათვის შექმნილი პროდუქტისა), აგრეთვე აკლდება ან ემატება ნედლეულის, მასალებისა და სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება. აღნიშნული სიდიდე წარმოადგენს დამატებულ ღირებულებას, რომელიც შეფასებულია ეკონომიკური ერთეულის წარმოებითი საქმიანობის სხვადასხვა ფაქტორული ხარჯების ღირებულების მიხედვით. დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში განისაზღვრება შემდეგნაირად:

ბრუნვა

- საქონლისა და მომსახურების ყიდვები
- +/- საქონლისა და მომსახურების მარაგების ცვლილება
- + კაპიტალიზებული პროდუქცია (ანუ საკუთარი სარგებლობისათვის წარმოებული პროდუქცია)
- + სუბსიდიები პროდუქტებზე

.....

= **დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში**

შუალედური მოხმარება განისაზღვრება როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ძირითადი კაპიტალი, რომლის მოხმარება განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება. საქონელი და მომსახურება წარმოების პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული ან ტრანსფორმირებული.

შუალედური მოხმარება განისაზღვრება შემდეგნაირად:

საქონლისა და მომსახურების ყიდვები

- საქონლისა და მომსახურების ყიდვები უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის
- +/- ნედლეულის და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება

.....

= **შუალედური მოხმარება**

წლიური მოგება ან ზარალი წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ბუღალტრული ბალანსის შედეგს. იგი გვევლინება როგორც წარმოებითი, ფინანსური და ექსტრატორდინარული საქმიანობებიდან მიღებული მოგებების ან ზარალის ჯამი, რომლის გაანგარიშებისას გათვალისწინება გადახდილი გადასახადები და ღირებულებითი კორექტირებები.

მთლიანი მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც მიიღება საწარმოს საქმიანობის შედეგად, მოიცავს მთლიან მოგებას წარმოებიდან და მოგებას ფინანსური ოპერაციებიდან. მთლიანი მოგება წარმოადგენს საწარმოს რენტაბელობის მაჩვენებელს და გამოიყენება წლიური მოგების ან ზარალის გამოსავლენად.

მთლიანი მოგება გაიანგარიშება შემდეგნაირად:

მთლიანი მოგება წარმოებიდან

- + ფინანსური შემოსავლები
- ფინანსური ხარჯები
- + სხვა შემოსავლები წარმოებითი საქმიანობიდან
- სხვა წარმოებითი ხარჯები

.....

= მთლიანი მოგება

მთლიანი მოგება წარმოებიდან წარმოადგენს მოგებას, რომელიც მიიღება წარმოებითი საქმიანობიდან შრომის ფაქტორული დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ.

შრომის მწარმოებლურობა, კაპიტალის მწარმოებლურობა, კაპიტალაღჭურვილობა განსაზღვრავენ ამა თუ იმ საქმიანობის ეკონომიკურ ეფექტურობას.

შრომის მწარმოებლურობა (ერთ დასაქმებულზე) = პროდუქციის გამოშვება /

დასაქმებულთა რაოდენობა.

კაპიტალის მწარმოებლურობა = პროდუქციის გამოშვება / ძირითადი კაპიტალი.

კაპიტალაღჭურვილობა = ძირითადი კაპიტალი / დასაქმებულთა რაოდენობა.

ძირითადი კაპიტალი (ფიქსირებული აქტივები) განისაზღვრება როგორც წარმოებითი აქტივები, რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების პროცესში.

ძირითადი კაპიტალი მოიცავს არა მხოლოდ მოწყობილობებს, მანქანებს, ნაგებობებს, არამედ როგორც ზრდად აქტივებს, როგორცაა ცხოველები და მცენარეები, რომლებიც მრავალჯერ და ხანგრძლივად ქმნიან პროდუქტებს (ხილი თუ რძის პროდუქტები); ასევე წარმოებაში გამოიყენებულ ისეთ არამატერიალურ აქტივებს, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფა და მხატვრულ ნაწარმოებთა ორიგინალები.

დასაქმებულებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტულ საწარმოში (იგულისხმება მომუშავე მესაკუთრეებიც, რეგულარულად მომუშავე პარტნიორებიც და საოჯახო საწარმოთა არაანაზღაურებადი მუშაკებიც), აგრეთვე ის პირები, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოს გარეთ, მაგრამ მიეკუთვნებიან მას და შესაბამისად ანაზღაურებასაც მისგან იღებენ (ე. ი. სავაჭრო წარმომადგენლები, მომწოდებლები, შეკეთების (სარემონტო) და საექსპლოატაციო ბრიგადები).

ერთიანი სახელმწიფო რეგისტრი არის საქართველოში მთავარი კომპლექსური რეგისტრი, რომელიც იდენტიფიკაციის ერთიანი პრინციპების საფუძველზე აფიქსირებს ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს და შეიცავს რეგლამენტირებულ ცნობებს მათ შესახებ. მონაცემები ძირითადად ეფუძნება ადგილობრივი საგადასახადო სამსახურების მონაცემებს.

მეწარმეობის სტატისტიკამ უნდა აღწეროს ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული სუბიექტები და მოგვცეს მათი საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები.

სტატისტიკის ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში მდგომარეობს სამეწარმეო საქმიანობის მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და მოვლენებს შორის კორელაციურ-რეგრესიული ურთიერთკავშირის შესწავლაში.

მეწარმეობა, ბიზნესი და მენეჯმენტი მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერაა შემუშავებული, ეკონომიკური საქმიანობის შემდეგ ძირითად სექციებს განიხილავს: საქმიანობის სახეების მიხედვით, 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

საქმიანობის სახე	სუბიექტების რაოდენობა
სულ	307628
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	3896
თევზჭერა, მეთევზეობა	173
სამთომშობვებითი მრეწველობა	569
დამამუშავებელი მრეწველობა	15061
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	541
მშენებლობა	5761
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	235397
სასტუმროები და რესტორნები	4643
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7973
საფინანსო შუამავლობა	1777
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	8309
სახელმწიფო მმართველობა	1989
განათლება	2545
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	3328
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	15649
სხვა	17

თითოეული სექცია მოიცავს ქვესექციებს, დარგებსა და ქვედარგებს.

ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის მეწარმეობა და შესაბამისი საწარმოები შეიძლება დაჯგუფდეს კაპიტალის კუთვნილებადობის ნიშნით. ეს ნიშანი მიუთითებს თუ ვის ეკუთვნის მეწარმეობის შესაბამისი საწარმოო ერთეულის (საწარმოს ანუ დამოუკიდებელი მეურნე-სუბიექტის, რომელიც აწარმოებს საქონელს, მომსახურებას, ასრულებს სამუშაოებს, ეწევა სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას) საწარმოო კაპიტალი, ქონება, აქტივები და შემოსავალ-გასავალი. ამ ნიშნით გამოიყოფა სახელმწიფო, მუნიციპალური, კოლექტიური, კერძო და კერძო შერეული საწარმოები.

სახელმწიფო საწარმოს საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია, მისი ხელმძღვანელობა ინიშნება სახელმწიფო ორგანოების მიერ, დაფინანსდება ბიუჯეტური სახსრებიდან წარმოებს და ამიტომ მათ ზოგჯერ სახაზინო საწარმოებსაც უწოდებენ.

მუნიციპალური საწარმოს (მუნიციპალიტეტი - გერმანული მუნიციპალიტეტი - ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არჩევითი ორგანო. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები და საკუთრებაში იქონიოს კანონით დაშვებული მუნიციპალური ქონება; მთელი კაპიტალი მუნიციპალური საკუთრებაა.

კოლექტიური საწარმოს ქონება სხვადასხვა პირთა კოლექტიური საკუთრებაა. კოლექტიური საწარმოების ტიპური ფორმებია სააქციო საზოგადოება, ერთობლივი საწარმოები (სხვადასხვა ქვეყნის ფირმების ერთიანი, საერთო საწარმო, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ ორგანიზაციათა ძალისხმევით პროდუქციის წარმოების, მომსახურებისა და რეალიზაციის წარმართვის მიზნით), კორპორაციები, კოოპერატივები და სხვ.

კერძო პირი არის ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია, საწარმოების ქონება ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე კერძო პირს. მისი ნაირსახეობაა ნებისმიერი ინდივიდუალური საწარმო, რომლებიც კერძო კაპიტალით აწარმოებენ რაიმე სახის ღირებულებას (პროდუქციას ან მომსახურებას, ეწვეიან მარკეტინგულ და სხვა სახის საქმიანობას), კერძო, ოჯახური მეწარმეობა და სხვ.

კერძო შერეული არის სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობაა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა, შეუქცევადმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მეწარმეობის განვითარებას საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2003-2009 წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სამეწარმეო საქმიანობა. ბრუნვა გაიზარდა 5523.0 მლნ ლარიდან 2003 წელს, 16475,7 2238,6 მლნ ლარამდე 2009 წელს, ანუ გაიზარდა 198.3%-ით, გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა 156.5 %-ით, დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება გაიზარდა 139,4 ლარიდან 564.9 ლარამდე, ანუ 305.2 %-ით.

საკუთრების ფორმების მიხედვით	
(2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)	
საკუთრების ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა
სულ	307628
კერძო პირები	287646
კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე	282390
უცხოელი კერძო პირი	2777
კერძო შერეული	2479
სახელმწიფო	7776
მუნიციპალიტეტი	1493
საკუთრების სხვა ტიპი	10713

ბიზნეს სექტორი							
	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ბრუნვა, მლნ.ლარი	5523.0	7248.4	10076.3	13090.3	17544.4	19650.7	16475.7
გამომწვეული პროდუქცია, მლნ.ლარი	3492.6	4374.8	5838.3	7412.6	9645.4	10248.4	8960.1
დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი	1773.3	2238.6	2796.8	3479.4	4541.8	5162.6	...
შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი	1719.3	2136.2	3041.5	3933.1	5103.7	5085.8	...
ფიქსირებული აქტივების მლნ.ლარი	4364.8	4942.8	5415.1	6040.5	7935.9	9257.1	...
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	297795	322779	388946	360987	361209	349250	316553
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	139.4	161.6	204.5	285.8	381.6	519.8	564.9

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნებისათვის საქართველოში ტარდება მეწარმეობის როგორც სპეციალური (ერთჯერადი, პერიოდული), ისე მიმდინარე (ყოველწლიური)

გამოკვლევები. სპეციალური გამოკვლევებიდან ფართოდ გამოიყენება შერჩევითი დაკვირვებანი.

საქონელწარმოების დარგთა პროდუქცია

საქონელწარმოების დარგთა პროდუქცია ეწოდება თითოეული დარგის საქმიანობის პირდაპირ და სასარგებლო შედეგს.

ესაა მრეწველობაში სამრეწველო-საწარმოო საქმიანობის პირდაპირი და სასარგებლო შედეგი, სოფლის მეურნეობაში - სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საქმიანობის პირდაპირი და სასარგებლო შედეგი, მშენებლობაში - საამშენებლო-საწარმოო საქმიანობის პირდაპირი და სასარგებლო შედეგი. როგორც ჩანს თითოეული დარგის პროდუქცია ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით და ამიტომ სხვა, არა ამ დარგის პროფილის საქმიანობის შედეგი არ ჩაითვლება მოცემული დარგის პროდუქციის საერთო მოცულობაში. მაგალითად, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში მხოლოდ სამრეწველო-საწარმოო და არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები ჩაითვლება მრეწველობის დარგის პროდუქციად, აგრეთვე, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საქმიანობის შედეგები ჩაითვლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად და ა.შ.

თითოეული დარგის პროდუქციაში ჩაითვლება, საქმიანობის არა არაპირდაპირი შედეგები (ნარჩენები და სხვ.), არამედ პირდაპირი შედეგები, აგრეთვე არა წუნდებული, ანუ არასასარგებლო პროდუქცია, არამედ მხოლოდ ვარგისი პროდუქცია. აქედან გამომდინარე თითოეული დარგის პროდუქციის საერთო მოცულობა განისაზღვრება არა მარტო ამ დარგში, არამედ სხვა არა ამ დარგის პროფილის საწარმოთა შესაბამისი შედეგების შეჯამებით. მაგალითად, მრეწველობის პროდუქციის ღირებულებაში შეიტანება როგორც თვით მრეწველობის, ისე სხვა დარგების, აგრეთვე შინამეურნეობათა სამრეწველო-საწარმოო საქმიანობის პირდაპირი და სასარგებლო შედეგები, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში - როგორც თვით სოფლის მეურნეობაში, ასევე, არა სასოფლო-სამეურნეო დარგებში

განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საქმიანობის პირდაპირი და სასარგებლო შედეგები და ა.შ.

სამრეწველო პროდუქციის შემადგენლობაში აღირიცხება:

1. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;
2. თავისი ძირითადი კაპიტალის კაპიტალური რემონტი და არასამრეწველო დაწესებულებათათვის (მაგალითად, საბავშვო ბაგაბალებისათვის, დასასვენებელი სახლებისათვის) გადაცემული სამრეწველო საქონელი;

3. თავისი მუშა-მოსამსახურეებისათვის შრომის ასანაზღაურებლად გადაცემული პროდუქციის ღირებულება;

4. სხვა საწარმოებისათვის ჰუმანიტარული დახმარებისათვის გადაცემული პროდუქციის ღირებულება;

5. დაუმთავრებელი წარმოების, აგრეთვე, მზა პროდუქციის ნაშთების სხვაობა (მატება+, კლება-).

იმისათვის, რომ შევადაროთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა დანახარჯებს და გავიგოთ მოგება-ზარალი, ყველა სახის ზემოთჩამოთვლილი პროდუქციის სახეობანი (მათ შორის სამრეწველო ხასიათის სამუშაოები) აღირიცხება მოქმედ მიმდინარე ფასებში. ამის გარდა, პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დინამიკის დასადგენად, გამოიყენება, აგრეთვე, უცვლელი ანუ შესადარი ფასებიც.

დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა, მხოლოდ დამატებული ღირებულებით განისაზღვრება, რაც ქვეყანაში იძლევა ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშების საშუალებას, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებაში აღირიცხება მემცენარეობისა და მეცხოველეობის მზა პროდუქტების ღირებულება, აგრეთვე, დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების მატება ან კლება. ეს უკანასკნელი გაანგარიშება ამ წლისა და მომავალი წლის მოსავლიანობის მისაღებად გაწეული სამუშაოების ღირებულებათა სხვაობით მემცენარეობაში, ხოლო მეცხოველეობაში სულადობის მიხედვით.

როგორც სტატისტიკოსები იტყობინებია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის გაანგარიშების მოწინავე მეთოდოლოგიური

გამოცდილების გაზიარების მიზნებისათვის საყურადღებოა ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა. ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობას ანგარიშობენ ე.წ. „ეროვნული ფერმის“ მეთოდით. ამ მეთოდით ქვეყნის სოფლის მეურნეობა განიხილება როგორც ერთიანი ეროვნული ფერმა და ამიტომ მისი პროდუქციის ღირებულებიდან უნდა გამოითიშოს პროდუქციის ფერმებს შორისა და ფერმის შიდა ურთიერთმიწოდებანი. აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის პროდუქციაში უნდა აღირიცხოს:

1. სავაჭრო ორგანიზაციებისადმი სოფლის მეურნეობის მზა პროდუქციის მიწოდებანი საბოლოო მოხმარებისათვის მოსახლეობისათვის მისასყიდად;

2. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდებანი სამრეწველო საწარმოებისათვის გადასამუშავებლად;

3. მიწოდებანი ექსპორტში;

4. ფერმების მიერ საბოლოო მოხმარებანი;

5. დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის ნაშთების ცვლილებანი (ზრდა+, კლება-).

სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად ევროპის რიგ ქვეყნებში გამოიყენება შემდეგი სახის საბალანსო გაანგარიშება: ??

თითოეული მაჩვენებლის გასაანგარიშებლად დგება ეკონომიკური ანგარიშები, რომლებიც ხასიათდება საბალანსო პრინციპით და საბოლოოდ გამოიყენება ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის დადგენის მიზნებისათვის.

მშენებლობის პროდუქციად ითვლება შენობებისა და ნაგებობების, აგრეთვე, ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ისეთ სამუშაოთა ღირებულება, როგორცაა სამშენებლო-სამონტაჟო, გეოლოგიურ-საძიებო, საპროექტო-საძიებო, მიწის საირიგაციო-სამელიორაციო სამუშაოები, აგრეთვე, შენობებისა და ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, ინდივიდუალური ბინების მშენებლობა და სხვ.

ტრანსპორტის დარგის პროდუქციად ითვლება ყველა სახის ტრანსპორტის (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო-სამდინარო, სამილგაყვანო და სხვ.) მიერ ტვირთის გადაზიდვისა და

მგზავრების გადაყვანით მიღებული შემოსავლები, აგრეთვე, საგზაო მეურნეობაში გზების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა ღირებულება.

ვაჭრობის პროდუქციის ღირებულებაში აისახება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრობების საქონლის ყიდვა-გაყიდვით მიღებული შემოსავლები. ეს შემოსავლები წარმოიქმნება საქონლის შესასყიდ და გასაყიდ ფასთა შორის სხვაობით ანუ სავაჭრო დათმობით და სხვა არაფერია თუ არა მიმოქცევის ხარჯებისა და სავაჭრო მოგების ჯამი.

მომსახურების სფეროს სტატისტიკა

მეწარმეობა, ბიზნესი და მენეჯმენტი ძალიან ფართოდაა ფეხმოკიდებული მომსახურების ბაზარზე. რა არის მომსახურება? მომსახურება (ინგლისური სიტყვა *service*-განაა წარმოშობილი) შრომითი საქმიანობის ისეთი სფეროა, რომლის დროსაც არ იქმნება ნივთობრივი პროდუქტი, არამედ წარმოიქმნება რაიმე სასარგებლო ეფექტი, რითაც კმაყოფილდება ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება.

მომსახურება თანამედროვე მსოფლიო სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში მიჩნეულია საწარმოო სფეროდ, რომლის განვითარების დიდ პერსპექტივებზე ისიც მეტყველებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთლიან შიდა პროდუქტში მას უჭირავს 75%, ინგლისში 64% და ა.შ.

მომსახურების სახეები

მომსახურება სხვადასხვა სახისაა. თანამედროვე პირობებში მომსახურების ძველი, ტრადიციული დარგების (სატრანსპორტო, საფინანსო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კავშირგაბმულობის, სავაჭრო, რელიგიური, საეკლესიო და სხვ.) გვერდით სწრაფად ვითარდება ახალი (საინფორმაციო, კომპიუტერული, სამეცნიერო, საბირჟო და სხვ.) დარგები. მომსახურება შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური, საწარმოო და სამომხმარებლო,

ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი, საბაზრო და არასაბაზრო და სხვა.

მატერიალურ მომსახურებას განეკუთვნება მანქანების შეკეთებანი, ინდივიდუალური სამკერვალო მეწარმეობა, სამედიცინო მომსახურება, სამრეცხაოები, ქიმიწმენდა და სხვა, ხოლო არამატერიალურს - იურიდიული კონსულტაციები, სააუდიტო, საგანმანათლებლო და სხვა სახის მომსახურებანი.

როგორც მატერიალური ისე არამატერიალური მომსახურებანი შეიძლება იყოს საწარმოო და არასაწარმოო (პირადი, სამომხმარებლო) მომსახურება. საწარმოო მომსახურება, მაგალითად, საწარმოთა ძირითადი კაპიტალის მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური რემონტი, ხოლო სამომხმარებლოა განათლება, რადიო და ტელე მომსახურება და ა.შ.

საერთაშორისო სტატისტიკური პრაქტიკა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციებით საბაზრო ანუ (ანაზღაურებადი) მომსახურებას ისეთი სახის მომსახურებას მიაკუთვნებენ, რომლებიც ფინანსირდება ბიუჯეტიდან ან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ.

როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო მომსახურების სტატისტიკური საერთაშორისო კლასიფიკაციების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახის სექტორები:

საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური, კულტურული, ტურისტულ-საექსკურსო, ფიზკულტურისა და სპორტის, სამედიცინო, ვეტერინალური, სანიტარულ-განმაჯანსაღებელი, სამართლებრივი ხასიათის, საბანკო-საფინანსო, საგანმანათლებლო, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურებანი.

თითოეული სახის მომსახურება ხასიათდება სხვადასხვა სერვისით მაგალითად, **საბინაო-კომუნალური მომსახურების** ეკონომიკა და ბიზნესი მოიცავს დაქირავებული და საარენდო საცხოვრებლით, შენობებისა და მოწყობილობის მიმდინარე, საშუალო, აგრეთვე, კაპიტალური შეკეთების, ელექტროენერგიით, გაზით, წყლით, გათბობით, საკანალიზაციო, სატელეფონო, რადიოსა და ტელექსელის

მომსახურების, აგრეთვე, სანიტარული დასუფთავების ბიზნეს-სერვისით უზრუნველყოფას.

ტურისტულ-საექსკურსიო ბიზნესში შედის ტურისტთა განთავსების, კვების, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, საექსკურსიო, კულტურულ-მასობრივი სპორტული, გამაჯანსაღებელი და სხვა სერვისული ბიზნეს-მომსახურება. ამ სერვისულ მომსახურებათა შესაბამისად ევროსაბჭოს ქვეყნებში მოქმედებს ტურისტულ მომსახურებათა სტატისტიკური კლასიფიკაცია. მათ შორისაა: სასტუმროებით მომსახურება, კვებით მომსახურება, სასმელების გაყიდვით მომსახურება, სასადილო და ბინაზე მზა საკვების მიტანით მომსახურება, ტურისტულ მომსახურებათა ბიუროს მიერ მომსახურება, კულტურის, რელიგიის და ორგანიზებული დასვენების სფეროში ადმინისტრაციული მომსახურება და სხვ.

სატრანსპორტო-კავშირგაბმულობის ბიზნეს-სერვისი მოიცავს ყველა სახის სატრანსპორტო-კავშირგაბმულობის ტრანსპორტის (სარკინიგზო, საავტომობილო, სამილგაყვანო, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო გადაყვანის და სატვირთო გადაზიდვების, აგრეთვე, კავშირგაბმულობის) მომსახურების სერვისს. ამ დარგის პროდუქცია გაიზომება მგზავრ-კილომეტრებით და ტონა-კილომეტრებით. გამოიყენება მომსახურების ტარიფები (ფულადი ანაზღაურების განაკვეთი სატრანსპორტო მომსახურების ერთეულისათვის) ან ფრახტები (წყლის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის ერთეულის ანაზღაურება).

კულტურისა და სპორტის სამომსახურეო ბიზნეს-სერვისში შედის თეატრების, კინოთეატრების, ფილარმონიების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, კლუბების, კულტურის სახლების, სპორტული სანახაობების, ფიზკულტურისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაციების სამომსახურეო სერვისი.

სასამართლო მომსახურების ბიზნეს-სერვისი მოიცავს სანოტარო, საადვოკატო, სადამცველო ფირმების სამოსამსახურეო სერვისს.

საბანკო-საფინანსო ბიზნეს-სერვისში შედის როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი ოპერაციები.

ანაზღაურებადია ხელფასის გადარიცხვები, სეიფების არენდით მომსახურება, ძვირფას ფასეულობათა შენახვა, ვალუტის გაცვლა, ანგარიშების გახსნა და წარმოება, სადაზღვევო მომსახურება და სხვ. არაანაზღაურებადია სადებოზიტო ანგარიშების გახსნა, წარმოება და სხვ.

სააუდიტო მომსახურების ბიზნეს-სერვისმა დიდი გავრცელება ჰპოვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. აუდიტი (ლათინური სიტყვა აუდიო-მსმენელი, ძველ სასულიერო სასწავლებლებში მოწინავე, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს ანდობდნენ სხვა მოსწავლეების გამოცდას. ისინი უსმენდნენ მათ და ღებულობდნენ ინფორმაციას თუ როგორ აითვისეს განვლილი სასწავლო მასალა და შეასრულეს სათანადო დავალებანი. საჭირო შემთხვევაში ასეთი მოწინავე მოწაფეები კონსულტაციებსაც უტარებდნენ ჩამორჩენილ მოსწავლეებს) არის მეწარმის, ბიზნესმენის საფინანსო ანგარიშგებიანობის დამოუკიდებელი ექსპერტიზა სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობისადმი, აგრეთვე, საბუღალტრო აღრიცხვიანობის სისრულისა და სიზუსტისადმი შესაბამისობის შესახებ. აუდიტი შეიძლება იყოს გარე (როდესაც აუდიტორულ მეწარმეობას, საწარმოებისა და ორგანიზაციების წინასწარი დაკვეთის საფუძველზე, ანხორციელებს გარე აუდიტორული ფორმა, კომპანია) და შიდა (როდესაც აუდიტორულ ექსპერტიზას ანხორციელებს თვით ორგანიზაციის, ფირმის, კომპანიის სპეციალური ფუნქციონალური განყოფილება, ბიურო, სამსახური, რომლებიც ადმინისტრაციულად ემორჩილებიან მოცემული დაწესებულების ხელმძღვანელობას).

სააუდიტო ბიზნეს-სერვისი მოიცავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაცნობას, გასინჯვას, შედარებას მოქმედი კანონმდებლობისადმი, დასკვნას და რეკომენდაციებს.

მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტატისტიკური მაჩვენებლები ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში განისაზღვრება მომსახურების ბაზრის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის (შრომითი, ფინანსური და მატერიალური რესურსების მოცულობა, მათი ხარისხი და ბალანსირება), მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობის (მოთხოვნა, მიწოდება, მათი ურთიერთშეფარდება, ტევადობა და მომსახურებით

უზრუნველყოფა), რეალიზაციის (მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა როგორც მთლიანად ასევე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით), ფასებისა და ტარიფების (ფასებისა და ტარიფების დონე, სტრუქტურა, ფასებისა და ტარიფების მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსები), ინფრასტრუქტურის (მომსახურების საწარმოთა რიცხვი, მათი სტრუქტურა, საწარმოო სიმძლავრე, ტექნიკური აღჭურვილობა, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა), მომსახურების გაწევის ეკონომიკური შედეგების მაჩვენებლების (რეალიზაციიდან ამონაგები ანუ საოპერაციო შემოსავლები, მოგება, დამატებული ღირებულების გადასახადი) და ეფექტურობის (მოგება, რესურსების მიმართ, დანახარჯების მიმართ, რენტაბელობა და სხვ.) და სხვა სახის ინდიკატორები.

მარკეტინგის სტატისტიკა

სიტყვა მარკეტინგი წარმოშობილია ინგლისური სიტყვა market-ისაგან და ბაზარს, გასაღებას ნიშნავს. ამიტომ მარკეტინგი ყოველგვარი კომერციული საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე (წარმოება, გაცვლა, მოხმარება) გამოიყენება და ხორციელდება საქონლისა და მომსახურების გასაღების, გაცვლის განვითარების, დაჩქარების, მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისა და საბოლოო ჯამში მოგების მიღების სტიმულირებისათვის. მარკეტინგული სერვისი მოიცავს ბაზრების ანალიზს, მოთხოვნა-მიწოდების განსაზღვრას, ბაზრების სეგმენტირებას, ფასების პოლიტიკას, სტრატეგიას, რეკლამას და სხვ.

ბაზარი საზოგადოების განვითარების ადრეული საფეხურებიდანვე, საქონელწარმოების განვითარებასთან ერთად, ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანთა ურთიერთობის ერთერთ მნიშვნელოვან სფეროს. ბაზარზე უპირისპირდებოდა ერთმანეთს საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდება. მაგრამ ბაზრის შესწავლა როგორც ეკონომიკურად ისე სტატისტიკურად განსაკუთრებულ როლს საბაზრო ეკონომიკის პირობებში იძენს. აქ

უნდა მოვიხსენიოთ ბაზართა სხვადასხვა სახეობანი. მათ შორის: საქონლისა და მომსახურების ბაზარი, ინვესტიციების ბაზარი, შრომის ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და სხვა. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ. მათი განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით დაახლოებით ერთნაირია. ამიტომ აქ და შემდგომშიც განიხილება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ბაზრის სტატისტიკა, რომელიც განაპირობებს სხვა სახის ბაზრების სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემასაც.

ბაზარი არის თავისუფალი პარტნიორების, გამყიდველებისა და მყიდველების ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა სისტემა, რასაც ძირითადად განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობრივი თანაფარდობანი. საბაზრო სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს ბაზრის ტევადობა ანუ მოთხოვნა-მიწოდების მოცულობანი, მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურა, დინამიკა ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით და სხვა მოვლენებთან კორელაციურ-სტატისტიკური ურთიერთკავშირი.

საბაზრო სტატისტიკის შესწავლის ობიექტია ბაზარი, ანუ საბაზრო-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები, ხოლო საგანი - ამ მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში. წინამდებარე ნაშრომში საბაზრო სტატისტიკაში განიხილება ბაზრის კონიუქტურის მარკეტინგული გამოკვლევის და სასაქონლო ბირჟის სტატისტიკა.

სიტყვა კონიუქტურა წარმოშობილია ლათინური სიტყვა ცონფუზვო-საგან, რაც ნიშნავს შეერთებას. ბაზრის კონიუქტურა არის ბაზარზე არსებული სიტუაცია, რომელსაც განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთშეფარდებანი, მათი განვითარების ტენდენციები, კონკრეტული ბრძოლის მასშტაბები, ძალა, კომერციული რისკის დონე და სხვა ფაქტორები. მაშასადამე, კონიუქტურა ამ ფაქტორთა ურთიერთხემოქმედების შეერთების საერთო ძალის განმსაზღვრელი ფენომენია, რაც ერთობ საჭიროა საბაზრო ეკონომიკის მართვისა და რეგულირებისათვის. კონიუქტურის შესწავლა აუცილებელი პირობაა მარკეტინგისა და კომერციული საქმიანობის წარმართვისათვის,

აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური, საგადასახადო და საკანონმდებლო პოლიტიკის გასატარებლად ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მიზნით.

ბაზრის კონიუქტურა ხასიათდება ვარიაციით, ციკლურობით, სეზონურობითა და დინამიურობით. კონიუქტურის ვარიაციას ანუ ცვალებადობას განსაზღვრავს როგორც მუდმივად მოქმედი ისე შემთხვევითი ხასიათის ფაქტორები, მათ შორის შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური, დემოგრაფიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ორგანიზაციული და სხვა სახის ფაქტორები.

კონიუქტურის ციკლურობას განაპირობებს მოთხოვნის (ბაზარზე წაყენებული მოთხოვნილება, რომელსაც განსაზღვრავს ადამიანთა ფულადი შემოსავლები და აქედან გამომდინარე მსყიდველობითი უნარიანობა) ან მიწოდების შემცირება ან გადიდება, შემდეგ სტაბილიზაცია და ისევ გადიდება ან შემცირება. სეზონურ ცვალებადობას განსაზღვრავს საქონლის დამზადების სეზონურობა ან სხვა მსგავსი ფაქტორი.

ბაზარი ცვალებადია დროში, მისი საზღვრები დიდდება ან მცირდება ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით. აქედან გამომდინარე კონიუქტურის სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობანი, კონიუქტურის ციკლურობა, სეზონურობა, დინამიკა, კონკურენციული ბრძოლის, კომერციული რისკის, აგრეთვე, ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხი, ბაზრის რეგიონალური განსხვავებანი, კონიუქტურის საპროგნოზო პარამეტრები და სხვა.

ბაზარზე არსებული სიტუაციის დახასიათება და პროგნოზირებისათვის გამოიყენება როგორც სისტემატური ისე პერიოდული ინფორმაციული მასალა. სისტემატური ხასიათის მასალას იძლევა ე.წ. სასიგნალო ინფორმაციები, რომლებიც დღიური, დეკადური, თვიური და სხვა ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით მოედინება ქვემდგომი (სამრეწველო, სავაჭრო, სამარკეტინგო და სხვ.) რგოლებიდან. ეს ინფორმაცია ეხება წარმოების, საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგების მოცულობას, ფასებს, ფინანსებს, სოციალურ-დემოგრაფიულ საკითხებს და სხვა სახის მასალას.

სისტემატური ხასიათის მასალა ზოგჯერ ვერ ახასიათებს ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხს და არ იძლევა კონიუქტურის პროგნოზირების საშუალებას. ეს კი აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის მართვისა და ორგანიზაციის აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის. ამიტომ საჭირო ინფორმაციის მისაღებად პერიოდულად აწარმოებენ ბაზარზე მომუშავე მუშაკების, წარმოების დარგთა სპეციალისტების, აგრეთვე, მეცნიერ-ექსპერტების გამოკითხვას. გამოკითხვა წარმოებს როგორც ანკეტის მეშვეობით, ისე ინტერვიუს სახით, სპეციალურად შედგენილ კითხვარებზე პასუხების გაცემის გზით.

მთავარი მაჩვენებლები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება ბაზარზე და განსაზღვრავს კონიუქტურას არის მოთხოვნა და მიწოდება. მომხმარებელთა სურვილი საწონელსა და მომსახურებაზე განსაზღვრავს მოთხოვნილებას, ხოლო მოთხოვნილება ფულადი რესურსების გათვალისწინებით აყალიბებს ბაზარზე მოთხოვნას. მიწოდებას წარმოქმნის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარება. მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთშეფარდებით ყალიბდება ბაზარზე საქონლისა და მომსახურების განსაზღვრული, გამაწონასწორებელი ფასები, რომელთა მეშვეობით ხდება კონკრეტული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა და მომხმარებელთა დაკმაყოფილება. მოთხოვნა შეიძლება იყოს პოტენციალური ან დასურული (ყალიბდება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გამოსასვლელად მომზადების სტადიაში), ჩამოყალიბებული (ფორმირდება მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთშეფარდებით), ალტერნატიული (ყალიბდება მომხმარებლის მიერ სხვა საქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილის გამოყვანებისას), სპონტანური (გამომყვანება უეცრად მომხმარებლის მიერ ბაზარზე მისთვის სასურველი საქონლის ან მომსახურების სახეობის აღმოჩენისას), გადადებული (როდესაც მყიდველი ფულს თანდათანობით აგროვებს ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად), დაუკმაყოფილებელი (როდესაც ბაზარზე მყიდველი ვერ პოულობს შესაბამის საქონელს) და სხვა. თავისთავად მოთხოვნა-მიწოდების მაჩვენებლები შეიძლება

იყოს მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობა, სტრუქტურა, ელასტიურობა, დინამიკა და სხვა.

კონიუქტურის მაჩვენებლებს მიეკუთვნება, აგრეთვე, პროპორციულობა (მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთშეფარდება), ბაზრის სტრუქტურა (საქონელბრუნვის, გამყიდველებისა და მყიდველების, აგრეთვე, რეგიონალური ჭრილისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით), კომერციული რისკი (საინვესტიციო რისკი, მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღების რისკი და სხვ.), კონიუქტურის ცვალებადობა (ვარიაციის მაჩვენებლები), საქმიანი აქტიურობა (დაკვეთების პორტფელი, გარიგებათა რაოდენობა და დინამიკა და ა.შ.). ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს ბაზარზე სიტუაციას და ამით იძლევა შესაბამის მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღების საშუალებას.

საბაზრო სიტუაციის კონიუქტურული შეფასებანი წარმოებს ხარისხობრივი და ატრიბუტული, აგრეთვე, რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ბაზარზე სიტუაცია ან კეთილმყოფელი ანუ მაღალი კონიუქტურის ან კიდევ არაკეთილმყოფელი ანუ დაბალი კონიუქტურის შეიძლება იყოს. მაღალი კონიუქტურული სიტუაციის ნიშნებია: ბალანსირებული მოთხოვნა-მიწოდება, გაწონასწორებული ფასები, სტაბილური ან მზარდი რეალიზაცია და ა.შ. დაბალი კონიუქტურის ნიშნებია: ბაზრის დისპროპორცია, მოთხოვნის მკვეთრი შემცირება, საქონლის დეფიციტი, ფასების ცვალებადობა, მარაგების გაუმართლებელი ზრდა და ა.შ.

ხშირად სიტუაციას ბაზარზე ახასიათებს სამი სახის ინდიკატორი: საქონელბრუნვის, ფასებისა და მარაგების ინდექსები. ამ ინდიკატორების ცვლილებას განიხილავენ ქრონოლოგიური თარიღების დინამიკაში. ცნობილი დინამიკური მწკრივების დამუშავების ანალიზური ხერხების გამოყენებით დაადგენენ ინდიკატორების განვითარების ტენდენციებს. აქ როგორც ცნობილია, შეიძლება გვქონდეს სამი შემთხვევა: ინდიკატორის ზრდის ტენდენცია, კლების ტენდენცია ან სტაბილური მდგომარეობა. ჩვენს მაგალითზე ანუ მოტანილი სამი ინდიკატორის გამოყენებით მაღალი კონიუქტურის მაჩვენებლებია საქონელბრუნვის გადიდება, ფასებისა და მარაგების

შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაბალი კონიუქტურის შემთხვევასთან ბაზარზე.

დაბალი კონიუქტურის შესაცვლელად საჭიროა შესაბამის მარკეტინგულ ღონისძიებათა გატარება. თითოეული მარკეტინგული გადაწყვეტილება გარკვეული რისკის ტოლფასია, რის გამო პირველ რიგში უნდა შეფასდეს რისკი. რისკის შეფასება დამოკიდებულია მისი სახეობისაგან: დაბანდებული კაპიტალის ნაწილობრივი ან მთლიანად დაკარგვის, გაკოტრების, კრედიტის დაკარგვის, ინფლაციის, კონკურენტის მიერ ბაზრიდან გამოდევნის და სხვა სახეობის რისკი. რისკის შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდია საქესპორტო მეთოდი, რაც თავისთავად ეყრდნობა კონიუქტურის შეფასების მდიდარ სტატისტიკურ მასალას.

საბაზრო სტატისტიკის შესწავლის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიურობის ანუ ცვალებადობის რაოდენობრივი შესწავლა. ამ ცვალებადობას რაოდენობრივად გამოსახავენ ელასტიურობის კოეფიციენტით.

ელასტიურობის კოეფიციენტი ზოგადად გვიჩვენებს საშედეგო ფაქტორის პროცენტულ ცვალებადობას ფაქტორული ნიშნის ერთი პროცენტის ცვალებადობისას..

თუ ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე მეტია, მაშინ საქმე გვაქვს პირდაპირ კავშირთან და თანაც ულტრა ანუ ძლიერ ელასტიურობასთან. ასეთი კავშირი შეიძლება გამოვლინდეს მოთხოვნისა და ფულადი შემოსავლების ურთიერთკავშირის ანალიზის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ ერთის ტოლი ან ერთზე ნაკლებია ელასტიურობის კოეფიციენტი, მაშინ საქმე გვაქვს მცირე ანუ ინფრა ელასტიურობასთან (უნიტარული მოთხოვნა).

თუ ფაქტორული ნიშნის გადიდებისას მოთხოვნა მცირდება (მაგალითად, ფასების ცვალებადობასთან ურთიერთკავშირში), მაშინ საქმე გვაქვს შებრუნებულ ანუ უკუკავშირთან. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა ე. ენგელმა დაადგინა, რომ ოჯახის შემოსავლების ზრდასთან ერთად მცირდება კვების პროდუქტებზე დანახარჯების ხვედრითი წილი (და არა აბსოლუტურად) და დიდდება ფუფუნების საგნებზე დანახარჯების ხვედრითი წილი. ეს კანონი ატარებს ენგელის კანონის

სახელწოდებას და ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტურ გამოკვლევებში.

ბაზარზე მოთხოვნის ელასტიურობის უფრო დაწვრილებითი დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელისა და მომსახურების ურთიერთშემცვლელობის ფაქტორთა გათვალისწინებას. ფასების გადიდებისას მოთხოვნა უფრო მეტად მცირდება მაღალი ხარისხისა და მეტად ძვირადღირებულ საქონელსა და მომსახურებაზე. მაგალითად, პურზე ფასების მომატებისას თავს იჩენს ჯიფენის პარადოქსი: რაც უფრო ძვირდება პური, მით მეტად ყიდულობს მას მომხმარებელი. მაგრამ პურის მოხმარების სტრუქტურაში მცირდება მაღალი ხარისხისა და ძვირადღირებული პურის მოხმარება და დიდდება დაბალი ხარისხის და შედარებით ნაკლებფასიანი პურის მოხმარება. აქ გამოვლინდება ნივთის სარგებლიანობის ხარისხი: მაღალი ხარისხის საქონლის შედარებით ნაკლები რაოდენობაა საჭირო ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ამიტომ მისი შემცველი ხარისხის საქონლის მეტი მასა ესაჭიროება მომხმარებელს ამა თუ იმ საჭიროებისათვის.

ბაზარზე მოთხოვნის შესწავლისას ვლინდება, აგრეთვე, ვებლენის პარადოქსი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფუფუნების საგნებს მომხმარებლები იძენენ არა იმდენად მათი სამომხმარებლო თვისებებისათვის, რამდენადაც სოციალური დანიშნულებისათვის (პრესტიჟულობა, მოდა და ა.შ.). ამიტომ ზოგჯერ ჯიფენის პარადოქსს ეწოდება - სიღარიბის ეფექტი, ხოლო ვებლერის პარადოქსს - სიმდიდრის.

ელასტიურობის ზემოთმოტანილი თეორიული კოეფიციენტის ფორმულით შეიძლება დავადგინოთ მოხმარების მგრძობიანობის ხარისხი მასზედ მოქმედი რომელიმე ფაქტორის ცვალებადობის მიმართ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით. ასეთი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს ოჯახის ერთ სულზე შემოსავლის მიხედვით. მაგალითად, ოჯახის რაოდენობა, რომელთაგან თითოეულ ოჯახის წევრს თვეში აქვს შემოსავალი 50-დან 100-ლარამდე და ა.შ.

ბაზარი თავისი ბუნებით სტიქიური ხასიათისაა, რასაც ზოგჯერ კაპიტალის კონცენტრაციისა და საქონლის მასის გადიდების კვალობაზე თან სდევს სტაგნაციისა და საზოგადოებისათვის სხვა,

მეტად არასასურველი მოვლენები. ამიტომ, თავიდანვე, მოწინავე მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მეცნიერების წინაშე დაიასახა საბაზრო პროცესების განვითარების, პროგნოზირებისა და რეგულირების გადაუდებელი ამოცანები. ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება საბაზრო ეკონომიკის თანმდევი მეცნიერული ცოდნის დარგი - მარკეტინგი. მარკეტინგი ნებისმიერი მოთხოვნა-მიწოდების შესწავლის გზით მიზნად ისახავს ბაზრის მართვისა და რეგულირების სისტემის შემუშავებას, ხოლო მარკეტინგული გამოკვლევა, როგორც მისი ერთერთი შემადგენელი ნაწილი - ბაზრის განვითარების წინასწარშეცნობას და ამ საფუძველზე პროგნოზირებას გულისხმობს.

მარკეტინგული გამოკვლევის ძირითადი ეტაპებია საკითხის ეკონომიკური დასმა, ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, პროგნოზირება და რეკომენდაციების შემუშავება. საკითხის ეკონომიკური დასმა ბაზრის მართვისა და რეგულირების ამოცანების განსაზღვრას გულისხმობს, რასაც უნდა მოჰყვეს მარკეტინგული ინფორმაციის - ციფრების, ფაქტების, ცნობებისა და სხვა საანალიზო და საპროგნოზო მონაცემების შეგროვება. როგორც ჩანს მარკეტინგული გამოკვლევის ყველა ეტაპზე სტატისტიკას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური შემეცნების მძლავრ იარაღს, განსაკუთრებული როლი და ნიშნელობა ენიჭება. მის ამოცანებშია: ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების, კონკურენციული ბრძოლისა და სხვათა შესახებ უტყუარი, საიმედო, მეცნიერული ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. შესაბამისი მეცნიერული, სტატისტიკური მეთოდებით, კონკურენციული ბრძოლის, აგრეთვე ბაზრის განვითარების პარამეტრების მეცნიერული წინასწარხედვა და შესაბამისი სარეკომენდაციო პროგნოზების შემუშავება.

საბაზრო პროცესების რეგულირებისათვის საჭირო ციფრები, ფაქტები, მონაცემები უნდა შეგროვდეს საქონლისა და მომსახურების, მიწოდების, მოთხოვნის, რეალიზაციის, ფასების, კონკურენციის შესახებ. ამ ინფორმაციის მატარებელი ანუ წყაროებია მომხმარებლები (ინდივიდუალური, კოლექტიური), მოსახლეობა, ფირმები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები. ამ მონაცემების მოპოვებისათვის

შეიძლება გამოყენებულ იქნას მარკეტინგული სამსახურები და მისი ცალკეული ქვეანყოფილებანი ან კიდევ კომერციულ საწყისებზე შექმნილი სპეციალური მარკეტინგული ფირმები. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან სათანადო ანაზღაურებით მოიპოვონ მარკეტინგული ინფორმაცია, გადაამუშაონ, გაუკეთონ მას სათანადო მეცნიერული ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინონ დამკვეთს მათი ქცევისა და მომავალში გასატარებელ მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა შესახებ. მოწინავე ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთში და სხვ.) საქონლის მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა გათვალისწინებულია შესაბამისი კონტრაქტებითა და საკანონმდებლო აქტებით. ამ შემთხვევაში მწარმოებელი თავის თავზე იღებს, მიაწოდოს მომხმარებლებს ინფორმაცია პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების, აგრეთვე, საკუთარი ინფორმაცია ბაზრის შესახებ (ბაზრის ტევადობა მთლიანად ცალკეული სეგმენტების მიხედვით, მომხმარებლის ანკეტირების მონაცემები, ბაზრის კონიუქტურული შეფასებანი), დემოგრაფიული მახასიათებლები, მონაცემები კონკურენტ-მწარმოებელთა და მათი ქმედების შესახებ, სრული ინფორმაცია შეთავაზებულ საქონელზე (სერთიფიკაციისა და ტესტირების მონაცემები, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

მომხმარებლები, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან მიაწოდონ მწარმოებლებს ინფორმაცია საცალო მომხმარებლების (კლიენტურის), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასაწყობო მეურნეობის, სატრანსპორტო ქსელის და სხვ.), მომხმარებელთა შეხედულებების, ქცევის, რეკლამის, ეფექტურობის, ადგილობრივი ბაზრის ტევადობისა და სხვათა შესახებ. ხშირად არაოფიციალური მონაცემების მოსაპოვებლად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მიმართავენ ე.წ. მარკეტინგული დაზვერვის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალური და ნახევრად კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას და გადამუშავებას.

მსხვილ მარკეტინგულ ფირმებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, აგრეთვე, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს გააჩნიათ შერჩევითი დაკვირვების გზით მიღებული ინფორმაციის საშუალებანი (პანელები). მაგალითად, სახელმწიფო სტატისტიკის

პანელი მოიცავს 60,0 ათას შერჩევით ოჯახს, რომლებსაც ევალებათ სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია სტატისტიკის ორგანოებს საკუთარ ბიუჯეტზე (წლიურ შემოსავლებსა და გასავლებზე) და ყველა იმ საკითხზე, რასაც მოიცავს პროგრამა. გამოიყენება, აგრეთვე, სავაჭრო კორესპონდენტები, რომლებიც განლაგებულნი არიან საყრდენ პუნქტებში და სისტემატურად აწვდიან ბაზრის შესახებ ინფორმაციას სავაჭრო ფირმებს.

მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვებისათვის ფართოდ გამოიყენება გამოკითხვები, რომლებიც შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი. გამოკითხვის ობიექტია ინდივიდუალური მომხმარებლები ან მსხვილი სავაჭრო ფირმები. ხშირად გამოსაკითხ პირს (რესპოდენტს) საუბარს უტარებენ ტექსტირების ანუ ურთიერთგამომრიცხავ კითხვებზე პასუხების ღმიხედვით. გამოკითხვისათვის ხშირად იყენებენ ანკეტებს, რომლებიც მოიცავს გამოკითხვის მიზნებსა და ამოცანებს, რესპოდენტის ანუ გამოსაკითხავი პირის შესახებ საჭირო ცნობებს, საპროგრამო კითხვარების ჩამონათვალს ბაზრის შესახებ, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხები და ა.შ.

გამოკითხვის ერთერთი გავრცელებული სახეობაა საექსპერტო გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობს კვალიფიციური, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. მათი პასუხების განზოგადება იძლევა ბაზრის მართვისა და რეგულირების მეტად საჭირო და საიმედო, სარეკომენდაციო მასალას. ამ საქმეში დიდ გამოყენებას პოულობს საექსპერტო შეფასებათა დელფის მეთოდი, ტვინის შეტევის მეთოდი და სხვა, რომლებსაც წარმატებით იყენებენ ბაზრის განვითარების პროგნოზირების საქმეში.

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, დაჯგუფების, თავმოყრისა და საანალიზო მაჩვენებლების გაანგარიშების შედეგად იქმნება სამი მარკეტინგული ბანკი: ინფორმაციის ბანკი, რომელიც ფორმდება ცხრილების, დისკეტების, მაგნიტური ლენტებისა და სხვათა სახით, რაც წარმოადგენს სისტემატიზებული ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების საშუალებას: სტატისტიკური ბანკი - მონაცემების თავმოყრისა და დაჯგუფების, აგრეთვე ანალიზის სტატისტიკური მეთოდების ერთობლიობა; მოდელების ბანკი -

მარკეტინგული მოდელების ერთობლიობა, რომლებიც იძლევა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. ეს მასალები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ბაზრის რეგულირებისა და მართვის საქმეში.

მარკეტინგული გამოკვლევა ფართო სპექტრის პრაქტიკული და სამეცნიერო ხასიათის სამუშაოებს მოიცავს. ამიტომ მის საფუძვლად გამოყენებულია სხვადასხვა სახის მეცნიერული გამოკვლევანი როგორც რაოდენობრივი, ფორმალური (ავტორები: ფ. კოტლერი, დ. კოკსი, რ. ბაზელი, ფ. ბიკეკერი, პ. მასლოვი და სხვ.), ისე არაფორმალური (ავტორი კ. სიმონდსი და სხვ.) ანალიზის მეთოდები.

მარკეტინგული გამოკვლევის მეთოდოლოგიაში ფართო ადგილს იჭერს სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფების, თავმოყრის, საშუალოებისა და დისპერსიული ანალიზის, დინამიკური მწკრივების, საინდექსო, შერჩევითი დაკვირვების, კორელაციურ-რეგრესიული და სხვა სახის მეთოდები. სტატისტიკური შეფასების გამოყენების გარეშე წარმოდგენილია ოპტიმალურ, მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღება და მის საფუძველზე ბაზრის მართვა და რეგულირება. მნიშვნელოვან გამოყენებას პოულობს, აგრეთვე, წრფივი და არაწრფივი პროგრამირების, თამაშთა თეორიის, სტოხასტური პროგრამირების, მასობრივი მომსახურების, იმიტაციური მოდელირების და სხვა მეთოდები.

მასადაამე, მარკეტინგულ გამოკვლევაში გამოიყენება ყველა ის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მეცნიერულობას (მეცნიერულად დასაბუთებული მასალის უზრუნველყოფა), კომპლექსურობას (ბაზრის მუშაობის ყველა ასპექტის გამოკვლევა), სისტემურობას (მოქმედებათა ლოგიკური თანმიმდევრობა), ოპერატიულობას (თავისდროულ გადაწყვეტილებათა მიღებას), პერსპექტიულობას (დასაბუთებული, საიმედო პროგნოზების მიღება), ეფექტურობას (ნაკლები დანახარჯების მაღალი სამუდგო მაჩვენებლების მიღება).

მარკეტინგული სტრატეგია პრინციპულ, პრიორიტეტულ და საბაზრო გადაწყვეტილებათა კომპლექსია, რაც განაპირობებს სავაჭრო ფირმის ბაზარზე ხვედრითი წილის ზრდას, საქონლისა და

მომსახურების გადიდებას, ახალი საქონლის წარმოებასა და ბაზარზე გატანას, მოგების გადიდებას და სხვ.

სავაჭრო ფირმის სტრატეგია ბაზარზე შეიძლება იყოს შეტევითი, თავდაცვითი და უკანდახვეითი. სტრატეგია განისაზღვრება ბაზარზე ძლიერი, თავდაცვითი - საშუალო, ხოლო უკანდახვეითი - არახელსაყრელი, სუსტი პოზიციებით. ამასთან სავაჭრო ფირმის პოზიციას განსაზღვრავს ორი ჯგუფის ფაქტორები: საბაზრო და საკუთარ შესაძლებლობათა ფაქტორი: ბაზრის სიტუაცია და საკუთარ შესაძლებლობათა ფაქტორები. ბაზრის სიტუაციას განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობის ზრდის ტემპები, სსსაქონლო მარაგები, ფასების ცვალებადობა, კონკურენციის ინტენსიურობა, ბაზრის ტევადობა, მოგების საშუალო ნორმა და სხვა. საკუთარ შესაძლებლობებს - ფირმის ხვედრითი წილი ბაზარზე, საქონლის კონკურენტუნარიანობის დონე, ფირმის საფინანსო-საკრედიტო პოტენციალი, ფირმის იმიჯი და ა.შ. შესაძლებელია ამ ფაქტორების მიხედვით განისაზღვროს მრავალგანზომილებიანი საშუალო ბალი ცალცალკე როგორც ბაზრის სიტუაციისათვის, ასევე სავაჭრო ფირმის საკუთარი შესაძლებლობების, ანუ კონკურენტუნარიანობისათვის. ამისათვის საექსპერტო წესით თითოეულ ფაქტორს მიანიჭებენ მისი მოქმედების სიძლიერის მიხედვით ბალურ შეფასებას, ხოლო იმ როლის მიხედვით, რასაც ის იმსახურებს ფაქტორთა კომპლექსში - რანგის მნიშვნელობას. ფაქტორთა თითოეული კომპლექსისათვის განისაზღვრება საშუალო ბალი საშუალო შეწონილი არითმეტიკულის გამოყენებით.

ამ რეიტინგის (თუ ასეთ საშუალო ბალებს გამოვიანგარიშებთ ცალცალკე ფაქტორთა თითოეული ჯგუფისათვის, მაშინ მათი საშუალო გეომეტრიული დაახასიათებს სავაჭრო ფირმის რეიტინგს) მიხედვით (მაღალი, საშუალო და დაბალი) სავაჭრო ფირმას შეუძლია განახორციელოს შესაბამისად შეტევითი, თავდაცვითი ან უკანდახვეითი სტრატეგია, რაც ერთობ საჭიროა გაკოტრების თავიდან აცილებისა და მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნებისათვის. როგორც ჩანს თავდაცვითი სტრატეგია ფირმას შეუძლია აირჩიოს ორ შემთხვევაში (ორივე შემთხვევაში პოზიცია საშუალოა): საბაზრო სიტუაცია ხელსაყრელია, მაგრამ ფირმის კონკურენტუნარიანობა

დაბალია ან პირიქით - საბაზრო სიტუაცია არახელსაყრელია, მაგრამ ფირმის კონკურენტუნარიანობა მაღალია.

ბუნებრივია, რომ სავაჭრო ფირმის მიერ გატარებული მარკეტინგული გადაწყვეტილებანი შეტევითი სტრატეგიის დროს იქნება დაბალი, თავდაცვის დროს საშუალო, ხოლო უკანდახვევითი სტრატეგიის დროს - მაღალი რისკის მატარებელი. ხშირად სტატისტიკა ბაზარზე სავაჭრო ფირმის რეიტინგის დადგენის გაანგარიშებათა რთულ კომპლექსს ამარტივებს და მიმართავს მხოლოდ ფირმის ხვედრითი წილის გაანგარიშებას. თუ ბაზარზე ყველა ფირმის მიერ რეალიზებული საქონლის საერთო მასაში იზრდება მოცემული სავაჭრო ფირმის ხვედრითი წილი, მაშინ ფირმის ხელმძღვანელობა მიმართავს შეტევით სტრატეგიას. თავის დაზღვევის მიზნით, ამასთან ერთად, აუმჯობესებს საქონლისა და მომსახურების დიზაინურ (ნაკეთობის ესთეტიკურ იერ-სახეს), სტაილინგურ (სტილისა და მოდისადმი შესაბამისობის ხარისხი) და ერგონომიკურ (პროდუქციის გამოყენებისა და მომსახურების მოხმარებისას კომფორტულობა და სიამოვნება) თვისებებს. სავაჭრო ფირმების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების საქმეში სტატისტიკა ითვალისწინებს, აგრეთვე, საქონლის მოთხოვნისადმი სიმწიფის ფაზას. როგორც ცნობილია საქონელი და მომსახურება სულ ხუთ ფაზას გაივლის: შექმნა, ბაზარზე გატანა, ზრდა, სიმწიფე და დაცემა. ამ ფაზების მიხედვით სტატისტიკა აგებს მრუდებს (აბსცისთა ღერძზე გადიხომება ფაზები ხანგრძლივობათა მიხედვით და ორდინატთა ღერძზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მოცულობა) და მის საფუძველზე იძლევა მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა რეკომენდაციებს.

სასაქონლო ბირჟის სტატისტიკა

საბაზრო სტატისტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სასაქონლო ბირჟის სტატისტიკა.

სასაქონლო ბირჟა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ის არის იურიდიულად და

ორგანიზაციულად გაფორმებული, მუდმივმოქმედი, საქონლის ბითუმად გაცვლის გარიგებათა ბაზარი, რომლის ელემენტებია საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდების, ფასების, კომერციულ გარიგებათა მაღალორგანიზებული რეგულირება. სასაქონლო ბირჟა შეიძლება იყოს სპეციალიზებული რომელიმე სახეობის საქონლის (ხორბლის, ნავთობპროდუქტების, შაქრის, კაუჩუკის, შავი და ფერადი ლითონების, ხე-ტყის მასალების და ა.შ.) და უნივერსალური, სხვადასხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა სფერო.

სასაქონლო ბირჟაზე საბითუმო გარიგებანი შეიძლება იყოს რეალური საქონლით, ფორვარდული, ფიუჩერული, ოპციონური, ხეჯირბული და სპრედინგული. რეალური საქონლის გარიგება გულისხმობს, რომ ბირჟას გააჩნია სასაწყობო შენობები, სადაც არსებულ რეალურ საქონელზე ხდება საბითუმო გარიგებანი. ამ სახის გარიგებისაგან განსხვავებით ფორვარდული გარიგება მართალია რეალურ საქონელზე წარმოებს, მაგრამ გადახდის განვადებას გულისხმობს გარიგების მომენტში არსებული ფასებით. ასეთი გარიგება ფასების შემცირება ან გადიდებაზეა ნაგარაუდები (გამყიდველი ფიქრობს, რომ ფასები მცირდება და მყიდველი კი პირიქით). ზემოთჩამოთვლილი გარიგებებისაგან განსხვავებით ფიუჩერული გარიგებისას არაა აუცილებელი მოცემულ მომენტში რეალური საქონლის არსებობა. ის ქალაქზე გარიგებას გულისხმობს საკონტრაქტო წესით, რითაც დაფიქსირდება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის საქონლის მიწოდების აუცილებლობა.

ზემოთჩამოთვლილი გარიგებანი წარმოშობს საბირჟო სპეკულაციის ორ სხვადასხვა ვარიანტს: საკასო და ვადიან გარიგებას. პირველ შემთხვევაში პირჟის მუშაკნი ყიდულობენ საქონელს ფასების გადიდების იმედით და ფასთა სხვაობით მოელის მოგებას, ხოლო ვადიანი გარიგებისას (რომლის ერთერთი სახეობა ფიუჩერული გარიგებაა) კონტრაქტი დაიდება ისეთ საქონელზე, რომელზედაც ბირჟის მუშაკნი ფასების შემცირებას მოელიან.

ხეჯირბული გარიგება იგივე ფიუჩერული გარიგებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხდება ფასების მოსალოდნელი ცვლილების წინასწარდაზღვევა. ჩვეულებრივად, იმისათვის, რომ

საქონლის გამყიდველმა დაიზღვიოს თავი და შეინარჩუნოს მომავალში საკასო ფასი, შეიძენს ფიქრერსულ კონტრაქტს საქონლის გაყიდვაზე. თუ ვადიანი და საკასო ფასები იცვლება ერთი მიმართულებით და განსხვავება მათ შორის, ე.ი. ბაზისი, არ იცვლება, მაშინ ხეჯირება იქნება იდეალური, რადგან გამყიდველი არც იგებს და არც აგებს. იმავე საქონლის შესყიდვაზე მყიდველი შეიძენს საქონლის შესყიდვის ფიქრერსულ კონტრაქტს ხეჯირების მიზნით.

ოპციონური გარიგება ეწოდება ისეთ გარიგებას, როდესაც ერთი პიროვნება შეუთანხმდება მეორეს და გარკვეულ პერიოდში იძენს ამ საქონლის შესყიდვის უფლებას ფიქსირებული ფასით. რისთვისაც მეორე პიროვნებას უხდის პრემიის გარკვეულ თანხას.

სპრედინგული გარიგება გარიგების სპეციფიკური ფორმაა და გულისხმობს სხვადასხვა ფიქსირებული გარიგებისათვის რაიმე მოგების მიღებას.

სტატისტიკური ამოცანებია შეისწავლოს საბირჟო მოთხოვნა-მიწოდების მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირი, საბირჟო კონიუქტურა და მისი ცვლილებანი ფაქტორთა ზემოქმედებით, გარიგებათა რაოდენობა, მათი სტრუქტურა სახეობათა მიხედვით, დინამიკა და სხვა საკითხები.

საბირჟო სტატისტიკის მაჩვენებლები უშუალოდ გამომდინარეობს ამოცანებიდან და მოიცავს: ბირჟების საერთო რაოდენობას, მათ სტრუქტურას სახეობათა მიხედვით და დინამიკას, საბირჟო საქონელბრუნვის საერთო მოცულობას, საქონელბრუნვის სტრუქტურას, დინამიკას საქონელბრუნვაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივ, კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზს, ფასების დონეს, დინამიკას და ურთიერთკავშირს მოთხოვნა-მიწოდებასთან, ფასების კოტირებას, გარიგებათა რაოდენობას, მათ სტრუქტურას და ამ საფუძველზე საქმიან აქტივობას, საბირჟო ოპერაციების წარმოებით ბირჟების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებს, მათ შორის მოგებას, საერთო შემოსავალს, გადასახადებს ბიუჯეტში და სხვა მაჩვენებლებს.

სასაქონლო ბირჟის საქმიანობას ასახავს საქმიანი აქტიურობა, რომლის მაჩვენებლებია განაცხადთა რიცხვი, განაცხადთა საშუალო სიდიდე, საბითუმო საქონელბრუნვა, საბირჟო ფასები და სხვა. ამ

მაჩვენებელთა მიხედვით აიგება როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი მაჩვენებლები და შესაბამისად ნატურალური და ღირებულებითი, ინდივიდუალური და საერთო (აგრეგატული) ინდექსები და ა.შ. ნატურალური ინდექსები გამოიყენება ცალკეული სახის საქონლის (შაქარი, ხორბალი, თევზი და სხვ.) ფიზიკური მოცულობის დინამიკის გასაზომავად საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით, ხოლო სხვადასხვა სახის საქონლის ბირჟაზე ყიდვის ან გაყიდვის საერთო მოცულობის დინამიკის დასახასიათებლად გამოიყენება ღირებულებითი ინდექსები, რომლებიც მიიღება სხვადასხვა საქონლის შესაბამის ფასობრივ გამოსახულებებში გამოსახვის გზით. საბირჟო საქმიანობის საქონელბრუნვის, ფასების (როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო), აგრეთვე საშუალო შეწონილი, საშუალო არითმეტიკული, საშუალო ჰარმონიული და სხვა სახის ინდექსები გაიანგარიშება იმ მეთოდოლოგიით, რაც ნაჩვენებია იყო ინდექსების შესაბამის თავში.

საბირჟო საქმიანობის სიტუაციას ანუ კონიუქტურას ახასიათებს მოთხოვნა-მიწოდების, ფასების, გარიგებათა და სხვა მაჩვენებლების ცვალებადობანი დროსა და სივრცეში. მათ შესასწავლად ფართოდ გამოიყენება ვარიაციის, საინდექსო, კორელაციით, შერჩევითი დაკვირვების და სხვა სახის მეთოდები.

საქონელბრუნვის სტატისტიკის მაჩვენებლები და მათი დახასიათება

საქონელბრუნვა სავაჭრო სამეწარმეო საქმიანობის ერთერთი ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორია.

ერთიმეორისაგან ანსხვავებენ ორი სახის საქონელბრუნვას: საბითუმოს და საცალოს. საბითუმო საქონელბრუნვა ეწოდება სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის შესყიდვას შემდგომი გაყიდვის მიზნით. მას ეკუთვნის, აგრეთვე საწარმოებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისადმი საქონლის მიყიდვა. საცალო ვაჭრობა ეწოდება საქონლის მიყიდვას უშუალოდ მოსახლეობისადმი.

საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის ჯამს ეწოდება საერთო საქონელბრუნვა. ეს მაჩვენებელი პირობითია, ვინაიდან

მოიცავს განმეორებით აღრიცხვას. ამიტომ ანგარიშობენ უფრო რეალურ მაჩვენებელს, რომელსაც ეწოდება წმინდა საქონელბრუნვა. მთელი ქვეყნის მასშტაბით წმინდა საქონელბრუნვა ემთხვევა საცალო საქონელბრუნვას, ხოლო ცალკეული რეგიონების და სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით ის ამასთან ერთად მოიცავს საქონლის გაყიდვას რეგიონისა და ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ.

საქონელბრუნვის ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია რგოლადობის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება საერთო საქონელბრუნვისა და წმინდა საქონელბრუნვის მოცულობათა ურთიერთშეფარდებით. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღივსება სასაქონლო მიმოქცევა. ამასთან დაკავშირებით იცვლება მიმოქცევის ხარჯების მოცულობაც. მაგალითად, ორრგოლიანი სისტემის დროს გვაქვს სასაწყობო საბითუმო საქონელბრუნვა, როდესაც საქონელი ჯერ შედის საბითუმო ორგანიზაციების საწყობებში და შემდეგ გადაეცემა საცალო ქსელს, ხოლო ერთრგოლიანია - სატრანზიტო საბითუმო საქონელბრუნვა, როცა საქონელი მწარმოებლიდან პირდაპირ ეგზავნება საცალო ქსელის სავაჭრო ორგანიზაციებს მოსახლეობაში სარეალიზაციოდ.

საქონელბრუნვა იცვლება სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სავაჭრო-ორგანიზაციული და სხვა ფაქტორების გავლენით. მისი შესწავლა სტატისტიკის ერთერთი ძირითადი ამოცანაა.

საქონელბრუნვის საერთო მოცულობა ცალკეული საქონლის გაყიდვათა ჯამია.

მისი სიდიდე განსაკუთრებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ამიტომაც მის დინამიკაში, წლების მიხედვით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ამოცანა წყდება საქონელბრუნვის დინამიკური მწკრივების შედგენისა და მათი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეშვეობით. საქონელბრუნვის დინამიკის შესწავლა ხდება ინდექსების გამოყენებით. ცნობილია საქონელბრუნვის საერთო და ფიზიკური მოცულობის ინდექსები, ისინი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია საქონლის რეალიზაცია ცალკეული ჯგუფებისა და

დასახელების მიხედვით. მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით არასასურსათო საქონლის საცალო ვაჭრობაში, ცნობილია გაყიდვათა რაოდენობა არა ცალკეული ნომენკლატურული პოზიციების მიხედვით, არამედ ფულად ფორმაში. ამიტომ ამ შემთხვევაში საქონელბრუნვის დინამიკის გასაზომად ვიყენებთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის სხვა ფორმას, კერძოდ:

$$I = \frac{\sum_i \frac{1}{i_p} q_1 p_1}{\sum q_1 p_1}$$

სადაც, i_p - ფასების ჯგუფური ან ინდივიდუალური ინდექსი;

$q_1 p_1$ - ცალკეული ჯგუფის საქონლის გაყიდვათა რაოდენობა ფულადი ფორმით საანგარიშო პერიოდში.

სასაქონლო მარაგების სტატისტიკის მაჩვენებლები

სასაქონლო მარაგები ვაჭრობაში საჭიროა სასაქონლო მიმოქცევის უწყვეტი მსვლელობისათვის. გამოიყოფა მიმდინარე, სადაზღვევო, სეზონური მარაგები. ამასთან ძირითადია მიმდინარე მარაგი, რომელიც საჭიროა ყოველდღიური საჭიროებისათვის, სეზონური მარაგი იქმნება ხილზე, კარტოფილზე და სხვა სახის პროდუქტზე მოსახლეობის მომარაგებისათვის მთელი სეზონის განმავლობაში. მიწოდების ვადების დარღვევის, აგრეთვე ნავიგაციის სეზონურობის და სხვა ფაქტორების გავლენით ზოგჯერ შემოიზიდება ე.წ. სადაზღვევო მარაგი. ეს მარაგები ცალ-ცალკე კი არ ინახება, არამედ ერთად არის სავაჭრო ორგანიზაციებში და ქმნიან სასაქონლო მარაგებს.

მიმდინარე მარაგების მოცულობა დამოკიდებულია საქონლის რეალიზაციის მოცულობაზე. რაც მეტია რეალიზაცია, მით მეტია საჭირო სასაქონლო მარაგები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონელბრუნვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასაქონლო

მარაგებით. ხშირად ეს უზრუნველყოფადობა გაიანგარიშება დღეებში, რომლის ნორმატივებიც არსებობს. იგი ღვინდება ამა თუ იმ თარიღისათვის სასაქონლო მარაგების გაყოფით დღიური რეალიზაციის მოცულობაზე. სასაქონლო მარაგები აღირიცხება პერიოდის ამა თუ იმ მომენტისათვის (დასაწყისში და ბოლოსათვის). გარდა ამისა აუცილებელია მათი საშუალოს გაანგარიშება (საშუალოთვიური, საშუალოკვარტალური, საშუალოწლიური). საშუალოთვიური სასაქონლო მარაგი გაიანგარიშება თვის დასაწყისისა და ბოლოს მარაგების ჯამის ორზე გაყოფით. საშუალოკვარტალური სასაქონლო მარაგი დადგინდება სამი თვის საშუალოთვიური მარაგების საშუალოს მიხედვით. ამავე გზით, კერძოდ, ოთხი კვარტლის საშუალო მარაგების მიხედვით გაიანგარიშება საშუალოწლიური სასაქონლო მარაგები.

საშუალო მარაგების საფუძველზე გაიანგარიშება საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები:

ბრუნვადობის კოეფიციენტი \bar{K} და ბრუნვადობა დღეებში (t)

$$\bar{K}_{ბრ.} = \frac{Q}{q} \qquad t = \frac{T}{K_{ბრ.}}$$

სადაც,

Q - მოცემულ პერიოდში რეალიზებული საქონლის ჯამია (საქონელბრუნვა);

T - დღეთა რაოდენობა მოცემულ პერიოდში.

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენჯერ გადაბრუნდა მოცემულ პერიოდში საშუალო მარაგი, ხოლო ბრუნვადობის დღეებში კი რამდენი დღე სჭირდება ერთ გადაბრუნებას.

თემა 8. ინვესტიციების სტატისტიკა

ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება ყველა სახის ნივთობრივი ან ინტელექტუალური ფასეულობანი, რომლებიც მოგების მიღების მიზნით დაბანდებულია სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობაში. სტატისტიკური შესწავლილობის თვალსაზრისით ინვესტიციების ორ სახეობას გამოყოფენ.

ფინანსურს და არაფინანსურს. ფინანსურ ინვესტიციებში შეაქვთ წმინდა ფინანსური დაბანდებანი აქციების, ობლიგაციების, ფასიანი ქაღალდების, აგრეთვე, სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში წილის, საბანკო სერთიფიკატების, დეპოზიტების, ხოლო არაფინანსურში მატერიალური ფასეულობების (მიწა, შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა და სხვ.) შესაძენად.

ინვესტიციების სტატისტიკის ამოცანები მდგომარეობს ინვესტიციების საერთო მოცულობის, მათი სტრუქტურის (ცალკეულ სახეობათა მიხედვით), ინვესტიციების დინამიკისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაში.

ინვესტიციური საქმიანობა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჯერ ერთი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ინვესტიციები, მოზიდული უცხო ინვესტიციები, მოსახლეობის შემოსავლებთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნის ძირითადი კომპონენტია. მეორე, ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად (განსახორციელებლად) საწარმოების მოდერნიზაციისათვის ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური პროგრესის საწინდარია.

გარდამავალ ეკონომიკაში ინვესტიციების დიდი როლისა და მნიშვნელობის გამო, ინვესტიციები სტატისტიკური გამოკვლევების მიხედვით საქართველოში საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მოქმედ ანგარიშებით ფორმაში, ამ საკითხებს სპეციალური განყოფილება ეძღვნება. აქ შეიტანება ინვესტიციები ფინანსურ და არაფინანსურ (ძირითად და საბრუნავ) აქტივებში (საწარმოში საკუთარი და სხვა სუბიექტებიდან მოზიდული ფინანსური სახსრების ან უშუალოდ საწარმოსათვის ქონების გადაცემის ფორმით განხორციელებული) არაფინანსური და ფინანსური (ფინანსური

აქტივების გაზრდის ან ვალდებულებათა დასაფარავად დაბანდებული ინვესტიციები, დაუძვარებელი წარმოებისა და მზა ნაწარმის მარაგების წმინდა ზრდა ასევე მიეკუთვნება საწარმოს მიერ საბრუნავ საშუალებებში განხორციელებულ ინვესტიციებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 759,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

2009 წელს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით არაბეთის გაერთიანებული ემირატები ლიდერობს, რომლის მიერ აღნიშნულ წელს განხორციელდა 169,8 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ქვეყნებია:

არაბეთის გაერთიანებული საემიროები – 169,8 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 22,4%);

ევგიპტე – 167,5 მლნ. აშშ დოლარი (22,1%);

ნიდერლანდები – 105,7 მლნ. აშშ დოლარი (13,9%);

თურქეთი – 89,5 მლნ. აშშ დოლარი (11,8%);

პანამა – 73,4 მლნ. აშშ დოლარი (9,7%);

გაერთიანებული სამეფო – 63,5 მლნ. აშშ დოლარი (8,4%)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

მრეწველობა - 143,9 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 28,5 პროცენტი);

უმრავი ქონების სექტორი - 103,6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 20,5 პროცენტი);

სამშენებლო სექტორი - 65,7 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 13 პროცენტი);

ენერჯეტიკის სექტორი - 30,1 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 6 პროცენტი);

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 29,3 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 5,8 პროცენტი);

საბანკო სექტორი - 7,6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 1,5

პროცენტი);

სოფლის მეურნეობა, თევზჭერა - 5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების

1 პროცენტი);

დანარჩენი მომსახურება - 120 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 23,7 პროცენტი);

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებზე მოდის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

წელი	მლნ.აშშ დოლარი
2004	499,1
2005	449,8
2006	1190,4
2007	2014,8
2008	1564,0
2009	658,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში ბანკოტვიდობის
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძველების მიხედვით

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009*
სულ	449,785	1,190,375	2,014,842	1,563,963	759,078.6
მათ შორის:					
ახერბაიჯანი	66,920.2	77,804.5	41,368.1	23,943	24,596.0
აგსტრია	14,732.2	10,749.3	11,384.4	51,463	14,451.3
ვირჯინის კ-ბი (ბრიტ.) ნეხეთი	4,900.2	58,586.2	187,815.5	156,847	5,691.8
დანია	1,279.6	15,032.2	227,926.4	34,858	15,057.3
საფრანგეთი	319.0	42,477.8	158,126.2	256	139.8
გერმანია	14,383.3	17,221.7	43,726.0	8,180	11,944.8
ინდოეთი	5,031.8	20,380.8	56,987.8	40,591	3,658.0
იტალია	29.0	54.9	61.9	26,998	20,283.9
ლუქსემბურგი	22,833.5	47,219.1	15,228.1	6,048	1,172.5
ნიდერლანდები	553.1	261.1	9,245.7	5,731	6,206.3
ნორვეგია	492.0	18,530.2	299,277.2	135,870	105,679.7
პანამა	23,620.9	77,894.8	34,200.1	2,693	1,877.3
რუსეთი	-	3,391.6	6,177.7	-2,470	73,414.1
არაბეთის გაერთიანებული ემირატები თურქეთი	38,737.6	34,210.0	88,996.5	26,212	2,049.5
გაერთიანებული სამეფო	280.5	422.6	130,858.7	306,576	169,784.0
	21,812.5	129,727.8	93,871.1	164,526	89,506.3
	132,925.	186,824.1	145,474.8	148,908	63,549.2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში 2007 წელს 2014,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4,5-ჯერ მეტია 2004 წლის მაჩვენებელზე.

ფინანსების როლი სამეწარმეო საქმიანობაში და სტატისტიკის ამოცანები

საფინანსო სტატისტიკა ფართოდ გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე საინვესტიციო სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის.

მეწარმეობის ფინანსები ფულადი ფორმის საფინანსო ურთიერთობანია საქონლისა და მომსახურების წარმოების, გაცვლისა და რეალიზაციის მთელს პროცესში. ეს ურთიერთობანი წარმოიქმნება:

1. თვით მეწარმეობის შიდა საქმიანობაში ფულად-საფინანსო რესურსების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესთან დაკავშირებით;

2. ბანკებთან ურთიერთობის პროცესში საბანკო სესხების მიღების, მათზე პროცენტების გადახდის და სხვა მომენტებთან დაკავშირებით;

3. სხვა მეწარმეებთან და სამეურნეო სუბიექტებთან ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, მათ შორის ფასიანი ქაღალდების შექმნის საქმეში და სხვა;

4. სადაზღვევო კომპანიებთან სხვადასხვა სახის სადაზღვევო ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების პროცესში და ა.შ.

სტატისტიკის ამოცანებია შეისწავლოს საფინანსო რესურსების მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა, წარმოქმნა, გამოყენება, აგრეთვე, მოგების, რენტაბელობის (შემოსავლიანობის) განსაზღვრა, მეწარმეობის საფინანსო-საკრედიტო ვალდებულებებისა და გადახდისუნარიანობის შეფასება.

სამეწარმეო ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის მოცულობით საფინანსო-სტატისტიკურ ინდიკატორებს განეკუთვნება:

**სამეწარმეო ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის
მოცულობითი საფინანსო-სტატისტიკური ინდიკატორები**

ა. მიმდინარე სამეწარმეო-საქმიანობისათვის: საწესდებო კაპიტალი, თვითღირებულება, მიმოქცევის ხარჯები, შემოსავლები, მოგება-ზარალი, გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებანი, საბრუნავი სახსრები, სადაზღვევო შესატანები ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდებში, საკუთარი და ნასესხები საფინანსო რესურსები და სხვ.

ბ. საინვესტიციო დაბანდებისათვის: ინვესტიციების საერთო მოცულობა ცალკეულ სახეობათა მიხედვით, შემოსავლები ინვესტიციებიდან და ა.შ.

საწესდებო კაპიტალი, როგორც საფინანსო რესურსების პირველადწყობითი წყარო, წარმოიქმნება მეწარმეობის დაფუძნების მომენტშივე დამფუძნებლების მიერ შენატანების აქციონერული კაპიტალის, საპაიო და სხვა ხარჯზე მატერიალური (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის) და არამატერიალური (დამფუძნებელთა იურიდიული უფლება მიწის, ინტელექტუალური საკუთრების, ბუნებრივი რესურსების, პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების და სხვათა სარგებლობა) აქტივების შესაქმნელად.

თვითღირებულება მნიშვნელოვანი საფინანსო-ეკონომიკური ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს თუ რა უჯდება მეწარმეობას, ბიზნესს, მენეჯმენტს, საქონლის მომსახურების წარმოება და რეალიზაცია. მისი შემცირება მეწარმეობის, ბიზნესისა და მენეჯმენტის მოგების გადიდების, ამ საფუძველზე საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თვითღირებულება (პროდუქციის, საქონლის, მომსახურების), როგორც აბსოლუტური საფინანსო-სტატისტიკური ინდიკატორი, გამოიყენება საწარმოო და სამომსახურეო სამეწარმეო ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. მასში შეიტანება საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის ფორმაში ნაჩვენები ყველა სახის

საოპერაციო დანახარჯი (გარდა გადასაყიდად განკუთვნილი იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე გაწეული დანახარჯებისა, რომელიც ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაიყიდა წლის განმავლობაში დამატებული ღირებულებისა და აქციზის გარეშე). ეს ხარჯებია:

1. ნედლეული და ძირითადი მასალები, მაკომპლექტებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები;
2. სათბობი, საწვავი და ენერჯია;
3. გარე ორგანიზაციების ან ფიზიკური პირებისაგან გაწეული მომსახურების ანაზღაურებისათვის დარიცხული ხარჯები;
4. საიჯარო ქირა;
5. შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე;
6. დარიცხული სოციალური გადასახადი;
7. მიმდინარე წარმოებაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ცვეთის ამორტიზაცია;
8. წარმოების ხარჯებში შესული გადასახადები და მოსაკრებლები.

ამ ხარჯებით შეიძლება შედგეს წარმოებისა და მომსახურების მთლიანი ხარჯთაღირებულება, სასაქონლო პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება, დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე და საქონლის (მომსახურების) ერთეულის თვითღირებულება. სასაქონლო პროდუქცია იგივე პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვებაა, რაც მოიცავს საოპერაციო შემოსავლების ბრუნვას მთლიანად საქმიანობის (როგორც ძირითადი ისე არაძირითადი) ყველა სახეობათა მიხედვით. მზა პროდუქციის სასაქონლო (იგივე, პროდუქციის გამოშვება) პროდუქცია გაიანგარიშება მიმდინარე საბაზრო ფასებში საერთო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით საოპერაციო შემოსავლების (პროდუქციის) საერთო ბრუნვისა და მზა პროდუქციის მარაგების ცვლილების საფუძველზე, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე გაწეული საოპერაციო დანახარჯების გამოკლებით.

მთლიანი თვითღირებულება შეფარდებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობაზე, გვაძლევს ისეთ მეტად მნიშვნელოვან

ინდიკატორს, როგორცაა დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე. თუ ეს მაჩვენებელი ერთს აჭარბებს (მაგალითად უდრის 1,2 ლარს) მეწარმეობა ზარალიანია (სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე ზარალი შეადგენს 20 თეთრს), ხოლო თუ ერთზე ნაკლებია (მაგალითად 0,8), მეწარმეობა მომგებიანია (სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე მოგება 20 თეთრია). აქედან დაპროექტდება მეწარმეობის რეგულირების შესაბამისი ეკონომიკური, ბიზნესმენური და მენეჯმენტური ღონისძიებანი.

სამეწარმეო ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში გვაქვს, აგრეთვე, მთლიანი გამოშვება ანუ მთლიანი შემოსავლები, რომელიც პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვებასთან ერთად მოიცავს შრომის ნატურალური ანაზღაურების სახით, უსასყიდლოდ ან ბარტერული წესით გაცემული პროდუქციის ღირებულებას, კაპიტალიზირებულ საქონელსა და მომსახურებას (საკუთარი წარმოებისათვის ან ინვესტირებისათვის წარმოებული პროდუქციის ღირებულება), გრანტებსა და შემოწირულობებს, დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ცვლილებას (+მატება, -კლება), არასაოპერაციო შემოსავლებს (საპროცენტო შემოსავლები, დივიდენდები და საბრუნავი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები და სხვ.), აგრეთვე, სუბსიდიებს წარმოებასა და პროდუქციაზე. ამის შესაბამისად გვაქვს მთლიანი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს, აგრეთვე, არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელ ხარჯებს (საპროცენტო ხარჯები, მიმდინარე წარმოებაში გამოუყენებელ ძირითად კაპიტალზე დარიცხული ამორტიზაცია, რეალიზებული და ჩამოწერილი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება და სხვ.). თუ მთლიან გამოშვებას (შემოსავლებს) გამოვაკლებთ ხარჯთაღრიცხვას, მივიღებთ მოგებას ან ზარალს.

თვითღირებულების მსგავსი მაჩვენებელი მიმოქცევის სფეროში არის მიმოქცევის ხარჯები. ასეთი მიმოქცევის (ვაჭრობის ან სხვა დარგის) ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია, მუშაკთა შრომის ანაზღაურება, ტრანსპორტირების, გართობის, განათების, შეფუთვის, დახარისხების და სხვა ხარჯები.

პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სამეწარმეო ეკონომიკაში, ბიზნესსა და

მენეჯმენტში. ბიზნესმენები და მენეჯერები სწორედ ამ მაჩვენებელს უდარებენ საქონლის მომსახურების ფასებს (ტარიფებს). შედეგად არკვევენ ეკონომიკა და ბიზნესი მომგებიანია თუ ზარალიანი, ვინაიდან კარგად იციან, რომ განსხვავება საბაზრო ფასსა (ტარიფს) და თვითღირებულებას შორის არის სამეწარმეო ბიზნესის მოგება. ამიტომ პროდუქციისა და მომსახურების ერთეულის (1 ცალი ნაკეთობის, ერთი წყვილი ფეხსაცმლის, 1 კილოვატსაათი ელექტროენერჯის, ერთი მგ ზავრის გადაყვანის ანუ მგ ზავრ/კილომეტრის, ერთი ტონა ტვირთის ერთ კმ-ზე გადაზიდვის ანუ ტ/კმ-ის და სხვ.) თვითღირებულების სწორად გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეწარმეო ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის ანუ კალკულაციისათვის მეწარმეობის მთლიანი დანახარჯები უნდა დავაჯგუფოთ საკალკულაციო მუხლების მიხედვით ანუ ძირითად და ზედნადებ ხარჯებად (საწარმოთა სტატისტიკური დაკვირვების ფორმაში ხარჯები დაჯგუფებულია მხოლოდ ეკონომიკური ელემენტების მიხედვით, რაც არ იძლევა პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების პირდაპირი გაანგარიშების საშუალებას). პირდაპირი ხარჯებია ნედლეულის, ძირითადი მასალების, ნახევარფაბრიკატების, ტექნოლოგიური სათბობის, ტექნოლოგიური ელექტროენერჯის, ძირითადი ხელფასის და სხვა დანახარჯები. ამ ხარჯების მიხედვით მეწარმეობაში არსებობს საქონლისა და მომსახურების ერთეულზე ხარჯვის ნორმები, რომელთა გადამრავლებით საბაზრო ფასზე ვლბულობთ შესაბამის თითოეული ძირითადი დანახარჯის მოცულობას. ამის გარდა მეწარმეობაში არსებობს ზედნადები (საერთო, ადმინისტრაციული და სხვა) ხარჯები, რომლებიც სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის ერთეულზე უნდა განაწილდეს რომელიმე პირდაპირი, ძირითადი დანახარჯის პირდაპირპროპორციულად. ჩვეულებრივად ასეთ ძირითად დანახარჯად მიიჩნევენ ძირითად ხელფასს, რომელიც პროდუქციის ერთეულზე მოცემულია სათანადო შეფასებების მიხედვით.

მაგალითი. ძირითადი ხელფასის ფონდი მეწარმეობაში ყველა სახის პროდუქციის წარმოებისათვის შეადგენს 100,0 ათას ლარს თვეში, ხოლო ზედნადები ხარჯები - 200,0 ათასს. ამ შემთხვევაში ზედნადები ხარჯები ორჯერ მეტია ძირითად ხელფასზე, ანუ შეადგენს 200 %-ს.

თუ, მაგალითად, მეწარმეობაში სამი („ა“, „ბ“, და „გ“) სახის პროდუქცია იწარმოება და თითოეულზე მოქმედი სატარიფო სისტემით იხარჯება ძირითადი ხელფასი შესაბამისად 2 ლარი, 1,5 ლარი და 3 ლარი, მაშინ ზედნადები ხარჯები თითოეულ მათგანზე

შეადგენს $\frac{2 \times 200}{100} = 4$ ლარს, $\frac{1.5 \times 200}{100} = 3$ ლარს, და

$\frac{3 \times 200}{100} = 6$ ლარს. საბოლოოდ როგორც ძირითადი ისე ზედნადები

ხარჯების ჯამი გვაძლევს პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას.

საფინანსო-სტატისტიკურ აბსოლუტურ ინდიკატორთა შორის საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებანი.

დებიტორული დავალიანებაა საანგარიშო დავალიანება მყიდველებთან, ბიუჯეტთან და სხვა დებიტორებთან. ასეთია, მაგალითად ანგარიშვალდებულ პირთა დავალიანება, ავანსი, რომელიც გაცემულია მიმწოდებლებისა და მოიჯარადე ორგანიზაციებისადმი და ა.შ. ამ შემთხვევაში დებიტორია ის სუბიექტი, იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოვალეა ე.ი. ვალდებულია მოცემული მეწარმის მიმართ.

კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში კი პირიქითაა. მოცემული მეწარმე წარმოადგენს დებიტორს ანუ ვალდებულს სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირებისადმი საქონლის ან მომსახურების მიწოდების, ბიუჯეტისადმი გადასახადების გადახდის, მუშა-მოსამსახურეებისადმი შრომის ანაზღაურების გაცემის და სხვა ურთიერთობის დარგში. კრედიტორული დავალიანებების სისტემატური გადაჭარბება (მხოლოდ დროებითაა დასაშვები) დებიტორული დავალიანებისადმი არაჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური

მდგომარეობის მაჩვენებელია და მეტყველებს მეწარმის, ბიზნესმენის გადახდისუნარიობაზე.

საფინანსო-სტატისტიკურ აბსოლუტურ მაჩვენებელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მეწარმეობის მთლიანი (და მათ შორის საკუთარი და ნასესხები) საბრუნავი სახსრების მოცულობა და სტრუქტურა.

საბრუნავი სახსრები შედგება საბრუნავი ფონდების (მიმდინარე, სადაზღვევო, სეზონური, ტექნოლოგიური მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება და მომავალი პერიოდის ხარჯები) და მიმოქცევის ფონდებისაგან (მზა პროდუქცია, მზა პროდუქცია საწყობში, გადაგზავნილი მყიდველებზე, გზაში, და ფულადი სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე ბანკში).

მთლიანად საბრუნავი სახსრების ღირებულება საჭიროა სამეწარმეო ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის უწყვეტი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ამიტომ იმ შემთხვევაში, როცა არ ჰყოფნის ამა თუ იმ მომენტში საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრები ნედლეულის მასალების, სათბობის და სხვა მიმდინარე მარაგის შესაძენად, აგრეთვე, დასაქმებულ პირთათვის შრომის ასანაზღაურებლად და სხვა მიზნებისათვის, მეწარმეს, ბიზნესმენსა და მენეჯერს შეუძლია გამოიყენოს ნასესხები საბრუნავი საშუალებანი.

ნებისმიერი სამეწარმეო ბიზნესისა და მენეჯერული საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. ეს ინდიკატორი ბიზნესისა და მენეჯმენტის ყველაზე მთავარი აბსოლუტური მაჩვენებელია.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიქმნება მოგების ოთხი ძირითადი სახეობა: პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საბალანსო მოგება, საერთო და წმინდა მოგება. პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მოგება განისაზღვრება რეალიზაციიდან ამონაგებ თანხას (აქციზის, აგრეთვე, დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით) და თვითღირებულებას შორის სხვაობით. ცხადია, თუ თვითღირებულებაში გათვალისწინებული დანახარჯები აჭარბებს

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს, მაშინ წარმოიქმნება ზარალი, რაც მეწარმეობის გაკოტრების მანიშნებელია.

საბალანსო მოგება მთლიანი მეწარმეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგია, რომელიც პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გარდა შეიცავს ქონების გაყიდვიდან და არასარეალიზაციო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს (სხვაობა არასარეალიზაციო შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის).

მეწარმეობის არასარეალიზაციო შემოსავლებია ის შემოსავლები, რომლებიც მიიღება არა პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) რეალიზაციიდან, არამედ სამეურნეო-საბაზრო საქმიანობის და სხვა ოპერაციებიდან. ასეთია, მაგალითად, საურავოები, ჯარიმები, რომლებიც მოცემულმა საწარმომ დააკისრა მომწოდებლებსა და მყიდველებს, სავალუტო კურსის დადებითი განსხვავება, აქციებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან შემოსული დივიდენდები და სხვა სახის შემოსავლები, შემოსავლები სხვა საწარმოთა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობისათვის და სხვ.

სამეწარმეო ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში არასარეალიზაციო შემოსავლებთან ერთად არსებობს არასარეალიზაციო დანახარჯებიც. მათ შორისაა საარბიტრაჟო და სასამართლო დანახარჯები, ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული დანახარჯები (ჯარიმები, საურავოები და სხვ.), უცხოური ვალუტის ოპერაციებზე უარყოფითი საკურსო განსხვავებანი, მზა პროდუქციის, ავრეთვე, საწარმოო მარაგების ჩამოფასებით მიღებული ზარალი, სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანახარჯები, დაკონსერვებული საწარმოო სიმძლავრეებიდან მიღებული ზარალი და სხვ.

მთლიანი მოგება იგივე საბალანსო მოგებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი გაანგარიშებისათვის ჯარიმები და საურავოები გაითვალისწინება მხოლოდ იმ ნაწილით, რაც რჩება ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში მათი გადარიცხვის გამოკლებით.

წმინდა მოგება მიიღება მთლიანი მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადებისა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდებში სადაზღვევო შესატანების გამოკლებით.

ჩამოთვლილი აბსოლუტური საფინანსო-სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე წარმოებს სამეწარმეო ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციონირების შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშება და შედეგების სტატისტიკური შეფასებანი.

სამეწარმეო ბიზნესისა და მენეჯმენტის შეფარდებითი საფინანსო-სტატისტიკური ინდიკატორები

სამეწარმეო ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმდინარე საქმიანობის შეფარდებით საფინანსო-სტატისტიკურ მაჩვენებელთა შორის, თავისი მნიშვნელობით, გამოიყოფა საფინანსო სიმტკიცის, რენტაბელობის და ბრუნვალობის ინდიკატორები, ხოლო საინვესტიციო საქმიანობაში - ინვესტიციების შემოსავლების კოეფიციენტები.

ბიზნესის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის საფინანსო-სიმტკიცის ქვეშ იგულისხმება მეწარმეობის მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში დაბანდებული თანხების თავის დროზე ანაზღაურებისა და ყველა საფინანსო ვალდებულებათა გადახდისუნარიანობა.

ამისათვის საფინანსო სტატისტიკის მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ორი ინდიკატორი. ესენია:

1. მეწარმეობის ავტონომიურობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ავტ.}} = \frac{Q_{\text{საკ.}}}{Q_{\text{მთლ.}}} \times 100$$

სადაც, $K_{\text{ავტ.}}$ - მეწარმეობის ავტონომიურობის კოეფიციენტი, პროცენტობით;

$Q_{\text{საკ.}}$ - საკუთარი საფინანსო რესურსები;

$Q_{\text{მთლ.}}$ - მთლიანი საფინანსო რესურსები.

თუ ეს კოეფიციენტი დინამიკაში იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი საფინანსო რესურსებით მეწარმეობის ვალდებულებათა გადახდისუნარიანობა უმჯობესდება.

2. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ლიკვ}} = \frac{Q_{\text{ლიკვ}}}{Q_{\text{დაფ}}} \times 100$$

სადაც, $K_{\text{ლიკვ}}$ - დავალანებათა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, პროცენტობით;

$Q_{\text{ლიკვ}}$ - ლიკვიდური თანხები (ფულადი რესურსები ფასიან ქალაქებში, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგებში დაბანდებული ფულადი რესურსები და დებიტორული დავალიანებანი):

$Q_{\text{დაფ}}$ - მეწარმეობის მოკლევადიანი დავალიანებანი.

თუ ეს კოეფიციენტი 100-ზე ნაკლებია, მეწარმეობა არაგადახდისუნარია, ხოლო თუ 100-ზე მეტია, საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა მტკიცეა, ვინაიდან ნებისმიერ დროს საწარმოს შეუძლია გადაიხადოს ყოველგვარი მოკლევადიანი საფინანსო ვალდებულებანი და გააგრძელოს მუშაობა ნორმალურ სიტუაციაში.

რენტაბელობა მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეფარდებითი, ხარისხობრივი მაჩვენებელია. ის მოგების პროცენტული შეფარდებაა რესურსებთან (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, არამატერიალური რესურსები), რომელიც რესურსების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს ან პროდუქციის თვითღირებულებასთან (ახასიათებს დანახარჯთა გამოყენების ეფექტიანობას).

მაგალითი. წლიურმა საბალანსო მოგებამ სამეწარმეო ბიზნესში შეადგინა 300,0 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, აგრეთვე, არამატერიალური აქტივების საშუალოწლიურმა

ღირებულებამ 1,5 მლნ ლარი. ამონაგები რელიზაციიდან 1,0 მლნ. ლარი. აქედან მეწარმეობის საერთო რენტაბელობა უდრის:

$$\frac{0.3 \text{ მლნ. ლარი}}{1.5 \text{ მლნ. ლარი}} \times 100 = 20\%$$

თვითღირებულება - 0,8 მლნ. ლარი.

რელიზებული პროდუქციის რენტაბელობა:

$$\frac{1.0 - 0.8}{0.8} \times 100 = 25\%$$

რენტაბელობის ამაღლება მეწარმეობის ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში სამი ძირითადი ფაქტორის ზემოქმედებით განისაზღვრება. ესენია: პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირება, ფასების გადიდება და სტრუქტურული ძვრები. ცხადია, რამდენადაც მცირეა პროდუქციის დანახარჯები ანუ ერთეულის თვითღირებულება და მაღალია ფასი, მით მეტია მოგების აბსოლუტური მოცულობა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ანუ რენტაბელობა. ამ ორი ფაქტორის ამოქმედება ბიზნესსა და მენეჯმენტში დიდ წინააღმდეგობას აწყდება ბაზრების დაპყრობისათვის კონკურენციულ ბრძოლაში, რამდენადაც ორთავე უმთავრესად საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების კანონებით ყალიბდება და ბევრად არაა დამოკიდებული ბიზნესმენურ და მენეჯერულ უნარიანობაზე.

განსხვავებით ამ ორი ფაქტორებისაგან, რენტაბელობის ამაღლების მესამე ფაქტორი, სტრუქტურული ძვრები, შედარებით ზუსტად გამოხატავს მეწარმეობის ეფექტიანობაზე ბიზნესმენტა და მენეჯერთა უნარის, გერგილიანობის ზემოქმედებას. სწორედ აქ იჩენს თავის ბიზნესმენტა და მენეჯერთა უნარი ერთი და მხოლოდ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის (რა ვაწარმოთ, როგორ ვაწარმოთ და ვისთვის ვაწარმოთ) ეფექტიანობა.

მაგალითი. ფირმაში იწარმოება სამი დასახელების პროდუქცია; „ა“, „ბ“ და „გ“. ერთეულის თვითღირებულება და ფასები საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში ასეთ სურათს იძლევა:

პროდუქციის სახეობა	I კვარტალი				II კვარტალი			
	პროდუქციის გამოშვება ცალი	ფასი ლარი	ერთეულის თვითღირებულება ლარი	მოცემა ერთეულზე ლარი	პროდუქციის გამოშვება ცალი	ფასი ლარი	ერთეულის თვითღირებულება ლარი	მოცემა ერთეულზე ლარი
	500	5.0	4.5	0.5	550	5.0	4.5	0.5
	600	10.0	8.0	2.0	1200	10.0	8.0	2.0
	900	15	14.0	1.0	1000	15.0	14.0	1.0

პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით რენტაბელობა (მოცემა %-ობით თვითღირებულებისადმი):
საბაზისო პერიოდში:

„ა“ სახის პროდუქციაზე $\frac{0.5}{4.5} \times 100 = 11\%$

„ბ“ სახის პროდუქციაზე $\frac{2}{8} \times 100 = 25\%$

„გ“ სახის პროდუქციაზე $\frac{1}{14} \times 100 = 7\%$

საანგარიშო პერიოდში ანუ II კვარტალში რენტაბელობის მაჩვენებლები ცალკეული სახის პროდუქციის მიხედვით არ შეცვლილა ანუ დარჩა იგივე, რაც იყო I კვარტალში. შეიცვალა მხოლოდ პროდუქციის ნომენკლატურის ანუ დასახელების მიხედვით სტრუქტურა, რაც გამოიწვია მენეჯერული ღონისძიებების გატარებამ ყველაზე მეტად რენტაბელური პროდუქციის („ბ“ სახის პროდუქციის) ხვედრითი წილის ამაღლების მიმართულებით.

I კვარტალში ფირმაში „ბ“ სახის პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი საერთო გამოშვებაში შეადგენდა:

$$\frac{600 \times 10}{(500 \times 5) + (600 \times 10) + (900 \times 15)} \times 100 = 27\%$$

ხოლო II კვარტალში

$$\frac{1200 \times 10}{(550 \times 5) + (1200 \times 10) + (1000 \times 15)} \times 100 = 40\%$$

ახლა ვნახოთ ასეთმა სტრუქტურულმა ძვრებმა ანუ „ბ“ სახის ნაწარმის ხვედრითი წილის გაზრდამ პროდუქციის საერთო გამოშვებაში II კვარტალში I კვარტალთან შედარებით, რა გავლენა მოახდინა ფირმის მოცემის გადიდებასა და რენტაბელობის ამაღლებაზე. ამ კითხვაზე, როგორც ინდექსების თეორიიდანაა ცნობილი, პასუხს იძლევა ინდექსებს შორის ურთიერთკავშირის ფორმულა:

$$\frac{\sum q_1 z_1}{\sum q_0 z_0} = \frac{\sum q_1 z_0}{\sum q_0 z_0} \times \frac{\sum q_1 z_1}{\sum q_1 z_0}$$

ანუ $I_{qz} = I_q \times I_z$ სადაც q_1 და q_0 თითოეული სახის პროდუქციის მოცულობაა საანგარიშო (II კვარტალი) და საბაზისო (I კვარტალი) პერიოდებში;

Z_1 და Z_0 - თითოეული სახის პროდუქციაზე მოგება შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში;

I_{qz} - ცვალებადი შემადგენლობის ინდექსია;

I_z - სტრუქტურული ძვრების ინდექსი;

I_q - უცვლელი შემადგენლობის ინდექსი.

ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი გვიჩვენებს ფირმაში საერთო მოგების გადიდებას ორი ფაქტორის (პროდუქციის მოცულობისა და პროდუქციის ერთეულზე მოგების) ცვალებადობის, სტრუქტურული ძვრების ინდექსი სტრუქტურული შემადგენლობის ანუ ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების მოცულობის ცვალებადობის, ხოლო უცვლელი ანუ ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი - პროდუქციის ერთეულზე მოგების ცვალებადობის ხარჯზე.

ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი ცხრილის მონაცემების საფუძველზე გამოვთვალოთ ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსები.

$$I_{\text{ცვლ.}} = \frac{\sum q_1 z_1}{\sum q_0 z_0} = \frac{(550 \times 0.5) + (1200 \times 2.0) + (1000 \times 1.0)}{(500 \times 0.5) + (600 \times 2.0) + (900 \times 1.0)}$$

$$= 1.56$$

$$I_{\text{ფიქს.}} = \frac{\sum q_1 z_1}{\sum q_1 z_0} = \frac{(550 \times 0.5) + (1200 \times 2.0) + (1000 \times 1.0)}{(550 \times 0.5) + (1200 \times 2.0) + (1000 \times 1.0)}$$

$$= 1$$

$$I_{\text{სტრ.}} = \frac{\sum q_1 z_0}{\sum q_0 z_0} = \frac{(550 \times 0.5) + (1200 \times 2.0) + (1000 \times 1.0)}{(500 \times 0.5) + (600 \times 2.0) + (900 \times 1.0)}$$

$$= 1.56$$

$$I_{\text{ცვლ.}} = I_{\text{ფიქს.}} \times I_{\text{სტრ.}} = 1.0 \times 1.56 = 1.56$$

რაც დასტურდება ინდექსებს შორის ურთიერთკავშირის ფორმულიდან.

მამასადამე, მიუხედავად იმისა, რომ უცვლელი დარჩა როგორც ფასები, ასევე პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებანი, სტრუქტურული ძვრების ხარჯზე ანუ მაღალრენტაბელური პროდუქციის („ბ“) გამოშვების ხვედრითი წილის მკვეთრი ამაღლების გზით მენეჯერმა მიაღწია საერთო მოგების თანხის გადიდებას II კვარტალში I კვარტალთან შედარებით 1325 ლარით ანუ 56%-ით.

საბრუნავი სახსრების გამოყენების შეფარდებითი მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ბრუნვადობის ინდიკატორები (ბრუნვადობის კოეფიციენტი, ბრუნვადობა დღეებში და საბრუნავი სახსრების დატვირთვის კოეფიციენტი), რომლებიც მკითხველისათვის უკვე ცნობილია საბრუნავი სახსრების სტატისტიკის შესაბამისი თავისადმი მიძღვნილი მასალიდან.

მიმდინარე საქმიანობისგან განსხვავებით, საინვესტიციო სამეწარმეო საქმიანობაში, მიმდინარე მომგებიანობა განისაზღვრება შემოსავლიანობით. საინვესტიციო შემოსავლიანობა ძირითადად ორი ფაქტორით განისაზღვრება. ესენია: საინვესტიციო კაპიტალზე ფასთა სხვაობა წლის განმავლობაში და დივიდენდები. ფასთა სხვაობას ანუ ჰოლდინგურ მოგებას თუ მივუმატებთ დივიდენდებს და შევუვარდებთ წლის დასაწყისში ინვესტორის მიერ დაბანდებული ინვესტიციების მოცულობას, მივიღებთ ინვესტიციების შემოსავლიანობას პროცენტობით.

მაგალითი. წლის დასაწყისში კორპორაციის აქციები ინვესტორმა შეიძინა 2500 აშშ დოლარად. წლის ბოლოს ასეთი აქციების საბაზრო ფასმა 3000 აშშ დოლარი შეადგინა. წლის მანძილზე დივიდენდის სახით ინვესტორმა ამ აქციებით მიიღო 700 აშშ დოლარი. ასეთ შემთხვევაში აქციების შემოსავლიანობა პროცენტობით შეადგენს:

$$\frac{(3000 - 2500) + 700}{2500} \times 100 = 48\%$$

თემა 9. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტატისტიკა

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა ყოველად წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებთან პროდუქციისა და საქმიანობის ურთიერთგაცვლის გარეშე. ამ საქმიანობის ურთიერთგაცვლა ნივთობრივად გულისხმობს საქონლის, სამუშაო ძალისა და კაპიტალის გაცვლას ეკონომიკურად ურთიერთხელსაყრელ პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს შრომის საერთაშორისო დანაწილება, რომლის საფუძველზე ცალკეული ქვეყნის ხალხები სპეციალიზებულია მათთვის ეკონომიკურად იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებაზე, გააჩნიათ ამ საქონლის „ჭარბი“ მარაგი და შეუძლიათ მისი გაცვლით მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ბრუნვაში. ნივთობრივად ეს საქონელი შეიძლება იყოს როგორც წარმოების საშუალებანი, ისე მოხმარების საგნები და მათი ურთიერთგაცვლა წარმოადგენს თითოეული ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების უცილობელ პირობას. ამის გარდა, ამა თუ იმ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს „ჭარბი“ შრომითი რესურსები და ინტელექტუალური პოტენციალი, რისი გაცვლად აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია.

საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობებში იგულისხმება: სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო ურთიერთობანი, აგრეთვე, საერთაშორისო

გადაზიდვები, უცხოური ტურიზმი და სხვა ურთიერთობები. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისი მოცულობით, ლარის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა უცხოეთთან, რაც თავის ასახვას ჰპოვებს საგარეო ვაჭრობაში. არანაკლები მნიშვნელობისაა როგორც ყველა ქვეყნის, ისე საქართველოსათვის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა უცხოეთთან, რაც მნიშვნელოვანწილად აისახება ერთობლივი საწარმოების შექმნით მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა მეტად მნიშვნელოვან დარგებში. ეს დარგი ამჟამად თავისი მოცულობით მცირეა, მაგრამ პროგნოზულად მზარდია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ის პერსპექტივაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიჭერს საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა სფეროში.

საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობანი მრავალმხრივია, რომელთა მაჩვენებლები მოიცავს მრავალ განმარტებასა და დეფინიციას. მათ შორისაა: იმპორტი, ექსპორტი, ექსპორტ-იმპორტის სალდო, რეექსპორტი, საგადამხდლო ბალანსი, ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა, ბარტერი, უცხოური ვალუტა, გარიგების ვალუტა, სავალუტო კურსი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, დემპინგი, კლირინგი, დეფლიატორი, დეფლიაცია, კომპენსაციური შეთანხმებანი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გადასყვანი მანეთი, გენერალური ვაჭრობა, უხილავი ვაჭრობა, საერთაშორისო ტრანზიტი და სხვ. საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებელთა სტატისტიკაში გვაქვს იმპორტის სტატისტიკა, ექსპორტის სტატისტიკა, რეექსპორტის სტატისტიკა, საგარეო ვაჭრობის სალდოს სტატისტიკა, საგადამხდლო ბალანსის სტატისტიკა და ა.შ.

იმპორტი ეწოდება საქონლის შემოზიდვას სხვა ქვეყნებიდან, ექსპორტი კი სამამულო წარმოების საქონლის სხვა ქვეყნებში გადაზიდვას ნიშნავს. რეექსპორტი წინა პერიოდში იმპორტირებული საქონლის გატანაა სხვა ქვეყნებში. ექსპორტი, იმპორტი და რეექსპორტი (ჩაითვლება ექსპორტის საერთო მოცულობაში) აისახება ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში. ღირებულებით გამოსახულებაში მათი თანხა აისახება ნაციონალურ ვალუტაში - ლარებში. ლარებში ოფიციალური კურსით გადაიყვანება ყველა

საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა (ექსპორტ-იმპორტის ჯამი). ექსპორტში არ შეიტანება ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საზღვარგარეთ უსასყიდლოდ გაზიდული საქონლის ღირებულება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ტექნიკური დახმარების ფონდში საწევრო შესატანები, საერთაშორისო გამოფენებზე გატანილი საქონლის ღირებულება, საფოსტო გზავნილებათა და საზღვარგარეთ წასულ მოქალაქეთა პირადი ბარგის ღირებულება და ა.შ.

ექსპორტ-იმპორტის საგარეო ვაჭრობის სალდო ეწოდება სხვაობას ექსპორტსა და იმპორტს შორის. ის შეიძლება იყოს აქტიური („პლიუს“ ნიშნით), როცა ექსპორტი აჭარბებს იმპორტს და პასიური („მინუს“ ნიშნით), როცა საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საგადამხდლო ბალანსი ეწოდება ურთიერთშეფარდებას მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ პერიოდში საზღვარგარეთიდან სავალუტო შემოსავლებსა და ამ ქვეყნის საზღვარგარეთ გადახდებს შორის. ბალანსის ძირითადი ელემენტებია ფულადი შემოსავლები და გადასახდელები, რაც დაკავშირებულია ექსპორტ-იმპორტთან, ოქროს ვალუტის რეზერვების ცვლილებანი, შემოსავლები და გასავლები სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის (ტრანსპორტი, ტურიზმი და სხვ.), არასავაჭრო გზავნილებანი, გაცემული და მიღებული კრედიტისათვის შემოსავლები და გადასახდელები, სხვა ქვეყნებში გაცემული და სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული შემოსავლები და გადასახდელები და სხვ.

საგადამხდლო ბალანსის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობას ეწოდება საგადამხდლო ბალანსის სალდო, რომელიც საგარეო ვაჭრობის ბალანსის მსგავსად შეიძლება იყოს აქტიური (შემოსავლები აჭარბებს გასავლებს) და პასიური (გასავლები მეტია შემოსავლებზე).

საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის გულისხმობს, რომ მრავალი დასახელების საქონელი კლასიფიცირებულია გარკვეული ნიშნებით და შექმნილია ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის სისტემა, რომელიც

გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვაში როგორც ერთი, ისე რამდენიმე ქვეყნის ფარგლებში.

საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ერთ-ერთი მაჩვენებელია **ბარტერი**, რომელიც გულისხმობს საქონლის ურთიერთგაცვლას სხვადასხვა ქვეყნებს შორის ფულადი ანგარიშსწორების გარეშე.

უცხოური ვალუტა უცხოურ სახელმწიფოთა საკრედიტო საშუალებაში (ვექსილი, ჩეკი), რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთანგარიშსწორებაში. ვალუტა იყოფა სამ ჯგუფად: კონვერტირებადი, ნაწილობრივ კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი. კონვერტირებადი ანუ უკუქცევადი ეწოდება ისეთ ვალუტას, რომელიც თავისუფლად იცვლება სხვა ვალუტაზე. ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ისეთი ფულადი ერთეულია, რომელიც სავალუტო შეზღუდვებს ცვლის არა ყველა სავალუტო ოპერაციაზე, არამედ მხოლოდ უცხოეთიდან ჩამოსულ ფიზიკურ და იურიდიულ არარეზიდენტ პირთათვის. არაკონვერტირებადი ანუ არაუკუქცევადი ვალუტა ეწოდება ფულად ერთეულს, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ფარგლებში და მხოლოდ საშინაო მიმოქცევაში გამოიყენება.

გარიგების ვალუტა ის ვალუტაა, რომელშიაც აისახება საგარეო ვაჭრობის საქონელი, მომსახურება ან საერთაშორისო კრედიტის თანხა.

სავალუტო კურსი ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის „ფასია“, გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულით. მას აწესებს ბანკები და ოქროს სტანდარტით განისაზღვრება ოქროს პარიტეტით ანუ ფულად ერთეულთა ოქროს შემცველობით.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ექსპორტისა და იმპორტის ჯამია ფულად ფორმაში გამოსახული ამა თუ იმ კალენდარული დროის მონაკვეთში.

დემპინგი ეწოდება დაბალ ფასებში (საქინაო საერთაშორისო ფასებთან შედარებით) საქონლის გადაზიდვას სხვა ქვეყანაში. ეს წარმოებს ბაზრების „დაპყრობის“ მიზნით და ზარალი დაიფარება საქინაო ბაზრის მაღალი ფასების ხარჯზე.

კლირინგი ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებაა ნაღდი ფულადი ერთეულების გარეშე ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის გზით. ქვეყნებს შორის ურთიერთდავალიანება დაიფარება ურთიერთშემხვედრი საგადამხდელი ვალდებულებებით (ჩეკებით, გზავნილებით და სხვ.).

დეფლიატორი ფასების ინდექსია, რომელიც ფასების ცვალებადობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ღირებულებით მაჩვენებელთა ერთი რომელიმე საბაზისო წლის მაჩვენებლებში გადასაყვანად.

დეფლიაცია სახელმწიფოს მიერ გაყალბებული ფულადი მასის შემცირებაა გადასახადების გადიდების, საბიუჯეტო დანახარჯთა შემცირების, საქონლის ფასების შემცირების, კრედიტზე მოთხოვნის შემცირების და სხვათა გზით.

საკომპენსაციო შეთანხმებანი ეწოდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთშეთანხმებას, რომლის მიხედვით ერთობლივი საწარმოების მშენებლობისას ხდება მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და სხვათა მიწოდება, ხოლო საკომპენსაციოდ მიმწოდებელი ქვეყანა მიიღებს ამ მოწყობილობით, მასალებით და სხვ. გამოყენებით წარმოებულ პროდუქციას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელმოწერითა და შეთანხმებით შეიქმნა აშშ-ებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე 1944 წელს და მიზნად ისახავს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის გაუმჯობესებას ამ ფონდის წევრი ქვეყნების საფინანსო პრობლემების გადაწყვეტის დარგში. აწარმოებს სტატისტიკური მასალების შეგროვებასა და დამუშავებას კურსის, ოქროს სავალუტო რეზერვების ფულადი მიმოქცევისა და საბანკო საქმიანობის, საერთაშორისო კომერციული განაკვეთებისა და სხვათა შესახებ.

გენერალური ვაჭრობა საერთაშორისო სტატისტიკის მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის გასაანგარიშებლად საგარეო ვაჭრობის ე.წ. „საერთო“ სისტემით აღრიცხვის პირობებში. ის მოიცავს იმპორტში: საქონელს, შემოზიდულს მოცემულ ქვეყანაში გადასამუშავებლად და მონმარებისათვის; საქონელს, რომელიც შემოზიდულია ქვეყანაში გადასამუშავებლად საბაჟო კონტროლით; საქონელს, შესყიდულს

ქვეყნის საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ და მიწოდებულს უშუალოდ მესამე ქვეყნისათვის; ექსპორტში: მოცემულ ქვეყანაში წარმოებულ საქონელს, წინა პერიოდში მოცემულ ქვეყანაში საბაჟო კონტროლით გადასამუშავებლად შემოზიდულ და მიმდინარე პერიოდში გაზიდულ საქონელს (რეექსპორტს) და ა.შ.

„უხილავი ვაჭრობა“ გამოიყენება და ასახავს ისეთ გადასახადებს და შემოსავლებს (ტრანსპორტის დაზღვევა, საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირები ტურიზმი, კულტურული გაცვლები, საკომისიო ოპერაციები), რომლებსაც კავშირი არა აქვთ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებთან.

საერთაშორისო ტრანზიტი ისეთი საქონლის გადაზიდვაა, რომლის გამგზავნი და მიმღები პუნქტები იმყოფება მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ. თუ საქონელი შემოდის საბაჟო საწყობში და აქედან ეგზავნება მიმღებ ქვეყანას, მაშინ ასეთ გადაზიდვას ეწოდება არაპირდაპირი ტრანზიტი, ხოლო თუ საქონელი არ შემოდის საბაჟოს საწყობში და საბაჟოს უზრუნველყოფით პირდაპირ ეგზავნება მყიდველ ქვეყანას, მაშინ ასეთი გადაზიდვა პირდაპირი საერთაშორისო ტრანზიტი.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს მისი აღრიცხვის „ზოგად მეთოდს“, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა, რომელიც გამიზნულია საბოლოო მოხმარებისათვის ან შემდგომი ექსპორტირებისათვის.

ექსპორტი აღრიცხულია , ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში. იმპორტი აღრიცხულია ჩ1 , ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ფასში ჩართულია იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე მისი ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები. ინფორმაციის ძირითადი წყაროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების

სამსახურის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები, რომლებსაც ემატება მონაცემები იმ საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ, რომლებიც არ ფიქსირდება ქვეყნის საბაჟო საზღვარზე (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი). პარტნიორი ქვეყნის დადგენის კრიტერიუმებია: იმპორტის დროს – გამოძგზავნი ქვეყანა, ექსპორტის დროს – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა. საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისათვის გამოიყენება „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (სეს სნ)“, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების პარმონიზებული სისტემის საფუძველზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო საქმიანობის მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის მიერ სხვა ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს მართვაში კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქონას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ფორმირება ხორციელდება: საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კვარტალური და წლიური სტატისტიკური გამოკვლევის, პრევატიზაციისა და საქართველოს კომერციული ბანკების ანგარიშგების საფუძველზე.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა

შრომის დანაწილების საფუძველზე სახელმწიფოთა განვითარებულ საგარეო ეკონომიკურ კავშირთაერთობათა შორის წამყვანი ადგილი საგარეო ვაჭრობას უჭირავს. საგარეო ვაჭრობა ექსპორტ-იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლას ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა-გაყიდვის გზით.

საგარეო ვაჭრობის შედეგები სხვადასხვა მაჩვენებელთა სისტემით გამოისახება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ღირებულებითი მაჩვენებლები. ამ, უკანასკნელს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა ანუ ექსპორტ-იმპორტის წესით გაზიდული და შემოზიდული საქონლის ღირებულება. საქონელბრუნვაში ჩაითვლება ის საქონელი, რომელიც ხასიათდება საქონლის ნივთობრივი ფორმით და ფულზე გაცვლის ნიშნით. ამიტომ

საქონელბრუნვაში მხოლოდ ის საქონელია (პატენტებისა და ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვა, სატრანსპორტო საშუალებათა რემონტი, სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა და ჩატარება და ა.შ.), რომლებსაც ნივთობრივი ფორმა გააჩნიათ. ამასთან ერთად საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვაში არ ჩაირთვება ის შემოზიდული ან გაზიდული საქონელი (ჰუმანიტარული დახმარების გზით უსასყიდლოდ საქონლის შემოზიდვა-გაზიდვა, შენატანები გაეროს ტექნიკური დახმარების ფონდში, გამოფენებზე ან გაზიდული საქონელი და სხვ.), რომელიც კომერციულ ხასიათს არ ატარებს, ე.ი. არ იცვლება ვალუტაზე.

სტატისტიკამ უნდა შეისწავლოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა, დინამიკა და სტრუქტურა.

საქონელბრუნვის ფულად მოცულობას ახასიათებს ექსპორტ-იმპორტის ჯამი გამოსახული ფულად ფორმაში. ამიტომ სტატისტიკის ამოცანაა ექსპორტისა და იმპორტის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციებიდან სტატისტიკური მასალის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით:

საგარეო ვაჭრობა (მილიონი აშშ დოლარი)						
	2005	2006	2007	2008	2009	2010 იანვარი- მაისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	3355.4	4613.0	6447.3	7800.0	5500.1	2434.5
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	865.5	936.0	1232.4	1495.5	1130.6	607.5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	2490.0	3677.0	5214.9	6304.6	4369.5	1827.0
საგარეო ვაჭრობის სალდო	-1624.5	-2741.0	-3982.5	-4809.1	-3238.9	-1219.5

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5,500.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 29.5 პროცენტით ნაკლებია. ამავდროულად, სავაჭრო დეფიციტი 3,238.9 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 32.7 პროცენტით ნაკლებია. საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი, 1,130.6 მლნ. აშშ დოლარი, 2008 წლის მაჩვენებელს 24.4 პროცენტით ჩამორჩება, ხოლო საქონლის რეგისტრირებული იმპორტი წინა წლის მაჩვენებელზე 30.7 პროცენტით ნაკლებია და 4,369.5 მლნ. აშშ დოლარს უტოლდება. იმპორტირებული საქონლის 40.7 პროცენტი სამომხმარებლოა, 12.5 პროცენტი – საინვესტიციო და 45.7 პროცენტი შუალედური მოხმარების საქონელი.

2009 წელს ექსპორტირებულ საქონელს შორის ფეროშენადნობები ტრადიციულად პირველ პოზიციას იკავებს, თუმცა ამ პროდუქციის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 51.3 პროცენტით ნაკლები იყო. მეორე პოზიციაზეა ოქრო, რომლის ექსპორტის წლიური ზრდის ტემპი 16.1 პროცენტს შეადგენდა. ოქროს ექსპორტის ზრდა ოქროზე საერთაშორისო ფასების მატებით იყო განპირობებული. ოქროს საექსპორტო ფასი 2009 წელს წინა წელთან შედარებით 38.2 პროცენტით იყო გაზრდილი. მესამე პოზიცია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს ეჭირა, რომელიც წინა წელთან შედარებით 30.8 პროცენტით შემცირდა. 2009 წლის ექსპორტში აღინიშნებოდა გარკვეული პოზიტიური ტენდენციები. კერძოდ, თხილის ექსპორტი 2.2 -ჯერ გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მეოთხე პოზიცია დაიკავა. შემდეგ პოზიციაზე იყო მინერალური სასუქები. 2009 წელს აღსანიშნავია ციტრუსოვანი ხილის ექსპორტის მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდში გატანილი საქონლის ღირებულება ოთხჯერ აღემატებოდა წინა წლის ექსპორტს. ციტრუსების ექსპორტის 75 პროცენტი უკრაინაში განხორციელდა, 16 პროცენტი – აზერბაიჯანში, 7 პროცენტი – ბელორუსში, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ქვეყნებში. 2008 წლის მეოთხე კვარტალიდან საქართველოს ექსპორტში დაფიქსირდა ახალი დასახელებები, ცოცხალი ცხველები, ცხვრები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ცოცხალი ცხვრების წლიურმა ექსპორტმა 2009 წელს 17 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 16-ჯერ მეტია. ცხვრების ძირითადი წილი საუდის არაბეთშია ექსპორტირებული. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 2009 წლის განმავლობაში 16.9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელის ექსპორტი განხორციელდა, უმეტეს წილად აზერბაიჯანში.

საქონლის იმპორტის აღნიშნული განაწილება საკმაოდ სტაბილურია ბოლო წლების განმავლობაში. შუალედური მოხმარების საქონელში წამყვანი ადგილი უჭირავს ნავთობპროდუქტებს და ბუნებრივ აირს. მნიშვნელოვანი წილი აქვს აგრეთვე სამშენებლო მასალებს, ხორბალს და ფქვილს. ქართული ექსპორტის 42.5 პროცენტი სამრეწველო საქონლისგან შედგება, რაშიც წამყვანი ადგილი ფეროშენადნობებს, ავტომობილების რეექსპორტს და აზოტოვან სასუქებს უჭირავს. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. აგვისტოს საომარი მოქმედებების, და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, 2008 წლის მესამე კვარტალიდან დაფიქსირდა კვარტალური, ხოლო შემდგომ წლიური ვარდნა, როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის შემთხვევაში. 2009 წელს აღდგა კვარტალური ზრდის ტენდენცია, მაგრამ წლიური ზრდის მაჩვენებლები კვლავ უარყოფითი იყო (გამონაკლისი იყო რეგისტრირებული ექსპორტი 2009 წლის მეოთხე კვარტალში სადაც დაფიქსირდა დადებითი ზრდის ტემპი 22.0 პროცენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლის შესაბამისი პერიოდიდან ექსპორტი საგრძნობლად შემცირებული იყო). ექსპორტის ვარდნა 2009 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო საერთაშორისო ფასების კლებით იყო განპირობებული. ფასები განსაკუთრებით შემცირებული იყო ძირითად ქართულ საექსპორტო საქონელზე, შავ და ფერად ლითონებზე. იმპორტის კლებაზე ყველაზე დიდი გავლენა მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების შემცირებამ მოახდინა. წინა წელთან შედარებით მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 64.0 პროცენტით იყო შემცირებული. განსაკუთრებით დაიკლო ახალი, ძვირადღირებული

ავტომობილების იმპორტმა. იმპორტის კლებაში აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების ვარდნამ. ნავთობპროდუქტების იმპორტის ღირებულება 2009 წელს წინა წელთან შედარებით 27.2 პროცენტით ნაკლები იყო, ამავდროულად იმპორტირებული საქონლის რაოდენობა წინა წლისას 13.4 პროცენტით აჭარბებდა.

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დინამიკის გასაზომად იყენებენ ინდექსებს. ისინი გვიჩვენებს მოვლენების განვითარებას დროსა და სივრცეში. თუ მოვლენებს, ამ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვას, განვიხილავთ დროში, კერძოდ წლების მიხედვით, ინდექსები გვეჩვენება ინდივიდუალური, ჯგუფური და საერთო. ცალკეული სახის საქონლის (მანქანების, სათბობის, ხორცის, კარაქის და სხვა) ფიზიკური მოცულობის ცვალებადობას ექსპორტში ან იმპორტში გვიჩვენებს ინდივიდუალური ინდექსები, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$i_q = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც i_q - ამა თუ იმ კონკრეტული საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდექსია;

q_1 და q_0 მოცემული საქონლის ფიზიკური მოცულობაა შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო წლებში.

თუ გვაქვს არა ერთი სახეობის საქონელი, არამედ საქონლის ჯგუფები (მაგალითად, მანქანები, მოწყობილობანი და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფი ან კვების პროდუქტების ჯგუფი), მაშინ მათი ფიზიკური მოცულობის დინამიკა ექსპორტში ან იმპორტში გაიზომება ჯგუფური ინდექსებით.

საერთო ინდექსი I_{qp} გაიზომება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის $\sum q_1 p_1$ შეფარდებით საბაზისო პერიოდის

საქონელბრუნვასთან $\sum q_0 p_0$ სადაც p_1 და p_0 საქონლის ერთეულის ფასია შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში:

$$I_{qp} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

როგორც ვხედავთ საქონელბრუნვის საერთო ინდექსი ასახავს ორი ფაქტორის (საქონლის ფიზიკური მოცულობა და საქონლის ერთეულის ფასი) ზემოქმედების შედეგს.

საქონელბრუნვის მხოლოდ ფიზიკური მოცულობის გავლენას ასახავს ფიზიკური ინდექსი

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი შეგვიძლია გავიანგარიშოთ, აგრეთვე, საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ან ჯგუფური ინდექსებისა და საქონელბრუნვის მოცულობის საფუძველზე, რასაც ეწოდება საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკული ინდექსი:

$$I_q = \frac{\sum i_q q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

სადაც, i_q - საქონლის ფიზიკური მოცულობის

ინდივიდუალური $i_q = \frac{q_1}{q_0}$ ან ჯგუფური ინდექსებია

$$i_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

$q_0 P_0$ - წონა, ანუ ცალკეული სახის საქონლის მიხედვით საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდში.

თუ საშუალოარიითმეტიკულ ინდექსში ჩავსვავთ i_q -ს მნიშვნელობას მივიღებთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსს:

$$I_q = \frac{\sum q_1 q_0 P_0}{\sum q_0 P_0} = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0}$$

დავუშვათ რომ, გვაქვს ორი ჯგუფის საქონელი, ჯგუფური ინდექსებია: I ჯგუფის საქონელზე - 1,02, ხოლო II ჯგუფის საქონელზე - 1,19, ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპორტში I ჯგუფის საქონლის ფიზიკური მოცულობა გაიზარდა 2%-ით, ხოლო II ჯგუფის საქონლის ფიზიკური მოცულობა - 19%-ით. ჯგუფური ინდექსების საფუძველზე შეგვიძლია გავიანგარიშოთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ცვალებადობა საშუალოარიითმეტიკული ინდექსის დახმარებით:

$$I = \frac{\sum i_q q_0 P_0}{\sum q_0 P_0}$$

ისე, რომ თუ საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობამ ექსპორტში I ჯგუფის საქონელზე შეადგინა 48000 ლარი, ხოლო II ჯგუფის საქონელზე 38000 ლარი, მაშინ ინდექსი მიიღებს სახეს:

$$I = \frac{\sum i_q q_0 P_0}{\sum q_0 P_0} = \frac{(1.02 \times 48000) + (1.19 \times 38000)}{48000 + 38000} = 1.17$$

როგორც ჩანს, მთლიანი ექსპორტის საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა გაიზარდა 17%-ით.

საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ექსპორტი და იმპორტი.

ექსპორტი ეწოდება სამამულო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწარმის გაზიდვას საზღვარგარეთ ყიდვა-გაყიდვის გზით. მასში შედის, აგრეთვე, უცხოეთიდან იმპორტის წესით შემოზიდული საქონელი, რომელმაც გაიარა სამამულო წარმოებით შესაბამისი გადაამუშავება და ისევ რომელიმე უცხო ქვეყანას მიეყიდა. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში საქონლის გადაამუშავებად ითვლება ისეთი დაამუშავება, რომლის შედეგად ის ლეულობს ახალ თვისებრიობას. სამამულო საქონელს მიაკუთვნებენ მხოლოდ იმ იმპორტულ პროდუქციას, რომელმაც გადაამუშავების შედეგად ღირებულება მოიტანა შესასყიდი ფასის 50%-ზე მეტად, ამიტომ სტატისტიკურად დაფასოება, შეფუთვა, გარეგანი სახის გაუმჯობესება და სხვა ოპერაციები გადაამუშავებაში არ ჩაითვლება. ექსპორტში შედის აგრეთვე ის იმპორტული საქონელი, რომელიც ყოველგვარი გადაამუშავების გარეშე „პირდაპირი რეექსპორტის“ სახით გადის უცხოეთში გასასყიდად. ზოგჯერ ეკონომიკურად მიზანშეწონილია რომელიმე ქვეყანაში საქონლის შესყიდვა და იმპორტის გარეშე პირდაპირ იმ ქვეყნისადმი მიწოდება, რომლის წინაშე გარკვეული ვალდებულება გააჩნია მოცემულ ქვეყანას. ასეთმა ოპერაციამ მიიღო „არაპირდაპირი რეექსპორტის“ სახელწოდება და შესაბამისი საქონლის ღირებულებაც აღიღებს ექსპორტის საერთო საქონელბრუნვის მოცულობას.

ექსპორტის სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სტატისტიკურ მონაცემთა ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ექსპორტის ჯამობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარება. აქ მრავალი ქვეყანა საგარეო ვაჭრობაზე საერთო მოცულობის დასადგენად გამოიყენებს ორ სისტემას; „სპეციალურსა“ და „საერთოს“. „სპეციალური“ სისტემით საგარეო ვაჭრობაში შეიტანება სამამულო წარმოების საქონელი, აგრეთვე, ქვეყანაში საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოზიდული და „ნაციონალიზებული“ საქონელი.

„საერთო“ სისტემით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის გაანგარიშებისას „სპეციალური“ სისტემით შემოთხამოთვლილ საქონელს დაემატება „თავისუფალი ზონიდან გაზიდული საქონლის ღირებულება“. „თავისუფალი ზონა“ ის ტერიტორიაა, სადაც საგარეო სავაჭრო ოპერაციები დასაშვებია საბაჟო კონტროლის, საბაჟო გადასახადების გარეშე.

სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ექსპორტის დინამიკის, ანუ მისი დროში, წლების მიხედვით ცვალებადობის გაზომვა, რა მიზნითაც იყენებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე საერთო ინდექსებს.

ინდივიდუალური ინდექსებით ზომავენ ცალკეული კონკრეტული დასახელების საქონლის ფიზიკური მოცულობის ცვალებადობას, ხოლო საერთო ინდექსებიდან გვაქვს სამი ურთიერთდაკავშირებული ინდექსი: ექსპორტის საერთო ღირებულების I_{qp} ექსპორტის

ფიზიკური მოცულობის ინდექსი I_q და ექსპორტის ფასების ინდექსი I_p

მათ შორის კავშირი, როგორც სტატისტიკის თეორიიდანაა ცნობილი, ასე გამოისახება:

$$I_{qp} = I_q \times I_p$$

$$\text{ანუ } \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_0 P_0} = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0} \times \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_1 P_0}$$

სადაც, q_1 და q_0 - ექსპორტში გაგზავნილი საქონლის ფიზიკური მოცულობაა საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

P_1 და P_0 - საექსპორტო პროდუქციის ერთეულის ფასია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

იმპორტი ეწოდება საქონლის შემოზიდვას უცხო ქვეყნებიდან ყიდვა-გაყიდვის გზით. საქონლის იმპორტს საფუძვლად უდევს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია: ეკონომიკური ეფექტიანობა, დროის მოგება, მსოფლიოს მასშტაბით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა სამამულო წარმოებაში და სხვა. იმპორტი შედგება იმ საქონლისაგან, რომელზედაც სამამულო წარმოება ან არ არსებობს, ან კიდევ არსებობს, მაგრამ მისი წარმოების მოცულობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. იმპორტის ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი სახის საქონლის ხარისხი მაღალია და ამასთან ერთად მისი შექმნისა და ტრანსპორტირების ხარჯები ნაკლებია სამამულო წარმოების საქონლის შესაბამის დანახარჯებზე. რიგ შემთხვევებში ამ პირობის გარდა უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, დროის ფაქტორი, რომლის მოგებასაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა და სამამულო წარმოების დაწყება დროში ერთმანეთს მნიშვნელოვნად სცილდება. ამ შემთხვევაში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ან კიდევ სახალხო მოხმარების საქონლის იმპორტი გამართლებულია და მნიშვნელოვან სამეურნეო ეფექტს იძლევა დროის მოგების თვალსაზრისით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მოძველებული და მორალურად გაცვეთილი წარმოების საშუალებების შეცვლას იმპორტირებული თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაღალი წარმადობის მანქანა-იარაღებით, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს სამამულო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას და ხალხის შესაბამისი სამამულო წარმოების მიერ გამოშვებული საქონლით დაკმაყოფილების დონეს.

საქონლის იმპორტი შეიძლება გამოიწვიოს, აგრეთვე, ზოგიერთი, სრულიად შემთხვევითი ფაქტორის შემოქმედებამ, რაც იწვევს საქონლის მწვავე დეფიციტს ამა თუ იმ დროის მონაკვეთში. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო მოუსავლიანობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, წყალდიდობის, ხანძარი და ზოგიერთი სხვა სტიქიური მოვლენა, პოლიტიკური სიტუაცია მოცემულ ქვეყანაში და ა.შ.

იმპორტი წარმოიშობა, აგრეთვე, საერთაშორისო სპეცილიზაციისა და კოოპერირების განვითარებით. შრომის საერთაშორისო დანაწილების ბაზაზე მოცემულ ქვეყანაში ვითარდება იმ პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. ამიტომ ხდება სხვა სახის საქონლის იმპორტი და შესაბამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სტატისტიკა სწავლობს იმპორტის საერთო მოცულობას, სტრუქტურას, დინამიკას და სხვა ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებთან მჭიდრო ურთიერთკავშირს. იმპორტის მოცულობას სტატისტიკა სწავლობს „საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის“ მიხედვით შესაძარ ფასებში, რის შესახებაც სააღრიცხვო-სტატისტიკურ ინფორმაციას აგროვებს სათანადო საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მეშვეობით. იმპორტის რეგისტრაცია ხდება უცხო ქვეყნიდან საქონლის საზღვარზე გადმოტანის მომენტში, რის შედეგადაც ის ითვლება მოცემული ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შემადგენელ ნაწილად.

იმპორტის სტრუქტურა ექსპორტის ანალოგიურია. იგი განიხილება იმ უცხო ქვეყნების მიხედვით, რომელთა ბაზარზედაც შეიძინება საქონელი. თითოეული ქვეყნისათვის „საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა“ განიხილება მოწოდების კატეგორიების (კლირინგი, ჩაკეტილი ვალუტა, თავისუფალი ვალუტა და ა.შ.) მიხედვით. ყველაფერი ეს წინასწარ დადებული სავაჭრო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე დგინდება როგორც საპროგნოზო ისე ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით. იმპორტის სტრუქტურა ხასიათდება სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის სტატისტიკაში გავრცელებულია სასაქონლო (ცალკეული სახის საქონლის სასაქონლო გჯუფების, სასურსათო და არასასურსათო საქონლის და ა.შ.) სტრუქტურის, ტერიტორიული სტრუქტურის და სხვა ნიშნების მიხედვით იმპორტირებული საქონლის შესწავლა როგორც ნატურალურ-ნივთობრივი, ისე ღირებულებითი ფორმით. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა გავიანგარიშოთ იმპორტის დინამიკა (ექსპორტის საინდექსო მეთოდის მსგავსად), მისი ზრდისა და მატების ტემპები წლების მიხედვით.

სტატისტიკა იმპორტის სტრუქტურაში შემოხილულ და გაზიდულ საქონელსა და მიმწოდებელ ქვეყნებს აჯგუფებს ორი ნიშნით: „ქვეყანა-საქონელი“ და „საქონელი-ქვეყანა“. აქ კარგად ჩანს, საქონელთა ის ჯგუფები, რომელთა მიხედვით მოცემული ქვეყანა არის სუფთა ანუ ნეტო-ექსპორტიორი და პირიქით, ბრუტო-ექსპორტიორი და ბრუტო-იმპორტიორი. ეს მაჩვენებლები გამოიყენება ვაჭრობის მართვის, პროგნოზირებისა და რეგულირების საქმეში.

საგარეო ვაჭრობის ფასების სტატისტიკა

ფასი საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ის გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეყნის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის ამოცანის გადაწყვეტის საქმეში. ფასების დონე და დინამიკა საგარეო ვაჭრობის შესაბამის ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობის არეშია საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით. მათი მეშვეობით ხდება საგარეო ეკონომიკურ კავშირურობათა ორგანიზაცია, მართვა და რეგულირება. ფასების მეშვეობით წყდება საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, ექსპორტის, იმპორტის და მათი ღირებულებით ფორმაში კონტროლის, საქონელბრუნვის დონის, სტრუქტურისა და დინამიკის, მსოფლიო ბაზრის და მის ცალკეულ სექტორებში საქონლის ვაჭრობის მომგებიანობის და სხვა მეტად მნიშვნელოვან ამოცანათა გადაჭრა.

საქონლის ფასების შესახებ ყველაზე სარწმუნო ინფორმაციის წყაროა საგარეო სავაჭრო გაერთიანებებსა და უცხოურ კონტრაგენტებს შორის სავაჭრო გარიგებანი ყიდვა-გაყიდვის შესახებ (კონტრაქტები). მაგრამ საკონტრაქტო ფასები ხშირად იხრება ფაქტობრივი ფასებისაგან, რაც გამოწვეულია საკონტრაქტო გარიგებებსა და ფაქტობრივად საქონლის წარმოების დროს შორის განსხვავებით. გავრცელებულია ერთწლიანი, ხუთწლიანი, ათწლიანი

და მეტი ხნის სავაჭრო გარიგებანი, რომლის განმავლობაშიც იცვლება წარმოების პირობები და საქონლის ფასის ჩამოყალიბებაზე მოქმედი საშინაო და საგარეო ფაქტორები. ამის გამო ხშირად მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით წესდება საქონლის საკონტრაქტო საბაზისო სორტის ფასი. იმავე კონტრაქტით განისაზღვრება საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების საბაზისო სორტისაგან გადახრების საზღვრები. ამის მიხედვით საქონლის ფაქტობრივი მიწოდებისას განისაზღვრება რეალური საანგარიშსწორებო ფასი.

საკონტრაქტო ფასების რეგისტრაციისას სტატისტიკა იყენებს მთლიანი დაკვირვების სახეობას, რაც აუცილებელია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების რეგულირებისა და ოპერატიული მართვისათვის. საკონტრაქტო ფასების ცვალებადობის ქვეშ გულისხმობენ მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების ბაზაზე ძველის ნაცვლად ახალი ფასების დადგენას.

სტატისტიკა სწავლობს საგარეო ვაჭრობის ფასების დონეს (საკონტრაქტო ფასების სიდიდეს), მათ დინამიკას წლების მიხედვით და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენის ხარისხს.

საგარეო ვაჭრობის ფასების დონე განისაზღვრება სავაჭრო გარიგებებით და აისახება საკონტრაქტო მოლაპარაკებებში. საკონტრაქტო ფასების დადგენისას საქონლის მყიდველები და გამყიდველები ითვალისწინებენ მსოფლიო ფასების დონეს. საქონლის მსოფლიო ფასის ქვეშ იგულისხმება ბაზარზე რეალიზებული საქონლის ინტერნაციონალური ღირებულების წარმოების ინტერნაციონალური ფასი) ფულადი გამოხატულება. ამას გარდა ფასის დონე ყოველთვის განისაზღვრება მიწოდების ბაზისის მიხედვით. საგარეო ვაჭრობაში მიწოდების ბაზისი ეწოდება საქონლის მიღება-ჩაბარების გეოგრაფიულ ადგილს, სადაც საქონელზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან გადადის მყიდველზე. მსოფლიო საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში გავრცელებულია საკონტრაქტო ფასების დადგენა სხვადასხვა ბაზისზე. მათ შორის გვაქვს ფრანკო-საზღვარი ან საქონლის მიმწოდებლის ან მიმღების პოსტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერნაციონალური ღირებულების გარდა ფასები მოიცავს ან გაგზავნის, პორტში გემის პორტამდე საქონლის

გადაზიდვის, ან კიდევ დანიშნულების პორტამდე მიტანის ხარჯებს. საქონელბრუნვის დონისა და დინამიკის შესადარისობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საბაზისო საკონტრაქტო ფასები გადაიყვანება მიწოდების ერთიან ბაზისში. პრაქტიკულად ფასები გადაიყვანება გამგზავნის ან მიმღების ფრანკო-საზღვრის საბაზისო ფასში, რაც საგარეო ვაჭრობის ღირებულებით მაჩვენებლებს ხდის ურთიერთშესადარისს. სტატისტიკა ანგარიშობს სხვადასხვა საქონლის საშუალო ფასს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\bar{p} = \frac{\sum qp}{\sum q}$$

სადაც, P - საექსპორტო ან საიმპორტო საქონლის ერთეულის ინდივიდუალური ფასია;

q - ექსპორტის ან იმპორტის ფიზიკური მოცულობაა,

\bar{p} - საქონლის საშუალო ფასია.

მაგალითი: დავუშვათ, რომ ექსპორტში გაგზავნილი რკინის მადნის მოცულობამ შედგინა 100000 ტონა. ეს მოცულობა მიეწოდა სამ მომხმარებელს. პირველს, 30000 ტონა, მეორეს 50000 ტონა და მესამეს 20000 ტონა. კონტრაქტის მიხედვით პირველი მომხმარებლის მადანში რკინის შემცველობა შეადგენდა 50%-ს, მეორე მომხმარებლის მადანში - 55%-ს, ხოლო მესამე მყიდველის მადანში 60%-ს. მომხმარებელი იხდის რკინის შემცველობის ერთეულისათვის 2 ლარს. მაშასადამე, პირველმა მომხმარებელმა ერთი ტონა რკინის მადნისათვის უნდა გადაიხადოს 100 ლარი, მეორემ 110 ლარი, ხოლო მესამემ 120 ლარი. ამ მონაცემების საფუძველზე ერთი ტონა რკინის მადნის საშუალო ფასი შეადგენს:

$$P = \frac{\sum qp}{\sum q} = \frac{(300000 \times 100) + (500000 \times 110) + (200000 \times 120)}{300000 + 400000 + 300000}$$

$$= 109$$

ლარს.

საგარეო ვაჭრობის, მათ შორის ექსპორტისა და იმპორტის ფასების დინამიკა გაიზომება ინდივიდუალური და საერთო (აგრეგატული) ინდექსების გამოყენებით. ინდივიდუალური ინდექსი ზომავს ცალკეული კონკრეტული დასახელების საქონლის ერთეულის ფასის დინამიკას შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$i_p = \frac{P_1}{P_0}$$

სადაც i_p - ფასის ინდივიდუალური ინდექსია;

P_1 და P_0 - საქონლის ერთეულის ფასია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ცალკეული ჯგუფის საქონლის საშუალო ფასის ინდექსი i_p გამოისახება ფორმულით:

$$I_p = \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_1 P_0}$$

სადაც q_1 და q_0 მოცემული ჯგუფის საქონლის ფიზიკური მოცულობაა საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

„ვაჭრობის პირობების“ ინდექსი

სტატისტიკა სწავლობს თუ როგორი უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის პირობები საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით. ასეთი პირობების გასარკვევად ანგარიშობენ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსს შემდეგი ფორმულით:

$$I_{\text{ვაჭრობ.}} = \frac{I_{\text{ექსპ.საშფ ასი}}}{I_{\text{იმპ.საშფა სი}}}$$

სადაც, $I_{\text{ვაჭრობ.}}$ - „ვაჭრობის პირობების“ ინდექსია;

$I_{\text{ექსპ.საშფ ასი}}$ - ექსპორტის საშუალო ფასის ინდექსი;

$I_{\text{იმპ.საშფა სი}}$ - იმპორტის საშუალო ფასის ინდექსი.

მოცემულ ინდექსებზე არ მოქმედებს საგარეო ვაჭრობის საღლო დადებითა თუ უარყოფითი. მას ვერ ცვლის, აგრეთვე, ვალუტის კურსის ცვალებადობა და ამიტომ ის შესადარისია სხვადასხვა ქვეყნებისათვის და გამოიყენება სათანადო საანალიზო მიზნებისათვის.

თუ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი ერთის ტოლია, მაშინ იტყვიან, რომ „ვაჭრობის პირობები“ საანგარიშო პერიოდში ისეთივე იყო, როგორც საბაზისო პერიოდში, თუ ერთზე ნაკლებია, მაშინ საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით გვექონდა არახელსაყრელი „ვაჭრობის პირობები“, ხოლო თუ ინდექსი მეტია ერთზე, მაშინ მოცემულ პერიოდში გაცილებით ხელსაყრელი „ვაჭრობის პირობები“ გვექონია. მაგალითად, თუ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსმა ამა თუ იმ პერიოდში მოცემული ქვეყნისათვის შეადგინა 1,03, მაშინ „ვაჭრობის პირობების“ გაუმჯობესების შედეგად მოცემული ქვეყანა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ყოველ 100 სავალუტო ერთეულზე ღებულობს დამატებით მოგებას 3 სავალუტო ერთეულით ან პირიქით, მაშინ წაგებას ღებულობს ყოველ 100 სავალუტო ერთეულზე 3 სავალუტო ერთეულს.

გეოგრაფიული განლაგების სტატისტიკა

საგარეო ვაჭრობის და სხვა საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა გეოგრაფიული (ტერიტორიული) განლაგების ქვეშ იგულისხმება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ეკონომიკურად აქტიური რაიონების ტერიტორიული განლაგების უპირატესობათა გამოყენება საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტიანობის მიღების მიზნით. საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა ტერიტორიული განლაგების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საწარმოო ძალთა განლაგება და აქედან გამომდინარე ოპტიმალური საექსპორტო და საიმპორტო პარტნიორების შერჩევა. საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა სწორი გეოგრაფიული განლაგება ხელს უწყობს უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, საქონელბრუნვის ტერიტორიული განაწილების გაუმჯობესებას ქვეყნის ბუნებრივი ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით და სხვა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას. საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა სწორი გეოგრაფიული განლაგების ობიექტური წინამძღვარია სახელმწიფო-პარტნიორების ტერიტორიული მდებარეობა, მათი განვითარების ბუნებრივი პირობები, ეკონომიკის ყველა დარგში (მრეწველობის, სოფლის მეურნეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განათლება, კულტურა და ა.შ.) მიღწევები, მდგომარეობა მოსოფლიო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში და სხვა. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ტერიტორიული განლაგების საკითხების მართვისა და ორგანიზაციის საქმეში გამოიყენება ეკონომიკური გეოგრაფიის ფუძემდებლური დებულებანი საწარმოო ძალთა განლაგების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, ეკონომიკის შიგარაიონულ დარგთა შეთანაწყობის, აგრეთვე, შიგარაიონული და სარაიონთაშორისო ეკონომიკური კავშირების შესახებ.

სტატისტიკის ძირითადი ამოცანები საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა გეოგრაფიის შესწავლის საქმეში მდგომარეობს შემდეგში:

1. შეისწავლოს თითოეულ ქვეყანასთან ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა მოცულობა როგორც ექსპორტ-იმპორტის, ისე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საფინანსო-სავალუტრო, საკრედიტო და სხვა სახის საქმიანობის სფეროში;

2. დაადგინოს ექსპორტ-იმპორტის სალდო და საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა სხვა სახის საქმიანობის ეფექტიანობა სახელმწიფო-პარტნიორებისა და გეოგრაფიული რაიონების მიხედვით;

3. შეისწავლოს ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა სტრუქტურა და დინამიკა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და სატრანსპორტო კავშირთა თვითობათა გათვალისწინებით.

უცხო სახელმწიფოებთან საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თვითობათა შესახებ სწორი მონაცემების შეგროვება და დამუშავება სტატისტიკური საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. ამ მიმართულებით დიდ მნიშვნელობას იძენს ექსპორტ-იმპორტის და სხვა სახის საგარეო-ეკონომიკის ურთიერთობათა სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიის დამუშავება გეოგრაფიული განლაგების მიხედვით. აქ გამოიყოფა ოთხი ჯგუფის ქვეყანა: პირველი - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის ქვეყნები; მეორე - ევროპის განვითარებადი ქვეყნები; მესამე - განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები და მეოთხე - აზიისა და აფრიკის განვითარებადი სახელმწიფოები.

საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკამ შეიმუშავა იმპორტისა და ექსპორტის ტერიტორიული განაწილების სამი მეთოდი. პირველი მეთოდის გამოყენებული ქვეყნები საექსპორტო საქონელს ანაწილებენ დანიშნულების (მოხმარების), ხოლო საიმპორტო საქონელს - წარმოშობის (წარმოების) პუნქტების მიხედვით. ამ მეთოდს ქვეყნების ძალიან დიდი ნაწილი გამოიყენებს. მისი უნივერსალობა მასში მდგომარეობს, რომ ის მოიცავს ყველა ქვეყანა-მწარმოებელსა და ქვეყანა-მოხმარებელს. მეორე მეთოდის გამოყენებული სახელმწიფოები ექსპორტ-იმპორტის საქონელს ანაწილებენ მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მომწერი ქვეყნების მიხედვით. ასეთი ქვეყნების რიცხვი შედარებით მცირეა, ვინაიდან სტატისტიკურ აღრიცხვაში წარმოიშობა რიგი პრობლემები. ძნელია წინასწარ საგარეო

ეკონომიკურ კავშირურობათა გეოგრაფიული განლაგება განისაზღვროს კონტრაქტზე ხელმოწერის ადგილის მიხედვით.

გამყიდველი და მყიდველი კონტრაქტზე ხელის მოწერის ადგილად ირჩევს მათთვის მოსახერხებელ პუნქტს. ასეთი პუნქტი შეიძლება იყოს საქონლის გამყიდველი, ან მესამე რომელიმე ქვეყანა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სავაჭრო ხელშეკრულებასთან. ასეთი წინასწარ განუსაზღვრელობა გავლენას ახდენს საგარეო ეკონომიკურ კავშირურობათა გეოგრაფიული განლაგების პროგნოზირებაზე.

საგარეო ეკონომიკურ კავშირურობათა გეოგრაფიული განლაგების მესამე მეთოდის გამოყენებელი ქვეყნები ურთიერთობას ტერიტორიულ ჭრილში ავებენ სავაჭრო ხელშეკრულებათა მიხედვით. სავაჭრო ხელშეკრულებანი დაიდება სავაჭრო შეთანხმებათა საფუძველზე და აისახება გეოგრაფიულ განლაგებაში.

საერთაშორისო ეკონომიკურ ვალდებულებათა სტატისტიკა

საგარეო ეკონომიკური კავშირურობები როგორც წესი აიგება სახელმწიფოთა შორის გარკვეულ შეთანხმებებზე. ეს შეთანხმებანი ორი სახისაა: სავაჭრო და ეკონომიკური. სავაჭრო შეთანხმებანი - საქონლის გაცვლას ეხება ურთიერთხელსაყრელ პირობებში, ხოლო ეკონომიკური - მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებას, კრედიტებისა და სხვა სახის სესხების მიღებას და ა.შ. სავაჭრო და ეკონომიკურ შეთანხმებებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ. ეკონომიკური შეთანხმებების რეალიზაცია ძალიან ხშირად აისახება სავაჭრო შეთანხმებებში.

საგარეო ეკონომიკურ კავშირურობებში შეთანხმებანი სხვადასხვა სახისაა. სავაჭრო შეთანხმებებს გარდა, რომლებშიაც საქონელბრუნვა აისახება უშუალოდ, არსებობს საგადამხდელო შეთანხმებანი, საკრედიტო შეთანხმებანი და ა.შ. საგადამხდელო შეთანხმებებში აისახება ურთიერთსავაჭრო გარიგებებში სხვადასხვა

სახის გადასახადების პირობები, ხოლო საკრედიტო შეთანხმებანი მოიცავს კრედიტის მოცულობას, პროცენტების განაკვეთებს, კრედიტის უკან დაბრუნების ვადებს და სხვა. შეთანხმებების გარდა სავაჭრო-პოლიტიკურ პრაქტიკაში გამოიყენება, აგრეთვე, სავაჭრო ხელშეკრულება, რომელშიაც აისახება საბაჟო გადასახადების სისტემა, გადაზიდვების ტარიფები და სხვა. სავაჭრო შეთანხმებისაგან განსხვავებით სავაჭრო ხელშეკრულებაში არაა ნაჩვენები სასაქონლო ნომენკლატურა, საქონელბრუნვის მოცულობა და ა.შ.

საერთაშორისო ეკონომიკურ ვალდებულებათა სტატისტიკის ამოცანებია რაოდენობრივად დაახასიათოს ამ ვალდებულებათა რეალიზაციის პროცესი, აჩვენოს მათი სტრუქტურა სახეობათა მიხედვით და დინამიკა წლების მიხედვით.

ამ მონაცემების საფუძველზე სტატისტიკა ამუშავებს შეფარდებით მაჩვენებლებს, რომელთა დახმარებით წარმოებს ვალდებულებათა შესრულების კონტროლი ვადებისა და კონტრაქტების მიხედვით. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, უკანასკნელ პერიოდში, იძენს გრძელვადიანი შეთანხმებების შესრულების კონტროლი, რაც სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. საქონლის ნომენკლატურა და ასორტიმენტი გრძელვადიან ვალდებულებათა მიხედვით წლების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს. ეს ცვლადობანი ფორმდება ყოველწლიურ ერთობლივ ოქმებში, რომლებსაც სტატისტიკა იყენებს ურთიერთვალდებულებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმებისათვის.

საგადამხდელო ბალანსი

საგადამხდელო ბალანსი ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირურობათა საფინანსო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მისი ცნება პირველად შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ 1967 წელს ჯ. სტიუარტის მიერ.

საგადამხდელო ბალანსი მოცემული ქვეყნის გარე სამყაროს ან საფინანსო ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტია. ამ ურთიერთობებს განსაზღვრავს დროის მოცემულ პერიოდში ან მომენტში ქვეყნის მიერ

ფაქტობრივი გადასახდელები სხვა ქვეყნების მიმართ და სხვა ქვეყნებიდან მიღებული შემოსავლები.

საგადასახდელო ბალანსი მოიცავს მიმდინარე და კაპიტალურ ოპერაციებს. მიმდინარე ოპერაციები მოიცავს სავაჭრო, აგრეთვე, „უხილავ ოპერაციათა“ ბალანსებს. სავაჭრო ბალანსში აისახება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, ხოლო „უხილავ ოპერაციებში“ - გადასახდელები და შემოსულობანი ტრანსპორტის, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო მომსახურების, ტურიზმის, ინვესტიციების, პროცენტების და დივიდენდების, კულტურული გაცვლის და სხვა დარგებში.

განვითარებადი ქვეყნების საგადასახდელო ბალანსებში დიდი ზვედრითი წილით გამოირჩევა კაპიტალური ოპერაციები ანუ ინვესტიციები, რაც ნიშნავს მოგების მიღების მიზნით სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე კაპიტალური დაბანდების გაღებას ახალი წარმოების მშენებლობის ან მოქმედის - რეკონსტრუქცია-გაფართოების მიმართულებით.

გაარჩევენ სამი სახის ინვესტიციებს: ხანგრძლივი დაბანდებანი წარმოების სფეროში, საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე, ინტელექტუალური (სპეციალისტების მომზადება, მეცნიერული ან ტექნიკური გამოცდილების გადაცემა და სხვა).

საგადასახდელო ბალანსის აგების პრინციპი მდგომარეობს მასში, რომ თვითეული ოპერაცია ტარდება ორმაგი ჩაწერის წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპერაცია აისახება ერთი ანგარიშის კრედიტში (დადებითი ნიშნით), ხოლო მეორე ანგარიშის - დებეტში (უარყოფითი ნიშნით). მოცემული ფორმა იძლევა საგადასახდელო ბალანსის აქტიურობის ან პასიურობის გამოვლენის შესაძლებლობას. აქტიურია ის, თუ ქვეყნის შემოსავლები აჭარბებს გადასახადებს, ხოლო პასიურია - თუ გადასახადები სხვა ქვეყნების მიმართ აჭარბებს სხვა ქვეყნებიდან შემოსავლებს. პასიური ბალანსის შემთხვევაში იზრდება საგარეო ვალი, ეცემა ეროვნული ვალუტის კურსი, მცირდება ოქროს მარაგები და ა.შ. ამიტომ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა ქვეყნის ეკონომიკისა და სავალუტო-საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მაგალითად საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2005-2009 წლის მონაცემებით საქართველოს საგადასახდელო ბალანსი ასე გამოიყურება:

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2005-2009 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

	2005	2006	2007	2008	2009
მიმდინარე ანგარიში	-709.2	-1,174.6	-2,009.2	-2,915.3	-1,274.3
ა. საქონელი	-1,213.9	-2,019.4	-2,895.8	-3,833.2	-2,399.6
კრედიტი	1,472.4	1,666.5	2,088.3	2,428.0	1,893.2
დებეტი	-2,686.3	-3,685.9	-4,984.1	-6,261.2	-4,292.7
ბ. მომსახურება	83.5	158.0	161.3	22.7	332.0
კრედიტი	715.0	885.0	1,094.1	1,260.4	1,306.0
დებეტი	-631.5	-727.0	-932.8	-1,237.8	-974.1
გ. შემოსავალი	62.1	162.8	37.0	-165.1	-158.4
კრედიტი	263.3	341.1	481.6	488.6	422.3
დებეტი	-201.2	-178.4	-444.6	-653.6	-580.7
დ. მიმდინარე ტრანსფერები	359.0	523.9	688.5	1,060.4	951.6
კრედიტი	413.4	587.0	768.5	1,142.0	1,022.4
დებეტი	-54.4	-63.0	-80.0	-81.7	-70.7
აპრიორისა და უინანსური ანგარიში	682.8	1,240.6	2,043.8	2,971.6	1,261.5
კაპიტალის ანგარიში	58.6	171.2	127.9	112.3	178.5
კრედიტი	61.6	172.2	128.3	112.4	178.6
დებეტი	-2.9	-1.0	-0.3	-0.1	-0.1
ფინანსური ანგარიში	624.2	1,069.4	1,915.9	2,859.3	1,083.0
ა. პირდაპირი ინვესტიციები	542.2	1,185.9	1,674.9	1,523.0	764.6
საზღვარგარეთ	89.5	15.8	-75.3	-41.0	0.9
საქართველოში	452.8	1,170.1	1,750.2	1,564.0	763.7
ბ. პორტფელის ინვესტიციები	15.5	140.3	21.0	623.6	4.8
აქტივები	13.1	-2.2	-12.7	-2.3	-1.4
პასივები	2.4	142.5	33.6	625.9	6.2
გ. ფინანსური წარმოებულები	0.0	0.0	1.1	7.8	0.6
აქტივები	0.0	0.0	1.2	11.1	1.1
პასივები	0.0	0.0	-0.2	-3.3	-0.5
დ. სხვა ინვესტიციები	177.1	181.8	595.9	835.8	928.9
აქტივები	-16.2	-51.8	-202.1	-266.5	173.6
პასივები	193.3	233.6	798.0	1,102.3	755.4
ე. სარეზერვო აქტივები	-110.6	-438.6	-377.0	-130.8	-615.9
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	26.4	-65.9	-34.7	-56.3	12.8
განსაკუთრებული დაფინანსება - სულ	142.5	116.2	178.7	1,015.0	375.2

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თემა 10. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

ეროვნული ანგარიშების სისტემა (ეას) ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მისი განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად თანამიმდევრულ, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების სისტემას წარმოადგენს. იგი მოიცავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის (მ.შ. საზღვარგარეთთან) ეკონომიკური ოპერაციების მაჩვენებლების ამ ანგარიშებსა და ცხრილებში აღრიცხვას.

ეას-ში აღრიცხება დროის სტანდარტულ მონაკვეთებში – კვარტალში, წელიწადში ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე და წინა პერიოდებთან შედარებით განვითარების ტენდენციების მახასიათებელი მაჩვენებლები.

ამრიგად, ეას ასახავს ეროვნული ეკონომიკის უმთავრეს ოპერაციებს ეკონომიკის სექტორებს შორის, დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური ოპერაციების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლებისა და მათი გამოყენების განხორციელების შედეგებს. ყველა ეს ეკონომიკური ოპერაცია წარმოდგენილია შესაბამისი ნაკადებისა და საბალანსო მდგომარეობის დამახასიათებელი ცხრილებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის სახით.

ეას მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების ეფექტიანობის მონიტორინგისათვის. ეროვნული ანგარიშების სისტემას საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკის მთლიანობაში წარმოდგენის პრინციპი, რომელიც ამავე დროს დანარჩენ მსოფლიოს მრავალფეროვანი საერთაშორისო ოპერაციებით უკავშირდება.

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკომისიის სტატისტიკური სამსახურის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის (შ - 93) სტანდარტული მეთოდოლოგია.

შეფასებების პრინციპები

ეას-ში ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებული საქონლისა და მომსახურების მიმდინარე საბაზრო ფასებში. ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ეკონომიკური ოპერაცია ფიქსირდება იმ მომენტისათვის, როდესაც ამ ოპერაციების მონაწილე სუბიექტთა შორის ორივე მხარის შეთანხმებით წარმოიქმნა აქტივის მიწოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის ურთიერთვალდებულებები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ მომენტში ეს ვალდებულებები პრაქტიკულად განხორციელებული.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა საქართველოში ჯერჯერობით წარმოებს მხოლოდ წარმოების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით.

ძირითადი ანგარიშები

საქონლისა და მომსახურების ანგარიშის რესურსების ნაწილში აისახება საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება, საქონლისა და მომსახურების იმპორტი და წმინდა გადასახადები (გადასახადებს მინუს სუბსიდიები), ხოლო გამოყენების ნაწილში – შუალედური მოხმარება,

საბოლოო მოხმარების ხარჯები, ძირითადი კაპიტალის ფორმირება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილებები და ექსპორტი. ფორმალურად, ეს ანგარიში წარმოდგენილია იმგვარად, რომ მისი რესურსებისა და გამოყენების მხარეები ერთმანეთის ტოლია.

წარმოების ანგარიში ასახავს უშუალოდ წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ეას-93-ის აუცილებელი მოთხოვნაა გაანგარიშებებში ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცვა. მათ შორის სრული მოცულობით გაითვალისწინება სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე. წ. „დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა“.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ანგარიშები მოიცავენ არაფორმალური (საკუთარი მოხმარების ან

გასაყიდად შინამეურნეობების კუთვნილი არაკორპორირებული წარმოების),

ფარული (გადასახადების გადახდის თავის არიდების მიზნით) და არაკანონიერი წარმოების შეფასებებს.

მთლიანი გამოშვება არის დროის გარკვეული პერიოდის (უფრო ხშირად ერთი წლის ან კვარტალის) განმავლობაში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასებში.

საქონლის წარმოება მოიცავს საქმიანობის ისეთ სახეებს, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მშენებლობა, ხოლო მომსახურება ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, ვაჭრობას, განათლებას, ჯანდაცვას, საფინანსო საქმიანობას და სხვ.

შუალედური მოხმარება შედგება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებისაგან, რომელიც მთლიანად მოხმარება წარმოების პროცესში. შუალედური მოხმარების შემადგენლობაში არ აღირიცხება ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს სხვაობას წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მოხმარებას შორის.

ტერმინი „მთლიანი“ ნიშნავს, რომ მაჩვენებელი მოიცავს წარმოების პროცესში მონაწილე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას (ფიზიკურ და მორალურ ცვეთას).

გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (პროდუქციაზე გადასახადები) – სავალდებულო დაუბრუნებელი გადასახდელები, რომელიც დარიცხულია სახელმწიფოს მიერ საწარმოო ერთეულების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ან იმპორტის მოცულობის პროპორციულად, პროდუქციაზე გადასახადებს მიეკუთვნებიან: დამატებული ღირებულების, აქციზური, იმპორტზე და საბაჟო გადასახადები.

სხვა გადასახადები წარმოებაზე დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენებასთან. მათში აგრეთვე შედის გადასახდელები ლიცენზიებისათვის. სუბსიდიები წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე – სახელმწიფოს მიერ გაცემული

მიმდინარე, უსასყიდლო, დაუბრუნებელი გადახდები, რომლებიც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით ეძლევათ საწარმოო ერთეულებს იმ დანაკარგებისათვის, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასი წარმოების საშუალო დანახარჯებზე დაბალია.

ტერმინი „წმინდა გადასახადები“ ნიშნავს, რომ გადასახადები ნაჩვენებია შესაბამისი სუბსიდიების გამოკლებით.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. მისი გაანგარიშება წარმოებს სამი მეთოდით:

- **წარმოების მეთოდით** მშპ (საბაზო ფასებში) იზომება რეზიდენტი ეკონომიკური

ერთეულების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების შეჯამებით. საბაზო ფასებში შეფასებულ მშპ-ზე პროდუქტებზე წმინდა გადასახადების დამატებით მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

- მშპ განისაზღვრება აგრეთვე როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში მონაწილე რეზიდენტი ერთეულების პირველადი **შემოსავლების** ჯამი: შრომის ანაზღაურების, პროდუქციასა და იმპორტზე წმინდა გადასახადების, მთლიანი მოგებისა და მთლიანი შერეული შემოსავლების შეჯამებით.

- **საბოლოო მოხმარების ხარჯების** მეთოდით გაანგარიშებული მშპ წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ხარჯების, მთლიანი დაგროვებისა და წმინდა ექსპორტის (ექსპორტის მინუს იმპორტი) ჯამს.

სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგანაც მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია. განსხვავება იწერება სტრიქონში „სტატისტიკური განსხვავება“.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა 2003 წლამდე ხდებოდა **ერთმაგი დეფლაციით** – საქმიანობის სახის მიხედვით მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული მთლიანი დამატებული ღირებულების გადაფასებით

საქმიანობის სახის შესაბამისი ფასების ინდექსით ან პროდუქციის მოცულობის ნატურალური მაჩვენებლებით გაანგარიშებული ინდექსების მეშვეობით.

2003 წლიდან მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხდება უფრო სრულყოფილი მეთოდით – **ორმაგი დეფლაციით**. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) არის რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და დანარჩენი მსოფლიოდან ღარიცხული პირველადი (ხელფასი, მოგება, შერეული შემოსავლები) და საკუთრებიდან (დივიდენდები, რენტა) წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით)

შემოსავლების ჯამი. რაოდენობრივი თვალსაზრისით მეშ მშპ-სგან განსხვავდება საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული პირველადი შემოსავლების საღლოს სიდიდით.

საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული **პირველადი შემოსავლები** ყალიბდება რეზიდენტი ერთეულების მიერ მშპ-ის წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულებების პირველადი განაწილების პროცესში. მასში შედის: შრომის ანაზღაურება, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე,

მთლიანი მოგება, მთლიანი შერეული შემოსავლები და **შემოსავლები საკუთრებიდან**. შემოსავლები საკუთრებიდან – ინსტიტუციური ერთეულების მიერ ფინანსური და არაფინანსური მატერიალური აქტივების გამოსაყენებლად გადაცემის შედეგად ღარიცხული შემოსავლები. მათ მიეკუთვნება საპროცენტო შემოსავლები, დივიდენდები, რენტა და ასეთივე სახის სხვა შემოსავლები საკუთრებიდან.

ეროვნული მთლიანი განკარგავი შემოსავალი არის მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და ქვეყნის რეზიდენტების მიერ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული მიმდინარე წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) ტრანსფერტების ჯამი. ეს არის შემოსავლები, რომელთაც განკარგავენ

რეზიდენტები საბოლოო მოხმარებისათვის და დანაზოგებისათვის.

მიმდინარე ტრანსფერტები – მიმდინარე ოპერაციები, რომელთა დროსაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გადასცემს საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს რაიმე სანაცვლო ეკვივალენტის მიღების გარეშე. ასეთი ოპერაციები წარმოებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით.

კაპიტალური ტრანსფერტები – ოპერაციები, რომელთა დროსაც ინსტიტუციური ერთეული მეორე ერთეულს უსასყიდლოდ გადასცემს აქტივებს ფულადი ან ნატურალური სახით (როგორც წესი, საინვესტიციო მიზნით). კაპიტალური ტრანსფერტები ჩვეულებრივ ერთდროულია და მნიშვნელოვანი სიდიდისაა. მათშივე შედის კაპიტალზე გადასახადები, საინვესტიციო სუბსიდიები, სხვა კაპიტალური ტრანსფერტები (მემკვიდრეობის მიღება, ზარალის პატიება და სხვ.).

მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები – მთლიანი დამატებული ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩება მწარმოებლებს (კორპორაციებს) შრომის ანაზღაურებისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. მთლიანი შერეული შემოსავლები – შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული არაკორპორაციული საწარმოებისთვის, სადაც შინამეურნეობებს შეუძლიათ აწარმოონ გადაუხდელი შრომითი დანახარჯები. იგი მოიცავს როგორც შინამეურნეობათა შრომით ანაზღაურებას, ისე ამ საწარმოთა მოგებას.

წმინდა მოგება და წმინდა შერეული შემოსავლები უტოლდება მთლიან მოგებას და მთლიან შერეულ მოგებას ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით.

დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე – შინამეურნეობების დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე და მომსახურებაზე, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციულ ორგანიზაციათა (შმაკო) დანახარჯები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები ინდივიდუალური მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მოსახლეობისათვის გაწეული უფასო

მომსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სფეროში.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები კოლექტიურ მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უფასო მომსახურება არა ცალკეული შინამეურნეობებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის. ამ მაჩვენებელში შედის თავდაცვის, სახელმწიფო მმართველობის, არასაბაზრო მეცნიერების და სხვა ხარჯები.

შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე – პირობითად მიღებულია, რომ ეს ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფკავშირები, საზოგადოებრივი გაერთიანებები) ეწევიან მხოლოდ ინდივიდუალურ მომსახურებას.

მთლიანი ეროვნული დანახოვი – მთლიანი ეროვნული განკარგავადი შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ იხარჯება საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე.

მთლიანი დაგროვება – მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებას და ფასეულობათა წმინდა ცვლილებას.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება – ძირითადი კაპიტალის ობიექტებში ჩადებული სახსრები მომავალში ახალი შემოსავლების მიღებისათვის მათი წარმოებაში გამოყენების გზით.

ძირითადი კაპიტალი – წარმოების შედეგად მიღებული ან არაწარმოებული აქტივები, რომლებიც მრავალჯერადად, ჩვეულებრივ ერთ წელზე მეტ პერიოდში გამოიყენება წარმოების პროცესში.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება მოიცავს საწარმოო მარაგების ღირებულების ცვლილებას, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციასა და საქონელს შემდგომი გაყიდვისათვის.

ფასეულობათა წმინდა შექმნა – შექმნა აქტივების გაყიდვის გამოკლებით, შექმნა, როგორც ღირებულების შენარჩუნების

საშუალება: ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ანტიკვარული ნაკეთობებისა, სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა და კოლექციების.

წმინდა დაკრედიტება(+) ან **წმინდა სესხება(-)** – გადამტება ან დეფიციტი ინვესტიციების დაფინანსების წყაროებსა და არაფინანსური აქტივების წმინდა შეტენის ხარჯებს შორის. მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით წმინდა დაკრედიტება ან წმინდა დავალიანება გვიჩვენებს რესურსების მოცულობას, რომელიც გადასცა ქვეყანამ „დანარჩენ სამყაროს“ და პირიქით.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი მოიცავს მოცემული ქვეყნის საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს სხვა ქვეყნებთან. საქონლის ექსპორტი და იმპორტი – ქვეყნის საზღვარს გარეთ გატანილი ან ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულება. მომსახურების ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებას, ტურიზმს, კომუნიკაციებს, სამშენებლო მომსახურებას, სადაზღვევო, ფინანსურ, კომპიუტერულ და ინფორმაციულ მომსახურებას, რეკლამას და მომსახურების სხვა სახეებს. **წმინდა ექსპორტი** განისაზღვრება როგორც სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის.

„დანარჩენ სამყაროსთან“ მიმდინარე ოპერაციების სალდო – დამაბალანსებელი მუხლი პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერტების ანგარიშისა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანგარიშში. იგი განისაზღვრება შემდეგი წესით: საქონლისა და მომსახურების სალდოს ემატება პირველადი შემოსავლები და მიმდინარე ტრანსფერტები მიღებული სხვა ქვეყნებიდან და აკლდება პირველადი შემოსავლები და მიმდინარე ტრანსფერტები გადახდილი სხვა ქვეყნებისათვის.

ეროვნული ანგარიშის ზოგადი სქემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

გამოყენება	რესურსები
1. y_1	1. x_1
2. y_2	2. x_2
3. y_3	3. x_3
.	.
.	.
$m.$ y_m	$n.$ x_n
სულ გამოყენება ($y_1 + y_2 + \dots + y_n$)	სულ რესურსები ($x_1 + x_2 + \dots + x_n$)

რაოდენობრივად რესურსებისა და გამოყენების მხარეს აბალანსებს გამოყენებითი მხარის ბოლო მე- m მუხლი, რომელსაც საბალანსო მუხლს უწოდებენ

$$\left(\sum_{i=1}^n x_i = \sum_{i=1}^m y_i \right)$$

ასეთი ფორმის ანგარიშები დგება ეკონომიკის ცალკეულ დარგებისა და სექტორების მიხედვით, რის საფუძველზეც წარმოებს მათი შეჯამება და მთელი ეკონომიკის კონსოვიდირებულ (გაერთიანებულ) ანგარიშთა სისტემის შექმნა.

მთელი ეკონომიკის კონსოლიდირებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მოიცავს როგორც საშინაო, ასევე საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს. ამ სისტემაში განიხილება შვიდი ურთიერთდაკავშირებული ანგარიში.

ესენია:

1. წარმოების ანგარიში
- შემოსავლების წარმოქმნის ანგარიში
- შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში
- შემოსავლების გადანაწილების ანგარიში
- შემოსავლების გამოყენების ანგარიში
- კაპიტალური დანახარჯების ანგარიში

საფინანსო ანგარიში

ეროვნული ანგარიშები და მათი საბალანსო ურთიერთკავშირები

ანგარიშები	გამოყენება	რესურსები	საბალანსო მუხლები მათი გაანგარიშების წესი
I. წარმოების ანგარიში	2. შუალედური მოხმარება 3. მთლიანი დამატებული ღირებულება (მთლიანი შიდა პროდუქტი)	1. მთლიანი გამოშვება	1-2=3 (მთლიანი შიდა პროდუქტი)
II. შემოსავლები წარმოქმნის ანგარიში	2. შრომის ანაზღაურება 3. წმინდა გადასახადები წარმოებაზე 4. სუბსიდიები 5. მთლიანი მოგება (მთლიანი შერეული შემოსავლები)	1. მთლიანი დამატებული ღირებულება (მთლიანი შიდა პროდუქტი)	1-2-(3-4)=5 მთლიანი მოგება (მთლიანი შერეული შემოსავლები)
III. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში	5. „სხვა სამეაროსთვის“ გადაცემული საკუთრებიდან შემოსავლები 6. პირველადი შემოსავლების სალდო (მთლიანი ეროვნული შემოსავლები)	1. მთლიანი მოგება (მთლიანი შერეული შემოსავლები) 2. საკუთრებიდან შემოსავლები 3. შრომის ანაზღაურება 4. წმინდა გადასახადები წარმოებაზე	1+2+3+4-5=6 (მთლიანი ეროვნული შემოსავლები)

IV. შემოსავლები გადანაწილების ანგარიში	3. „სხვა სამეაროსთვის“ გადაცემული მიმდინარე ტრანსფერტები 4. მთლიანი განკარგვითი ეროვნული შემოსავლები	1. მთლიანი ეროვნული შემოსავლები (მთლიანი ეროვნული შემოსავლები) 2. „სხვა სამეაროდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერტები	1+2-3=4 (მთლიანი ეროვნული განკარგვითი შემოსავალი)
V. მთლიანი განკარგვითი ეროვნული შემოსავლის ანგარიში	2. დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე 3. მთლიანი ეროვნული დანახარჯები	1. მთლიანი განკარგვითი ეროვნული შემოსავალი	1-2=3 (მთლიანი ეროვნული დანახარჯები)
VI. კაპიტალური ოპერაციების ანგარიში	3. „სხვა სამეაროსთვის“ გადაცემული კაპიტალური ტრანსფერტები 4. ძირითადი კაპიტალის დაგროვება 5. მატერიალური მარაგების ცვლილებანი მატება (+), კლება (-) 6. წმინდა დაკრედიტება (+) ან სესხება (-)	1. მთლიანი ეროვნული დანახარჯები 2. „სხვა სამეაროდან“ მიღებული კაპიტალური ტრანსფერტები	1+2-3-4-5=6 (წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება)
VII. საფინანსო ანგარიში	3. საფინანსო აქტივების შექმნა	1. წმინდა დაკრედიტება (+) ან სესხება (-) 2. საფინანსო ვალდებულებათა აღება	

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს ეროვნული ანგარიშების აგრეგატიები 2004-2008 წლებში მიმდინარე ფასებში (მილიონ ლარებში)

	2004	2005	2006	2007	2008
მშპ	9 824.3	11 620.9	13 789.9	16 993.8	19 069.6
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	478.2	477.6	598.5	803.4	732.5
(-) პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	297.7	306.8	286.0	736.8	871.9
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	10 004.9	11 791.7	14 102.4	17 060.5	18 930.2
(-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	976.8	1113.5	1306.4	1 617.0	1 750.2
(=) წმინდა ეროვნული შემოსავალი	9028.0	10678.3	12796.1	15 443.4	17 180.0
(+) მიმდინარე ტრანსფერტების მიღება საზღვარგარეთიდან	881.4	747.9	1 029.1	1 280.2	1 722.4
(-) მიმდინარე ტრანსფერტების გაცემა საზღვარგარეთ	97.9	98.5	111.7	133.7	122.1
(=) წმინდა ეროვნული გენერალური შემოსავალი	9811.5	11327.7	13 713.4	16 589.9	18 780.3
(-) საბოლოო მოხმარება	8 573.8	9 794.1	12 972.0	15 731.9	18 913.2
(=) წმინდა დანახოვი	1237.7	1533.6	741.5	858.0	-132.9
(+) კაპიტალური ტრანსფერტების მიღება საზღვარგარეთიდან	83.7	113.4	301.3	213.3	158.0
(-) კაპიტალური ტრანსფერტების გაცემა საზღვარგარეთ	6.7	5.4	1.9	0.5	0.2
(=) კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება დანახოებისა და კაპიტალური ტრანსფერტების შედეგად	1 314.8	1641.5	1 040.9	1 070.8	24.9
(-) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	3 134.8	3 891.5	4 255.3	5 447.5	5 148.8
(+) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	976.8	1 113.5	1 306.4	1 617.0	1 750.2
(-) სტატისტიკური განსხვავება	-250. 8	6.0	-106.9	359.3	544.9
(=) წმინდა დაკრედიტება(+), მინდა სესხება(-)	-592.3	-1 142.6	-1 801.1	-3 119.0	-3 918.6

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

მათგან მთავარია: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე. მთლიანი შიდა პროდუქტი ეწოდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას საბაზრო ფასებში.

ეს მაკროეკონომიკური მაჩვენებელი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალს, მოსახლეობის ცხოვრების დონეს და სხვა მეტად მნიშვნელოვან ინდიკატორებს.

მას ეწოდება „მთლიანი“ იმის გამო, რომ იგი პრაქტიკულად მოიცავს, აგრეთვე, მომხმარებელი კაპიტალის ღირებულებასაც საამორტიზაციო ანარიცხების სახით (თეორიულად კი ის ამ დანახარჯების გამოთიშვით უნდა იქნას ადგენილი, რომელსაც წმინდა შიდა პროდუქტს უწოდებენ).

„შიდა“ ეწოდება მას იმის გამო, რომ იგი წარმოებულია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ (სიტყვა „რეზიდენტი“ ლათინური წარმოშობისაა და მჯდომარეს ნიშნავს. რეზიდენტებს მიეკუთვნება ეკონომიკური ერთეულები, რომელთა ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზეა, მათ შორის უცხო ქვეყნის საკუთრებაში არსებული აქტივებიც) და არ ითვალისწინებს მოცემული ქვეყნის მოქალაქეების მიერ უცხოეთში შექმნილ ღირებულებას.

ეკონომიკაში ცნობილია მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სამი მეთოდი;

საწარმოო (ეკონომიკის ყველა დარგსა და სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამის სახით), საბოლოო მოხმარების (საბოლოო მოხმარების კომპონენტების ჯამის სახით) და განაწილებით (პირველადი შემოსავლების შეჯამებით) მეთოდები. ამასთან პირველად შემოსავლებში შეიტანება ყველა სახის ანაზღაურება (ხელფასი, პრემიები, ნატურალური ანაზღაურება და სხვ.), სოციალური ანარიცხები ხელფასზე, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე სუბსიდიების გამოკლებით (რომლებსაც სახელმწიფო იღებს წარმოების ფაქტორების გამოყენებისათვის), მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები.

საბოლოო მოხმარებაში აღირიცხება საქონლისა და მომსახურების ხარჯები, მთლიანი დაგროვება, აგრეთვე, ექსპორტ-იმპორტის საღდო (ექსპორტის გადამეტება იმპორტზე „+“, ხოლო იმპორტის გადამეტება ექსპორტზე „-“).

თავისთავად საქონლისა და მომსახურების ხარჯებში შეიტანება შინამეურნეობათა საბოლოო მოხმარებაზე გაწეული, როგორც ფულადი ისე ნატურალური დანახარჯები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:

	2003	2004	2005	2006	2007	2008
შშპ მლნ.ლარი	8564	9824	11621	13790	16994	19070

ეროვნული შემოსავალი

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, აგრეთვე, ეროვნული შემოსავალი („მთლიანი“ ამორტიზაციის ჩათვლით, ხოლო „წმინდა“ - ამორტიზაციის გამოკლებით). ეროვნული შემოსავალი ეწოდა ამა თუ იმ პერიოდში მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების ჯამს. იგი განსხვავებულია მთლიანი შიდა პროდუქტისაგან როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. თვისებრივი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ შიდა პროდუქტი წარმოადგენს საბოლოო საქონლისა და მომსახურების ნაკადების ანუ ახლად შექმნილი ღირებულების (დამატებული ღირებულების) მახასიათებელს, მთლიანი ეროვნული შემოსავალი - პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, მოგება, საკუთრებიდან მიღებული დივიდენდები, პროცენტები, რენტა და,

აგრეთვე, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე) ის თანხაა, რომელსაც მოცემული ქვეყნის რეზიდენტები ლეზულობენ როგორც მოცემული ქვეყნის, ისე უცხო ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში მონაწილეობისათვის.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ეროვნული შემოსავალი განსხვავებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებისაგან უცხოეთიდან მიღებული და უცხოეთისათვის გადაცემული პირველადი შემოსავლების (სხვაობით). იმის გამო, რომ განვითარებული ქვეყნები უცხოეთში დაბანდებული ინვესტიციებიდან დიდ შემოსავალს იღებენ, ამიტომ ამ ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, როგორც წესი, მეტია მთლიან შიდა პროდუქტზე. ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში კი პირიქითაა, მთლიანი შიდა პროდუქტი მეტია ეროვნულ შემოსავალზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, აგრეთვე, ეროვნული სიმდიდრე.

ეროვნული სიმდიდრე

ზოგადად ეროვნული სიმდიდრე არის საფინანსო და არასაფინანსო აქტივების ერთობლიობა დროის ამა თუ იმ მომენტისათვის.

საფინანსო აქტივებია: მონეტალური ოქრო და მისი ხელუხლებელი მარაგები, დეპოზიტები და ვალუტა, ფასიანი ქაღალდები (აქციის გარდა), აქციები და სხვა სახის სააქციო კაპიტალი, სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები და სხვ.

არასაფინანსო აქტივებში შედის წარმოებული (ძირითადი კაპიტალი, საბრუნავი კაპიტალი, ძვირადღირებული ლითონები, საიუველიერო ნაწარმი) და არაწარმოებული არამატერიალური (პატენტები, საავტორო უფლებები და სხვ.) და მატერიალური (ბუნებრივი რესურსები: მიწა, წიაღისეული, ტყე, წყალი და სხვ.) ღირებულებანი.

აქედან ეროვნული სიმდიდრის კონკრეტული განმარტება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ეროვნული სიმდიდრე დროის ამა თუ იმ მომენტისათვის ეწოდება საფინანსო და არასაფინანსო აქტივების ერთობლიობას,

რომელიც მოიცავს წინა თაობების მიერ მოცემული ქვეყნის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ შექმნილ მატერიალურ და არამატერიალურ ეროვნულ ქონებას, აგრეთვე გამოკვლეულ და ეკონომიკურ ბრუნვაში მოქცეულ რესურსებს. ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ელემენტებიდან დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, აგრეთვე, ბუნებრივი რესურსები. ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრე დამოკიდებულია ამ ელემენტების მოცულობასა და გამოყენების ეფექტიანობაზე. ამიტომ სტატისტიკა ბიზნესმენებისა და მენეჯერებისათვის იძლევა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის, აგრეთვე, გამოყენების ეფექტიანობის ნათელ სურათს, რაც აუცილებელია კაპიტალის მენეჯერული მართვისათვის.

ძირითადი კაპიტალის სტატისტიკა

ძირითადი კაპიტალი შრომის იარაღები და არამატერიალური რესურსებია, რომლებიც მრავალი საწარმოო ციკლის განმავლობაში ემსახურებიან პროდუქციის წარმოების, აგრეთვე, მომსახურების პროცესს და თავიანთი ღირებულება გადააქვთ დამზადებული პროდუქციის თვითღირებულებაში ნაწილ-ნაწილ, ცვეთის შესაბამისად. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში აღირიცხება შენობები და ნაგებობანი, მანქანები და მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, ინსტრუმენტები და ინვენტარი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა ძირითადი კაპიტალი.

ძირითადი კაპიტალი განიცდის როგორც ფიზიკურ ასევე მორალურ ცვეთას. ფიზიკური ცვეთაა ძირითადი კაპიტალის ფიზიკური დატვირთვის გამო ცალკეული ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა, რაც მოითხოვს როგორც მცირე, ისე საშუალო და კაპიტალურ რემონტს. მორალური ეწოდება ძირითადი კაპიტალის გაუფასურებას იმის გამო, რომ იწარმოება უფრო მაღალი წარმადობის ან დაბალი თვითღირებულების მანქანა-დანადგარები. ბიზნესმენებმა და მენეჯერებმა უნდა იცოდნენ, რომ ორთავე ამ შემთხვევაში დამზადებული პროდუქციის (მომსახურების) ერთეულის

თვითღირებულება და ტარიფები მცირდება, რითაც ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობები უკარნახებს მათ განაახლონ მოწყობილობის პარკი.

ძირითადი კაპიტალის შეფასება წარმოებს თავდაპირველი, აღდგენითი და თავდაპირველი ან აღდგენითი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით.

თავდაპირველი ღირებულებაა კაპიტალის შექმნის, ტრანსპორტირებისა და დამონტაჟების ღირებულებათა ჯამი.

აღდგენითი ღირებულება არის ძირითადი კაპიტალის ღირებულება კვლავწარმოების თანამედროვე პირობებში. ვინაიდან მცირდება მოწყობილობათა წარმოების თვითღირებულება, აღდგენითი ღირებულება, როგორც წესი, ნაკლებია თავდაპირველ ღირებულებაზე (თუმცა ინფლაციური მოვლენების განვითარების გამო შეიძლება პირიქით მოხდეს).

თუ თავდაპირველ ან აღდგენით ღირებულებათ გამოვაკლებთ ცვეთის ღირებულებას, მივიღებთ ძირითადი კაპიტალის არამორტიზირებულ, ნარჩენ ღირებულებას.

ცვეთის ღირებულება განისაზღვრება მოწყობილობის ნამუშევარი წლებისა და საამორტიზაციო ანარიცხების ნორმების მიხედვით. რა არის ამორტიზაცია? ამორტიზაცია ეწოდება ძირითადი კაპიტალის აღსადგენი ღირებულების დაგროვებას. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულია ამორტიზაციის სამი სახეობა: წრფივი ანუ მუდმივი, დაჩქარებული და შენელებული.

თუ ძირითადი კაპიტალის ცვეთა მთელი მომსახურების პერიოდის განმავლობაში წარმოებს თანაბრად, მაშინ ამორტიზაციის წლიურ ფონდს ()

განსაზღვრავენ ფორმულით:

$$A = \frac{C_{\text{თავდ.}} + C_{\text{კაპრ.}} + C_{\text{მოდ.}} + C_{\text{ლიკმ.}}}{t}$$

სადაც $C_{\text{თავდ.}}$ - ძირითადი კაპიტალის თავდაპირველი ღირებულებაა;

$C_{\text{კაპ.}}$ - კაპიტალური რემონტის ღირებულებაა;

$C_{\text{მოდ.}}$ - მოდერნიზაციის ღირებულებაა;

$C_{\text{ლიკვ.}}$ - ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულებაა მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში (სალიკვიდაციო ღირებულება).

t - ძირითადი კაპიტალის მომსახურების წელთა რაოდენობაა.

ამორტიზაციის წლიური ფონდის მიხედვით (მისი პროცენტული შეფარდებით თავდაპირველ ღირებულებასთან) განისაზღვრება ამორტიზაციის ნორმა (%). მუდმივი ანუ წრფივი ამორტიზაციის შემთხვევაში ეს ნორმა უცვლელია ძირითადი კაპიტალის მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ, მაგალითად, ამა თუ იმ სახის მოწყობილობის თავდაპირველი ღირებულებაა 100,0 ათასი ლარი და ამორტიზაციის ნორმა 10%, მაშინ დამზადებული პროდუქციის თვითღირებულებას ყოველწლიურად დაერიცხება მოწყობილობის ღირებულების 10%, ანუ

$$\frac{100.0 \text{ ათასი ლარი} \times 10}{100} = 10.0 \text{ ათასი ლარი}$$

ძირითადი კაპიტალის აქტიური ნაწილის (ტექნოლოგიური მოწყობილობანი, მაღალი წარმადობის მანქანები და სხვ.) განახლების დაჩქარების მიზნით იყენებენ ამორტიზაციის დაჩქარებულ მეთოდს. ამ დროს ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულებიდან ყოველწლიურად ითვალისწინებენ საამორტიზაციო თანხების ამოღებას არა თანაბარი პროცენტით, არამედ ორჯერ და ზოგჯერ უფრო მეტი პროცენტით.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მაგალითიდან შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესმენებს შეუძლიათ მოწყობილობის მუშაობის პირველი წლებიდანვე ამოიღოს საამორტიზაციო ანარიცხები 20%-იანი ანუ 2-ჯერ მეტი განაკვეთით. ამ შემთხვევაში მოწყობილობის მთლიან

თავდაპირველ ღირებულებას ბიზნესმენი ამოიღებს არა ათ, არამედ ხუთ წელიწადში. მიღებული თანხებით ბიზნესმენებს შეუძლიათ შეიძინონ ახალი, მაღალი ტექნიკური ეკონომიკური მონაცემების მანქანა-იარაღები და ამით მოახდინონ მოწყობილობის განახლება. ამორტიზაციის მესამე შენელებული სახეობაა, რაც ეკონომისტებმა, ბიზნესმენებმა და მენეჯერებმა უპრიანია გამოიყენონ ძირითადი კაპიტალის პასიური ნაწილის (შენობები, ნაგებობანი, გადაძვები მოწყობილობანი და სხვ.) მიმართ, რომლებსაც ნაკლებად ემუქრებათ მორალური ცვეთის საშიშროება. ამ შემთხვევაში თავიდან ნაკლები თანხები ამოიღება კაპიტალის თავდაპირველი ღირებულებიდან, ხოლო ფიზიკური ცვეთის ხანგრძლივობის გადიდებასთან ერთად თანდათანობით დიდდება საამორტიზაციო ანარიცხებიც.

საბრუნავი კაპიტალის სტატისტიკა

საბრუნავი კაპიტალი წარმოების ის საშუალებებია (სახსრებია), რომლებიც ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად მოიხმარებიან პროდუქციის საწარმოებლად, იცვლიან თავიანთ ნატურალურ ფორმას და ღირებულება გადააქვთ დამზადებული პროდუქციის ან მომსახურების თვითღირებულებაში ნაწილ-ნაწილ, ცვეთის შესაბამისად.

საბრუნავი კაპიტალი შედგება საბრუნავი ფონდების (საწარმოო მარაგები, დაუმთავრებელი წარმოების ნაშთები, მომავალი პერიოდის ხარჯები) და მიმოქცევის ფონდებისაგან (მზა პროდუქცია გადაგზავნილი მყიდველებზე გზაში, მზა პროდუქცია საწყობში და ფულადი აქტივები ბანკში).

სტატისტიკა შეისწავლის და აჩვენებს სარკეში თუ როგორია საბრუნავი კაპიტალის საერთო მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა და მათზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის ინდიკატორები. უნდა ვიცოდეთ, რომ კაპიტალის გამოუყენებლობა მძიმე ტვირთად აწევს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს. ამ შემთხვევაში დიდდება პროდუქციისა და მომსახურების ერთეულზე კაპიტალის დანახარჯები, ძვირდება თვითღირებულება, ახლოვდება

გაკორტრების საშიშროება. ერთნაირი მოცულობის კაპიტალის მაღალეფექტიური გამოყენების პირობებში ღიდდება გამოვშებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობა, მცირდება ერთეულის თვითღირებულება, იზრდება მოგების მოცულობა და რენტაბელობის მაჩვენებლები.

ამიტომ, ბიზნესის სწორი მართვის მიზნებისათვის ეკონომისტებმა, ბიზნესმენებმა და მენეჯერებმა, პირველ რიგში, კარგად უნდა გაარკვიონ სტატისტიკური სარკის მეშვეობით როგორია კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა ბიზნესში, რამდენად ეფექტურად გამოიყენება თითოეული დახარჯული ლარი.

ამ სარკეს სტატისტიკა წარმოაჩენს ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა ფონდუკუგება, ფონდტევადობა, მოწყობილობის დატვირთვის ექსტენსიური, ინტენსიური და ინტეგრალური კოეფიციენტები (ძირითადი კაპიტალის გამოყენება), ბრუნვადობის კოეფიციენტი, ბრუნვადობა დღეებში და დატვირთვის კოეფიციენტი (საბრუნავი სახსრების გამოყენება).

ფონდუკუგება (კაპიტალუკუგება) გაიანგარიშება გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებათა შეფარდებით ძირითადი კაპიტალის საშუალო ღირებულებასთან

$$K = \frac{Q}{S}$$

სადაც K - კაპიტალუკუგება;

Q - გამოშვებული პროდუქციის ან მომსახურების ღირებულება საბაზრო ფასებში)

S - ძირითადი კაპიტალის (ფონდების) საშუალო ღირებულება.

ფონდტევადობა (კაპიტალტევადობა) ფონდუკუგების შებრუნებული სიდიდეა. ფონდუკუგება გვიჩვენებს კაპიტალის (ფონდების) ღირებულების ერთ ლარზე რამდენია გამოშვებული პროდუქციის ან მომსახურების ღირებულება, ხოლო ფონდტევადობა - გამოშვებული პროდუქციის ერთ ლარზე ძირითადი კაპიტალის დანახარჯების მოცულობას. აქედან ცხადია, რომ ძირითადი

კაპიტალის ერთ ლარზე პროდუქციის ან მომსახურების ღირებულების გაღიდება ნიშნავს ფონდტევადობის შემცირებას ანუ ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

მოწყობილობის დატვირთვის ექსტენსიური კოეფიციენტი მოწყობილობის საშუალო დროის მიხედვით გამოყენებას გვიჩვენებს და გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ექსტ.}} = \frac{T_{\text{ფაქტ.}}}{T_{\text{გაგმ.}}}$$

სადაც, $K_{\text{ექსტ.}}$ - მოწყობილობის ექსტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი;

$T_{\text{ფაქტ.}}$ - მოწყობილობის ნამუშევარი ფაქტიური დროა დაზგა-საათებში;

$T_{\text{გაგმ.}}$ - მოწყობილობის მუშაობის გეგმური დროა მოცემულ პერიოდში ჩარხსაათობით (დაზგასაათობით).

ინტენსიური გამოყენების კოეფიციენტი გვიჩვენებს მოწყობილობის დატვირთვის ხარისხს ერთ საათში, რასაც არკვევენ ერთ საათში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შეფარდებით ამ მოწყობილობის წარმადობასთან.

კომპლექსურად როგორც დროის, ასევე წარმადობის მიხედვით გამოყენებას გვიჩვენებს მოწყობილობის დატვირთვის ინტეგრალური კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება ექსტენსიური და ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტების ურთიეთთანამრავლით.

მაგალითი: სამშენებლო ფირმამ, რომლის ძირითადი კაპიტალის საშუალოთვიური ღირებულება 1,8 მლნ ლარია, მოცემულ თვეში გამოუშვა 2,0 მლნ ლარის პროდუქცია. შესაბამისმა სამშენებლო ტექნოლოგიურმა დანადგარებმა ორცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში 400 საათის ნაცვლად იმუშავა 320 საათი, წარმადობის მიხედვით უნდა გამოეშვა ერთ საათში საშუალოდ 2 ტონა

სამშენებლო მასალა, ფაქტიურად გამოუშვა 1,4 ტონა. ასეთ პირობებში:

$$\text{ფონდუკუება შეადგენს: } K_{\text{ფონდ.უკ}} = \frac{2.0}{1.8} = 1.111 \text{ ლარი}$$

$$\text{ფონდტევადობა შეადგენს: } K_{\text{ფონდ.ტევ}} = \frac{1}{1.111} = 0.9$$

1. ექსტეგრალური დატვირთვის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ექსტ.}} = \frac{320}{400} = 0.8$$

4. ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ინტ.}} = \frac{1.5}{2} = 0.75$$

5. ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ინტ.}} = K_{\text{ექსტ.}} \times K_{\text{ინტ.}} = 0.8 \times 0.75 = 0.6$$

როგორც ჩანს, ძირითადი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებლები დაბალია.

რას უნდა მიაქციონ ყურადღება ეკონომისტებმა, ბიზნესმენებმა და მენეჯერებმა?

პირველ რიგში უნდა მივაქციოთ ყურადღება ძირითადი კაპიტალის სტრუქტურას, როგორია მასში აქტიური ნაწილის (ტექნოლოგიური მოწყობილობის) ხვედრითი წილი. უნდა შევადაროთ ის სტანდარტებსა და მოწინავე ფირმების შესაბამის მაჩვენებელს. იმის გამო, რომ აქტიური ნაწილი ქმნის უშუალოდ პროდუქციას, მენეჯერული ღონისძიებანი უნდა დავაპროდუქტოთ მისი ამაღლების მიმართულებით.

უნდა მიექცეს ყურადღება, აგრეთვე, მოწყობილობის მუშაობის დროის სტრუქტურას, რასაც იძლევა ქრონომეტრაჟისა და სამუშაო დროის ფოტოგრაფიის მასალები. მენეჯერული ღონისძიებანი უნდა წარიმართოს უნაყოფო დროის დანახარჯების (მუშების გაცდენები, მოცდენები სხვადასხვა მიზეზებით: ელექტროენერჯის ხშირი გამორთვები, მასალების უქონლობა, მოწყობილობის უწყესივრო

მდგომარეობა, მისი მცირე, საშუალო და კაპრემონტის საჭიროება და ა.შ.) აღმოფხვრისა და სასარგებლო დროის დანახარჯების ხვედრითი წილის გადიდების მიმართულებით.

საბრუნავი სახსრების გამოყენების მაჩვენებლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ბრუნვადობის კოეფიციენტია, რომელიც ასე

$$\text{გაიანგარიშება: } K_{\text{ბრუნვ.}} = \frac{Q}{C}$$

სადაც: $K_{\text{ბრუნვ.}}$ - საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის

კოეფიციენტი მოცემულ პერიოდში;

Q - იმავე პერიოდში გამოშვებული ან რეალიზებული პროდუქციის ღირებულება საბაზრო ფასებში;

C - საბრუნავი სახსრების საშუალო ნაშთია იგივე პერიოდში (თვეში საშუალოთვიური ნაშთი გაიანგარიშება თვის დასაწყისსა და თვის ბოლოს საბრუნავი სახსრების ნაშთების ჯამის ორზე შეფარდებით, საშუალოკვარტალური - სამი თვის საშუალოს, ხოლო საშუალოწლიური - ოთხი კვარტლის საშუალოს მიხედვით).

მეორე მაჩვენებელი, ბრუნვადობა დღეებში განისაზღვრება მოცემული პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვის შეფარდებით ბრუნვადობის კოეფიციენტზე.

მესამე მაჩვენებელი საბრუნავი სახსრების დატვირთვის კოეფიციენტი, გაიანგარიშება საბრუნავი სახსრების ერთ ლარზე რეალიზებული საქონლის მოცულობით.

რას გვიჩვენებს თითოეული მაჩვენებელი?

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენჯერ გადაბრუნდა საბრუნავი სახსრები მოცემულ პერიოდში,

ბრუნვადობის დღეებში - რამდენი დღეა საჭირო ერთი გადაბრუნებისათვის, ხოლო საბრუნავი სახსრების დატვირთვის კოეფიციენტი საბრუნავი სახსრების თითოეული ლარი რამდენი ლარის საქონლის (პროდუქციის) რეალიზაციას „ახერხებს“ მოცემულ პერიოდში.

გარე სამყარო და ბუნებრივი რესურსები

ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილია, აგრეთვე, გარე სამყარო და ბუნებრივი რესურსები. იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს გარე სამყაროსა და რეკრეაციული ზონის დაბინძურების, ბუნებრივი რესურსების მოპოვების და ხარჯვის ინტენსიური პროცესები (ყოველწლიურად მოიპოვება 100 მლრდ ტონა მადანი, სათბობი და სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები, აგრეთვე, 5 მლრდ ტონა ბუნებრივი აირი და ნავთობი და ა.შ.) მეტად აქტუალური გახდა ამ პროცესების სტატისტიკური შესწავლა. ბუნებრივი რესურსებია მიწისა და ტყის, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, წყლისა და ჰიდროენერგეტიკული რესურსები და სხვა. ბუნებრივი რესურსები ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი მოზიდულია წარმოების პროცესში და ჩაერთვება სიმდიდრის შემადგენლობაში. მეორე ნაწილი განეკუთვნება პოტენციურ ბუნებრივ რესურსებს.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები მოიცავს მიწისა და ტყის ფონდის, სასარგებლო წიაღისეულის, წყლისა და ჰიდროენერგეტიკული რესურსების, აგრეთვე, გარემო სამყაროს მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და მოქმედი ფაქტორების ინდიკატორებს.

მიწის ფონდი არის ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის მთლიანი ტერიტორია წყლისქვეშა ფართობის ჩათვლით, რომლის შემადგენლობაში შედის სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა დანიშნულების მიწის ფართობები.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის შემადგენლობაში თავისთავად გამოიყოფა სახნავი, ნასვნი მიწები, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები, საძოვრები.

მიწის ფონდი, პირველ რიგში, აბსოლუტური მაჩვენებლებით შეისწავლება, რაც მოიცავს მიწის ფონდის რაოდენობას პერიოდის დასაწყისში, ზრდას ან კლებას პერიოდის განმავლობაში, ტრანსფორმაციას (ერთი სახის მიწის ფონდის გარდაქმნას მეორე

სახეობაში - სახნავი საძოვრად ან პირიქით) და მიწის ფონდს პერიოდის ბოლოსათვის. გამოიყენება, აგრეთვე, შეფარდებითი მაჩვენებლებიც, როგორცაა: მიწის ფონდის სტრუქტურა ცალკეული სახის მიწის ფონდის მიხედვით, დინამიკა 5 წლის განმავლობაში და ა.შ.

ტყის ფონდი მერქნის მარაგია, რომლის რაოდენობა იზომება კუბური მეტრებით. იგი შედგება წყალსაცავების (წყლის ობიექტების ნაპირების), დამცველი (რკინიგზა და სხვა გზების გასწვრივ), სანიტარულ-ჰიგიენური და გამაჯანსაღებელი (ქალაქების, საწარმოებისა და დაწესებულებების ტყის ფონდი, ტყის პარკები, ნაკრძალები და სხვ.) ტყის ფონდებისაგან.

ტყის ფონდის გამოყენებას ახასიათებენ ტყით დაფარული ფართობის 1 ჰა-ზე მერქნის ნამატით წლის მანძილზე, ტყის აღდგენით (გაჭრილი ტყის ნაცვლად ახალშენება), ტყის ახალი გაშენების ფართობით.

სასარგებლო წიაღისეული მისი შესწავლილობისა და სამრეწველო გადაამუშავებისათვის მომზადების ხარისხის მიხედვით, იყოფა ოთხ ჯგუფად:

A - დეტალურად გამოკვლეული მარაგები; B - გამოკვლეული მარაგები;

C_1 - რთული გეოლოგიური აგებულების გამოკვლეული მარაგები; C_2 - პერსპექტიული მარაგები. სტატისტიკა ახასიათებს მარაგების საერთო მოცულობას, სტრუქტურას და დინამიკას.

წყლის რესურსები გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, სამრეწველო მომარაგებისათვის, ჰიდროენერჯის მისაღებად, მოსარწყავად, თევზის გასაშენებლად, დასაჭერად და ა.შ. მათ შემადგენლობაში შედის შინა (მდინარეები, ტბები და სხვ.) და გარე (ოკეანეები და სხვ.) წყლის რესურსები. სტატისტიკა სწავლობს წყლის რესურსების საერთო რაოდენობას, სტრუქტურას, დინამიკას და სხვ.

გარემოს მდგომარეობას ახასიათებენ გარემოს ცალკეული ელემენტებით (წყლის მარაგით, მისი მოხმარებით, მწვანე ნარგავებით)

ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის ტერიტორიის ან მოსახლეობის ერთეულზე.

გარემოს დაბინძურებას ახასიათებენ ავტომანქანების რაოდენობით ერთ კმ² ან მოსახლეობის 1000 სულზე, ავტომანქანებიდან გამოტყორცნილი მავნე აირებით და ა.შ.

ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა

ბიზნეს გარემოზე უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას, რომელთაგან მთავარია ზემოთგანხილული სოციალურ-ეკონომიკური, მაკროეკონომიკური და ბუნებრივი, შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის გარემოს სტატისტიკური ინდიკატორები. ისმის კითხვა! როგორ შეიძლება ყველა ისინი გავზომოთ და წარმოვადგინოთ ერთ გაერთიანებულ, სინთეზურ, ინეგრირებულ ინდიკატორში, რომლის მიხედვით ინვესტორები, ბიზნესმენები და სხვა დაინტერესებული პირები თვალნათლივ დაიანახავენ თუ რამდენად მიმზიდველია მოცემული ქვეყანა ან რეგიონი ბიზნესის განვითარებისათვის? ამ შემთხვევაში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორთა ისეთ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელთა შეჯამება ან ერთმანეთზე გადამრავლება არ შეიძლება ანუ არ ხასიათდებიან ადიტიურობისა და მულტიფლიკატორების თვისებებით. ამიტომ აქ გამოგვადგება გაეროს ექსპერტების მიერ ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდება თითოეული ფაქტორის სტანდარტიზაცია ანუ ნორმირება და შემდეგ მათი სინთეზი, გაერთიანება ერთ ინტეგრირებულ მაჩვენებელში.

ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის სინთეზური, ინტეგრალური სტატისტიკური ინდიკატორი შეიძლება ასეთი ზოგადი ფორმულით

წარმოვიდგინოთ:
$$K_{\text{ინტ.}} = \frac{\sum_{i=1}^n K_i}{n}$$

სადაც, $K_{\text{ინტ.}}$ ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტია;

K_i - ური ფაქტორის სუბინდექსი;

n - ფაქტორთა რიცხვი.

თავისთავად ან სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$K_i = \frac{X_i - X_{i\text{min}}}{X_{i\text{max}} - X_{i\text{min}}}$$

სადაც, X_i i -ური ფაქტორის ფაქტობრივი მნიშვნელობაა მოცემულ ქვეყანასა და რეგიონში;

$X_{i\text{min}}$ i - ური ფაქტორის მინიმალური მნიშვნელობა;

$X_{i\text{max}}$ i - ური ფაქტორის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორები და მათი განმსაზღვრელი პარამეტრები ჩვენი ვარაუდით, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ბიზნეს გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორები

№	ფაქტორის დასახელება	მანკეუბლის მაქსიმალური მნიშვნელობა	მანკეუბლის მინიმალური მნიშვნელობა	სუბინდექსი
1	მშპ ერთ სულზე	5448 აშშ დოლარი	100 აშშ დოლარი თვეში	K1
2	განათლების დონე	100 %	0%	K2
3	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	85 წელი	25 წელი	K3
4	უშუშევრობის დონე	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K4
5	სიღარიბის დონე	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K5
6	ინფრასტრუქტურის განვითარების დონე	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K6
7	ბუნებრივი რესურსების % ეროვნულ სიმდიდრეში	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K7
8	კანონდარდვევითა რაოდენობა მოსახლეობ 10 000 კაცზე	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K8
9	კერძო საკუთრ. ხელყოფის რაოდენობა მოსახლეობ 10 000 კაცზე	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K9
10	შემოსავლების უთანაბრობის კოეფ.	მოწინავე ქვეყნის მანკეუბელი	0%	K10

ჩამოთვლილ ფაქტორთა პირველი შვიდი პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხზე. ბიზნესმენს და ინვესტორს სრულებითაც არ აწყობს ბიზნესის განვითარებისათვის მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია ცხოვრების ძალიან დაბალი დონით. მას მოაწყობს ჰყავდეს კანონმდებლობით დაცული მდიდართა პარტნიორები ქვეყანასა და რეგიონში, აგრეთვე, მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლებული საშუალო ძალის მქონე

მოსახლეობა. მაგრამ ამასთან ერთად დაინტერესებულია იაფი საშუალო ძალითა და ინფრასტრუქტურის (გზების, ტრანსპორტის და სხვ.) განვითარების მაღალი დონით, აგრეთვე, უშუშევრობისა და სიღარიბის არსებობით, რაც ბიზნესს იაფი საშუალო ძალით უზრუნველყოფს.

ფაქტორთა ბოლო სამი დასახელება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. კანონდარდვევითა დიდი რაოდენობა ანუ კრიმინალური სიტუაციის გაუარესება, აგრეთვე, კერძო საკუთრების ხშირი ხელყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების უთანაბრობის შემცირება, ანუ ნულთან მიახლოება აუარესებს ბიზნეს გარემოს. ამიტომ ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის საჭიროა, ჩვენი გაანგარიშებით ამ ფაქტორის შესაბამისი სუბინდექსი გამოვაკლოთ ერთს. მივიღებთ კანონმდებლობის და კერძო საკუთრების დაცვის, აგრეთვე, შემოსავლებისა და დანახარჯების არა უთანაბრობის, არამედ თანაბარგანაწილების კოეფიციენტებს, რომელთა გადიდება პირდაპირპროპორციულია ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. საბოლოო ჯამში, ჩვენს მაგალითზე, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტი მიიღებს სახეს:

$$K_{\text{ბიზნ.}} = \frac{\sum_{i=1}^7 K_i + 3 - \sum_{i=1}^3 K_i}{10}$$

ზოგადად ჩვენს მიერ მიღებული ფორმულა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

$$K_{\text{ბიზნ.}} = \frac{\sum_{i=1}^m K_i + (n - m) - \sum_{i=m+1}^n K_i}{n}$$

სადაც, m - ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის პირდაპირპროპორციული ფაქტორების რიცხვი, ხოლო დანარჩენი $n - m$ - არაპროპორციული მოქმედების ფაქტორებია.

ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტის მნიშვნელობა იცვლება 0-დან 1-მდე, ანუ 0-დან 100%-მდე. თუ მისი მნიშვნელობა 0-დან 30%-ის ფარგლებშია, მიმზიდველობა სუსტია, 30-დან 60%-მდე საშუალოდ ზომიერი, ხოლო 60%-ს ზევით, უნდა ვივიარაუდოთ, რომ ძალიან ძლიერია.

შინაარსი

შესავალი	3
თემა 1. მოსახლეობის სტატისტიკა	4
თემა 2. შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის სტატისტიკა	44
თემა 3. საბანკო და სადაზღვევო სტატისტიკა . . .	66
თემა 4. მონეტარული და ფისკალურ-საგადასახადო სტატისტიკა	87
თემა 5. ფასებისა და ინფლაციის სტატისტიკა . .	104
თემა 6. საფონდო ბირჟების და ფასიანი ქაღალდების სტატისტიკა	118
თემა 7. მეწარმეობის სტატისტიკა . . .	140
თემა 8. ინვესტიციების სტატისტიკა . . .	179
თემა 9. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტატისტიკა . .	198
თემა 10. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა . . .	227
ლიტერატურა	

ლიტერატურა

1. გაბიაშვილი ბ. , სტატისტიკა, ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ. , 2007.
2. გაბიაშვილი ბ. , ეკონომიკური სტატისტიკა, თბ. , 2006.
3. კვიციანი დ. , აბესაძე ნ. , მეტრეველი შ. , სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ. , 2008.
4. კვიციანი დ. , აბესაძე ნ. , მეტრეველი შ. , სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, თბ. , 2006.
5. ხმალაძე მ. , დემოგრაფია, თბ. , 2009.
6. Cnfnbcnbrf Abyfycjd Extdybr gjl htlfrcbtq D.Y. cfkbyf V. 2001 u.
7. **WWW. geostat.ge**
8. **WWW. mof.ge**